# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

# სარკე

ფასი: 1 ლარი

8–14.V 2013

№19





გვ.8

## ვის მხარეზეა ქორქია-თარხნიშვილის კონფლიქტში გეგა ფალავანდიშვილი

## „ქმარმა ნაზ გოგოდ მაქცია“

გვ.6



გვ.26

## სააკაშვილის და ივანიშვილის პაროდისტები ვერაფრით დამეგობრდნენ

## ნუკა გვალია: „მოვა დრო და მამაჩემზე ყველაფერს ვიტყვი!“

# როგორ დაძლია ეკა კვალიაშვილის ქალიშვილმა საშიში მიდრეკილებები



გვ.21

ცალმხრივად შეყვარებული ბიჭის მსხვერპლი

გვანცა ადამიას ისტორია



გვ.24

ვის კაბებში გრძნობს თავს დედოფლად თაკო ჩხეიძე



გვ.39

როგორ უქმნის ქმარს მყუდროებას დალი ჩიტალაძე



გვ.23

ამართლებს თუ არა გიორგი ბოჭორიშვილი ცოლქმრულ ღალატს

ISSN 1987-9369

9 771987 936002

„ჩემს ქმარს საყვარლისგან გაჩენილი შვილი აშანტაჟებს“ – სასჯელად ქცეული წარსული გვ.46



გვ.37

# „ქალის ბედნიერება წონაზეა დამოკიდებული"

რატომ თქვა უარი ნანუკა ჟორჟოლიანმა იერუსალიმში ჯვრისწერაზე



გვ.34

# გიგი დედალამაზიშვილმა ცოლს მზითევში ძაღლის მიყვანა აუკრძალა



გვ.50

# დათო იმედაშვილი: „ფანტასტიკური ყოფილი ქმარი ვარ!"



გვ.43

# რატომ შეარქვეს რამაზ იოსელიანს იაპონელებმა „პრობლემ სანი"




გვ.30

# როგორ აშოშმინებს ხატია შამუგია გაბრაზებულ მძღოლებს

„ლურჯი ჯიპი გურამიკომ ამერიკაში მიშოვა"



გვ.38

# მარკუს მეტრეველი: „ყოფილი ცოლი შვილებს ისევ არ მაჩვენებს"



გვ.20

# გიორგი ზერეკიძის ციხეში დარჩენილი ბავშვობა



გვ.35

# ნუგზარ ერგემლიძე: „ბიჭი ძუძუს წოვას თავს რომ დაანებებს, ღვინის სმაზე უნდა გადავიდეს!"

# ნომერში


## მთავრობის სახე

ნუკა გვალია: „მოვა დრო და მამაჩემზე ყველაფერს ვიტყვი!“ 6

## ძმაკაცური ამბები

ვის მხარეზეა ქორქია-თარხნიშვილის კონფლიქტში გეგა ფალავანდიშვილი 8

## კინონოსტალგია

„ჯარისკაცის მამას“ საქართველოში მტრები ჰყავდა 10

## გულახდილი საუბრები 12-13

## პოლიტიკა

- კობა დავითაშვილი: „ივანიშვილმა მთელ ჩემს განვლილ ცხოვრებას წითელი ხაზი გადაუსვა“ 16
- რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილისა და მერაბიშვილის დაპირისპირება რეალურია“ 17
- რატომ დადგა ბიძინა ივანიშვილის გვერდით მიხეილ მაჭავარიანის ძმა 18

## განსაცდელი

- გიორგი ზერეკიძის ციხეში დარჩენილი ბავშვობა 20
- სასტიკი სიყვარული უნივერსიტეტის კედლებში 21

## სერიალის გმირი

გიორგი ბოჭორიშვილმა მაყურებელი გადაიკიდა 23

## სამეგობრო

ვის კაბებში გრძნობს თავს დედოფლად თაკო ჩხეიძე 24

## შოუს ბიჭები

პრეზიდენტის და პრემიერის პაროდისტები ვერაფრით დამეგობრდნენ 26

## მოზარდები 28-29

## ავტომოყვარული

როგორ აშოშმინებს ხატია შამუგია გაბრაზებულ მძღოლებს 30

## მეორედ დაბადება

თავის ქალაახდილმა ბიჭმა ცეცხლმოკიდებული მანქანიდან მეგობრები გამოიყვანა 31

## აქტუალური თემა

ამირან გამყრელიძე: „წითელათი დაავადებულებს ყველა სურვილი შეუსრულეთ!“ 32

## მეორე ნახევარი

გიგი დედალამაზიშვილმა ცოლს მზითევში ძაღლის მიყვანა აუკრძალა 34

## სამზარეულო

ნუგზარ ერგემლიძე: „ბიჭი ძუძუს წოვას თავს რომ დაანებებს, ღვინის სმაზე უნდა გადავიდეს!“ 35

## სარკის წინ

რატომ თქვა უარი ნანუკა ჟორჟოლიანმა იერუსალიმში ჯვრისწერაზე 37

## ეტაპი

მარკუს მეტრეველი: „ყოფილი ცოლი შვილებს ისევ არ მაჩვენებს“ 38

## შინ

როგორ უქმნის ქმარს მყუდროებას დალი ჩიტალაძე 39



№19(784) 8 — 14 მაისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 6.05.2013, 21.00 სთ-ზე.



**იყიდება მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების მე-2 ტომი**

**ჩეხური ზღაპრები**

**გაზეთ ,,ახალ თაობასთან'' ერთად**

მაგარი ყდა,

სუპერ გარეკანი

ფასი გაზეთთან ერთად

**6 ლარი**




გამოსულია ტომი I — ამერიკული ზღაპრები.

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები



## ცხოვრება ჩემოდნებზე

რატომ შეარქვეს რამაზ იოსელიანს იაპონელებმა „პრობლემ სანი“ 43

## მეგზური

მხიარული და მთვრალი გლაზგო 45

## მხოლოდ ქალებისთვის 48

## დედიკოების სკოლა 49

## ჩემი მშვენიერი ლედი

დათო იმედაშვილი: „ფანტასტიკური ყოფილი ქმარი ვარ!“ 50

## სპორტის მიღმა 51

## ადამიანის ინსტიტუტი 52

## ცოტ-ცოტა ყველაფერზე 53

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54-55

## სახალისო 56-57

## იყავით ჯანმრთელი 58-59

## ჭრელაჭრულა 62

## სიცილის გვერდი 63

## ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-17) 66
- ლელა ცუცქირიძე — „დონა კორლეონე“ 68

## სიწმინდეები

ტაძარი, სადაც ქრისტიანებთან ერთად მუსლიმებიც ანთებენ სანთელს 71

## წმინდანები

თუ ადამიანის სურვილი ღვთივსათნოა, მაშინ ყველაფერი არის შესაძლებელი 72

## კითხვები მოძღვარს

„ეკლესია წმინდა რჩება მაშინაც კი, როცა მისი მსახურები უღირსად იქცევიან“ 73

## გზა ტაძრისაკენ

მოძღვარი პოეტი სკანდალურ რომანს წერს 75

## საბავშვო გვერდი 76

## კულინარიული შედევრები 77

## პატრიარქის თხოვნას აბორტის აკრძალვის შესახებ პარლამენტში განიხილავენ

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის სააღდგომო ეპისტოლეში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აბორტის მძიმე ცოდვას.


■ ილია II

— აბორტი — ეს არის უდიდესი დანაშაული, რომელიც თითქმის ყველა ოჯახში ხდება. აბორტი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც. გთხოვთ, ნუ ჩაიდენთ ამ საშინელ ცოდვას! თუ თქვენ ვერ ახერხებთ ბავშვის გაზრდას, ეკლესია უპატრონებს მათ. მაშინ, როცა საქართველოში ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისთვის, — ნათქვამია ეპისტოლეში.

საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტში მართლაც იგეგმება პატრიარქის ინიციატივის განხილვა, რომელიც აბორტის წინააღმდეგ კანონის მიღებას შეეხება. უმრავლესობის წევრთა თქმით, ეს ფართო მსჯელობის საგანია და მასში ექსპერტები, საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი უნდა ჩაერთონ. განხილვის პროცესში ჩასართავად მზად არის პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც. მისი აზრით, ამ მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ აკრძალვა ვერ მოაგვარებს.

— დემოგრაფიული პრობლემის მთავარი გამომწვევი მიზეზი ოჯახების მძიმე სოციალურ-მატერიალური პირობებია, — მიაჩნია პრემიერს.

## თბილისის მერიას გუდაური ჩამოართვეს

სამთო კურორტი გუდაური თბილისის მერიის ბალანსიდან ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას თქმით, ტერიტორიულად მოშორებული გუდაურის სამართავად თბილისის მერიისთვის გადაცემა უცნაურია და შესწავლას საჭიროებს.

— არ შეგვისწავლია გუდაურის თემა. ამ საკითხს დეტალურად არ ვიცნობ, მაგრამ ტერიტორიულად მოშორებული ადგილის სამართავად თბილისის მერიისთვის გადაცემა ცოტა უცნაური იყო და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კონცეფციაში ნამდვილად არ ჯდებოდა. იქ ინფრასტრუქტურა რომ მოწესრიგდა, ამაში ცუდი არაფერია. ასევე ვიცით, რომ ამ მხრივ იქ გარკვეული ხარვეზებიც იყო. ჩვენ ამ მიმართულებით საგზაო ინფრასტრუქტურას ვაუმჯობესებთ, რაც სიახლეა, — განაცხადა ნარმანიამ.

## ხუხაშვილს და ფარესაშვილს საერთო მტერი ჰყავთ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტ გიორგი ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის ინტერნეტსივრცეში გავრცელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო. სისხლის სამართლის საქმე 157-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე აღიძრა საქართველოს მოქალაქეთა პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ბრალდებით.

ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებში კიდევ ორი პიროვნება ჩანს. ამ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის პირველ განყოფილებას განცხადებით არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ხელმძღვანელმა ნინო ბოლქვაძემ მიმართა. სისხლის სამართლის საქმე სწორედ მისი განცხადების საფუძველზე აღიძრა.

გიორგი ფარესაშვილი ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეომასალას ფაბრიკაციას უწოდებს. ის განმარტავს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად ამხელდა სამ პიროვნებას — პრემიერის მრჩეველ გია ხუხაშვილს, შს მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძესა და გენერალური პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილს. ფარესაშვილი აცხადებს, რომ სწორედ ამ სამმა პიროვნებამ ჩაიგდო ხელში ის ბიზნესები, რაც ნაციონალურ მოძრაობასა და „ვანო მერაბიშვილის კლანს“ ჰქონდა. ჟურნალისტი იმასაც ამბობს, რომ ის მუშაობდა ინფორმაციაზე, რომელიც გია ხუხაშვილის, ნათია მოგელაძისა და მისი ქმრის, გიორგი კონდახაშვილის თანამშრომლობას ადასტურებს.


■ გია ხუხაშვილი

ამ ბრალდებებს უარყოფენ თავად გია ხუხაშვილი და გიორგი კონდახაშვილი. კონდახაშვილი აცხადებს, რომ იგი უკვე რამდენიმე თვეა პროკურატურაში აღარ მუშაობს და გია ხუხაშვილს არ იცნობს. ხუხაშვილი კი ფარესაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს აბსურდულს უწოდებს. პრემიერის მრჩეველი აცხადებს, რომ ფარესაშვილი დეზინფორმირებულია და იგი კონკრეტულმა პირებმა საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენეს. ამიტომაც მას კოორდინირებულად მოქმედება შესთავაზა.

— მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ფარესაშვილისგან ბოლო პერიოდში ჩემი მისამართით ბევრი ცილისმწამებლური განცხადება მოვისმინე, მიმაჩნია, რომ მასზე კადრების გავრცელება წარმოუდგენელი დანაშაულია. თუ ადრე მეგონა, რომ ფარესაშვილი შეგნებულად აწარმოებდა ჩემ მიმართ ბინძურ კამპანიას, ამ ვიდეოს გავრცელების შემდეგ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ის თვითონ გახდა კარგად დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლი. ახლა მხოლოდ მის ბოლო განცხადებას შევეხები და მინდა, იცოდეს, რომ მოგელაძე ტელევიზორში მყავს ნანახი, ხოლო მისი მეუღლე, საერთოდ არ ვიცი, ვინ არის. ვფიქრობ, ამ ვიდეოს კვალი იქ უნდა ვეძებოთ, სადაც მისი დეზინფორმირება ხდებოდა. ეს ყველაფერი აღარ არის მარტო მისი პრობლემა, ეს ჩვენი საერთო პრობლემაა. დარწმუნებული ვარ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ადვილად გავერკვევით ამ ისტორიაში, — აღნიშნა ხუხაშვილმა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აღმაშფოთებლად მიიჩნევს ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელებას. მინისტრს სჯერა, რომ შს სამინისტროში დაწყებული გამოძიება უმოკლეს ვადაში დაადგენს კადრების ნამდვილობას და თუ ვინ რა მიზნით გაავრცელა ის. თეა წულუკიანი ეხმაურება ბრალდებებს მთავარი პროკურატურის მიმართ და აცხადებს, რომ მთავარი პროკურატურა სრული სერიოზულობით უნდა მოეკიდოს ამ ბრალდებებს, რათა წერტილი დაესვას საზოგადოებაში ბოლო დროს გაჩენილ კითხვებს.

საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი მისი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს „თავისუფალი აზრის გამოხატვად“ აფასებს.

— ნაცვლიშვილის მიმართ ბრალდებები მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, სწორედ ამიტომ ჯერჯერობით მას სხვა შეფასებას ვერ მივცემ, გარდა იმისა, რომ ეს არის აზრის გამოხატვის თავისუფლების სფეროში გაკეთებული განცხადება, — აღნიშნავს არჩილ კბილაშვილი თავის განცხადებაში.


სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ელენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.

სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru

მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.



Cyan Magenta Yellow Black

## ელექტროენერგია თუ ბუნება

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ამიტომ არც ერთი უწყება მალავს, რომ სამინისტროების პირველ პირებს შორის კამათი ხშირია.

— კამათი ახალი არაა, ზოგადად ძალიან ხშირადაა განხილვა ჰესებთან დაკავშირებით. ჩვენი ხელისუფლების მიდგომაა, რაც შეიძლება მეტი ჰესი აშენდეს ქვეყანაში და საქართველო ენერგოდამოუკიდებელი გახდეს, რეგიონში მეზობლებზე არ იყოს დამოკიდებული და ამავდროულად გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტიორი. რა თქმა უნდა, გარემოს დაცვის სამინისტროს აქვს შენიშვნები. მათი პოზიციები გასაგებია, ყველა პროექტი ზეგავლენას ახდენს გარემოზე, ეს ნორმალურია, თუმცა საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა ნორმალურ ქვეყნებში, ჰესები გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შენდება, — განაცხადა მინისტრმა კახა კალაძემ.

## აკაკი ბობოხიძე თამაშს მარტო იწყებს


■ აკაკი ბობოხიძე

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე, თანაპარტიელებისგან განსხვავებით, მზადაა, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებებს მხარი დაუჭიროს, თუ ის მხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქეებს შეეხება, რომლებიც აფხაზეთის ოკუპაციას არ აღიარებენ.

— ჩემი მეგობრებისგან განსხვავებით, მზად ვარ, მხარი დავუჭირო ამ კანონს, თუ ჩვენ მასში ერთ ელემენტარულ ცვლილებას შევიტანთ და კანონში შერბილება შეეხება მხოლოდ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთის ოკუპაციას არ აღიარებენ. აი, აქ ნამდვილად გამოჩნდება, თქვენ ეს შეკვეთა რუსეთისთვის გინდათ თუ მართლა გზააბნეული ტურისტებისთვის, რომლებიც თურმე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოსკენ მოისწრაფვიან. ბატონებო, თქვენ ეს გინდათ რუსეთისთვის! ეს, სხვათა შორის, პრობლემა არაა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, ხვალ რუსეთისგან რას ველოდებით და მინდა გითხრათ, რომ თუ რამეს ელოდებით, ტყუილად ელოდებით, — განაცხადა ბობოხიძემ.

## პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია

საქართველოს პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია. დაძლევას 91-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. კანონი პრეზიდენტს კვლავ დაუბრუნდა და ხელმოსაწერად 7 სამუშაო დღე აქვს. თუ ხელს არ მოაწერს, მაშინ, როგორც წინა შემთხვევაში, როცა საკონსტიტუციო ცვლილებები იქნა მიღებული, ხელს პრეზიდენტის ნაცვლად პარლამენტის თავმჯდომარე მოაწერს და კანონი ძალაში შევა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ვეტო 23 აპრილს დაადო. საკითხი შეეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებას და საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტას. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პროექტით, ვადამდე ადრე უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 13-ს უწყდება.

## 5 ელჩი დაამტკიცეს

საქართველოს პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით 5 ქვეყნის ელჩის კანდიდატურა დაამტკიცა. ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი ზურაბ პატარიძე იქნება, აზერბაიჯანში — თეიმურაზ შარაშენიძე, თურქეთში — ირაკლი კოპლატაძე, ლიტვაში — ხათუნა სალუქვაძე და ევროსაბჭოში — კონსტანტინე კორკელია.

ჯერჯერობით ღიად რჩება ბულგარეთში, ჩინეთში, გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასანიშნთა საკითხი, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შეთავაზებულ კანდიდატურებს პრეზიდენტი არ ეთანხმება. როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ასევე ირლანდიაში საქართველოს ელჩის პოსტზე თედო ჯაფარიძეა წარდგენილი, ბულგარეთში — ზურაბ ბერიძე, ჩინეთში — დავით აფციაური, გერმანიაში — ლადო ჭანტურია, ხოლო გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობაზე — კახა იმნაძე.


■ სოსო ჯაჭვლიანი

## სოსო ჯაჭვლიანი: „საქართველოს მსუბუქი ყოფაქცევის პრეზიდენტი ჰყავს"

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ სოსო ჯაჭვლიანის შეფასებით, საქართველოს მსუბუქი ყოფაქცევის პრეზიდენტი ჰყავს, რომელიც მსოფლიოში დაწანწალებს და თავის სამშობლოს აბეზღებს.

— კარგად ვიცით, რომ მკვლელი პრეზიდენტი გვყავს, რომელმაც აფრასიძეების ოჯახის განადგურების ბრძანება გასცა. შუა ქალაქში დღისით, მზისით, პროფესორი გურამ შარაძე დახვრიტეს. დახვრიტეს 100-ზე მეტი ახალგაზრდა. თვალსა და ხელშუა ზურაბ ჟვანია მოკლეს. 26 მაისი, 7 ნოემბერი... გვყავს ლაჩარი პრეზიდენტი, მსოფლიომ ნახა გორის სამარცხვინო კადრები. გვყავს მსუბუქი ყოფაქცევის პრეზიდენტი, დაწანწალებს მსოფლიოში და თავის სამშობლოს აბეზღებს. გვყავს მკვლელობის შემსრულებელი, საფლავების შემბილწველი ვიცეპრემიერი ბარამიძე, რომელიც ისე ამაყად უსვამდა ირაკლი ღარიბაშვილს კითხვებს და უტევდა, რომ გეგონება, აფრასიძეების სადამსჯელო ოპერაცია ღარიბაშვილმა ჩაატარა. მე ვიქნები ბედნიერი, თუ პრეზიდენტი პარლამენტს დაითხოვს და ქართველი ხალხი ნამდვილ პარლამენტს აირჩევს, მაგრამ პრეზიდენტს ამის არც თავი აქვს და არც ერთი ადგილი. ის ჩამოყალიბებული შულერი და აფერისტია, — განაცხადა ჯაჭვლიანმა პლენარულ სხდომაზე.

## საქართველო და აზერბაიჯანი საბრძოლო თვითმფრინავებს ერთად გააკეთებენ

საქართველომ აზერბაიჯანს საბრძოლო თვითმფრინავების ერთობლივი წარმოება შესთავაზა. აზერბაიჯანული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველო თბილისის საავიაციო ქარხანაში „სუ 25"-ის მოდერნიზებული ვერსიის წარმოებას გეგმავს. მისივე ცნობით, აზერბაიჯანულ სამხედრო წრეებში ამ წინადადებას დადებითად შეხვდნენ, აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება კი ხელისუფლებამ უნდა მიიღოს.

თუ პროექტი განხორციელდება, თვითმფრინავების გარკვეული ნაწილი შესაძლოა აზერბაიჯანის სამხედრო ქარხნებში აწარმოონ.

## სოფო მოსიძე საკადრო წმენდას არ გეგმავს


■ სოფო მოსიძე

ჟურნალისტი სოფო მოსიძე საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის უფროსად დაინიშნა. იგი ამბობს, რომ ტელევიზიაში ახალი გეგმით და სტრატეგიით მიდის, მაგრამ ირწმუნება, რომ ამაში საკადრო წმენდა არ შედის:

„მოვდივარ ახალი გეგმით და სტრატეგიით, მაგრამ ამ ყველაფერზე დეტალურად მომავალში ვისაუბრებ. საკადრო ცვლილებებს არ ვგეგმავ. უფრო გრძელვადიანი პროექტების განხორციელებაზე ვიქნებით ორიენტირებული".

## პუტინი მშვიდობიან მიმართვაშიც იმუქრება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ქართველი ვეტერანების მიმართ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 68 წლისთავთან დაკავშირებით მიმართვა გაავრცელა.

— ძვირფასო ვეტერანებო! საქართველოს პატივცემულო მოქალაქეებო! გულით გილოცავთ უდიდეს დღესასწაულს, გამარჯვების დღეს! ჩვენი ერები მხარდამხარ იბრძოდნენ ნაციზმის წინააღმდეგ, იცავდნენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, მომავალი თაობების მშვიდობიანი ცხოვრების უფლებას. ჩვენ მუდამ პატივს მივაგებთ ჩვენს გმირებს, დავიცავთ ომის შესახებ სიმართლეს და ისტორიის გაყალბების ყოველგვარ მცდელობას შევეწინააღმდეგებით.

დარწმუნებული ვარ, რომ 1945 წლის მაისში გამარჯვების წმინდა მოგონება მომავალშიც გაგვაერთიანებს და რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისთვის საიმედო საფუძველს შექმნის. მინდა, უდიდესი პატივისცემა გამოვხატო დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი, დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ვუსურვო მათ. საქართველოს მთელ მოსახლეობას კი — მშვიდობა და აყვავება, — ნათქვამია რუსეთის პრეზიდენტის მილოცვაში.



Cyan Magenta Yellow Black

# ნუკა გვალია: „მოვა დრო და მამაჩემზე ყველაფერს ვიტყვი!“

სიმღერით განთქმული გვარის, თარხნიშვილების შთამომავალი, ნუკა გვალია, პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეა. პირველივე საკონკურსო კონცერტზე მას ჟიურიც და ხალხით სავსე დარბაზიც ფეხზე წამოუდგა. ყველა ერთ კითხვას სვამდა — სად იყო 20 წლის გოგონა აქამდე და რატომ არ მღეროდა? მით უმეტეს, რომ ნუკა ცნობილი მომღერლის, ეკა კვალიაშვილის, ერთადერთი ქალიშვილია.

თავად ნუკა ამბობს, ეს წლები მეცადინეობასა და ხმის დახვეწაში გავატარეო. მარტო, ოთახში ჩაკეტილი მეცადინეობდა. იცოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდ სცენაზე გავიდოდა. მომღერლობაზე ფიქრი მას მერე დაიწყო, რაც რთული პერიოდი დაძლია. მისი არამდგრადი განწყობა, დეპრესიისკენ მიდრეკილება და მოზარდისთვის დამახასიათებელი უცნაური გატაცებები დედამისს თავის დროზე ძალიან ანერვიულებდა. შემდეგ კი გამოჩნდა ბიჭი, ნიკა კობახიძე, ნუკას და მას ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ კიდეც და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.



ნუკას 6 წლის ასაკში დედასთან ერთად სიმღერა აქვს ჩაწერილი. კლიპიც გადაიღო. დაახლოებით 12 წლის წინ ეს კლიპი „პირველ არხზე“ დღეში რამდენჯერმე ტრიალებდა. არადა მას მუსიკალური განათლება არ აქვს. სკოლის მერე აღარსად უსწავლია, ჩვეულებრივ სამსახურში თავი ვერ წარმოუდგენია. ამბობს, რომ ოფისში ვერასოდეს იმუშავებს.

„სარკე“ ნუკას მესამე ტურის წინ ესაუბრა. მან საკმაოდ გულახდილად გვიამბო თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდებზე.

**„არც ცუდი სამეგობრო მყოლია და არც სატანურ რიტუალებზე მივლია. მიდრეკილება აშკარად მქონდა. შავების ჩაცმა, სასაფლაოებზე გადაღებული სურათების ნახვა მომწონდა. რა მაგარია სიკვდილი-მეთქი, ვფიქრობდი“.**

**ნუკა გვალია:** რაც თავი მახსოვს, სახლში სულ ვმღეროდი. თავიდან მოგუდული ხმა მქონდა, მერე კი გამეხსნა. კასეტებიანი მაგნიტოფონები რომ იყო, იმაზე ვიწერდი ჩემს სიმღერებს. ის კასეტები ახლაც მაქვს. ყველაზე კარგად ის მახსოვს, მე და დედამ ერთად რომ დავწერეთ სიმღერა. მაშინ 6 წლის ვიყავი. ეკა პიანინოზე უკრავდა და მე სიტყვებს ვკარნახობდი. ეკა დაიწყებდა და მე ვაგრძელებდი. კლიპისთვის თოვლი გვჭირდებოდა და ზუსტად იმ დღეს მოვიდა.

**— დედას სახელით იხსენიებთ. გეტყობათ, რომ ერთმანეთთან მეგობრებივით ხართ. რას გასწავლიდათ ეკა პატარაობიდან?**

— დედა ყოველთვის იმას მეუბნებოდა, რომ მართალი ადამიანი

## „ქმარმა ნაზ გოგოდ მაქცია“

ვყოფილიყავი. დღეს როგორიც ვარ, ეს ეკას დამსახურებაა. გამოცდებს მიტარებდა ხოლმე „ჩაშვებაზე“, ენის მიტანაზე. აინტერესებდა, თუ გავტყდებოდი და რამეს მათქმევინებდა. ტესტებივით ჰქონდა კითხვარი მოფიქრებული და ამის წყალობით ჩამოვყალიბდი ასეთი — გახსნილი და პირდაპირი ვარ. ახლაც, „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურსანტებმა იციან, რომ შეუძლიათ პირდაპირ მკითხონ რაღაც და მე რასაც ვფიქრობ, იმას ვუპასუხებ — ასე და ასე ჯობია-მეთქი. გულით ვეუბნები ამ ყველაფერს და სჯერათ ჩემი. ხალხი ადვილად მენდობა, რადგან მართლა შემიძლია საიდუმლოს

**როგორ დაძლია ეკა კვალიაშვილის ქალიშვილმა საშიში მიდრეკილებები**

შენახვა. ყველასთან გულწრფელი ვარ და ტყუილი ჩემთვის რაღაც საზიზღრობაა. რომ ვხედავ, სხვა მატყუებს, პირდაპირ ვეუბნები, ვხვდები, რომ მატყუებ-მეთქი. ადვილად შემიძლია ადამიანებს დავუახლოვდე.

ეკა ჩემი დაქალია. მასზე ბევრი ჭორი გავრცელებულა — „სტერვაა“ და ასეთი და ისეთიო, მაგრამ სინამდვილეში უთბილესი ვინმეა. მე რომ არ ვარ სახლში, ჩემი მეგობრები მაშინაც კი ურეკავენ ეკას, დედას ეძახიან და მასთან საჭორაოდ დადიან. ისინიც დაქალობენ ეკასთან და ყველაფერს უყვებიან. ყველას ისე უდგება, როგორც თანატოლს. ისეთ რჩევებს იძლევა, აუცილებლად გაითვალისწინებ. თითის დაქნევით ცხოვრებაში არ დამლაპარაკებია.

**— გარდატეხის ასაკში თურმე უჩვეულო მისწრაფებები გაგიჩნდათ და იმ პერიოდში დედათქვენი ძალიან ანერვიულეთ.**

— დიახ, მძიმე პერიოდი თინეიჯერობის ასაკში მქონდა და ამის გამო დღემდე ვწუხვარ, დედაჩემს ბოდიშს ვუხდი. დეპრესიული ვიყავი. ზოგადად ვარ დეპრესიული. ზოგს შეუძლია, თავისი ემოციები ყველას გადასდოს, მე პირიქით, განმარტოება მიყვარს. რომ მეკითხებიან, შენი საყვარელი სიმღერა რომელიაო, ვპასუხობ, რომ ჩემი საყვარელი სიმღერა სხვადასხვა დროს ისეთია, როგორ ხასიათზეც ვარ. მუსიკა ჩემზე დიდ გავლენას ახდენს. მხიარულს თუ მოვუსმენ, მეც ასეთ ხასიათზე ვდგები და თუ მძიმეს, მეც ცუდ ხასიათზე ვარ. ბავშვობიდან ასეთი ვიყავი.

**— გარდატეხის ასაკში რას უსმენდით?**

— გოთიკ მეტალს. მკვდრები და რაღაც უაზრობები მიტაცებდა.

**— ამბობენ, იმ პერიოდში რაღაც სატანურ სექტაში იყო ჩაბმული და ცუდი სამეგობრო წრე ჰყავდაო.**

— არა, ცუდი სამეგობრო წრე არ მყოლია და არც სექტაში ვყოფილვარ. ჩემთვის ვიყავი სახლში ჩაკეტილი და ერთგულ მეგობრებსაც არ ვიკარებდი. ჩავაქრობდი შუქს და ვიჯექი სიბნელეში. საოცრებები მჭირდა.

**— მიზეზი რა იყო, რამეს განიცდიდით?**

— მიზეზი არ ვიცი. დღევანდელ ახალგაზრდებს რომ ვაკვირდები, რომლებიც იმ ასაკში არიან, ისინიც ასე ცხოვრობენ. ეს ბავშვები მწერენ, რჩევებს მეკითხებიან, შენ რას უსმენდი, როგორ იყავიო. თავიანთ ამბებს რომ მიყვებიან, ჩემი თავი მახსენდება. თუ ვინმე მკაცრად დამელაპარაკებოდა, უფრო მეტი აგრესია მოდიოდა ჩემგან. მიხარია, ის პერიოდი რომ გადავლახე. თან დედაჩემს ვაკვირდებოდი, როგორ მიდგებოდა, როგორ უნდოდა, ჩემთან ურთიერთობაში შემოსულიყო და ეს ყველაფერი ვისწავლე. ეკა ძალიან ნერვიულობდა, გზას არ ავცდენოდი და რამე არ დამმართნოდა. არც ცუდი სამეგობრო მყოლია და არც სატანურ რიტუალებზე მივლია. ეკა სწორედ ამაზე ღელავდა, რომ მათთან ურთიერთობა არ დამეწყო. მიდრეკილება აშკარად მქონდა, მაგრამ სახლიდან არ გავდიოდი. შავების ჩაცმა, სასაფლაოებზე გადაღებული სურათების ნახვა მომწონდა. რა მაგარია სიკვდილი-მეთქი, ვფიქრობდი. ასეთი ავადმყოფური რაღაცეები მჭირდა.

**— თავის მოკვლაზეც ხომ არ ფიქრობდით?**

— არასოდეს! მკვდრის იმიჯი მქონდა — თეთრი კანი, ჩაშავებული თვალები, შავი ფრჩხილები. შავ ტუჩსაცხს არ ვისვამდი, მაგრამ სულ ჩაშავებული კი დავდიოდი. შავ კაპიუშონს ვიფარებდი. ამის მიუხედავად, იმ წრესთან დაახლოება არ მიცდია, ვხვდებოდი, ცუდი რა იყო და კარგი — რა. უბრალოდ, როგორც ისტორია, ისე მაინტერესებდა. ეკა კი ამას ვერ იგებდა. ეგონა, რომ მე ამ ყველაფრის გაკეთება მინდოდა. მე ცოტა სხვანაირად ვაზროვნებდი. გარშემო კი მეუბნებოდნენ, შენ ბავშვი ხარ და ვერ ხვდებიო. მეგობრები დამიდგნენ გვერდში და

**„ერთი პერიოდი ერთმანეთს და-ძმას ვეძახდით. მერე კი წლებმა ისე მოიტანა, რომ შემიყვარდა და შევუყვარდი. მინდოდა, მის გვერდით რაც შეიძლებოდა კარგი ვყოფილიყავი“.**



ნუკა და ნიკა



Cyan Magenta Yellow Black

ამომწიეს იქიდან. მეგობარი ბიჭები ძმებივით მედგნენ გვერდით, იმ მდგომარეობიდან ჩემს ამოქაჩვას ცდილობდნენ და ეს შეძლეს. მათი დიდი მადლობელი ვარ.

— **რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი ასეთი რთული პერიოდი?**

— 3-4 წელი. ეკა სულ ლოცულობდა, ეკლესიაში დადიოდა. მოძღვარს ეკითხებოდა, როგორ მივუდგე, რა ვქნაო და ისიც ძალიან კარგ რჩევებს აძლევდა.

— **ალბათ ყველა გეკითხებათ, რატომ არ ჩანდით, რატომ არ მღეროდით აქამდე. როგორც ჩანს, თქვენმა რთულმა პერიოდმაც იქონია გავლენა.**

— რა თქმა უნდა! ჩემთვის, ოთახში ჩაკეტილი ვმღეროდი, მაგრამ ვერ ვიტანდი, ვინმე რომ მისმენდა. როგორც კი მივხვდებოდი, ვინმე მისმენდა, ვჩუმდებოდი. კლასიკა მიტაცებდა, ოღონდ — როკში. ჯერ ნახევრად კლასიკური ხმით ვმღეროდი. მერე ვცდილობდი, სქრიმინგი, ღრი-

**„მეგობარი ბიჭები ძმებივით მედგნენ გვერდით, იმ მდგომარეობიდან ჩემს ამოქაჩვას ცდილობდნენ და ეს შეძლეს".**

ალი და ეგეთი რაღაცეები მესწავლა. ეკა ირეოდა — ღმერთო, დაიფარე ბავშვიო, ამბობდა...

ნიკა რომ გავიცანი, მერე გამოვედი მდგომარეობიდან. ვცდილობდი, გავნაზებულიყავი და გოგოსნაირი გავმხდარიყავი. ბავშვობაში ქალაბიჭა ვიყავი. ბიჭებთან ერთად ვთამაშობდი ფეხბურთს, მათსავით ვჩხუბობდი...

— **სად და როგორ გაიცანით ნიკა?**

— ინტერნეტით გავიცანი ფორუმზე. ერთნაირ თამაშს ვთამაშობდით. ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს და ერთი პერიოდი ერთმანეთს და-ძმას ვეძახდით. მერე კი წლებმა ისე მოიტანა, რომ შემიყვარდა და შევუყვარდი. მინდოდა, მის გვერდით რაც შეიძლებოდა კარგი ვყოფილიყავი. შემეცვალა იმიჯი, ჩაცმის სტილი.

— **შავი ფერადმა ჩაანაცვლა?**

— არა, შავი დღემდე მიყვარს. დღემდე ვუსმენ როკს, ალტერნატიულ მეტალს. ჩემი საყვარელი ჯგუფი არის „ბუში". სიმღერის სტილი თუ შეიცვალა, ეგრევე ხმა მეცვლება. შემიძლია ხრინწით ვიმღერო, თუ არის როკი და შემიძლია სუფთად ვიმღერო, თუ არის არ-ენბი ან სოული, ბლუზი ან ჯაზი.

— **ნიკამ როგორ შეგაყვარათ თავი?**

— არ ვიცით, რატომ შეგვიყვარდა ერთმანეთი. ამ კითხვას დღემდე ვუსვამთ ერთმანეთს. თან მაშინ დიდი წონის ვიყავი, 67 კილო. ახლა 43 კილო ვარ. მაშინ ჩემი თავი საშინლად არ მომწონდა. პუტკუნა ვიყავი და შევსებული სახე მქონდა. არ ვიცი, ნიკას ჩემი თავი რამ შეაყვარა. მე კი იმით შემიყვარდა, რომ განსხვავებული იყო, განსხვავებული იუმორი ჰქონდა. ჩემნაირი სტილის იყო, ერთნაირი თამაში გვიყვარდა და ჩვენი ინტერესები ყველაფერში ემთხვეოდა ერთმანეთს.

— **ნიკაც უსმენდა მეტალს და როკს?**

— ნიკას უყვარს როკი, მაგრამ მაშინ უფრო სხვა ჟანრს უსმენდა. იმ პერიოდში უკვე გოთიკას აღარც მე ვუსმენდი, ლაით მუსიკაზე ვიყავი გადასული. მე და ნიკა 6 წელი ერთად ვიყავით, მერე კი დავქორწინდით. ერთი წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ. ეკა ნიკას კარგად იცნობდა და ელოდებოდა, რომ დავქორწინდებოდით. ქორწილი არც ერთს გვინდოდა და იცით, რა გავაკეთეთ? მეგობრებთან ერთად წყნეთში ავედით და მწვადები შევწვით. მაშინ გრძელი წითელი თმა მქონდა. ეგ ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე იყო, რასაც ვერანაირი ქორწილი და თეთრი კაბა ვერ შემიცვლის. ჯვარი ჯერ არ დაგვიწერია. ოქტომბერში, ჩემს დაბადების დღეზე ვაპირებთ ჯვრისწერას.

— **მკლავებზე ტატუ გაქვთ რაღაც წარწერებით. რა გაწერიათ?**

— ორი წლის წინ გავიკეთე. ერთ მკლავზე ინგლისურად მაწერია — ჩემი ცხოვრების ყოველი დღე ჩემი ისტორიაა. მეორე მკლავზე მაწერია „ლიჩი". ლიჩი ჩემი ქმრის მეტსახელია, ჩვენს საყვარელ თამაშში ჰქონდა ეგ სახელი. მთელი ზურგის მოხატვა მინდა. რის მოხატვას ვაპირებ, არ გეტყვით, რადგან იდეას მომპარავენ. ჭიპიც გახვრეტილი მაქვს. ჰოროსკოპით სასწორი ვარ და დიდხანს ვუნდები გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ თუ რამე გადავწყვიტე, მორჩა, ვეღარავინ შემაცვლევინებს. გადაწყვეტილებას კი, სულ ცოტა, ერთთვიანი ფიქრის შემდეგ ვიღებ. მხოლოდ რაიმე გადაწყვეტილების მიღებაზე კი არა, თითოეულ ჩემს ქცევაზე ვფიქრობ, რა შეიძლება მოჰყვეს.


დედა-შვილი

დღემდე ძალიან მიყვარს განმარტოება. ახლაც, როცა რეპეტიცია მიდის და მე შესვენება მაქვს, ეზოში გამოვდივარ და ვზივარ. მიყვარს ფიქრი და ჩემს თავთან ლაპარაკი. განვიხილავ თემებს — როგორ ჯობია და ა.შ. არასოდეს მაინტერესებს, სხვის ცხოვრებაში რა ხდება. არავის საქმეში ვერევი და ნურც სხვა ჩაერევა ჩემს ცხოვრებაში!

— **„საქართველოს ვარსკვლავში" მონაწილეობაზეც დიდხანს იფიქრეთ?**

— მეგობრები მეუბნებოდნენ, რა ჯანდაბას აკეთებ, სახლში რომ ზიხარ, წადი, იმღერე და ხალხს აჩვენე, რა შეგიძლიაო. ჩემი ქმარი იყო პირველი, ვინც „ფეხით" მაგდებდა — წადი, ქალო, კასტინგზეო. ვალენტინობადღეს გადავწყვიტე კასტინგზე წასვლა. ძალიან მომინდა, შინაგანად ვეღარ ვუძლებდი, რომ არ მემღერა. მანამდე სულ ფიქრობდი, შემდეგ წელს გავალ-მეთქი. გარდატეხის ასაკში არ მინდოდა ხალხში გამოჩენა, მაგრამ ამ ყველაფერმა რომ გადამიარა, უკვე ვიცოდი, ვიმღერებდი. მომბეზრდა სახლში მღერა. ყოველდღე 4-5 საათი ვმღეროდი პოპულარულ სიმღერებს. თუ რამე დეტალი არ გამომდიოდა, შემეძლო მთელი დღე მეწვალა, რომ ის გამომსვლოდა, რაც მე მინდოდა. ამიტომაც მაქვს დღეს შედეგი. როცა მივხვდი, მზად ვიყავი, გამოსვლაც გადავწყვიტე.

**„შინაგანად ვეღარ ვუძლებდი, რომ არ მემღერა. გარდატეხის ასაკში არ მინდოდა ხალხში გამოჩენა, მაგრამ ამ ყველაფერმა რომ გადამიარა, უკვე ვიცოდი, ვიმღერებდი".**

ადრე კომპლექსი მქონდა — ვაითუ, არასწორია, როგორც ვასრულებ-მეთქი. ახლა კი დავრწმუნდი და ჩემი თავის ფასიც გავიგე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თავში რაღაც მაქვს ავარდნილი. უბრალოდ ბევრი ვიმუშავე და მივაღწიე იმ შედეგს, რაც მე მინდოდა. დედამ იცოდა, რომ ოდესმე მომინდებოდა სიმღერა და არ მაძალებდა. როცა ვუთხარი, „საქართველოს ვარსკვლავის" კასტინგზე გავდივარ-მეთქი, ძალიან გაუხარდა, აბა, შენ იცი, ღმერთი შენკენო.

— **ალბათ ეკასთან ერთად მუშაობთ სიმღერებზე, დედა ბევრ რამეს გირჩევთ.**

— ეკასგან სიმღერის დროს მუდამ ვიღებდი შენიშვნას. ახლა სიმღერის გამო კი არა, სცენაზე მოძრაობისთვის მაძლევს შენიშვნებს. წელში გაიმართეო, მეუბნება. პირველ გამოსვლას რომ ვაკვირდები, შედარებას ვაკეთებ დანარჩენებთან და, მგონი, ბევრად მაღლდება ყველაფერი. პირველ კონცერტზე უფრო შებოჭილი ვიყავი.

— **თქვენს გამოსვლებზე ხალხი და ჟიური ფეხზე წამოგიდგათ. ალბათ ეს ძალიან ემოციური იყო თქვენთვის.**

— როცა სცენაზე გავდივარ, ვიცი, რომ მე კი არ უნდა ვინერვიულო, ხალხი უნდა ვანერვიულო ემოციით. ეს უნდა ვიგრძნო. თუ ვერ ვიგრძენი, ესე იგი პრობლემა ჩემშია. როცა ხალხი ფეხზე გიდგება და მათგან შენი სახელი გესმის, მერე მოდის ადრენალინი და კანკალი მეწყება. შეფასებაზე არ ვნერვიულობ, უბრალოდ ხალხისგან მოდის ხოლმე დიდი ემოცია. მე ერთი ვდგავარ სცენაზე და ჩემ გამო უამრავი ადამიანი დგება ფეხზე. ყველასი მადლობელი ვარ, ვინც ეს მაგრძნობინა!

**„ეკას პირადი ცხოვრება არ არის ჩემი საქმე. თუ დედაჩემი თავს ბედნიერად გრძნობს, მეც ბედნიერი ვარ. ეკას უნდოდა, ლამაზი ოჯახი ჰქონოდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ვის არ უნდა ლამაზი ოჯახი და გვერდით საყვარელი მამაკაცი, ვინც მასზე იზრუნებს?!".**

— **ახლაც გაქვთ ხასიათში სირთულეები შემორჩენილი?**

— არა, პირიქით, ძალიან მაგარი ხასიათი მაქვს. ცუდ გუნებაზე რომ ვიყო, ამას სხვას არ ვაჩვენებ. ამ დროსაც კი ვცდილობ, სხვებიც გამოვიყვანო მდგომარეობიდან.

— **ნიკასგან რა რჩევებს ან შენიშვნებს იღებთ?**

— ორი რამის გამო ვკამათობთ: როცა მეუბნება, ღამე ხმამაღლა ნუ მღერი, მეზობლებს სძინავთო და მეორე — ნუ დადიხარ ბრახუნითო. მძიმედ დავდივარ, რაც ბრახუნს იწვევს. სულ მეუბნება, მეზობლებთან ჩადის ხმა, გაჩერდიო. ჩემთვის რომ ვმღერი, მგონია, ამას ხმადაბლა ვაკეთებ. ამ დროს თურმე ძალიან ხმამაღლაა. თან ღამეა და ხალხს სძინავს. სხვა შემთხვევაში ჩემს მეუღლესთან ძალიან მაგარი დამოკიდებულება მაქვს და ყველა ქალს იმავეს ვუსურვებ. ყველანაირად გვერდში მიდგას.

— **რას საქმიანობს თქვენი ქმარი?**

— სტუდენტია. შავი ზღვის უნივერსიტეტში სწავლობს ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე, ბოლო კურსზეა.

— **თქვენ რა განათლება გაქვთ?**

— უმაღლესში არსად მისწავ-

→ 8



Cyan Magenta Yellow Black

ლია. სწავლა ჩემი საქმე არ არის. დიპლომი რომ ამელო, მაინც ვერ ვიმუშავებდი. ოფისში ვერაფრით დავჯდები. რაც შეეხება მუსიკალურ განათლებას, მუსიკალურ ათწლედში ვსწავლობდი, ფორტეპიანოზე, სოლფეჯიოზე დავდიოდი. გარდატეხის ასაკის გამო ავიტეხე, არ მინდა-მეთქი და გამომიყვანეს. დღემდე ვნანობ ამ ყველაფერს. არ ვიცი, რა ფორმით, მაგრამ დედას უნდა დაეძალებინა!

არც სკოლაში ვსწავლობდი კარგად. გადარეული ბავშვი ვიყავი. მე-8 კლასში სტაფილოსფრად შევიღებე თმა. გაკვეთილებზე მეძინა. ცუდი ბავშვი ვიყავი. მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც მე მინდოდა და არავის ვუსმენდი.

— **როგორი ჩაცმულობა მოგწონთ?**

— სპორტული. არ მიყვარს, როცა ქუჩაში ხალხი მიყურებს და მაკვირდება, ამიტომ არ დავდივარ მაღალ ქუსლებზე და მოკლე კაბებში. გამომწვევად არასოდეს მაცვია. ისედაც ვიქცევ ყურადღებას და სხვაგვარად რომ ჩავიცვა, უარესად მივიქცევ. ამიტომ მირჩევნია, ჩვეულებრივი ვიყო და არა — გამომწვევი.

— **ქმარსაც არ მოეწონება, გამომწვევად რომ ჩაიცვათ.**

— ამ ბოლო ხანებში იმდენის ყურადღება მივიქციე, რომ თან უხარია და თან არ მოსწონს, მაგრამ რას იზამს?!

— **ეჭვიანობა დაიწყო?**

— არა, არ ეჭვიანობს, რადგან მენდობა, მაგრამ კაცისთვის მაინც არასასიამოვნოა,

**„როცა ხალხი ფეხზე გიდგება და მათგან შენი სახელი გესმის, მერე მოდის ადრენალინი და ჯანჯალი მეწყება. მე ერთი ვდგავარ სცენაზე და ჩემ გამო უამრავი ადამიანი დგება ფეხზე. ყველას მადლობელი ვარ, ვინც ეს მაგრძნობინა!".**

როცა შენს მეუღლეს სხვა კაცი სწერს, ძალიან მომეწონე, სად ცხოვრობო და ა.შ.

— **დედას რითი ჰგავხართ?**

— პირდაპირობით. რასაც ვფიქრობთ, პირდაპირ ვამბობთ. ეკა უფრო „ლაითია" ჩემთან შედარებით. მე ცოტა მწარედ მიყვარს თქმა. ადამიანს თან გადავყვები, მაგრამ თუ შევამჩნიე, მხარზე მაცოცდება, მხარს მოვიქნევ და ჩავაგდებ.

— **ცნობილია, რომ როცა თქვენი მშობლები გაიყარნენ, ძალიან პატარა იყავით. მამასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, გგულშემატკივრობთ?**

— მამაჩემზე ლაპარაკი არ მინდა. ეს ჩემი და დედაჩემის, ჩვენი ოჯახის პირადი ამბავია. როგორც გითხარით, არც სხვის საქმეში ვერევი და არ მინდა, ვინმე ჩემსაში ჩაერიოს. იმიტომ კი არა, რომ მამაჩემი არ მიყვარს, უბრალოდ მოვა დრო და ვილაპარაკებ მასზე იმას, რაც საჭიროა. ჯერ კიდევ რაღაცეებს ვაკვირდები.

— **ეკას მუდმივად ჰყავდა თაყვანისმცემლები. რამდენჯერმე შექმნა ოჯახი, მაგრამ ვერ შეინარჩუნა. ამას განიცდიდით?**

— ეკას პირადი ცხოვრება არ არის ჩემი საქმე, არ მაქვს უფლება, რაღაცეები ვუმართო. ყველაფერს მშვენივრად ვიღებ. თუ დედაჩემი თავს ბედნიერად გრძნობს, მეც ბედნიერი ვარ. ეკას უნდოდა, ლამაზი ოჯახი ჰქონოდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ვის არ უნდა ლამაზი ოჯახი და გვერდით საყვარელი მამაკაცი, ვინც მასზე იზრუნებს?! სამწუხაროდ, ბევრ კაცს ეშლება რაღაცეები.

✓ **რუსუდან ადვაძე**

# ვის მხარეზეა ქორქია-თარხნიშვილის კონფლიქტში გეგა ფალავანდიშვილი

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის მარკეტინგის სამსახურის უფროსი გეგა ფალავანდიშვილი მეგობრებმა ცუდ დღეში ჩააგდეს. ტელეწამყვანებმა გიორგი ქორქიამ და ვანიკო თარხნიშვილმა მძიმე არჩევანის წინაშე დააყენეს — მათგან რომელიმე უნდა აერჩია. საქმე ისაა, რომ ქორქია და თარხნიშვილი რაღაც უცნაურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, გაუგებარია, მათ შორის მართლა არის კონფლიქტი თუ უბრალოდ პრესისთვის „თამაშობენ". გიორგი ქორქია ირწმუნება, რომ მასა და ვანიკოს შორის კონფლიქტი ამოწურული არ არის, გეგა კი მათ შერიგებას არ ცდილობს, შორიდან უცქერს. ალბათ იმიტომ, რომ იცის, საერთო ენას ბოლოს აუცილებლად გამონახავენ... მოკლედ, ქვემოთ გეგა ფალავანდიშვილისა და გიორგი ქორქიას ერთობლივ ინტერვიუს გთავაზობთ, სადაც მათ მიერ ჩადენილ სხვა „სიგიჟეებთან" ერთად, იქნებ ისიც გავიგოთ, სინამდვილეში რა ხდება ძველ მეგობრებს შორის.

— **როდის დაიწყო თქვენი მეგობრობა?**

**გეგა:** ჩვენ რომ დავმეგობრდით, მაშინ „რუსთავი 2" არც კი არსებობდა. მგონი, 1990 წელს გავიცანით ერთმანეთი.

**გიორგი:** უნივერსიტეტში რომ ჩავაბარეთ, მაშინ დავმეგობრდით. მე პირველ კურსზე ვიყავი, გეგა — მეორეზე. ძალიან ცუდი პერიოდი იყო...

**გეგა:** თუმცა ის წლები ყველას არ სძულს, ზოგს ენატრება კიდეც...

**გიორგი:** მე და გეგა ძალიან მალე დავმეგობრდით. მას შემდეგ 5-6 კაცი ერთად მოვდივართ.

**გეგა:** ისე მოხდა, რომ ამ 5-6 კაციდან უმეტესობა ტელევიზიაში აღმოვჩნდით. მაგალითად, ნიკა ლომიძეც ჩვენი კარგი მეგობარია. 2007 წლიდან მე და გიორგი ერთ ტელეკომპანიაში ვართ. სანამ მე იქ მივიდოდი, გიორგი ტელეეკრანზე უკვე ჩანდა. მანამდე კი მეგობრების უმრავლესობა „პირველ რადიოში" ვმუშაობდით.

**გეგა: „ზოგს ერჩია, ქუჩაში იარაღით ვიღაც მოეკლა, ზოგს სხვა რაღაცეები იზიდავდა. მე და გიორგის ზუსტად ერთნაირი ინტერესები აღმოგვაჩნდა — ორივეს გვიყვარდა თავისუფლება, ერთნაირი მუსიკა მოგვწონდა".**

**გიორგი:** რადიოდან გეგა „ჯეოსელში" წავიდა. ისე მოხდა, რომ არ ვიცოდი, გეგა აქ თუ იწყებდა მუშაობას. მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა თათბირზე გვითხრა, დაგვემატება ადამიანი, რომელიც მარკეტინგს მიხედავსო და გეგა ფალავანდიშვილი რომ ახსენა, ოთახიდან ფხუკუნით გავვარდი.

— **რა საერთო თვისებები, ინტერესები აღმოაჩინეთ ერთმანეთში?**

**გეგა:** მაშინ უცებ ხდებოდა დამეგობრება, რადგან საზოგადოება რადიკალურ ბანაკებად იყო გაყოფილი. ზოგს ერჩია, ქუჩაში იარაღით ვიღაც მოეკლა, ზოგს სხვა რაღაცეები იზიდავდა. მე და გიორგის ზუსტად ერთნაირი ინტერესები აღმოგვაჩნდა — ორივეს გვიყვარდა თავისუფლება, ერთნაირი მუსიკა მოგვწონდა...

**გიორგი:** ჩვენ უფრო სხვა რაღაც გვაინტერესებდა, ვიდრე მასას.

**გეგა:** მაშინ ხალხის გარკვეულ ნაწილს მართლაც ჰქონდა პროტესტი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის მიმართ. პროტესტის ნიშნად იქმნებოდა როკი, ანდერგრაუნდი, მხატვრებიც სულ სხვანაირად ხატავდნენ, გამოფენები იმართებოდა.

**გიორგი:** დღეს კი სიტყვა „პროტესტი" უკვე ძალიან გაცვეთილია.

**გეგა:** ახლა პროტესტად ის ითვლება, თუ ქუჩაში გამოხვალ და იყვირებ. მაშინ პროტესტი თუ გქონდა, კი არ ყვიროდი, რაღაცას აკეთებდი.

— **თქვენ რა ფორმით გამოხატავდით პროტესტს?**

**გიორგი:** ბევრისგან განსხვავებით, ვსწავლობდით და პარალელურად ვმუშაობდით. იყო გარკვეული ადგილები, სადაც კონცერტები, გამოფენები იმართებოდა და ჩვენ ამ ყველაფერში აქტიურად ვიყავით ჩართული.

**გეგა:** ბაკურამ (მუსიკოსი ბაკურ ბურდული. ავტ.) მაშინ დაიწყო დაკვრა.

**გიორგი:** ბაკურასთან რაღაც პერიოდი მეც ვუკრავდი.

**გეგა:** მაშინ გაჩნდა პირველი რადიოები და იქაც ჩვენი სამეგობრო მოხვდა. იმ პერიოდში უფრო ხარისხიან მუსიკას ვუშვებდით, ვიდრე ახლა ვისმენთ რადიოებიდან. დღეს რომ ამბობენ, კონცერტებს სახელმწიფო არ გვიფინანსებსო, მაშინ საკონცერტო დარბაზებს არავინ ითხოვდა. დანგრეულ ადგილებში გამოდიოდნენ, საშინელი აპარატურით უკრავდნენ, მაგრამ თავიანთ საქმეს მაინც აკეთებდნენ. ჩვენს პროტესტს მაშინ რაღაცის კეთებით გამოვთქვამდით და არა ქუჩების გადაკეტვით და დროშების ფრიალით.

**გიორგი:** თანაც პროტესტის გამოხატვაში ფულს არ ვიღებდით.

**გეგა:** ფაქტობრივად, უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის. თითქმის მთელი ჩვენი სამეგობრო ერთად ვცხოვრობდით. მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და მშობლები ერთმანეთის სახლებში გვეძებდნენ.

**გიორგი:** როცა 16 წლის ბიჭები სამი დღე სახლში არ მიდიან, რაღაც ეჭვები ჩნდება და, რა თქმა უნდა, მათ ძებნას იწყებენ.

— **სად დადიოდით ასე, მშობლების გაუფრთხილებლად?**

**გეგა:** ხან სად და ხან სად, ზოგჯერ ქალაქგარეთაც გავდიოდით.

**გიორგი:** მშობლებმა იცოდნენ, რომ არაფერს დავაშავებდით, მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ნერვიულობდნენ.

**გეგა:** ჩვენმა შვილებმა რომ იგივე გააკეთონ, ჩვენ ალბათ გაცილებით მეტს ვინერვიულებდით. გავიზარდეთ და ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებთ.

— **თუ არსებობს ისეთი საკითხი, რაზეც ვერასოდეს თანხმდებით?**

**გიორგი:** რა ვიცი, ალბათ ის, რომ ამას არაყი „ევასება" და მე — ლუდი.

**გეგა:** არ არსებობს საკითხი, სხვადასხვა შეხედულება რომ გვქონდეს. 23 წელია ვმეგობრობთ და ხომ გაგიგიათ გამოთქმა — ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო, ჩვენც ასე დაგვემართა, ერთმანეთისგან კარგი თვისებები გადავიღეთ. მეგობარი ხომ იმიტომ არის საჭირო, რომ მისგან კარგი გადავიღოთ.

**გიორგი:** ერთადერთი, რაზეც ვკამათობთ, ისაა, რომ მეგობრები ხშირად ვერ ვხედავთ ერთმანეთს. მე და გეგას გაგვიმართლა — ერთ სამსახურში ვართ.



Cyan Magenta Yellow Black

**— უფროსისა და ხელქვეითის ურთიერთობის საკითხი როგორ გაქვთ მოგვარებული სამეგობროში?**

**გეგა:** გიორგის უფროსი არ ვარ. მე მარკეტინგი მაბარია, მას კი გადაცემები მიჰყავს. შეიძლება იერარქიულად გიორგის უფროსადაც მოვიაზრები, მაგრამ საქმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ბევრად მეტი გაუკეთებია, ვიდრე მე.

**გიორგი:** საინტერესო იქნებოდა, უშუალოდ ჩემი შეფი რომ იყოს. ალბათ მუშაობა არ გაგვიჭირდებოდა, რადგან ერთ ენაზე ვლაპარაკობთ.

**გეგა:** სამსახური სამსახურია, რომელსაც თავისი ვალდებულებები აქვს. მგონია, რომ მეგობრების ერთად მუშაობა უფრო მარტივი იქნება. მისთვის რჩევის მიცემა ბევრად ადვილია, ვიდრე იმ ადამიანისთვის, ვისაც არ იცნობ. მეგობარმა იცის, რჩევას იმიტომ აძლევ, რომ მისთვის კარგია.

**გიორგი:** მეგობრის რჩევას უფრო გავითვალისწინებ, ვიდრე სხვისას.

**— ამ 23 წლის განმავლობაში, რაც ერთად გამოიარეთ, ბევრი საინტერესო ამბავი გექნებათ გასახსენებელი. რას გვიამბობდით?**

**გიორგი:** რა გვიქნია, გეგა, ისეთი, რომ ახლა მოვყვეთ?

**გეგა:** შენ ის გაიხსენე, კარგი რა გვიქნია! სტუდენტობის დროს, 90-იან წლებში, შეიძლებოდა, 6-7 თვე ყოველდღე დაგველია. ქვეყანაში არაფერი ხდებოდა და გასართობად თვითონ თუ მოვიგონებდით რამეს. რადიოში ვმუშაობდით. ამ ყველაფრის თანმდევი, რა თქმა უნდა, დალევა იყო. რაღაც საშინელებებს ვსვამდით.

**გიორგი: „გენერალურმა დირექტორმა თათბირზე გვითხრა, დაგვემატება ადამიანი, რომელიც მარკეტინგს მიხედავსო და გეგა ფალავანდიშვილი რომ ახსენა, ოთახიდან ფეხუჭუნით გავვარდი".**

**— დასასვენებლად, სამოგზაუროდ ერთად დადიხართ?**

**გიორგი:** რამდენჯერმე „სასტავი" ვიყავით წასული. ხშირად გავდივართ ქალაქგარეთ. კარვით მივდიოდით და მაგრად ვისვენებდით.

**გეგა:** ახლაც დაახლოებით იმავეს ვაპირებთ.

**გიორგი:** თუ თავისუფალი დღე გამოგვიჩნდება, მაშინვე სადღაც მივძვრებით.

**გეგა:** ბოლოს მარტში სამი დღე მოვნახეთ თავისუფალი და აჭარაში ვიყავით მეგობრებთან.

**გიორგი:** იქიდან სმისგან გალურჯებულები ჩამოვედით.

**გეგა:** მაგრამ მაინც მაგრად დავისვენეთ.

**გიორგი:** ახლახან გეგა ათი დღით იყო წასული და ვიცი, რომ ამ ათდღიან დასვენებას სამსახურში აანაზღაურებინებენ. კარგა ხანი უნდა იყოს გუთანში შებმული.

**გეგა:** იქაც მეგობრები ვიყავით წასული, ჩვენი მეგობრის ბავშვი მოვნათლეთ. ორი დღე ვიყავი პარიზში და დანარჩენი — ნორმანდიაში. ვერთობოდით და დავბოდიალობდით აქეთ-იქით, სხვას რას ვიზამდით.

**გიორგი:** „ფეისბუქის" ჩართვა აღარ მინდოდა, ისეთ მაგარ ფოტოებს ტვირთავდა, ნერვები მეშლებოდა.

**— საზღვარგარეთ ერთად არ დაგისვენიათ?**

**გიორგი:** კი, გერმანიაში ვიყავით. ძალიან მაგარი იყო. ორი დღით წავედით, ისე მოხდა, რომ რაღაც აერიათ და სამი დღის მერე იყო უკანა რეისი.

**გეგა:** „ემტივი"-ს დაჯილდოება იყო და მაგრად გავერთეთ.

**გიორგი:** ერთი ღამე მაგრად მოვილხინეთ. მეორე დღეს მოვფრინავდით და დილით ადრე გამოვედით გარეთ. ბერლინში რომ ხარ, აუცილებლად გერმანული ლუდი უნდა დალიო გერმანულ პაბში, სადაც გერმანელი ბარმენი იქნება. ერთგან შევედით და ალბანელი დაგვხვდა. ვერ მივხვდით, ბერლინში ჩვენთვის ლუდი ალბანელს რატომ უნდა დაესხა და სხვაგან წავედით, იქ კი ჩინელი იყო...


გიორგი და გეგა

**გეგა:** ულვაშებიანი გერმანელი გვინდოდა, რომელიც ლუდს დაგვისხამდა.

**გიორგი:** შუა ბერლინში ვერაფერს ვპოულობდით. ბოლოს ვიღაც ტიპი დავინახეთ მაგარი აწითლებული სახით. მივხვდით, რომ წინა დღის „გაოხრებული" იყო. ეგრევე ერთმანეთს ვუთხარით, ამას გავყვეთ, აუცილებლად პაბში მივა-თქო. სადღაც ვიწრო ქუჩებში მივდიოდით და...

**გეგა:** ტიპი შევიდა ბანკში.

**გიორგი:** სხვა რა გზა იყო, ვიდექით ბანკთან, ველოდებოდით, როდის გამოვიდოდა. 5 წუთში გამოვიდა. გახარებულები გავყევით და საბოლოოდ მაგარ ადგილას აღმოვჩნდით.

**გეგა:** პაბი 11 საათზე იხსნებოდა, ის კაცი შეუშვეს, ეტყობა, ახლობელი იყო და ჩვენ გვითხრეს, ჯერ არ ვხსნითო. ისეთი ბედნიერები ვიყავით, პაბი რომ ვიპოვეთ, ვიდექით და ფეხს არ ვიცვლიდით იქიდან.

**გიორგი:** თან გარედან ეწერა, დღეს სასმელ-საჭმელზე ისეთი ფასები იქნება, როგორ ხასიათზეც მე, მფლობელი ვიქნებიო!

**გეგა:** ამ კაცმა გვიყურა, გვიყურა და ჯერ გვითხრა, ვერ შემოგიშვებთო, ბოლოს ფეხს რომ არ ვიცვლიდით, ჩვენც დროზე ადრე შეგვიშვა. დილის 11-ზე გერმანული ლუდი და ხორცი სიგიჟეა!

**— ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თქვენი საზღვარგარეთული ვიზიტები მუზეუმების თვალიერებით არ შემოიფარგლებოდა.**

**გიორგი:** ერთად თუ ვართ — არა, მაგრამ როცა ცალ-ცალკე ჩავდივართ, მაშინ მუზეუმებისთვისაც გვრჩება დრო.

**გეგა:** მაგრამ ერთად ყოფნა გვირჩევნია ცალ-ცალკე მოგზაურობას.

**გიორგი:** ახლაც ვაპირებდით ინდოეთში წასვლას, მაგრამ ორჯერ დაგეგმილი გამგზავრება ჩაგვივარდა. იქაც აუცილებლად წავალთ, როცა მოვიცლით.

**გეგა:** 6 წლის განმავლობაში პირველად ახლა ვიყავი შვებულებაში. აგვისტო და იანვარი ყველაზე მეტად მეზიზღება, ყველა ისვენებს და მე ვმუშაობ.

**გიორგი:** ბოლო 4 წელია, არც მე გავსულვარ შვებულებაში და აშკარად გვჭირდება კარგი დასვენება.

**— ძირითადად ბარებში იკრიბებით თუ ერთმანეთის სახლებში?**

**გიორგი:** ბარებში, ოჯახის წევრებს ნაკლებად ვაწუხებთ.

**გეგა:** ფაქტობრივად ოჯახში გამოდის, რადგან ჩვენს მეგობრებს აქვთ ბარები და იქ ვიკრიბებით. თან ისედაც უნდა გადავიხადოთ და გვირჩევნია, მეგობრის ბარში დავტოვოთ ის ფული, ვიდრე სხვაგან. იქ სულ ნაცნობები ვიკრიბებით, შინაურული სიტუაციაა.

**გიორგი:** ვიღაც შავპერანგიანი ტიპი არ მოდის და არ გვეუბნება, ფეხები სკამზე რატომ გილაგიათო.

**გეგა:** დღესასწაულებზე სახლებში ვიკრიბებით.

**გიორგი:** მაგრამ მეორე დღეს მაინც სხვაგან გადავინაცვლებთ ხოლმე.

**— გიორგი, ბოლო-ბოლო, რა ხდება სამეგობროში თქვენსა და ვანიკო თარხნიშვილს შორის, რატომ იჩხუბეთ, თუკი მართლა იჩხუბეთ?**

**გიორგი:** ვანიკო აღარაა ჩემი მეგობარი. ეს ცალკე ამბავია. ჩვენი დაპირისპირება არ დამთავრებულა, სხვადასხვა სახით გაგრძელდება.

**გეგა:** უხმო კოაბიტაციაში არიან.

**— მე ეს ქიშპი ხელოვნურად შექმნილი მგონია. მართლა ნაწყენი ხართ ერთმანეთზე?**

**გიორგი:** ხელოვნური არაა, ყველა ხუმრობაში ცოტა სიმართლეცაა.

**გეგა:** რომ გამოვა მეგობარი და ბოლომდე დაგცინებს, შენც აუცილებლად უპასუხებ. იმედია, ამათი ურთიერთობა ხელჩართულ ბრძოლაში არ გადავა. თუ ასე მოხდება, მე დავჯდები და მათი ყურებით გავერთობი.

**გიორგი:** მე როცა აქ ვარ, ვანიკო აღარ მოდის. ის რომ არის აქ, მე არ ვარ.

**— სერიოზულად დაპირისპირებიხართ ერთმანეთს. ვანიკომ დაიწყო ეს ამბავი?**

**გიორგი:** რა თქმა უნდა, აბა, მე ხომ არ დავიწყებდი?! პირველად ეგ გამოვიდა და გამომლანძღა.

**გეგა:** ახალი გადაცემის წაყვანა ლანძღვით დაიწყო. ვანიკოს ვანო ჯავახიშვილმა უთხრა, დუტა ხარ, ყველგან ჩანხარო. ის გაბრაზდა, მე კი არ ვარ დუტა, ქორქიაა, ყველგან ეგ არისო. ვანომ ვანიკოს უთხრა და გაეცა პასუხი, ქორქია რა შუაში იყო?!

**გიორგი:** ჰოდა, მეც შესაბამისად გავეცი პასუხი. არც იმან დამაკლო, აღარც მე. ახლაც ვიცი, რომ კიდევ რაღაცას მიპირებს. მე სულ მზად ვარ პასუხის გასაცემად. მოკლედ, ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ.

**გეგა:** იმედია, ამათი ამბავი ტრავმატოლოგიურში არ დამთავრდება.

**გიორგი:** უფრო საგიჟეთში დასრულდება.

**— გეგა კი რატომღაც შერიგებისკენ არ მოგიწოდებთ.**

**გიორგი:** გეგა ჩემკენაა.

**— ვანიკო რომ ამას წაიკითხავს, არ ეწყინება?**

**გეგა:** ვანიკოსკენ სხვა იყოს!

**გიორგი:** გეგა ჩემიანია, რა!

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# „ჯარისკაცის მამას“ საქართველოში მტრები ჰყავდა

## რეზო ჩხეიძე: „მოითხოვდნენ, რომ ფილმი სერგო ზაქარიაძის გარეშე გადამეღო“

ნახევარი საუკუნის წინ მთელი მსოფლიო მოიარა კახელი გლეხის, ჯარისკაცის მამის ისტორიამ, რომელიც ფრონტზე დაჭრილი შვილის მოსაძებნად წავიდა და მთელი ომი გამოიარა. ფილმი „ჯარისკაცის მამა“ მაშინ ახალგაზრდა რეჟისორის, რეზო ჩხეიძისთვის საეტაპო გახდა, ხოლო გენიალური მსახიობის, სერგო ზაქარიაძისთვის მისი ამოუწურავი ნიჭის კიდევ ერთი დადასტურება.

ნახევარი საუკუნის შემდეგ ქართული კინოკლასიკით ჰოლივუდში დაინტერესდნენ და მისი გაფერადება გადაწყვიტეს. ფერადი „ჯარისკაცის მამის“ პრემიერა თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველში“ ამ დღეებში გადის. ამ მოვლენას დაემთხვა კინოთეატრის წინ რეზო ჩხეიძის სახელობის ვარსკვლავის გახსნაც. რეჟისორი „ჯარისკაცის მამაზე“ გვიამბობს:

„ჯარისკაცის მამა“ — 1964 წელი
**რეჟისორი:** რეზო ჩხეიძე
**სცენარის ავტორი:** სულიკო ჟღენტი
**დამდგმელი ოპერატორები:** ლევ სუხოვი, არჩილ ფილიპაშვილი
**კომპოზიტორი:** სულხან ცინცაძე
**ხმის რეჟისორ-ოპერატორი:** დავით ლომიძე
**მემონტაჟე:** ვასილ დოლენკო
**პროდიუსერი:** შოთა ლაფერაძე
**მონაწილეობენ:** სერგო ზაქარიაძე (გიორგი მახარაშვილი), ვლადიმირ პრივალცევი (ნიკიფოროვი), ალექსანდრ ნაზაროვი (არკადი ერშოვი), ალექსანდრ ლებედევი (ნიკოლაი ნაზაროვი), ვლადიმირ კოლოკოლცევი (გრიშა), ი. დროზდოვი (ვივა), ივანე კოსიხი (ახმედი), ვიქტორ ურალსკი (პაჭუა ინვალიდი მატროსი), ქეთევან ბოჭორიშვილი (თამარი, გიორგის ცოლი), პეტრე ლიუბეშკინი (გენერალი), გია კობახიძე (გოდერძი მახარაშვილი) და სხვები.


■ რეზო ჩხეიძე და სერგო ზაქარიაძე

### ტრამვაიში წაკითხული სცენარი

— ფილმის გადაღების იდეა სცენარისტ სულიკო ჟღენტს ეკუთვნის. მე და სულიკო ერთმანეთს მოსკოვიდან ვიცნობდით, სადაც საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში ვსწავლობდით. ის სასცენარო ფაკულტეტზე იყო, მე — სარეჟისოროზე. ძალიან უცნაური და თავმდაბალი კაცი გახლდათ. სადმე რომ მივემგზავრებოდით, ის მხოლოდ ფურცლებს ამოიჩრიდა იღლიაში და ასე მოდიოდა. ჩვენ კი დიდ ბარგს ავიკიდებდით ხოლმე. საათსაც კი არ ატარებდა. ერთხელ ვკითხე, საათი რომ არ გაქვს, ხომ შეიძლება, თვითმფრინავზე დაგაგვიანდეს-მეთქი. მან აქეთ შემომიბრუნა კითხვა, ოდესმე თუ დამიგვიანიაო.

ერთ მშვენიერ დღეს კინოსტუდიაში ვიყავი. მაშინ „ზღვის ბილიკს“ ვიღებდი, რომელშიც სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. გადაღებების დასრულების შემდეგ ხალხი იკრიბებოდა და საუბრობდნენ. ზოგი თავის გულისტკივილზე იტყოდა რამეს, ზოგი თავის სიხარულზე, ზოგი გადაღებებზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდნენ სახლებში. მეც ასე ვიდექი სხვების გვერდით. სულიკო ჟღენტიც იქ იყო. შევამჩნიე, რომ ხელში რაღაც ფურცლები ეჭირა, მაგრამ დიდად არ დავკვირვებივარ. მითხრა, ბათუმში მივდივარ და შენთან ერთი რაღაც მაქვს სათქმელიო. გვერდით გამიყვანა და ფურცლები მომაწოდა. თან დამავალა, რომ იმ დღესვე წამეკითხა და პასუხი მეთქვა. ეს იყო მისი მომავალი სცენარის ჩანაფიქრი.

სულიკო წავიდა, მე ბიჭებთან დავრჩი და კიდევ ცოტა ხანი ვილაპარაკეთ. სცენარისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მეორე დღის გადაღებაზე ვფიქრობდი. კინოსტუდიიდან რომ გამოვედი, ტრამვაიში ჩავჯექი და თან სცენარის ფურცვლა დავიწყე. სულ ხუთი-ექვსი ფურცელი იყო და სათაური ჰქონდა „ჯარისკაცის მამა“. პატარა სცენარი იყო, მაგრამ ამ ხუთ ფურცელში აბსოლუტურად ყველაფერი გასაგებად ეწერა. ხასიათი, იდეა, გარემო — ყველაფერი იგრძნობოდა. წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ ეს იყო ბრწყინვალე მასალა. იმ საღამოსვე ბათუმში დავრეკე და სულიკო შევაქე. ვუთხარი, რომ მზად ვიყავი, ამ სცენარზე ფილმი შემექმნა.

### გულაჩუყებული სერგო

— მეორე დილას სტუდიაში რომ მივედი, სერგო ზაქარიაძე უკვე იქ იყო, გრიმს იკეთებდა. საერთოდ ასეთი მოწესრიგებული კაცი გახლდათ, ყველგან ყველაზე ადრე მიდიოდა. მისთვის დღე, ღამე, წვიმა, თოვლი — არაფერი არსებობდა. საქმე იყო უმთავრესი.

საგრიმიოროში რომ შევედი, ბატონ სერგოს გრიმიორი ქალი ედგა გვერდით. ყველას გამოველაპარაკე, ბოლოს კი მასთან მივედი და ვუთხარი, რომ საქმე მქონდა. ყურადღება არ მომაქცია. მე ველაპარაკებოდი, ის კი გრიმიორს შენიშვნებს აძლევდა. ასე რამდენჯერმე წამოვიწყე საუბარი, მაგრამ არ ამყვა. ბოლოს ვუამბე, სულიკო ჟღენტმა სცენარი გადმომცა, წავიკითხე და მგონია, რომ აქედან რაღაც დიდი ნაწარმოების გაკეთება შეიძლება-მეთქი. სცენარი მოკლედ მოვუყევი. რაც მეტს ვუყვებოდი, ვატყობდი, როგორ ეცვლებოდა სახე და უფრო და უფრო ინტერესდებოდა, გრიმიორ ქალსაც ნაკლებ შენიშვნას აძლევდა. როცა სცენარის თხრობა დავამთავრე, ალტაცებით თქვა: „ბიჭო, რა კარგი რამეა!“ სერგო ატირდა, მეც ავტირდი და გადაწყდა, ამ სცენარზე ფილმი გაგვეკეთებინა.

„ბატონი სპარტაკის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. მან რომ არსენას როლი ითამაშა, ისე სხვა ვერავინ შეასრულებდა, მაგრამ ის გმირს თამაშობდა, ჩემი ფილმის პერსონაჟი კი სხვანაირი უნდა ყოფილიყო".

### ბრძოლა ფილმისთვის

— ნახევარი წელი სცენარზე ვმუშაობდით. მერე კი დაიწყო ბრძოლა მის დასადგმელად, რადგან კინოსტუდიას არაფრით უნდოდა, რომ გადაღებები დაგვეწყო. მიზეზი ჩემთვის დღემდე გაუგებარია. ადამიანი ხალხის აღიარებას რომ მიიღებს, ბევრ მოყვარესთან ერთად ბევრი მტერიც უჩნდება. ასე მოხდა ბატონი სერგოს შემთხვევაშიც, რადგან მას ბევრი ემტერებოდა. სულიკოც ჯერ დიდად არ იყო კინემატოგრაფიის წრეში მიღებული, რადგან ძალიან ახალგაზრდა გახლდათ. ამიტომაც ეს ძალები გაერთიანდნენ და მითხრეს, ფილმი გადაიღე, მაგრამ სცენარს გაკეთება უნდა და სხვა მსახიობი უნდა მოძებნოო. გავბრაზდი და შევეკითხე, ვის მირჩევთ-მეთქი. მიპასუხეს, სპარტაკ ბაღაშვილი სერგო ზაქარიაძეზე ნაკლები არ იქნებაო. მე, პირადად, ბატონი სპარტაკის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. მან რომ არსენას როლი ითამაშა, ვფიქრობ, ისე სხვა ვერავინ შეასრულებდა, მაგრამ ის გმირს თამაშობდა, ჩემი ფილმის პერსონაჟი კი სხვანაირი უნდა ყოფილიყო.

ჯარისკაცის მამა საბჭოთა გმირებისგან გამორჩეული იყო — შვილს დაეძებდა და „ზა როდინუს“ არ ყვიროდა. კინოსტუდიაში სწორედ ამას ვერ მიხვდნენ, ჟანრი ვერ გაიგეს. დიდ ტრაგედიასთან ერთად ფილმი სანახევროდ კომედიური ჟანრის უნდა ყოფილიყო. როდესაც, წესისამებრ, სცენარი მოსკოვში გაიგზავნა, მის შინაარსს მალევე ჩასწვდნენ და თქვეს, რომ ამ ფილმს დიდი წარმატება ექნებოდა. ერთი სიტყვით, დიდი ომები გამოვიარე იმისთვის, რომ ფილმი გადამეღო და მასში ბატონ სერგოს ეთამაშა. სხვათა შორის, დადებითი როლი ითამაშა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც მაშინ მცხეთის რაიონული კომიტეტის მდივანი იყო. რამდენჯერმე საერთო პარტიულ კრებას დაესწრო და დაგვეხმარა კიდეც.

ერთ-ერთ კრებაზე ჩემი ფილმის გადაღება-არგადაღების საკითხი წამოიჭრა. ერთი ადამიანი გამოვიდა, რომლის ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ და თქვა, მოსკოვის კულტურის სამინისტროში სცენარი არ მოეწონათ, მაგრამ, რადგან რეზო ჩხეიძეს ასე ძალიან უნდა, უარის თქმა გვერიდებაო. მაშინვე გავედი და მოსკოვში დავრეკე. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი საერთოდ არ მისულა სამინისტროში და კრებაზე ტყუილი თქვა. ნერვები ძალიან მომეშალა და იმ ადამიანს სილა გავაწანი. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ მოხდა. არც სკოლაში, არც მოზრდილობაში, როგორი აღშფოთებულიც უნდა ვყოფილიყავი, ხელით არავის შევხებივარ.

ასე იყო თუ ისე, ყოველი ახალი ფილმის გადაღებას სირთულე ახლდა. ხან სცენარს ებრძოდნენ, ხან — მსახიობებს. რაც შეეხება ბატონ სერგოს, მისი ბევრს შურდა. როგორც იც-



ით, ის თავიდან რუსთაველის თეატრში იყო, შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში გადავიდა და საამისო მიზეზი ჰქონდა კიდეც. ალბათ იმიტომ არ უნდოდათ, ზაქარიაძეს ამ ფილმში მიეღო მონაწილეობა, რომ სახელი უფრო მეტად არ გაეთქვა.

სერგო ზაქარიაძეს მოუწესრიგებელს ვერასდროს ნახავდით, ყოველთვის მზად იყო მუშაობის დასაწყებად. როდესაც გადაღებები ქვეყნის გარეთ მიმდინარეობდა, ჩვენ, მთელი ჯგუფი სასტუმროში ვცხოვრობდით. დილით ავტობუსი გვაკითხავდა და გადასაღებ მოედანზე მივყავდით. სასტუმროდან რომ ჩავიდოდით, ბატონი სერგო უკვე ავტობუსში იჯდა თავის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი. დღემდე მიკვირს, რატომ უნდა ჰყოლოდა ასეთ არაჩვეულებრივ კაცს მოწინააღმდეგეები. მისი გარდაცვალებით მარჯვენა ხელი დამაკლდა. იმავეს ვიტყვი სულიკო ჟღენტზეც, რომელიც ასევე მუდამ გვერდით მედგა. მასთან ერთად რამდენიმე ფილმი გავაკეთე. დღეს სერგოც ძალიან მაკლია და სულიკოც.

## ავბედითი ტაშტები

— ფილმის გადაღებას რამდენიმე თვე მოვანდომეთ. სცენები გადავიღეთ როგორც საქართველოში, ასევე მოსკოვის სამხედრო ოლქში და ლატვიაში. გადაღებები ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ გარეშე პირების დამოკიდებულება ძალიან უარყოფითი იყო. მაგალითად, ფილმში არის ერთი ასეთი სცენა, სადაც ბატონი სერგო ვედროებით დადის და მრეცხავ ქალებს მეთვალყურეობს. ამ ეპიზოდის ჩამატება შემდეგ გადაწყდა. არადა სცენარი უკვე გაგზავნილი გვქონდა და რამის ჩამატება არ შეიძლებოდა. ამ სცენისთვის გვჭირდებოდა ტაშტები, რაშიც ქალებს სარეცხი უნდა გაერეცხათ. ტაშტები თბილისში კერძო შეკვეთით დავამზადებინეთ.

ერთ დღესაც რუსთავში ფილმის სცენას ვიღებდით. პარტკომის წარმომადგენლობა ჩამოვიდა და მითხრეს, ჩვენთან სიგნალი შემოვიდა, რომ რაღაცას იღებთ, რაც სცენარში არ წერიაო. რა თქმა უნდა, ვიუარე. მოგვთხოვეს, გვეჩვენებინა, რა გვქონდა წამოღებული. კიდევ კარგი, ტაშტები ვერ ნახეს, რადგან დამალული გვქონდა.

ეს სცენა საქართველოში ველარ გადავიღე და რუსეთში რომ წავედი, ვიფიქრე, იქ გავაკეთებ-მეთქი. იქაც გამომეცხადნენ პარტკომიდან და მითხრეს, თქვენი სარეცხის ნავები გვაჩვენეთო. მაშინაც როგორღაც თავიდან მოვიშორე ისინი. ბოლოს ლატვიაში რომ წავედით, ეს სცენა იქ დაუგავაზე გადავიღეთ, რადგან პარტკომიდან აღარავინ მოსულა. ასე მოიარა ჩვენმა ტაშტებმა თბილისი, მოსკოვი და რიგა.

## პირველი აღიარება ნოდარ დუმბაძისგან

— ფილმის შავი მასალა გვქონდა გაკეთებული, როცა დაგვიძახეს და გვითხრეს, გვინდა, ვნახოთ, რას იღებთო. გადაღებული მასალა გავუგზავნე. იქ ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელი ესწრებოდა და მომიყვა, მასალა რომ დამთავრდა და სინათლე აინთო, ნოდარ დუმბაძე წამოდგა და თქვა, ამათ ლენინური პრემია მიღებული აქვთო. იმ დროს ლენინური პრემია ქვეყნის უმაღლესი ჯილდო იყო, მან კი მომავალი ფილმის მიმართ ასე გამოხატა თავისი სიმპათია.

მართალია, იყო გარკვეული წინააღმდეგობები, მაგრამ საბოლოოდ რუსული და უცხოური პრემიერის შემდეგ ყოველგვარი უარყოფითი დამოკიდებულება შეწყდა და „ჯარისკაცის მამა“ კლასიკურ ნაწარმოებად გამოცხადდა.





■ კადრები ფილმიდან

## „მახარაშვილი საბჭოთა ოფიცერს ხელს არ უნდა არტყამდეს!"

— ქართველი არტისტები მხოლოდ ფილმის დასაწყისში ჩანან. რადგან სხვადასხვა ადგილებში ვიღებდით, რუსი მსახიობებიც იცვლებოდნენ. შვილი, რომელზეც მთელი სცენარია აწყობილი, მხოლოდ ფილმის ბოლოს ჩანს და ერთ სიტყვას ამბობს: „მამი!“. ამ როლისთვის სპეციალურად ავარჩიეთ ისეთი გმირი, რომელიც ქართველს ემსგავსებოდა და ვაჟკაცური გარეგნობის იქნებოდა. ისეთი ადამიანი მოვძებნეთ, რომელიც, მართალია, წევს და კარგად არ ჩანს, მაგრამ ვაჟკაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფილმს ჰყავდა ძალიან კარგი კომპოზიტორი, ოპერატორები და სხვა ტექნიკური პერსონალი.

დასრულებული ფილმი მოსკოვში 31 დეკემბერს ჩავიტანეთ. კვირადღე იყო და რედკოლეგია, რომელიც სურათს იბარებდა, არ იყო.

## „იმ ადამიანს სილა გავაწანი. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ მოხდა".

ჩვენებას მხოლოდ კულტურის მინისტრი რომანოვი და მისი მეუღლე ესწრებოდნენ. მათ გარდა, მე და ხმის ოპერატორი — დავით ლომიძე ვიყავით და ორი კაციც ხმის აპარატურასთან იჯდა. ჩვენება რომ დაიწყო, ამ რომანოვს შევატყვე, უინტერესოდ უყურებდა. ხან ფეხებს აბაკუნებდა, ხან საათს დახედავდა, ხან მეუღლეს დაელაპარაკებოდა. ის ქალი კი ფილმს ინტერესით უცქერდა. ჩვენების დასრულების შემდეგ რომანოვი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— ამხანაგო ჩხეიძე, ამ სურათს საბჭოთა ხალხი არ ნახავს!

— რატომ, ბატონო მინისტრო? — შევეკითხე ისე, რომ მისი სახელი არც ვიცოდი, რადგან ახალი დანიშნული იყო. ძველი რომ ყოფილიყო, ასეთ რამეს არც მეტყოდა.

— იმიტომ, რომ თქვენი გმირი, მახარაშვილი, საბჭოთა ოფიცერს ხელს არტყამს. ეს არის წითელი არმიის წესდების დარღვევა. ჩვენ უფლება არ გვაქვს, კინემატოგრაფიის საშუალებით ამას აგიტაცია გავუწიოთ. ასე რომ, ამ ფილმს არ მივცემთ იმის რეკომენდაციას, რომ ფართო მასებმა ნახონ!

რომანოვმა ეს რომ თქვა, ეგრევე წავიდა. საშინელ ხასიათზე დავდექი. ახალი წელი თენდებოდა და მთელ ჯგუფს ქართველ მეგობრებთან ერთად იქაურ ქართულ რესტორან „არაგვში“ უნდა გვექეიფა. ბევრი ადამიანის დაპატიჟებას ვაპირებდით, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ ფილმს შეაქებდნენ და მიიღებდნენ. მინისტრის ასეთმა შეფასებამ კი ყველას ნერვები მოგვიშალა და რესტორანში აღარ წავსულვართ. სასტუმროში დავბრუნდით და დავიძინეთ.

## გაცურებული რუსები

— 4-5 დღის შემდეგ „ჯარისკაცის მამის“ კიდევ ერთ ჩვენებაზე მიგვიწვიეს. კარი გაიღო და გენერალ-პოლკოვნიკი და 15-მდე გენერალი შემოვიდნენ. მისალმებაზევე მივხვდი, რომ ისინი რომანოვის ტყუილებით იყვნენ გატენილი, მაგრამ პირველივე ეპიზოდიდან რომ დაიწყეს გენერლებმა ტაშის კვრა და ოვაციები, ბოლომდე ასე გაგრძელდა. თან ხელით გვანიშნებდნენ, მაგარიაო. დასრულების შემდეგ მე და ხმის ოპერატორს შემოგვეხვივნენ. გენერალ-პოლკოვნიკმა გვკითხა:

— გვითხარით, რა არ მოსწონს თქვენს მინისტრს?

— ჩვენი ქართველი მინისტრი თვლის, რომ ეს საჭირო საბჭოთა სურათია, — ვუპასუხე გენერალ-პოლკოვნიკს.

— არა, არა, მე მხედველობაში მყავს ამხანაგი რომანოვი.

— რომანოვს არ მოსწონს ის, რომ სამხედრო ხელს არტყამს საბჭოთა ოფიცერს.

— აი, თქვენი მინისტრი ვერაფერს მიხვდა. ის არ არის სამხედრო, ის მამაა. მამას კი ყოველთვის აქვს უფლება, ასე მოექცეს შვილს. სურათსაც იმიტომ ჰქვია „ჯარისკაცის მამა“. მას მთელი ქვეყანა უყურებს. გისურვებთ წარმატებას! — ასე თბილად გამოგვემშვიდობა გენერალ-პოლკოვნიკი. დანარჩენი გენერლები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ნახე, როგორი სილა გააწნაო.

ამის შემდეგ ფილმი ვინ აღარ ნახა, მათ შორის ლეონიდ ბრეჟნევმა და ეს საკითხი აღარავის წამოუწევია. თუმცა ერთხელ ჩემმა აზერბაიჯანელმა მეგობარმა, რომელიც მოსკოვში „დომ კინოში“ დავპატიჟე, სადაც ფილმის ჩვენება გაიმართა, სიცილით მითხრა:

— მომისმინე, ეს რუსები სულელები არიან, არა? ისინი ვერ მიხვდნენ ნამდვილ აზრს ამ ეპიზოდთან დაკავშირებით.

— ეგ მეორედ აღარ თქვა, — ვუთხარი და ორივეს გაგვეცინა.

აგერ, უკვე 49 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „ჯარისკაცის მამა“ პირველად იხილა მაყურებელმა. ხალხს ეს ფილმი ახსოვს, უყვარს და ჩემთვის ყველა ჯილდოზე მაღლა ეს სახალხო აღიარება დგას.

## გაფერადებული შავ-თეთრი კინო

— დაახლოებით 2 წლის წინ ჰოლივუდიდან დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს, რომ „ჯარისკაცის მამას“ გააფერადებდნენ. დავთანხმდი, მაგრამ ცოტა ვნერვიულობდი, ამ იდეას ეჭვის თვალით ვუყურებდი. მეშინოდა, ჭყეტელა ფერები არ ყოფილიყო. საერთო ჯამში, მომეწონა და ფერებიც კარგია. როცა ვუყურებ, თითქმის მავიწყდება, რომ ფერადია, იმდენად ნორმალურად არის გაკეთებული. ჩემთვის, როგორც ფილმის რეჟისორისთვის, სასიხარულოა, რომ მას მაყურებელი ამდენი წლის შემდეგ ფერადს იხილავს.

რომელიმე ეპიზოდს რომ გააფერადებდნენ, შემდეგ აუცილებლად მიგზავნიდნენ. იმ პერიოდში მოსკოვში ვიმყოფებოდი. თუ რამე შენიშვნა მქონდა, ასწორებდნენ. საბოლოოდ კარგ შედეგს მიაღწიეს.

7 მაისს მოსკოვში ფერადი „ჯარისკაცის მამის“ პრემიერა შედგა, 9 მაისს კი — თბილისში. თანაც ჩემი სახელობის ვარსკვლავის გახსნას დაემთხვა. ამის შემდეგ ფერადი „ჯარისკაცის მამის“ ჩვენება კიევში, ერევანსა და ბაქოშია დაგეგმილი.

✓ თეონა კენჭიაშვილი



Cyan Magenta Yellow Black

## „დებს შორის განხეთქილების ვაშლი საძინებელი აღმოჩნდა“



ყოველთვის მიკვირდა იმ დედმამიშვილების, ვისაც ქონების გამო ჩხუბი მოსდიოდათ. ასეთი საქციელი წარმოუდგენლად მიმაჩნდა. ამიტომაც მიკვირს და ჩემს თავს ვერ ვპატიობ, რაც დამემართა. თქვენი ჟურნალის საშუალებით ჩემს დას, ჩემს სისხლსა და ხორცს, ბოდიშს ვუხდი და თქვენს მკითხველებსაც გონიერებისკენ მოვუწოდებ.

სამაგალითო დობა გვქონდა. მართალია, ახლა ჩემი და გაბუტულია, მაგრამ ამქვეყანაზე მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ვარ. მისი ცუდი ღმერთმა ნუ გამაგონოს, მისი წილი ტკივილი მე მარგუნოს ღმერთმა.

ახლა იმ გაუგებრობის შესახებ გეტყვით, რაც ჩვენ შორის მოხდა. მშობლებმა სახლი ჩემს დას დაუტოვეს. მე არაფერში მჭირდებოდა, რადგან ერთადერთი შვილისთვის სამი სახლი მაქვს. ჩემს დას კი სჭირდებოდა და მშობლები სწორად მოიქცნენ. არასოდეს გამივლია გულში, მე რატომ არაფერი მომცეს-მეთქი. პირიქით, თუკი რამეს ვიყიდდი, მინდოდა, ჩემს დასაც ჰქონოდა. სანამ მეტი საშუალება მქონდა, საოჯახო ნივთებს ორ-ორს ვყიდულობდი. მოკლედ, ყველა შემოგვნატროდა.

ამ ზამთარში კი ყველაფერი აირია. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენ შორის განხეთქილების ვაშლად საძინებელი იქცა. ჩემმა დამ ახალი ავეჯი შეიძინა. სანახავად რომ მივედი, ვუთხარი, ამ ძველ საძინებელს აგარაკზე წავიღებ-მეთქი. სახე აერია. მითხრა, ჩემი ქმრის სოფელში მიმაქვს, დედამთილს შევპირდიო. უცებ ძალიან გავბრაზდი და მივუგე, იმის ღირსი აღარ ვარ, მშობლების რაიმე ნივთი მქონდეს, ჩემი მშობლების საძინებელში შენი დედამთილი რატომ უნდა ჩაწვეს-მეთქი. მან ეს სიტყვები არ მაპატია და წამეჩხუბა, ის ვერ მოინელე, სახლი რომ მე მაჩუქესო. მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე, მივყევით, მოვყევით ლაპარაკს და ერთმანეთს ძალიან ვაწყენინეთ.

დღემდე ვერ ვპატიობ თავს, ნერვები რომ ვერ მოვთოკე. ჩემს დას ხმას არ ვცემ და ამან ლამის გამაგიჟოს. ან მშობლების საფლავზე როგორ უნდა გავიდეთ, გაბუტულები ხომ არ დავდგებით გვერდიგვერდ? დარწმუნებული ვარ, ჩემი მშობლები იმქვეყნად ძალიან ნერვიულობენ. მათ სულებსაც ვთხოვ პატიებას და ჩემს დასაც. ჩემს დაიკოს საქვეყნოდ ვუხდი ბოდიშს. მაპატიე, რა! ძალიან მიყვარხარ!

**„სარკის“ ერთგული მკითხველი**

## „მგონი, ჩემი ქმარი ნარკომანია“

ერთი წლის წინ გავთხოვდი. მეგონა, მომავალ მეუღლეს ძალიან კარგად ვიცნობდი, მაგრამ ახლა ასე აღარ ვფიქრობ. ახლოს რომ გავიცანი, სულ სხვანაირი აღმოჩნდა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ გონება დაბინდული აქვს. ისეთი ამღვრეული თვალებით მიყურებს, რომ... თავიდან მეგონა, მთვრალი იყო, მაგრამ ალკოჰოლის სუნი არ ასდის. დიდი ეჭვი მაქვს, ნარკოტიკებს იკეთებს.

მირჩიეთ, როგორ მოვიქცე და როგორ დავადგინო, რა ემართება. დედამისი სულ რაღაცაზე ეჩურჩულება, მე რომ დამინახავენ, ჩუმდებიან. თუ ჩემი ეჭვი დადასტურდება, მასთან ერთი დღეც არ გავჩერდები! აქამდე მინდოდა, შვილი მყოლოდა, მაგრამ სანამ არ დავრწმუნდები, რომ ის სრულიად ჯანმრთელია და არაფერს მაიმუნობს, ბავშვს არ გავაჩენ.

**მკითხველი**

## „ქმარმა აიჩემა, უფროსი შვილი ჩემი არ არისო“

სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავარ. ჩემს ქმარს რაღაც სჭირს, ძალიან შეიცვალა. არც კი ვიცი, მისი უეცარი გადასხვაფერება რას დავაბრალო. პრობლემები როგორ არ გვქონდა ოჯახში, მაგრამ კონფლიქტი არასოდეს მოგვსვლია. ყოველთვის ვცდილობ, გავუგო, მხარში ამოვუდგე. მისი ერთგული ვარ და მის გარდა არავინ მიყვარს, არც არასოდეს მყვარებია. ცხოვრებაში არასოდეს უეჭვიანია, ახლა კი საშინელება სჭირს. უცებ შემომხედავს და მეტყვის, ახლა ვისზე ფიქრობო. მერე კი ამაზე ჩხუბს იწყებს. მოკლედ, ჩვენს ოჯახში საშინელი სიტუაციაა. არ ვიცი, ამას როდემდე გავუძლებ.

ყველას ვეკითხები: ასე უეცარი გაგიჟება შეიძლება? ნუთუ შეიძლება, რომ კაცი 14 წლის შემდეგ გახდეს ეჭვიანი? დიახ, ჩვენ 14 წელია ერთად ვართ და შეყვარებულობის პერიოდშიც კი არ გვიეჭვიანია ერთმანეთზე. მეგობარმა გამაშაყირა, ეტყობა, ახლა უფრო შეუყვარდი და შენზე გადაირიაო. ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტი სიყვარულით არ მოსდის. მგონია, რომ ვიღაც ტვინს ურევს. ოჯახის წევრებზე ეჭვს ვერ მივიტან, მაგრამ ხომ შეიძლება ვიღაც სხვა ქალიც ჰყავდეს, რომელიც ჩემზე ცუდს ეუბნება. იმასაც ვფიქრობ, იქნებ ჩემგან წასვლა უნდა და მიზეზს ეძებს. ათასი ვერსია მიტრიალებს თავში და არ ვიცი, რომელს ჩავეჭიდო.



მასთან დაპირისპირებას როგორღაც გავუძლებდი, დაველოდებოდი იმ დროს, როცა ეს ემოციები ჩაუცხრებოდა, მაგრამ თანდათან ყოველგვარ ზღვარს გადადის. ახლა ამოიჩემა, უფროსი შვილი ჩემი არ არისო. ეს რომ მითხრა, ყურებს არ დავუჯერე. კითხვაც კი არ შევუბრუნე, იმდენად არ მინდოდა, კიდევ ერთხელ გაემეორებინა. მართლაც რამდენიმე დღე არაფერი უთქვამს. ერთ დილასაც თვალები გაახილა და დაიწყო, ცოლად ორსული გამომყევი, ჩვენი უფროსი შვილი შეყვარებულისგან გააჩინეო. ერთი ამოვიკივლე, დაგახრჩობ, ამას თუ გაიმეორებ-მეთქი. სხვათა შორის, შეცბა და ლაპარაკი აღარ გააგრძელა. საღამოს კი ისევ აბუტბუტდა, დღეს შენი ძველი შეყვარებული სპეციალურად ვნახე, მის მაღაზიაში შევედი, რაღაცის ყიდვა მოვიმიზეზე და ჩვენი შვილი მისი ასლიაო. ჯერ ერთი, იმ კაცს საიდან უნდა ჰგავდეს და მეორეც, ის ქერა და ცისფერთვალება კაცია, ჩვენი გოგონა კი შავთვალწარბაა, ჩემს დედამთილს ჰგავს.

მეშინია, ბავშვმა არ გაიგოს, მამამისი რასაც ლაპარაკობს. მისთვის ეს საშინელი ტრავმა იქნება. შეიძლება მას დაუჯეროს და მე გამიუცხოვდეს. ის უკვე მოზარდია და ვინ იცის, მასზე როგორ იმოქმედებს. ქმარს ვეხვეწები, ეს აზრი თავიდან ამოიგდოს, მაგრამ ვერ ვაჯერებ. ბოლოს ვუთხარი, ჩემგან წასვლა თუ გინდა, ბინძურ მეთოდებს ნუ იყენებ, ადექი და წადი-მეთქი. ის კი თავისას არ იშლის. ზოგჯერ მგონია, რომ ჭკუიდან შეიშალა და ავად არის, მაგრამ სხვებთან ჩვეულებრივად იქცევა, გადახრას ვერავინ ამჩნევს. მე კი ასე მამწარებს და არ ვიცი, ეს რას მივაწერო.

იმედი მაქვს, რომ ქმარი გონს მოეგება და უაზრო ეჭვიანობით ჩვენს შვილს ტრავმას არ მიაყენებს.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ავადმყოფი შვილი ჩემი ცოდვის შედეგია“



ჩემი სიცოცხლე ერთი დიდი ტანჯვაა და მეტი არაფერი. წლებია, შვილის ტანჯვას ვუყურებ და ამაში დამნაშავე მხოლოდ მე ვარ. ჩემი ამბავი უნდა მოვყვე, რადგან ბევრმა უნდა გაიგოს, ერთმა არასწორმა ნაბიჯმა რა შეიძლება გამოიწვიოს.

21 წლის ვიყავი, რომ გავთხოვდი. 22 წლისას კი უკვე შვილი მყავდა. საკმაოდ დიდი ოჯახის მოვლა-პატრონობა მიწევდა, მუდმივად დაღლილი ვიყავი. ბავშვიც ცუდი გასაზრდელი იყო, დღე და ღამე არ მეძინა. მეორე შვილზე რომ დავრჩი ორსულად, ლამის გავგიჟდი. არც კი მინდოდა, გამემხილა, რადგან მამამთილი მოუთმენლად ელოდებოდა, მეორე შვილს როდის გავაჩენდი. ჩემი ქმარი დედისერთაა და სულ იმას გაიძახოდნენ, რძალმა უნდა აგვინაზღაუროს დანაკლისი და ბევრი ბავშვი გვაჩუქოსო. ამიტომაც არ ვამხელდი, რომ ორსულად ვიყავი, რადგან ვიცოდი, შვილის გაჩენას დამაძალებდნენ.

ქმარს არაფერი ვუთხარი და დავიწყე ფიქრი, ნაყოფი როგორ მომეშორებინა. ჯერ ხალხურ მეთოდებს მივმართე. ხან რისი ნახარში დავლიე, ხან — რისი. რაღაც ნემსიც გავიკეთე, რომ მუცელი მომშლოდა (იმ წამლის სახელს შეგნებულად არ დავწერ, რომ სხვამაც არ გაიკეთოს), მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამასობაში ნაყოფი გაიზარდა და ექიმს რომ მივაკითხე, მითხრა, აბორტის გაკეთება აღარ შეიძლება, ხელს ვერ დაგაკარებთო.

სხვა გზა აღარ მქონდა, ბავშვი უნდა გამეჩინა. მამამთილის დაბადების დღეზე გავამხილე, რომ მეორე შვილს ველოდებოდი. კაცი სიხარულით გადაირია. ხელში ამიყვანა და ბავშვით მკოცნიდა. ახლა რომ ვფიქრობ, როგორი სულელი გოგო ვიყავი. კარგი ოჯახი მქონდა, ქმრის მშობლები თან მყვებოდნენ, იმაზე არ ვფიქრობდი, შვილებისთვის რა მეჭმია და რა ჩამეცმია. გამეჩინა და გამეხარა მათი ყურებით! მაგრამ პატარა გოგო ამდენს ვერ ვფიქრობდი და ვწუწუნებდი.

მეორე შვილი ავადმყოფი დაიბადა. მის გადასარჩენად მამამთილმა რა აღარ გააკეთა. წამლებს ისრაელიდან უგზავნიდნენ. ბავშვს სიცოცხლე კი შევუნარჩუნეთ, მაგრამ ინვალიდია, ნერვული სისტემა აბსოლუტურად მოშლილი აქვს. ისიც იტანჯება და ჩვენც. მის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, ასეთი იმიტომ დაიბადა, რომ ნაყოფის მოსაშორებელმა ნახარშებმა ავნო. დიდხანს არ ვამხელდი, რაც გავაკეთე, ჩუმად ვიტანჯებოდი. მერე კი ჩემი მეზობლის გოგომ გაამხილა. ჩემს დედამთილს უთხრა, მგონი, იმის ბრალია, ორსულობის მოსაშლელ წამლებს რომ სვამდაო. ეს რომ ჩემს ოჯახში გაიგეს, გადაირივნენ. მისაყვედურეს, ჩვენ რატომ არ გვითხარი, რომ ბავშვის გაჩენა არ გინდოდა, თუ ასე იტანჯებოდი, ექიმთან წასულიყავი, რაღა იმ წამლებს სვამდიო. ქმარმა ლამის სახლიდან გამაგდო, ძალიან გამიბრაზდა. მამამთილმა კი მითხრა, ამ ბავშვის გამო აღარაფერს გეტყვი, შენი ყველაზე დიდი ტანჯვა ახლა ამის ყურებაა, მეტი რაღა უნდა გისაყვედუროო. მამამთილს იმის შემდეგ ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამაზე. დედამთილმა რამდენჯერმე კი წამომაძახა, მაგრამ მისმა ქმარმა მაშინვე გააჩუმა, უთხრა, თავისი სადარდებელიც ეყოფა, თავი დაანებეო.

ჩემი მამამთილი ერთი წლის წინ გარდაიცვალა და ლამის საფლავში ჩავყევი. ის მამასავით მიყვარდა. ჩემზე უზომოდ დიდი ამაგი აქვს. ოთხი წელი მწოლიარე ავადმყოფს ვუვლიდი და ერთხელაც კი არ დამიჩივლია, არ დამიწუწუნია. კიდევ მეტ ხანსაც მოვუვლიდი, ოღონდ ეცოცხლა. სიკვდილის წინ ხელები დამიკოცნა, მითხრა, აბა, შენ იცი, სულით არ დაეცე, ხომ იცი, ძლიერი უნდა იყოო.

მეც სხვა რა გზა მაქვს. ჩემს ჯვარს ვატარებ. უფროსი შვილი დაოჯახდა, კარგი ცოლ-შვილი ჰყავს. ძმას თან ჰყვება, ძალიან უყვარს. ჩემი უმცროსი ვაჟი ადვილი მოსავლელი არ არის, დიდი ხელშეწყობა სჭირდება, მაგრამ მისი მოვლის გამო არავინ წუწუნებს. რძალიც ისეთი შემხვდა, არაფერს აყვედრის.

როგორ მინდა, სასწაული მოხდეს, დრო უკან დაბრუნდეს, რომ ის შეცდომა არ გავიმეორო. ერთმა ექიმმა მითხრა, თავს ნუ იდანაშაულებ, შეიძლება იმ წამლების ბრალი სულაც არ იყოს და ბავშვი მაინც ასეთი დაბადებულიყოო. მისმა სიტყვებმა შვება მაინც არ მომგვარა. თავს საშინლად ვგრძნობ...

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

# «სიძედ ჩემი ყოფილი შეყვარებული მყავს»

თურმე მხოლოდ მე არ ვყოფილვარ ამ მდგომარეობაში, თურმე სხვაც ატარებს ასეთ ტკივილს.ძალიან ამაღელვა ჟურნალ „სარკის“ მე-18 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა — „ჩემი ბიძაშვილის საქმროსთან წარსულში სარეცელი მაკავშირებდა“. წარმომიდგენია, ეს ქალი რასაც გრძნობს, მაგრამ ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია. სიძედ ჩემი ყოფილი შეყვარებული მყავს. დიახ, ბიჭმა, რომელიც ერთი პერიოდი თავდავიწყებით მიყვარდა, ჩემი და შეირთო ცოლად.

მე და ის ბიჭი კლასელები ვიყავით და მთელმა სკოლამ იცოდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. მერე კი მე უმაღლესში მოვეწყვე, ის ჯარში წავიდა და ჩვენი გზები გაიყარა. უნივერსიტეტში გავიცანი ბიჭი, რომელიც შემიყვარდა და მისი ცოლი გავხდი. ძველი შეყვარებულის მიმართ აღარც გრძნობა გამაჩნდა და მასთან არც არაფერი მაკავშირებდა. ისე გადიოდა დრო, არც კი მახსენდებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ თავი თავად შემახსენა, ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრა.

ერთ დღეს ჩემმა უმცროსმა დამ გამოაცხადა, რომ შეყვარებული ჰყავდა, რომელსაც ცოლად მიჰყვებოდა. კარგა ხანს მის ვინაობას არ ამხელდა, ამბობდა, ვიცი, გაგიჟდებით და ერთმანეთს დაგვაშორებთო. ბოლოს გამოტყდა, რომ მისი შეყვარებული სწორედ ის იყო, ვინც ერთ დროს ძალიან მიყვარდა. ბუნებრივია, ოჯახში ვეჩხუბეთ, მაგრამ არ დაგვიჯერა და გაიპარა, ცოლად გაჰყვა.

დიდხანს არც დას ველაპარაკებოდი, არც სიძეს, მაგრამ მერე შევურიგდი. მშობლებიც ბედს შეეგუენ. ჩემი მეუღლე საოცრად შეგნებული ადამიანია. ისიც გვერდში დამიდგა, რომ ეს შეურაცხყოფა მომენელებინა. ჩემდა გასაკვირად, ქვისლთან საოცრად კარგი ურთიერთობა აქვს, ყურადღებას არ აქცევს, რომ ოდესღაც მას და მის ცოლს ერთმანეთი უყვარდათ.

სიძე კარგი მეოჯახე არ გამოდგა, ცოლ-შვილს ისეთ ყურადღებას არ აქცევს, როგორიც საჭიროა, მაგრამ ჩემი და არაფერს ამბობს. ვინმე თუ რამეს ჰკითხავს, ბედნიერი ვარო, პასუხობს, თუმცა მგონია, რომ იტყუება. ალბათ ძალიან ნანობს თავის საქციელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარაფერს შეცვლის.

**თქვენი მკითხველი**







Cyan Magenta Yellow Black

8 მაისიდან ჟურნალ „სარკესთან" ერთად

# შეაგროვე

## მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

# 100 ტომად




კაცობრიობის ყველა მნიშვნელოვანი ავტორი
ერთ სერიაში

www.sulakauri.ge
www.facebook.com/bakursulakauripublishing
2 91 11 65; 2 91 09 54

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

# მსოფლიო ლიტერატურა უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე

## ანტიკური მწერლობა

1. ჰომეროსი. ილიადა. წიგნი I.
2. ჰომეროსი. ილიადა. წიგნი II.
3. ჰომეროსი. ოდისეა.
4. ძველი ბერძნული ლირიკა.
5. პინდაროსი. ოდები.
6. ჰეროდოტე. ისტორია.
7. თუკიდიდე. ისტორია.
8. ესქილე. მიჯაჭვული პრომეთე. ორესტეა.
9. სოფოკლე. თებეს ტრაგედიები.
10. ევრიპიდე. ტრაგედიები.
11. არისტოფანე. კომედიები.
12. პლატონი. ადრეული დიალოგები. წიგნი I.
13 პლატონი. ადრეული დიალოგები.
14. პლატონი. სახელმწიფო.
15. ძველი ბერძნული პროზა.
16. ქსენოფონი. თხზულებანი.
17. ჰესიოდე. თეოგონია.
ბაყაყებისა და თაგვების ომი.
აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა.
18. ელინისტური და რომაული კომედია.
19. მარკუს ტულიუს ციცერონი. სიტყვები და დიალოგები.
20. გაიუს სალუსტიუს კრისპუსი. თხზულებანი.
21 პუბლიუს ვერგილიუს მარო. ენეიდა.
22. პუბლიუს ოვიდიუს ნაზო. მეტამორფოზები.
23 რომაული პოეზია.
24. პლუტარქოსი. რჩეული ბიოგრაფიები. წიგნი I.
25. პლუტარქოსი. რჩეული ბიოგრაფიები. წიგნი II.
26. პლუტარქოსი. მორალიები.
27. ლუკიანოსი. პროზა.
28. რომაული საისტორიო მწერლობა და ლიტერატურული წერილები.
29. ტიტუს ლივიუსი. ომი ჰანიბალთან.
30. მარკუს ავრელიუსი. ფიქრები.
ფსევდო-ლონგინე.
31. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია.
გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი. კეისართა ცხოვრება.
32. ლონგოსი. დაფნისი და ქლოე.
ჰელიოდოროსი. ეთიოპიკა.
33. ტიტუს პეტრონიუს არბიტერი. სატირიკონი.
ლუკიუს აპულეიუსი. ოქროს ვირი.

## აღმოსავლური კლასიკური მწერლობა

1(34). ძველი შუამდინარული მწერლობა.
2(35). ძველი აღმოსავლური მწერლობა.
ძველი ეგვიპტე
ძველი მცირე აზია.
ძველი ირანი.
3(36). ძველი აღთქმის პოეტური წიგნები.
4(37). ძველი ინდური პოეზია და პროზა.
5(38). მაჰაბჰარატა.
რამაიანა.
6(39). ძველი ჩინური პოეზია.
7(40). ძველი და შუა საუკუნეების ჩინური და ტიბეტური ლიტერატურის ძეგლები.
8(41). კალიდასა. დრამები. მეგჰა-დუტა.
9(42). შუა საუკუნეების აღმოსავლური პოეზია.
10(43). შეჰერაზადას ზღაპრები.
11(44). სპარსული კლასიკური პოეზია.
12(45). ფირდოუსი. შაჰ-ნამე.
13(46). ვისრამიანი.
14(47). საადი შირაზელი. გოლესთანი.
ალ-ჯაჰიზი. ძუნწების ამბავი.
15(48). შეი-შიონაგონი. მარტოობის ჟამს ჩანაწერები.
16(49). ნიძიო. საჩუმათო ამბავი.
ჰო გიუნი. ამბავი ჰონ გილდონისა.
ამბავი ერთგული ჩჰუნჰიანისა.
17(50). ნიზამი განჯელი. ლეილი და მაჯნუნი. ლირიკა.
18(51). მოლა ნასრედინის ანეკდოტები.
თუთი-ნამე.
ბახთიარ-ნამე.
ოთხი დერვიშის ამბავი.
19(52). სიბრძნე ბალაჰვარისი.
თიმსარიანი.
მეფეთა სალარო.
20(53). ქილილა და დამანა.
ქაშეფი. თორმეტი მარგალიტი.
21(54). ჩინური და იაპონური კლასიკური დრამა.
22(55). შუა საუკუნეების ებრაული პოეზია.

## შუა საუკუნეების ევროპული ლიტერატურა

1(56). ნეტარი ავგუსტინე. აღსარებანი. წიგნი I.
2(57). ნეტარი ავგუსტინე. აღსარებანი. წიგნი II.
3(58). ბიზანტიური პოეზია.
4(59). ბიზანტიური სასულიერო მწერლობა.
5(60). შუა საუკუნეების ევროპული პოეზია.
ბეოვულფი.
6(61). როლანდის სიმღერა.
წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი.
7(62). უფროსი ედა.
8(63). კალევალა წიგნი I.
9(64). კალევალა წიგნი II.
10(65). სიმღერა ნიბელუნგებზე.
11(66). ნიალის საგა.
12(67). ირლანდიური საგები.
13(68). ნართები.
14(69). ბიზანტიური რომანი.
15(70). თ.მელორი. ამბავი მეფე ართურის ზეობისა.

## ძველი ქართული მწერლობა

1(71). ძველი ქართული პროზა. წიგნი I.
2(72). ძველი ქართული პროზა. წიგნი II.
3(73). ძველი ქართული პოეზია.
4(74). იოანე მინჩხი. საგალობლები.
მიქელ მოდრეკილი. საგალობლები.
5(75). ქართლის ცხოვრება. წიგნი I.
6(76). ქართლის ცხოვრება. წიგნი II.
7(77). იოანე პეტრიწი. შრომები.
8(78). მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი.
იოანე შავთელი. აბდულმესიანი.
ჩახრუხაძე. თამარიანი.
9(79). შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი.
10(80). თეიმურაზ პირველი. პოემები.
არჩილი. პოემები.

## აღორძინების ხანისა და XVII საუკუნის ევროპული მწერლობა

1(81). ჯეფრი ჩოსერი. კენტერბერიული მოთხრობები.
2(82). აღორძინების ხანისა და XVII საუკუნის ევროპული პოეზია.
3(83). დანტე ალიგიერი. ღვთაებრივი კომედია.
4(84). აღორძინების ხანის ევროპული ნოველა.
5(85). ჯოვანი ბოკაჩო. დეკამერონი წიგნი I.
6(86). ჯოვანი ბოკაჩო. დეკამერონი წიგნი II.
7(87). ფრანსუა რაბლე. გარგანტუა და პანტაგრუელი წიგნი I.
8(88). ფრანსუა რაბლე. გარგანტუა და პანტაგრუელი წიგნი II.
9(89). მიგელ დე სერვანტეს საავედრა. დონ კიხოტი. ტომი I. წიგნი I.
10(90). მიგელ დე სერვანტეს საავედრა. დონ კიხოტი. ტომი I. წიგნი II.
11(91). მიგელ დე სერვანტეს საავედრა. დონ კიხოტი. ტომი II. წიგნი I.
12(92). მიგელ დე სერვანტეს საავედრა. დონ კიხოტი. ტომი II. წიგნი II.
13(93). უილიამ შექსპირი. ტრაგედიები. წიგნი I.
14(94). უილიამ შექსპირი. ტრაგედიები. წიგნი II.
15(95). უილიამ შექსპირი. ტრაგედიები. წიგნი III.
16(96). უილიამ შექსპირი. ზაფხულის ღამის სიზმარი. ზამთრის ზღაპარი. სონეტები.
17(97). პიერ კორნელი. ტრაგედიები.
ჟან რასინი. ტრაგედიები.
18(98). ჟან-ბატისტ მოლიერი. კომედიები.
19(99). ფრანსუა დე ლაროშფუკო. მაქსიმები.
ბლეზ პასკალი. აზრები.
ჟან დე ლა ბრიუიერი. ხაიათები.
20(100). ჯონ ფლეტჩერი. მომთვინიერებლის მორჯულება.
ჯონ მილტონი. სამსონი.
ანდრეას გრიფიუსი. ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმტკიცე.



# კობა დავითაშვილი: „ივანიშვილმა მთელ ჩემს განვლილ ცხოვრებას წითელი ხაზი გადაუსვა“

## «გიორგი მარგველაშვილი უნდა გაერკვეს, რა მიმართულების პოლიტიკოსია!»

„სახალხო პარტიის“ ლიდერ კობა დავითაშვილს კრიტიკა უკვე ჩვეულებად ექცა. სულ ცოტა ხნის წინ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონპროექტზე გამართულ დავას სისულელე უწოდა, მანამდე შს მინისტრი ღარიბაშვილი უსამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში დაადანაშაულა, სულ ცოტა ხნის წინ ბრალი ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს დასდო კერძო სადაზღვევო კომპანიების ლობირებაში. მისი მორიგი სამიზნე კი გიორგი მარგველაშვილია. თუმცა კიდევ იყო ერთი — დეპუტატის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მოსმენა ისე გადაიდო, დავითაშვილი არავის გაუფრთხილებია.

**— ბატონო კობა, თქვენ მიერ ინიცირებული კანონპროექტის „სათამაშო ბიზნესის რეკლამის აკრძალვის შესახებ“ განხილვა პარლამენტმა ისე გადადო, ამის შესახებ ინფორმაციაც არ გქონდათ. რა ხდება, თანაგუნდელებთან კომუნიკაციის პრობლემა გაქვთ?**

— რატომ მე და არა მათ? არ მესმის გუნდში ასეთი ქმედება. კანონპროექტი მიღებულია ერთი მოსმენით. ამის შემდეგ თვენახევარი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში კითხვები არ დასმულა. როცა პრემიერს ჯანდაცვის საკითხთან დაკავშირებით შევხვდი, ავუხსენი, რომ მე საერთოდ მომხრე ვარ ამ ბიზნესის აკრძალვის, მაგრამ ეს კანონპროექტი ითვალისწინებს რეკლამის აკრძალვას. თქვა, რომ მისი წინააღმდეგი შეიძლება არ იყოს. ამის შემდეგ პლენარულ სხდომაზე მოვისმინე გააფთრებული შენიშვნები და ამაში გამოირჩეოდა სამი ფრაქცია — ნაცმოძრაობა, რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“. თუ ასეთი დამოკიდებულება იყო, პირველ მოსმენაზე რატომ არ ითქვა?

არ მგონია, რომ ეს იყოს გუნდურობა. როცა მე შენიშვნებს ვიღებ გუნდურობაზე, მაინტერესებს, რატომ არ იღებენ ჩემი კოლეგები იმავე შენიშვნებს?

**— რომელ კოლეგას გულისხმობთ?**

— ამ წუთას გავეცანი განათლების მინისტრის, ამავდროულად ვიცეპრემიერის შეფასებებს შრომის კოდექსთან დაკავშირებით, რომელიც შემოსულია მთავრობის ინიცირებით. მარგველაშვილი აცხადებს, რომ შრომის კოდექსი არის მიუღებელი, ამით დაზარალდება ქვეყანა და ეს არის როზა ლუქსემბურგის კოდექსი. უკაცრავად, ბატონო გიორგი, მაგრამ ეს თქვენს მთავრობის სხდომაზე არ იქნა მიღებული? ეს ხომ იუსტიციის სამინისტროს პოზიცია არ არის, ეს გავიდა მთავრობის სხდომაზე და მთავრობამ გამოაგზავნა პარლამენტში. მინდა ვკითხო ბიძინა ივანიშვილსაც, ეს გუნდურობაა? თუ სხვებისთვის შეიძლება კრიტიკა და ჩემთვის — არა? რას გულისხმობს გუნდურობა და სად მთავრდება ადამიანის აზრი და იწყება გუნდის? ჩემთვის შეიძლება და შენთვის არ შეიძლებაო — ამას აქვს ცუდი სახელი და ბოლოს და ბოლოს ამასაც ვიტყვი. ისე კი ჯობია, ბატონი გიორგი მარგველაშვილი გაერკვეს პოლიტიკაში და იმაშიც, რა მიმართულების პოლიტიკოსია.

ძალიან მომეწონა, როცა მან ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ და ბენდუქიძის ინსტიტუტის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება. მაშინ გვერდით დავუდექი. აღფრთოვანებული დავრჩი, რაც სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მოხდა. ერთ შემთხვევაში ბენდუქიძეს არ მიეცა შესაძლებლობა, რომ ფული ეკეთებინა ღარიბი სტუდენტების ხარჯზე და მეორე შემთხვევაში სტამბებს — მოსწავლეებისა და მათი მშობლების ხარჯზე. ეს ორი ნაბიჯი მისასალმებელი და მხარდაჭერილია, მაგრამ მესამე ნაბიჯი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება წინა ორ ნაბიჯს. პოლიტიკაში არ შეიძლება დილით იყო მემარცხენე, შუადღეზე — ცენტრისტი და საღამოს — მემარჯვენე. თუ ვიცეპრემიერს არ მოსწონს მთავრობის გადაწყვეტილება იმ დონეზე, რომ უკანასკნელი სიტყვებით აკრიტიკებს, მაშინ უნდა მოაყოლოს გადადგომის განცხადებაც. შრომის კოდექსთან დაკავშირებული პოლიტიკა ფუნდამენტური საკითხია და თუ ის მიუღებელია მისთვის, მაშინ რა უნდა მთავრობაში?!

> „თუ წესი მდგომარეობს იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის მართალია, მე ამ წესებით არ მიცხოვრია და არც ვაპირებ ცხოვრებას".

**— რამდენადაც მახსოვს, იმ განცხადებაში ვიცეპრემიერი პოლიციასაც გამოესარჩლა 1 მაისის „ლაბორატორია 1918“-ის მიერ გამართული მიტინგის დაშლასთან დაკავშირებით.**

— ჰო, მეც ვნახე კადრები და იქ ვერ ვნახე პოლიციის მიმართ ძალადობა, პოლიციის მხრიდან კი ვიხილე. თუმცა ობიექტურაბა მოითხოვს, ითქვას, „ლაბორატორია 1918“-ის წევრებმა დაარღვიეს კანონი მანიფესტაციებისა და მიტინგების შესახებ, რომელიც გულისხმობს, რომ წინასწარი გაფრთხილება აუცილებელია. აქციის ორგანიზატორებმა ეს არ გაითვალისწინეს, რაც, ბუნებრივია, პოლიციას აძლევდა უფლებას, აღეკვეთა და ამაზე მე პრეტენზია არც მაქვს. მაგრამ იმავე დღეს ქუთაისის პარლამენტიდან 10 მეტრში მიმდინარეობდა ქუთაისელი ნაციონალების აქცია. კანონში წერია, რომ არ შეიძლება აქციის გამართვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან 20 მეტრის სიახლოვეს. მაინტერესებს, როცა კანონს არღვევს ადამიანი, რატომ არ ჰკიდებს მას ხელს პოლიცია და არ ტენის მანქანაში და რატომ ჩატენეს ავტომობილში „ლაბორატორია 1918“-ის აქტივისტები, რომლებიც მთავრობის მხარდამჭერ აქციას მართავდნენ? ისინი ითხოვდნენ მოქმედი შრომის კოდექსის შეცვლას, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო და რომელიც ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამაში ეწერა. როცა ბატონი გიორგი რამეს აკრიტიკებს, კარგად წაიკითხოს წინასაარჩევნო პროგრამა. იქ წერია, რომ დაუსაბუთებელი გათავისუფლება მიუღებელია და საჭიროა ახალი შრომის კოდექსი.

ასე რომ, ვიცეპრემიერი თავს ესხმის თავისივე მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონს. ეს გუნდურობაა? გიორგის კობა რომ არ ჰქვია და დავითაშვილი არ არის გვარად, ამის გამო მან შენიშვნა არ უნდა მიიღოს? და, ბატონო ღარიბაშვილო, კანონის წინაშე თანასწორობაა ის, რომ, რადგან ნაცმოძრაობას მფარველი ჰყავს ევროპის სახალხო პარტიის და მაკკეინის სახით, ამიტომ მის აქტივისტებს კანონის დარღვევის შემთხვევაში ხმა არავინ უნდა გასცეს, მაგრამ, თუ „ლაბორატორია 1918“-ის წევრები დაარღვევენ კანონს, მათ მკაცრად უნდა გაუსწორდნენ? ეს ახალგაზრდები ჩვენი გუნდის წევრები იყვნენ და არიან. ისინი ჩვენ გვერდით იბრძოდნენ ცოცხების აქციაზე, იმ დღესაც ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად ატარებდნენ აქციას და ისინი სცემეს და დააჯარიმეს. მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, ეს გუნდურობაა? ყველას მიმართ იყავით სამართლიანები და არ გყავდეთ ფავორიტები, რომლებსაც ყველაფერი ეპატიებათ და სახეები, რომლებსაც არაფერი ეპატიებათ! ეს არის ჩემი მოწოდება პრემიერმინისტრის მიმართ.

**— სერგეენკოსთან კითხვები მართლა აღარ გაქვთ თუ გუნდურობის პრინციპის დაცვის გამო გაჩუმდით?**

— მქონდა შეკითხვები, მივიღე პასუხი და მართლა მაკმაყოფილებს. პრემიერმაც მთხოვა და მინისტრმაც, რომ ზოგიერთი საკითხი კონფიდენციალურად უნდა დარჩეს. მე შეთანხმებას ვიცავ და მჯერა, რომ დაცული იქნება. უკვე ვხედავ ნიშნებსაც და უნდობლობის არანაირი საფუძველი არ მაქვს. ორჯერ მივმართე პრემიერს და ვთხოვე ამ საკითხზე მსჯელობა. მითხრა, ჯანდაცვის მინისტრთან გაარკვიეო. ვუთხარი, რომ ვერ ვარკვევდი. მან პოლიტსაბჭოზე მომცა დაპირება, რომ საკითხი ასე გადაწყდებოდა — შედგებოდა შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრთან, პრემიერთან, სადაზღვევო კომპანიასთან და იქ ერთად ვიმსჯელებდით. შეხვედრა მართლა შედგა, მაგრამ იქ არც მე ვყოფილვარ და არც — პრემიერი. შემდეგ მინისტრმა ღიად განაცხადა, რადგან კონფიდენციალური ინფორმაცია გამქონდა, დავითაშვილი ამ საქმეს ჩამოვაცილეო. არ მეგონა, რომ რეფორმის შესრულება კონფიდენციალური იყო. თუ თვითონ ასე თვლის, კი, ბატონო. ეს ინციდენტი ამოიწურა, მაგრამ ვერ მივიღებ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ თითქოს მე გუნდურობა დავარღვიე, რომ ჯერ შიგნით უნდა განგვეხილა და გარეთ მერე გამომეტანა. 4 მცდელობა მქონდა და მეტი რა უნდა მექნა?

მესმის, რომ პრემიერს ახლო ურთიერთობა აქვს დავითთან, ის იყო საჩხერის საავადმყოფოს ხელმძღვანელი. მას უკეთ იცნობს და ვხვდები, რომ მიუღებელი იყო თუნდაც ის კრიტიკა, რითაც მე გამოვედი. შესაძლოა, გადავამლაშე და მაინც ღირდა, შიგნით მეხუთედ მეცადა ამ საკითხის გადაწყვეტა. როცა პრემიერი აცხადებს, რომ დავით სერგეენკო დღეს მეტს აკეთებს, ვიდრე კობა დავითაშვილს ახლა ან ოდესმე გაუკეთებიაო, არ არის სწორი. მან თავისი მინისტრის დასაცავად წითელი ხაზი გადაუსვა ჩემს განვლილ ცხოვრებას. ეს მისაღებია? თავის მინისტრს უნდა იცავდეს, მაგრამ არა — სხვისი ღირსების შელახვის ხარჯზე.

მე არ ვიცი, რა გაუკეთებია ან რას აკეთებს დავით სერგეენკო ისეთს, რასაც მე ვერ შევწვდები, მაგრამ ვიცი, რომ ყოველთვის ბრძოლის წინა ხაზზე ვიყავი, დავითი კი იქ არ იყო და ამ ხაზზე არც ბოლო მოვლენების დროს გამოჩენილა. მას ჰქონდა თავისი პროფესია,



Cyan Magenta Yellow Black

თავისი საქმე, ხელფასი. მის საქმიანობას მე ვერ შევაფასებ, მაგრამ მე რა გამიკეთებია, საქართველომ იცის. 700 ათას პენსიონერს ავალებინე გაყინული პენსია; მივაღწიე იმას, რომ პენსია სტაჟის მიხედვით ყოფილიყო. იმის გამო, რომ ჩემი პრინციპებისთვის არ მეღალატა, ბევრ თანამდებობაზე უარი ვთქვი, მათ შორის — თავდაცვის მინისტრობაზე.

**— თავდაცვის მინისტრობაზე ივანიშვილმაც ილაპარაკა.**

— კი და მოწმედ მიხეილ სააკაშვილი მოიყვანა. ბატონო ბიძინა, მიხეილ სააკაშვილია სანდო წყარო? თქვა, ამას კობა სხვანაირად ხსნის და სააკაშვილი — სხვანაირადო. როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა სააკაშვილს უფრო უჯერებს. თავდაცვის მინისტრობა მართლაც შემომთავაზეს 2004 წლის იანვარში. ვანო მერაბიშვილი იყო ჩემთან მოსული და მკითხა, კობა, რა თანამდებობა გინდაო. მაშინ კონსტიტუცია იცვლებოდა, სააკაშვილი დიქტატორი ხდებოდა და მე უნდა გავჩუმებულიყავი და გუნდრუკი მეკმია?! ჩემი სინდისის წინააღმდეგ არ წავედი და ეს იყო რეალობა.

ასეთი შეურაცხყოფა ჩემთვის არავის მოუყენებია. პოლიტიკური მოწინააღმდეგები აღნიშნავდნენ ჩემი ცხოვრების ეპიზოდებს, რომლებიც, მათი აზრით, იყო სამარცხვინო. ამბობდნენ, ქრთამი აიღე პარტიის დაფინანსებისთვისო, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ეს ქრთამი არ იყო და პარტიას მოხმარდა. არაეთიკური საქციელი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორიც არ ჩაუდენიათ ნაციონალებს ან სხვა პარტიებს. მაგრამ ეს მე არ მამართლებს, რომ სიაში ჩავწერე საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანი იმისთვის, რომ შემოწირულობას გააკეთებდა. მაშინ არც დაფინანსება იყო, არც — არაფერი და თუ ამას არ გავაკეთებდი, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. მერე აღმოჩნდა, რომ ეს იყო ხელისუფლების პროვოკაცია, ანუ თუ დანაშაული ჩაიდინა, ჩაიდინა ხელისუფლებამ.

მეორე იყო ჟირინოვსკის ამბავი, მაგრამ ვერ გავიგე, რომელია სამარცხვინო — ჟირინოვსკის რომ შევხვდი თუ ჟირინოვსკიმ ხელი რომ არ ჩამომართვა. თუ ჟირინოვსკიმ, მტერმა, ხელი არ ჩამომართვა, მე ცუდი კაცი რატომ გამოვდივარ? მე იქ ჩავედი კონკრეტული შეკითხვით — ჩვენ გვინდა აფხაზეთი და სამაჩაბლო და ამის სანაცვლოდ რა გინდათ-მეთქი. ეს ვკითხე ჟირინოვსკისაც, კომუნისტებსაც, რადიკალებსაც, ხელისუფლებასაც და ეს ამბები ჩამოვიტანე აქაც. ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაციონალებსაც კი არ გადაუხაზავთ ჩემი ფიგურა ისე, როგორც ეს ჩემი კოალიციის ლიდერმა და პრემიერმინისტრმა გააკეთა. ისე კი მაინტერესებს, ნეტა, ის რეფორმა, რომელსაც სერგეენკო ახორციელებს, ვისი დაწერილია? როგორ შეიძლება იმ რეფორმის და პროექტის ავტორი ასე გამოლანძღო!

**— უნდა გაღიარო, თქვენი დაწერილი რომ იყო, არ ვიცოდი.**

— უდიდესი კამათები მქონდა, ეს რეფორმა რომ გამეტანა. პრემიერს სულ სხვა პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა და ამ კამათების გამო საკმაოდ დავზარალდი. არც პოლიტსაბჭოში შემიყვანეს და არც „ხალხის პარტია“ მოხვდა კოალიციაში სწორედ ჩემი ხისტი ხასიათის და კამათის გამო. ჩემი ერთადერთი თხოვნა იყო ჯანდაცვის რეფორმის მიღება და შემდეგ განხორციელება. და რატომ ითვლება, რომ ის ადამიანი, რომელიც ჩემს დაწერილს ახორციელებს და რომელსაც მე კიდევ ერთხელ შევწირე ჩემი კეთილდღეობა, თანამდებობა, კოალიციაში ყოფნა, პოლიტსაბჭოს წევრად ყოფნა — აკეთებს მეტს, ვიდრე მე გამიკეთებია?!

ნაციონალებმა სამჯერ ლამის მომკლეს — 2004, 2005, 2007 წლებში და მაშინ ბატონ ბიძინას, რბილად რომ ვთქვათ, რთული ურთიერთობა არ ჰქონდა მათთან. ასე უნდა ჩაირეცხოს ადამიანის განვლილი ცხოვრება?!

**— მართლა გეშინიათ პასუხისმგებლობის და ოპოზიციისკენ ამიტომ მიდიხართ, როგორც პრემიერმა ივარაუდა?**

— თუ ასე თვლის ბატონი ბიძინა, საჯაროდ ვეუბნები, სადაც კი ყველაზე ჩავარდნილი და ცუდი უბანია, იქ გამიშვას და მერე შევაფასოთ ჩემი და მისი ყველაზე საყვარელი მინისტრის საქმიანობა.ეს არ არის სწრაფვა ოპოზიციონერობისკენ, ეს არის სწრაფვა წესიერებისკენ. და რადგან მივისწრაფვი წესიერებისკენ, ვითხოვ წესების დადგენას! მაგრამ, თუ წესი მდგომარეობს იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის მართალია, მე ამ წესებით არ მიცხოვრია და არც ვაპირებ ცხოვრებას.

**— ივანიშვილმა ისიც თქვა, გუნდის წევრები მარწმუნებენ, თუ არ გავრიცხავთ კობას, თვითონ წავაო.**

— ბატონ ბიძინას კარგი ხასიათი აქვს — აბსოლუტურად გულწრფელია, როცა საუბრობს. ალბათ მოვა დრო და იტყვის, ვინ არწმუნებდა.

# რამაზ საყვარელიძე:

# „სააკაშვილისა და მერაბიშვილის დაპირისპირება რეალურია“

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე სკანდალურ ვერსიას ავრცელებს — მიაჩნია, რომ ლაფანყურის ოპერაციის უკან შესაძლებელია, ყოფილი ხელისუფლების და რუსეთის საერთო ინტერესები იდგეს. ამ საკითხთან ერთად „სარკე“ მას ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცეულ ისეთ აქტუალურ თემებზე ესაუბრა, როგორებიცაა ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირება, სამხედრო დოქტრინის დოკუმენტში რუსეთის სტატუსის საკითხი, ენდიაი-ს კვლევების მიხედვით, დავით ბაქრაძის რეიტინგის ზრდა, საქართველოს პრემიერმინისტრის სიტყვით გამოსვლა ევროსაბჭოში და და სხვა.

**— ბატონო რამაზ, როგორ აფასებთ პრემიერის ვიზიტს ევროსაბჭოში?**

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პოლონელი დეპუტატის მწარე შენიშვნა შეთანხმებული ყოფილა ნაციონალებთან, გამოდის, რომ სტრასბურგში ივანიშვილის წინააღმდეგ ნაციონალების მიერ გახსნილი ფრონტი იყო. ისინი ინტენსიურად იბრძვიან საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ არა იმისთვის, რომ გაიმარჯვონ, არამედ ივანიშვილის შესასუსტებლად. პოზიცია, რომ ივანიშვილს პუტინი უფრო უყვარს, ვიდრე კაჩინსკი და მსგავსი რაღაცეები იმ პარტიის მხრიდან, რომელსაც ბენდუქიძე ჰყავს თავის რიგებში, ღიმილის მომგვრელია. თუმცა უცხოელებმა ამდენი არ იციან და ამით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკოსებს გულს ფხანენ. ეს პოლიტიკა არ არის, არამედ კბენა, ღრენა...

მოვლენებს თუ კარგად დავაკვირდებით, ივანიშვილის თუ „ოცნების“ ძალისხმევა უცხოეთში ნელ-ნელა მიზანს აღწევს და ამის ინდიკატორი გახლავთ ამერიკის დამოკიდებულება, რომელიც დასავლეთის დირიჟორია. მის დადებით დამოკიდებულებას ვხედავთ ამერიკის ელჩის მუშაობაში — იგი საკმაოდ ბეჯითად ცდილობს, წელში გამართოს „ქართული ოცნების“ ახალბედა ხელისუფლება, დაეხმაროს ყველაფერში. სავარაუდოა, რომ დასავლეთისთვის ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც პოლიტიკურმა სუბიექტმა, ინტერესი დაკარგა. ამიტომ ეცდებიან, უფრო ყურადღებით მოეკიდონ იმას, ვინც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია.

**„ამერიკის ელჩი საკმაოდ ბეჯითად ცდილობს, წელში გამართოს „ქართული ოცნების" ახალბედა ხელისუფლება. სავარაუდოა, რომ დასავლეთისთვის ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც პოლიტიკურმა სუბიექტმა, ინტერესი დაკარგა. ამიტომ ეცდებიან, უფრო ყურადღებით მოეკიდონ იმას, ვინც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია".**

**— ივანიშვილმა აღიარა, რომ სტრასბურგში დავით ბაქრაძეს კარგა ხანს ესაუბრა. ბოლო სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის რეიტინგი მატულობს. თქვენ გეკუთვნით ვარაუდი, რომ დავით ბაქრაძის გუნდი ნაციონალებს გამიჯნებოდა. ახლა როგორ ფიქრობთ, ეს ვარაუდი მართლდება?**

— მგონია, რომ საკითხი ასე უნდა დადგეს — ბაქრაძის ფიგურა გახდა რეიტინგული თუ ის პოლიტიკური სტილი, რომელიც მას ახასიათებს, ანუ ზომიერება, კონსტრუქციულობა და მეტნაკლებად თავშეკავებულობა. როცა მან ეს ნიშნები დაკარგა, იმავე აგვისტოს ომის დროს, ქართველი საზოგადოება ბაქრაძისადმი კრიტიკული იყო. ახლა, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისას, მან ეს თვისებები თვალსაჩინოდ გამოავლინა და ვნახეთ, რომ მისდამი დადებითი დამოკიდებულება გაიზარდა. სხვა ნაციონალებიც თუ ამ შედეგების მიხედვით გააკეთებენ დასკვნას, მოსახლეობისთვის მისაღები გახდებიან. თუ დიდხანს გაგრძელდება ეს განსხვავება ნაციონალებში — ერთ მხარეს იყვნენ აგრესიულები და მეორე მხარეს მშვიდები, რა თქმა უნდა, მათ შორის ნაპრალი გაჩნდება და ცალ-ცალკე მოუწევთ პოლიტიკური დივიდენდების ძიება.

**— რამდენად რეალურად გეჩვენებათ ხმები სააკაშვილისა და მერაბიშვილის ბრძოლაზე ლიდერობისთვის?**

— რეალურია, რადგან არც პოლიტიკური აუცილებლობა, არც ქცევის წესები მოითხოვდა, რომ პრეზიდენტი ოპოზიციის მიტინგზე სიტყვით გამოსულიყო. ამ გამოსვლის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ ნაციონალურ მოძრაობას ამ მიტინგის წყალობით არ გასჩენოდა იმ წონის ახალი ლიდერი, რომელიც პრეზიდენტის წონას მიუახლოვდებოდა. იყო ხმები, რომ მერაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად უნდა წარედგინათ. სააკაშვილი სწორედ ამ მოტივმა მიიყვანა მიტინგზე, ეს განზრახვა ამოიკითხა მერაბიშვილმა და განაწყენდა. სააკაშვილის იქ მისვლას ან მერაბიშვილის იქიდან წასვლას სხვა ლოგიკა არ მოეძებნება.

**„იყო ხმები, რომ მერაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად უნდა წარედგინათ. სააკაშვილი სწორედ ამ მოტივმა მიიყვანა მიტინგზე, ეს განზრახვა ამოიკითხა მერაბიშვილმა და განაწყენდა".**

**— უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურზანია ვარაუდობს, რომ ნაციონალებიდან ბოკერიას გუნდის გამოყოფა უფროა მოსალოდნელი.**

— ბოკერიას გუნდის გამოყოფაზე დიდი ხანია არის საუბრები და ამის საფუძველიც არის. ალბათ გახსოვთ, რომ ბენდუქიძეს სააკაშვილის მიმართ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა ჰქონდა, ანალოგიური რაღაც ბოკერიას მხრიდანაც მოდიოდა. ასე რომ, არ გაუკვირდება ქართველ საზოგადოებას, თუ ასეთი გამოყოფა მოხდება, მაგრამ არა მგონია, ამ გუნდში რომელიმეს ან მთლიანად გუნდს ჰქონდეს ის რეიტინგი, რაც მნიშ- →18





Cyan Magenta Yellow Black



„სააკაშვილია ის პიროვნება, რომელმაც გუნდში ბაჩო ახალაიას ის ფუნქციები დააკისრა და ისეთი ამოცანები დაუყენა, რომელთა გამოც დღეს მართლმსაჯულების წინაშე უწევს წარდგომა. პრეზიდენტს შეეძლო ახალაიას დაცვა და ეს არ გააკეთა. ამიტომ მეეჭვება, რომ ახალაიას და მის ოჯახს პრეტენზიები მხოლოდ მერაბიშვილის მიმართ ჰქონდეთ".

ვნელოვანს გახდის ამ ძალას პოლიტიკური ცხოვრებისთვის.

— **დათა ახალაიას და მარიკა ვერულაშვილის გალაშქრებას მერაბიშვილის წინააღმდეგ როგორ ხსნით?**

— ლაპარაკი იმაზე, რომ მერაბიშვილთან არის დაპირისპირება და არა პრეზიდენტთან, არ იქნება სერიოზული, რადგან სააკაშვილი არ არის ის პიროვნება, გადაწყვეტილების მიღება სხვას დაუთმოს. შეიძლება ახალაიას აქვს პრეტენზია სააკაშვილის მიმართ, ოღონდ ჯერჯერობით ცხენს ვერ ებრძვიან და უნაგირს ურტყამენ. როცა დრო მოვა, ეს პრეტენზიები ალბათ სააკაშვილის მიმართაც გაჟღერდება. სხვა თუ არაფერი, სააკაშვილია ის პიროვნება, რომელმაც გუნდში ბაჩო ახალაიას ის ფუნქციები დააკისრა და ისეთი ამოცანები დაუყენა, რომელთა გამოც დღეს მართლმსაჯულების წინაშე უწევს წარდგომა. პრეზიდენტს შეეძლო ახალაიას დაცვა და ეს არ გააკეთა. ამიტომ მეეჭვება, რომ ახალაიას და მის ოჯახს პრეტენზიები მხოლოდ მერაბიშვილის მიმართ ჰქონდეთ.

— **ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად თავის წარმოჩენა რამდენად უშველის ნაციონალების იმიჯს?**

— ნაციონალური მოძრაობა — ეს არის ეროვნული მოძრაობა. ასე ითარგმნება ქართულად ნაციონალური მოძრაობა. შეიძლება ეთქვათ ახალი ნაციონალური მოძრაობაც. გახსოვთ, როგორ შეხვდა ახალ მემარჯვენეებს თავის დროზე საზოგადოება, მაგრამ სახელთან ერთად მართლაც იყო მასში სიახლე.

ნაციონალურმა მოძრაობამ იგივე პოზიცია გააჟღერა, რაც ჰქონდა, თან იმავე სახეებით, რაც ადრე ჰყავდა. დაიმატეს რამდენიმე ახალგაზრდაც, მაგრამ ძველ სახეებზე უარი არ უთქვამთ. საკუთარ შეცდომებზეც არ თქვეს უარი, ანუ საკითხები, რის გამოც ისინი ხალხმა არ აირჩია, ღია დარჩა. ამდენად, მას პერსპექტივა არ აქვს.

— **შუალედური არჩევნების შედეგებს რამდენად ლოგიკურად მიიჩნევთ?**

— შედეგები ლოგიკური იყო. კითხვა დაისვა ასე, ხალხი „ქართული ოცნების“ პოლიტიკით უკმაყოფილო არის თუ არა. როგორც შედეგებმა აჩვენა, მათ მიმართ პრეტენზიები ჯერ არ არის.

— **40 პროცენტი ნაძალადევში ცოტა არ არის?**

— კრიტიკულობის დონე თბილისში ყოველთვის მეტი იყო. ისიც გავიხსენოთ, რომ ამ რაიონში ოპოზიციურად განწყობილმა მკვეთრმა ფიგურებმა მოიყარეს თავი. ამიტომ მხოლოდ ამ ფაქტით მსჯელობა ხალხის განწყობილებაზე ძნელია.

— **საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას სამხედრო დოქტრინიდან რუსეთის, როგორც საფრთხის, ამოღების შესახებ. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ გადაწყვეტილებისადმი?**

— თუკი დოქტრინაში აღიარებულია ოკუპაცია, ლაპარაკი იმაზე, მტერი ვინ არის, ზედმეტია. ფაქტია, რომ ვის მიერაც არის ოკუპირებული ტერიტორია, ის არის მტერი, მაგრამ მტერს კიდევ სხვა სპეციფიკა აქვს. მას ებრძვი იარაღით. საქართველომ გამოაცხადა, რომ ოკუპანტის გაყვანა უნდა სცადოს არა იარაღით, არამედ სხვა მეთოდით. აი, მაშინ კი მტრის კვალიფიკაციის მიცემა შეიძლება გაუგებრობის წყარო გახდეს, რადგან მტერთან ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებებს არ აწარმოებენ.

სააკაშვილის ხელისუფლებაში ეს წინააღმდეგობა იყო — ერთი მხრივ, მტრად აცხადებდა რუსეთს და, მეორე მხრივ, კულტურულ ურთიერთობებს ცდილობდა, პარალელურად კი ეკონომიკის კარი გაუღო. ასე რომ, უთანხმოება სახელმწიფოსთან და მისი მტრად გამოცხადება ერთი და იგივე არ არის. მაგალითად, იაპონიას რუსეთთან უთანხმოება დღემდე აქვს, მაგრამ მტრად არ გამოუცხადებია, რადგან მაშინ სამხედრო ენაზე უნდა ელაპარაკოს. უთანხმოების დროს კი ბევრი სხვა რესურსი არსებობს. „ქართული ოცნებაც“ ამ გზით აპირებს წასვლას.

— **დაბოლოს, შეიძლება თუ არა, რომ ლაფანყურის თემის წამოწევამ საქართველო დააზარალოს?**

— საკითხი მკაფიოდ უნდა დაისვას — ეს იყო საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკა თუ კონკრეტული ხელისუფლების. ასეთი მთავრობა შეიძლება ყველგან იყოს. გავიხსენოთ ყველაზე უარესი მაგალითი — ჰიტლერის რეჟიმი. ამაზე მძიმე ფიგურა მსოფლიოს ნაკლებად ახსენდება, მაგრამ რამდენად შეეხო ჰიტლერის მიერ ჩადენილი ცოდვები გერმანელ ხალხს? ხედავთ, რომ არ შეეხო. პირიქით, გერმანელ ხალხს მხოლოდ ამშვენებს ის, რომ აღმოაჩნდათ მონანიების გრძნობა იმ მოვლენების მიმართ, რომელთა ავტორი ჰიტლერი იყო და თანაავტორები კი — მისი ქვეშევრდომები. ლაფანყურის თემამ ქართველები უფრო დააზარალა, ვიდრე ჩრდილოკავკასიელები ან რუსეთი. ამიტომ მონანიება ჩვენთვის პოზიტიური უფრო იქნება, ვიდრე ნეგატიური.

„თუკი საქართველო ტერორისტებს ამზადებდა, ჩნდება კითხვა — მათ ტერორისტულ საქმიანობას რუსულ სივრცეში რაღაც შედეგი ხომ უნდა ჰქონოდა? ქართული ოპერაცია ხომ არ იყო ხრიკი, რომ რუსეთისთვის ტერორისტების საფრთხე შეემსუბუქებინა?".

გარდა ამისა, თუკი საქართველო ტერორისტებს ამზადებდა, ჩნდება კითხვა — მათ ტერორისტულ საქმიანობას რუსულ სივრცეში რაღაც შედეგი ხომ უნდა ჰქონოდა? თუკი ლაფანყურის მოვლენებს განვიხილავთ იმ ჭრილში, რომ საქართველომ მოიზიდა ტერორისტები, რომლის ერთი ნაწილი დააფრთხო და მეორე ნაწილის ლიკვიდაცია მოახდინა, აქ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი — ქართული ოპერაცია ხომ არ იყო ხრიკი, რომ რუსეთისთვის ტერორისტების საფრთხე შეემსუბუქებინა? ეს ვერსია თავისუფლად შეიძლება არსებობდეს. გამოძიებამ კითხვებს პასუხი აუცილებლად უნდა გასცეს.

# რატომ დადგა ბიძინა ივანიშვილის გვერდით მიხეილ მაჭავარიანის ძმა

## ვანო მაჭავარიანი: „იყო დაბარებები, თვალთვალი, განმარტებები..."

ეკონომიკის ექსპერტი ვანო მაჭავარიანი, მიუხედავად ნაციონალებთან „ნათესაური კავშირებისა“, ბიძინა ივანიშვილს თანაუგრძნობს, მაგრამ ეს არ უშლის ხელს „ოცნების“ გუნდის შეცდომები მკაფიოდ დაინახოს და დააფიქსიროს. მას სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის საკმაო გამოცდილებაც აქვს, ასე რომ, ილუზიები ან ერთი, ან მეორე ძალის გადაჭარბებულ შესაძლებლობებზე არ აწუხებს.

ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრემ და ნაციონალი მიხეილ მაჭავარიანის ძმამ „სარკესთან“ საინტერესო დეტალებზე ისაუბრა.

— **ბატონო ვანო, როგორ აფასებთ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განვითარებულ მოვლენებს და მინისტრ კირვალიძის გადადგომას?**

— ნებისმიერი აღმოაჩენდა, რომ მართვის თვალსაზრისით პრობლემები იყო. ამას ისიც დაემატა, რომ სამინისტროსთვის ასათვისებლად ძალიან დიდი თანხები გამოიყო. შეიძლება იყო არასწორი მართვა და კორუფცია, რისგანაც არც ერთი სამინისტრო არაა დაზღვეული, უბრალოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პირველი აღმოჩნდა.

დათოს კარგად ვიცნობ და ეს ამბავი მისთვის დიდი დარტყმაა. მან სცადა, აემოძრავებინა სამინისტრო, მაგრამ გაჩნდა პრობლემები. დათო ის ადამიანი არ არის, ვინც პასუხისმგებლობას გაურბის. დანარჩენი უკვე იმაზეა დამოკიდებული, პრემიერი მის დროებით გადადგომას როგორ აღიქვამს, ანუ ეს იქნება მართლა დროებითი თუ საბოლოო გადაწყვეტილება.

— **სოფლის მეურნეობის რეფორმას და ზოგადად ეკონომიკურ პოლიტიკას იწონებთ?**

— რეფორმა მოკლევადიან შედეგს იძლევა, მაგრამ არა — გრძელვადიანს. მიწების დახვნა საჭიროა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, სად უნდა გაყიდო იმ მიწაზე მოყვანილი პროდუქცია. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქცია ზუსტად ეს არის, რომ შეძლო ბაზრების მოძიება და შენს ბიზნესმენებს მიაწოდო ინფორმაცია, რაზეა მოთხოვნილება. მაგალითად, ქართლში მოგვყავს კომბოსტო, რომელიც ბაზარზე არ სჭირ-



Cyan Magenta Yellow Black



დებათ, სოიო კი მოთხოვნადი პროდუქციაა. შენ ეს საიდან გეცოდინება, თუ სახელმწიფო ხელს არ შეგიწყობს? ამას აკეთებს თურქეთი და სხვა ბევრი ქვეყანა.

**— ხელისუფლება რუსეთის ბაზარზე ამყარებს დიდ იმედს.**

— ერთი რამ არ მესმის — საქართველოს ბაზარი ჯერ კიდევ აუთვისებელია და რუსეთზე ამდენს რატომ ვსაუბრობთ?

**— ხელისუფლება ჯერჯერობით ადგილობრივ წარმოებას არ სწყალობს, პირიქით, ალბათ მოისმინეთ, რომ ადგილობრივი კვერცხის მწარმოებლები ბიზნესის განახევრებას გეგმავენ.**

— სახელმწიფოს პრეროგატივაა, მიიღოს გადაწყვეტილებები იმპორტის და ექსპორტის ტარიფებზე. თურქეთის მაგალითი აიღეთ, აბა, სცადეთ და რამე შეიტანეთ. სამინისტროების საქმეა, პოლიტიკა სწორად წაიყვანონ. ადგილობრივი წარმოების წახალისება აუცილებელია.

**— წინა მთავრობაში თქვენ საინვესტიციო ფონდის ექსპერტ-ანალიტიკოსი იყავით. როგორ აფასებთ დღევანდელი ფონდის მუშაობას, რომელზედაც ასეთ დიდ იმედს ამყარებს ივანიშვილი?**

— თუ მელაპარაკებით ირაკლი კოვზანაძის საინვესტიციო ფონდზე, მისი იქ დანიშვნა არის შეცდომა. მას არანაირი კომპეტენცია არ აქვს. იღებს 20 ათას ლარს ხელფასს, მაგრამ, გარდა ძველი პროექტებისა, რომლებიც წინა ხელისუფლებამ დატოვა, ახალი ინიციატივების შესახებ არაფერი მსმენია. ვისაც შეხვდა, ინვესტორებს ვგულისხმობ, ისინიც უკმაყოფილონი არიან მისი მიდგომებით.

პრემიერის გარემოცვაში არის პოლიტიკოსების და ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ივანიშვილი აფასებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, აღმოაჩენს, რომ ამ პოლიტიკურ გუნდს გადახალისება სჭირდება. ბატონ ბიძინას აქვს ხედვა, ჰყავს ფავორიტები, ვიცი მისი განწყობა სხვადასხვა ადამიანების მიმართ, რომლებიც ძალიან აქტიურები არიან, მაგრამ გეგმას ვერ ვხედავ. დარწმუნებული ვარ, აცნობიერებს იმასაც, რომ ნაციონალების ის გუნდი, რომელიც არის პარლამენტში, თუ კონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებს, საქართველოს განვითარებას მხოლოდ წაადგება. მათ აქვთ ის გამოცდილება, რაც საქართველოში სხვა არც ერთ ჯგუფს გააჩნია, მათ შორის — არც კოალიციას. ეს იციან უცხოეთშიც და ამერიკის შეერთებული შტატები ამიტომაც მოუწოდებს ორივეს, რომ იპოვონ პოლიტიკური გზები საპარლამენტო საქმიანობაში.

**— იმ მთავრობაში ოდესღაც თქვენც იყავით. იქიდან ივანიშვილთან მეგობრობის გამო წამოხვედით?**

— მე არასოდეს ვყოფილვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი. რვა წელი ამერიკაში ვცხოვრობდი. აქ გამიზნულად ჩამოვედი, ჩემი ოჯახი ჩამოვიყვანე, რადგან მინდოდა, საქართველოში მეცხოვრა. მერე საქართველოს ელჩი გავხდი იაპონიაში. შემდეგ დავინახე, რომ ის წარმოდგენები, რაც არსებობდა, იყო გაზვიადებული და სინამდვილეში სისტემა მხოლოდ სააკაშვილსა და რამდენიმე კონკრეტულ ადამიანზე იყო მორგებული. კადრები ინიშნებოდნენ არა პროფესიონალიზმის მიხედვით, არამედ ნეპოტიზმით, რაც ინტრიგებზე იყო დამყარებული. ამას ემატებოდა მუდმივი საუბარი, რომ მე ვარ მიშა მაჭავარიანის ძმა და თურმე ჩემი განათლება ევროპაში, ამერიკაში თუ საქართველოში არაფერი იყო. ამას დაერთო შეუთავსებლობა მინისტრთან, გრიგოლ ვაშაძეს ვგულისხმობ, რომლის პოლიტიკა დამყარებული იყო პოლიტიკურ ტრაბახზე და გავერიდე.

> **„როცა დადგა არჩევანის დრო, მე ვთქვი, რომ საკუთარი ძმის წინააღმდეგ არ წავიდოდი, მაგრამ არჩევნების შემდეგ ყველა შემთხვევაში ივანიშვილის გვერდით დავდგებოდი".**

**— ივანიშვილთან როგორ აღმოჩნდით?**

— როცა გილაურმა საინვესტიციო ფონდი შექმნა და კონკრეტული ადამიანების ინტერესებს მოარგო, როცა გახშირდა ადეიშვილის მხრიდან კონკრეტული პროექტების ლობირება, ამას ხმამაღლა ვაპროტესტებდი. გიორგი მარგველაშვილი ჩემი ახლო მეგობარია, 5 წლიდან ვმეგობრობთ. ერთხელ მასთან ვიყავი მისული. ბიძინაც იქ მოვიდა და ვილაპარაკეთ. ერთადერთი ჩემი წინადადება იყო ის, რომ მე არ მინდოდა შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩარევა, რადგან ჩემი ძმა არის პოლიტიკური ლიდერი და არ მიმაჩნია სწორად, ქართველი, ქრისტიანი ადამიანი საკუთარი ძმის წინააღმდეგ წახვიდე. ბიძინას უნდოდა, მეც ვყოფილიყავი „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, მაგრამ უარი ვთქვი. ჩვენ შორის ძალიან დადებითი ურთიერთობები ჩამოყალიბდა, რადგან თვითონ არის იმდენად დადებითი ადამიანი, რომ შეუძლებელია სხვანაირად იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული პრობლემები შემექმნა — იყო დაბარებები, თვალთვალი, განმარტებები, მასთან ურთიერთობებს ვაგრძელებდი. როცა დადგა არჩევანის დრო, ვთქვი, რომ საკუთარი ძმის წინააღმდეგ არ წავიდოდი, მაგრამ არჩევნების შემდეგ ყველა შემთხვევაში ბიძინას გვერდით დავდგებოდი და ამაზე თანხმობა მივიღე. რა დასამალია, ბევრს არ მოსწონდა ივანიშვილთან ჩემი ასეთი ახლო ურთიერთობა და, ეტყობა, ინტრიგები წავიდა. ბოლო შეხვედრა შემთხვევით მოხდა ჯაზფესტივალზე და ამან ცხადყო, რომ ისევ კეთილგანწყობილები ვართ.

არჩევნების წინ გილაურმა თათბირი ჩაატარა და კატეგორიულად მოითხოვა, რომ ვინც ნაციონალებს ხმას არ აძლევდა, განცხადება დაეწერა და წასულიყო. ვუთხარი, რომ ეს არაწორი იყო და დამპირდა, რომ არჩევნების მერე გამათავისუფლებდა, რაც გააკეთა კიდეც — ჩემი გათავისუფლების ბრძანება დაწერა, მაგრამ პარადოქსი არის ის, რომ გილაურის ბრძანება ირაკლი კოვზანაძემ ძალაში დატოვა. მითხრა, ვიცი თქვენი კომპეტენციის შესახებ, მაგრამო... მიმანიშნა, რომ ვიყავი მიშა მაჭავარიანის ძმა.

ფონდში არის მაქინაციები, რაც გილაურის ინტერესებში შედის, მაგრამ კოვზანაძე რატომღაც ამაზე არ საუბრობს. ეტყობა, რაღაცეებზე შეთანხმდნენ.

მე კი მაქვს საინვესტიციო ფირმა, შემოვიტანე ახალი პროექტები საქართველოში. გარდა ამისა, გავაკეთე კვლევითი ცენტრი „ჯიპაში“, ასევე ვკითხულობ ლექციებს „ჯიპაში“. სასაცილო ის არის, რომ პერიოდულად მირეკავენ და მილოცავენ, გავიგე, რომ ივანიშვილთან მიდიხარ მრჩევლად ან კონკრეტულ თანამდებობაზე დაინიშნეო.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატურებად ვის ხედავთ?**

— გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის განხილვა რეალურია. ნაციონალების კანდიდატი, რეიტინგიდან გამომდინარე, ალბათ უფრო დავით ბაქრაძე იქნება. იქნებიან სხვა კანდიდატებიც — ბურჯანაძე, ხაბურზანია, ნათელაშვილი, მაგრამ მათი პოლიტიკური კარიერა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ეს ფილმი ნანახი აქვს საზოგადოებას და არა მგონია, ისევ ნახოს.

**— თქვენს ძმას არჩევნების გამყალბებელს რომ ეძახიან, არ გწყინთ?**

— მიშა არასოდეს მრევდა თავის საქმეებში და არც მე ვერეოდი. ეს კითხვა მეც მქონდა და მიპასუხა — ჩვენ გავაკეთეთ მაქსიმუმი, მაგრამ ხალხს რაც უნდოდა, ის მივიღეთო. მან თავისი საქმე კარგად იცის და ეს ნაციონალური მოძრაობის შიგნითაც იციან და კოალიციაშიც. მიუხედავად იმისა, ცდილობს, ბევრი რამ აირიდოს, მაინც უწევს დამაკავშირებელ რგოლში ყოფნა, რომ საპარლამენტო პროცესი სწორად წარიმართოს. როგორც პოლიტიკოსს, გამოცდილება აქვს. თუ რას იმსახურებს, საზოგადოებამ განსაზღვროს მისი ცხოვრების წესით, თორემ ჭორებით შეიძლება ადამიანს ყველაფერი დააბრალო.

**— მიშას წილებზე სულ იყო საუბარი...**

— სად არის, მანახეთ! ალბათ ჯერ არ აუკრძალავთ მანქანის და ბინის ქონა, მე სხვა ინფორმაცია არ მაქვს. პირიქით, ბევრს უთქვამს ჩემთვის, გვერდში დამიდგაო. შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ, როცა ბიძინას ბიზნესს პრობლემები შეექმნა, მის ძმას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაეხმარა, მაგრამ ყველაფერს ვერ მოაგვარებ, როცა სისტემაა ჩართული.

**— ძმები როცა პოლიტიკაზე საუბრობთ, ხმას უწევთ?**

— მე უფრო ველაპარაკები და ის მისმენს. მას აქვს თავისი აზრი, მე — ჩემი. არ არის რადიკალი.

**— სწორედ ამის გამო ვარაუდობენ, რომ ნაციონალების რადიკალურ შტოს კონსტრუქციული ფრთა გამოეყოფა და მაჭავარიანიც იქ იქნება.**

— ამის წინაპირობას ვერ ვხედავ, პირიქით, მასობრივმა შეტევამ, რაც ახალი ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო, ეს გუნდი უფრო გააძლიერა. სააკაშვილი არ უნდა მიაყენო კუთხეში და ეს რომ არასწორი სვლა იყო, ამ მთავრობამ უკვე იწვნია, განსაკუთრებით — საზღვარგარეთ.

**✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**



Cyan Magenta Yellow Black

# „ბავშვებს თურმე ჩემი გვარით წყევლიდნენ, ჩემგან საფრთხობელას ქმნიდნენ“

## გიორგი ზერეკიძის ციხეში დარჩენილი ბავშვობა



გიორგი ზერეკიძე 14 წლის იყო, როდესაც ანგარების მიზნით მკვლელობის მცდელობის, ხულიგნობისა და ყაჩაღობის ბრალდებით დააპატიმრეს და 7 წელი მიუსაჯეს. ამ ხნის განმავლობაში ციხეში ყველა ის საშინელება ნახა, რაც საზოგადოებისათვის გასული წლის სექტემბერში გახდა ცნობილი და რამაც საქართველოში ნაციონალების რეჟიმი შეცვალა.

გიორგის პატიმრობით მათი ოჯახის ტრაგედია არ დამთავრებულა. ზერეკიძის საქმე სტრასბურგში გასაჩივრდა, მაგრამ პოლიციის მაღალჩინოსნები ოჯახს დაჰპირდნენ, რომ საქმის უკან გამოთხოვის სანაცვლოდ გიორგის გაათავისუფლებდნენ. ამის მაგივრად კი გიორგის მამა, მამუკა ზერეკიძე, დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. რამდენიმე თვის შემდეგ მამუკა ზერეკიძე საკანში მკვდარი იპოვეს. ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით, მას კისრისა და თავის არეში დაზიანებები აღენიშნებოდა.

2010 წელს გიორგი ციხიდან გამოვიდა, მაგრამ 2 თვეში ისევ 8 წლიანი პატიმრობა შეეფარდა. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის პოლიტპატიმრის სტატუსით, 21 წლის ასაკში, 2013 წლის 13 იანვარს გათავისუფლდა. ახლა იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია და პარალელურად არასამთავრობო ორგანიზაციაში ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობს. მან კოლონიაში ყოფნისას ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში.

გიორგი „სარკეს“ იმ განსაცდელის შესახებ უამბობს, რომლის გავლაც თითქმის ბავშვს მოუწია:

— ძალიან მძიმეა, როდესაც 14 წლის ასაკში ციხეში ხვდები. ერთ დღეში აბსოლუტურად სხვა სამყაროში მომიწია გადასვლა. ამაზე რთული ის დამოკიდებულება იყო, რასაც ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა და თავად ქვეყნის პრეზიდენტისგან ვგრძნობდი. საქართველოს პრეზიდენტი, პროკურორი, თავად განათლების მინისტრიც კი მდევნიდნენ. ჩემს დისკრედიტაციას, იმიჯის შელახვას ცდილობდნენ. უნდოდათ, რომ ცუდი მაგალითი გავმხდარიყავი. ეს მას შემდეგ გავაცნობიერე, რაც წამოვიზარდე და ყველაფერს სხვანაირად შევხედე. სრულიად მარტო, უმწეო აღმოვჩნდი ციხეში ამხელა ბოროტების მანქანის წინააღმდეგ.

**— გამოძიებას თქვენ წინააღმდეგ რა ფაქტები ჰქონდა?**

— დაზარალებულს იმდენად უმნიშვნელო ნაკაწრი ჰქონდა, რომ ადგილზევე აღმოუჩინეს დახმარება. გამოძიებას ჩემ წინააღმდეგ მტკიცებულებები არ გააჩნდა. ყველაფერი გაყალბებული იყო. დაზარალებულს ჩვენებაში ეწერა, რომ მისი მოკვლა მინდოდა, რომ ვაყაჩაღებდი. მაშინდელმა გამოძიებამ მხოლოდ სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის გაყალბება ვერ შეძლო, რომლის მიხედვითაც დაზარალებულს 2,5 სანტიმეტრიანი გამავალი ჭრილობა ჰქონდა. მერე დაზარალებულმა ჩვენება შეცვალა და სიმართლე თქვა, მაგრამ დააკავეს, ამიტომ ისევ პირვანდელ ჩვენებას დაუბრუნდა და მკვლელობის მცდელობაში დამადანაშაულა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გაათავისუფლეს. პირველმა ინსტანციამ ყაჩაღობის მუხლი მომიხსნა, მეორე ინსტანციამ კვალიფიკაცია შემიცვალა, 108-ე მუხლით გამასამართლეს, რომელიც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. მე 7 წელი განმესაზღვრა.

**— ასე მოხვდით არასრულწლოვანთა კოლონიაში. იქ რა პირობები დაგხვდათ?**

— იმ წლებმა კარგი რაღაცეებიც მასწავლა. ეს გამოცდილება მთელი ცხოვრება გამომადგება. ციხეში მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობდი. იქ მყოფებიდან ზოგიერთს გარეთაც ვიცნობდი. მათთან ურთიერთობა ძალიან მეხმარებოდა. მინდოდა, სტუ-

**„დანაშაული ვაღიარე, ოღონდ მხოლოდ ის, რაც ჩავიდინე — წვრილმანი ხულიგნობა. გაცილებით დიდი დანაშაული ისაა, ამის გამო 7 წელი მომისაჯო და ასე დამიპირისპირდე".**

დენტი ვყოფილიყავი და ჩემი თანატოლებივით მეცხოვრა. დაგვპირდნენ, რომ ვინც ეროვნულ გამოცდებს წარმატებით ჩააბარებდა, გაათავისუფლებდნენ. მე გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. სტუდენტებს პრეზიდენტი გვიწყალებდა, მაგრამ ციხეში ერთი ამბავი ატყდა, პრეზიდენტთან ჩემი გვარი შეწყალებისთვის არ გადააგზავნეს, კრიმინალმა ზერეკიძემ სამართალმცოდნეობაზე როგორ ჩააბარაო. სხვა ბავშვები გაათავისუფლეს, მე კი ისევ ციხეში დავრჩი.

**— ციხიდან როგორ მოახერხეთ უნივერსიტეტში ჩაბარება?**

— გამოცდებზე გასასვლელად ჩემმა მშობლებმა დამარეგისტრირეს. მათ სახელმწიფოსგან ჰქონდათ გარანტია, რომ, თუ სტრასბურგის სასამართლოდან სარჩელს გამოიტანდნენ, გამათავისუფლებდნენ. ამის შემდეგ ჩემი მშობლები სტრასბურგში წავიდნენ საქმის უკან გამოსათხოვად. იქიდან რომ მოდიოდნენ, დედაჩემს ბარგში ნარკოტიკი ჩაუდეს და მამა იძულებული გახდა, თავის თავზე აეღო. ამ ამბების შემდეგ გამოცდები მაინც ჩავაბარე. იმ პერიოდში სახელმწიფო გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი იყო, ამიტომ ჩემი შედეგები ვერ გააყალბეს. როდესაც ჩარიცხულთა სია გამოქვეყნდა, მაშინდელმა განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თქვა, რომ პატიმრებიც აუცილებლად გავხდებოდით სტუდენტები, ამისათვის პრეზიდენტის შეწყალებას ველოდით. ბოლოს სხვა პატიმარ ბავშვებსაც დაუგვიანდათ გათავისუფლება, რადგან ვერ გაეგოთ, ჩემთვის რა მოეხერხებინათ. მაშინ თეა თუთბერიძემ თქვა, ზერეკიძე პოლიტიკური ნიშნითაა დაკავებული, ის სტუდენტი გახდა, მასთან ერთად სხვა ბავშვებმაც მოიპოვეს სტუდენტის სტატუსი, მაგრამ ვინაიდან ზერეკიძის გამოშვება არ ხერხდება, ჯერჯერობით სხვა ბავშვებსაც ვერ ათავისუფლებენო.

**— სასამართლოზე დანაშაული აღიარეთ?**

— ვაღიარე, ოღონდ მხოლოდ ის, რაც ჩავიდინე — წვრილმანი ხულიგნობა. გაცილებით დიდი დანაშაული ისაა, ამის გამო 7 წელი მომისაჯო და ასე დამიპირისპირდე.

**— დაზარალებულთან შელაპარაკება რატომ მოგივიდათ, ადამიანი რატომ დაჭერით?**

— დაზარალებულს იმ შემთხვევამდე არ ვიცნობდი. ის ერთ-ერთი ფირმის დისტრიბუტორი იყო და მანქანა იქ ეყენა, სადაც მამა აჩერებდა ხოლმე. ვიკითხე, ეს ავტომობილი ვისია-მეთქი. მინდოდა, მეთქვა, რომ გადაეყენებინა, რადგან მამა აპირებდა მოსვლას. მითხრა, ვინ ხარ, შე ლაწირაკო, რა შენი საქმეაო. შევლაპარაკდით და შეხლა-შემოხლის დროს ისე მოხდა, რომ ბრელოკის დანით ზურგი გავუკაწრე. განზრახ მისთვის ზიანი არ მიმიყენებია. ამის შემდეგ მამასთან ერთად პოლიციაში გამოვცხადდი. მეგონა, უბრალოდ შენიშვნას მომცემდნენ, რომ შემდგომში ასეთი რაღაც აღარ განმეორებულიყო. ამის მაგივრად ამდენი წელი გამომკეტეს და შოლტიდან დაწყებული ყველაფრით გამისწორდნენ.

ვერ აღგიწერთ, ახალაიას ციხეში ყოველდღე პატიმრები რას განვიცდიდით. იყო ძალიან დიდი სტრესი, უიმედობა, ბოროტება, მხოლოდ ცუდის მოლოდინი. იქ აკეთებდნენ ყველაფერ იმას, რაც მოუნდებოდათ.

**— თავად ბაჩო ახალაია მოდიოდა ციხეში?**

— კი, გვქონდა „სიამოვნება“, სტუმრის სტატუსით მოსული ბატონი ბაჩო გვენახა. ახლა, როცა უკვე თვითონაა პატიმარი, ალბათ დაფიქრდება ყველაფერზე, მაგრამ ძალიან გვიანია. მან და მისმა ოჯახმა იმდენი ადამიანი გააუბედურა, მისი სინანული ბევრს ვერაფერს შეცვლის.

**— შესწრებიხართ, რომ ახალაია თავად უყურებდა, როგორ უსწორდებოდნენ პატიმრებს?**

— კარანტინის დაშლისას გლდანის ციხის დირექტორი დეპარტამენტის სხვა მაღალჩინოს-

**„გამომიყვანეს და მაყურებინებდნენ, როგორ სცემდნენ 120 ადამიანს. თვალებს ვხუჭავდი, ყურებზე ვიფარებდი ხელებს, რომ არ დამენახა, როგორ უსწორდებოდა 8 ჯალათი სათითაოდ ყველა პატიმარს".**

ნებთან ერთად პატიმრებს ფიზიკურად უსწორდებოდა. ძალიან დიდი სტრესია, როდესაც გესმის, როგორ ურტყამენ, გესმის მათი ყვირილი და ამ დროს შენც რაღაც ჯურღმულში ზიხარ, ვერსად მიდიხარ, ვერაფერს აკეთებ, აბსოლუტურად დაუცველი ხარ. გლდანის ციხესთან შედარებით სხვა საპყრობილეებში გაცილებით უკეთესი სიტუაცია იყო. წიგნის კითხვა მაინც შეგეძლო.

**— რამდენ ხანს მოგიწიათ გლდანის ციხეში ყოფნა?**

— იქ 8 თვიანი კოშმარი გამოვიარე და შემდეგ რუსთავში გადამიყვანეს. საშინელი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო ჩემზე. საკნიდან



Cyan Magenta Yellow Black

ჩამიყვანდნენ ჯურღმულში, სადაც კარანტინი იყო და არაადამიანურ პირობებში მამყოფებდნენ. იქ 6 კაციან საკანში 30-მდე პატიმარი ვიყავით და ერთი კვირის განმავლობაში ფეხზე დგომა გვიწევდა. ერთი კვირის შემდეგ გამომიყვანდნენ და მაყურებინებდნენ, როგორ სცემდნენ 120 ადამიანს. თვალებს ვხუჭავდი, ყურებზე ვიფარებდი ხელებს, რომ არ დამენახა, როგორ უსწორდებოდა 8 ჯალათი სათითაოდ ყველა პატიმარს.

**— ამ ყველაფერს როგორ გაუძელით, რამ გაგაძლიერათ?**

— იმ რესურსმა, რაც ოჯახიდან მქონდა. ძალიან ბევრი წუხდა ჩემ გამო და სწორედ მათი თანადგომა იყო ჩემი ძალა. ბევრი ცნობილი ადამიანი დამიდგა გვერდით.

**— ბევრი დაუკავებიათ იმავე ბრალდებებით, რაც თქვენ წაგიყენეს, მაგრამ ასეთი აურზაური არ ატეხილა. როგორ ფიქრობთ, თქვენ რატომ ამოგიჩემეს?**

— ნაციონალების 9 წლიან მმართველობას თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ უნდოდათ, ადამიანებისგან საშინელებები შეექმნათ. ჩემი ამბავიც მათი პოლიტიკის ნაწილი იყო. ჩემს თაობაში ყოველთვის ცუდ მაგალითად მასახელებდნენ. ერთმა ქალმა მითხრა, თურმე ბავშვებს წყევლიდნენ, შენ გამოდი ზერეკიძე, შენ დაადექი ზერეკიძის გზასო. აი, ასეთი საფრთხობელა შექმნეს ჩემგან.

**— 2010 წლის 24 მარტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მამათქვენი დააკავეს. მას ბარგში 230 აბი სუბოტექსი აღმოუჩინეს...**

— როგორც გითხარით, ჩემს მშობლებს უთხრეს, სტრასბურგიდან საჩივარს თუ გამოიტანთ, თქვენს შვილს გაათავისუფლებენო. მართლაც გამოვითხოვეთ საქმე უკან და იქიდან პასუხი მოგვივიდა, რომ რაღაც პროცედურის შემდეგ საქმეს გადმოგვცემდნენ. მამას უთხრეს, ეს საკმარისი არ არის და სტრასბურგში უნდა წახვიდეო. როგორც ჩანს, ყველაფერი დაგეგმილი იყო. უნდოდათ, ისეთი სიტუაცია შეექმნათ, ვითომ იქიდან ნარკოტიკები ჩამოიტანა. მათი მიზანი მამაჩემის, ჩვენი ოჯახის საბოლოოდ მოსპობა იყო. მამას სამუდამო პატიმრობა შეეფარდა.

**„მამა საკანში გარდაცვლილი იპოვეს, მიზეზად დენის დარტყმა დაასახელეს, მაგრამ დედამ გვამისთვის ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. დასკვნაში წერია, რომ დენის კვალი არ აღმოჩნდა. კისრისა და თავის არეში ჰქონდა ფიზიკური დაზიანებები, რაც შესაძლოა ბლაგვი საგნით იყოს მიყენებული".**

წელიწადნახევრის შემდეგ მამა საკანში გარდაცვლილი იპოვეს, მიზეზად დენის დარტყმა დაასახელეს, მაგრამ დედამ გვამისთვის ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. მათ დასკვნაში კი წერია, რომ დენის კვალი არ აღმოჩნდა. მამას კისრის და თავის არეში ჰქონდა ფიზიკური დაზიანებები, რაც შესაძლოა ბლაგვი საგნით იყოს მიყენებული.

**— ანუ დენმა კი არ დაარტყა, მოკლეს?**

— დამოუკიდებელი ექსპერტიზა სიკვდილის ზუსტ მიზეზს არ ამბობს, თქვეს, ამ დაზიანებებს შესაძლოა სიკვდილი გამოეწვიაო. მამას გარდაცვალების საქმე ბურუსითაა მოცული. ჯერჯერობით დანაშაულის კვალი ვერავისთან მიდის, მაგრამ დავით მარგებაძეს,რომელიც მაშინ რუსთავის მე-6 საპყრობილის დირექტორი იყო, აუცილებლად ექნება მონაწილეობა მიღებული ამ ყველაფერში. საქმეს პროკურატურა იძიებს და დიდი იმედი მაქვს, მალე გავიგებთ, რა მოხდა სინამდვილეში.

**— 2010 წლის 14 დეკემბერს გაგათავისუფლეს, მაგრამ ორ თვეში ისევ ციხეში აღმოჩნდით. ამჯერად რა ბრალდებით?**

— ციხიდან რომ გამოვედი, ოპოზიციური პარტიები ხელისუფლების წინააღმდეგ აქციებს მართავდნენ. მათ გვერდით დადგომას ვაპირებდი, რადგან ციხეში ყოფნის დროს ისინი მედგნენ გვერდში. არ შემეძლო და არც არასოდეს ვაპატიებდი თავს, გათავისუფლების შემდეგ ხმა არ ამომეღო. სწავლის დაწყებასაც ვაპირებდი. უბნის პოლიციის უფროსი ჩემს სიძეს დაუკავშირდა და უთხრა, რომ ჯობდა, საქართველოდან წავსულიყავი. რომ არ წავედი, ზურაბ ადეიშვილმა უბნის პოლიციის უფროსს უთხრა, ამდენ ხანს ზერეკიძე რატომ დადის თავისუფალიო. ჩემს უბანში ბიზნესმენი შაოშაძე ცხოვრობს. მთელმა ოჯახმა მიჩივლა, თქვეს, რომ ვითომ ყველა მათგანი ვცემე. მიზეზს არ ასახელებდნენ. გიჟი ვარ, სახლში მივვარდნოდი და არაფრის გამო ყველა მეცემა?

**— შაოშაძეებთან ინციდენტი არ მოგსვლიათ?**

— ჩემს სახლთან მოცვივდნენ და იგინებოდნენ. მესამე სართულის ფანჯრიდან გადავიხედე და ავტომატურად მეც დავუბრუნე გინება. დაბლა არც ჩავსულვარ.

**— ასე უმიზეზოდ გაგინებდნენ?**

— კი, სადარბაზოს კარზე რკინის ნაგლეჯს აბრახუნებდნენ. მეზობლები მოწმის სახით დაკითხეს და ისინი მოყვნენ, თუ როგორ მომიცვივდნენ. არ ვიცი, რა უნდოდათ, ალბათ ის, რომ ავყოლოდი.

**— რა თქვით სასამართლოზე, დანაშაული აღიარეთ?**

— არა, რას ვაღიარებდი, რაც არ ჩამიდენია? პირველად რაღაცაში მეც ვტყუოდი, მაგრამ ამჯერად არაფერი დამიშავებია. აღიარებითი ჩვენება არ მიმიცია. საბოლოოდ მაინც ისე მოხდა, რომ ხულიგნობაზე 8 წლიანი პატიმრობა შემეფარდა. მამას დაღუპვის შემდეგ ზედმეტად არ მეხებოდნენ.

**— ელოდით გათავისუფლებას?**

— რა თქმა უნდა. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ აღიარებული პოლიტპატიმარი ვიყავი, ეს ორგანიზაციები კი საპარლამენტო კომისიაში შედიოდნენ. პოლიტპატიმრის სტატუსს 5 კრიტერიუმი განსაზღვრავს და მე მხოლოდ ერთი ვერ დავაკმაყოფილე — პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ 14 წლისა პარტიაში ვერც ვიქნებოდი. 13 იანვარს დავტოვეთ ციხე მე, მელორ ვაჩნაძემ, ვახო მაისაიამ და სხვა პოლიტპატიმრებმა. ჩემი უფლებები აღდგება, ნასამართლეობასაც მომიხსნიან. ვფიქრობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება დაგვეხმარება რეაბილიტაციაში.

**— ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციაში ხართ. რას აკეთებთ, რა პრობლემებზე მუშაობთ?**

— ესაა სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი. ამ ორგანიზაციაში არიან ლევან გოგიჩაიშვილი, ვახო მაისაია... ორგანიზაცია ადამიანის უფლებებს იცავს, სხვადასხვა პროექტებს წერს. ახლა უპატრონო ბავშვთა სახლებზე გავაკეთეთ ძალიან კარგი პროექტი და დაფინანსდა. ვეცდებით, ყველა ის პრობლემა გადავჭრათ, რაც დღევანდელ რეალობაში არსებობს.

**— დაქორწინებაც მოასწარით. 7 წელი ციხეში გაატარეთ და შეყვარება როდის მოახერხეთ?**

— როცა მივხვდი, რომ დაპატიმრების საფრთხე აღარ მემუქრებოდა, გადავწყვიტე, ოჯახი შემექმნა. ის მეორე კლასიდან მიყვარს, სხვა შემთხვევაში ვერ მოვასწრებდი ვიღაცის გაცნობას. ჩემი პირველი სიყვარულია. ჩვენ ახლახან შევუღლდით. ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობთ.

✓ **ქეთი დინოშვილი**

# სასტიკი სიყვარული უნივერსიტეტის კედლებში

## ცალმხრივად შეყვარებულმა ბიჭმა გოგონა მოაჯირიდან გადააგდო

23 წლის სტუდენტი გოგონა გვანცა ადამია, როგორც ამბობენ, მასზე შეყვარებული ბიჭის მსხვერპლი გახდა — ის დიდი სიმაღლიდან გადმოაგდეს. ეჭვმიტანილიც სტუდენტია, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხეკურსელი ლევან ღონღაძე. უბედური შემთხვევა 1 მაისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა. ღონღაძე დაკავებულია. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 მუხლით მიმდინარეობს, რაც, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. თუ რა მოხდა სინამდვილეში, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. შემთხვევას თვითმხილველებიც ჰყავს, მათ სამართალდამცავებს ჩვენებები უკვე მისცეს.

გადმოვარდნილ გოგონას ადგილზე დახმარება უნივერსიტეტის ექიმმა აღმოუჩინა, შემდეგ კი სასწრაფო დახმარებამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

გვანცა ადამიას მკურნალი ექიმი მერაბ ჯანელიძე ამბობს, რომ გოგონას ამჟამინდელი მდგომარეობა მძიმეა. ის სუნთქვის მართვის აპარატზეა მიერთებული. სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, მენჯის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, მუცლის ღრუს დახურული ტრავმა აქვს შინაგანი სისხლდენით, რომელიც ღვიძლის მრავლობითი ნახეთქი ჭრილობის შედეგია, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, არის სანუგეშო ინფორმაციაც.

— გოგონა კონტაქტურია, თერმოდინამიკური მაჩვენებლები ნორმაში აქვს, ადეკვატურია. შეუძლია ფურცელზე დაწეროს კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით მისი რეანიმაციულ განყოფილებაში ყოფნა აუცილებელია.

ასეთი დაზიანებების შემდეგ გარკვეული რისკები, პრობლემები არსებობს, რაც შეიძლება ამ სიტუაციას დაერთოს. ბევრი სისხლი დაკარგა, ამიტომ სისხლის საკმაო რაოდენობით გადასხმაც დასჭირდა. ➔22

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

გვანცას გარეგანი დაზიანება, ჰემატომები, უამრავი დაჟეჟილობა აქვს. ეს სიმაღლიდან ვარდნას ახასიათებს, მაგრამ საშიში არ არის. თავზე ჩატარებული ტომოგრაფიული გამოკვლევით დადგინდა, რომ პაციენტს ტვინში რაიმე პათოლოგია არ აღენიშნება. ეს უკვე დამაიმედებელია, — უთხრა „სარკეს“ ექიმმა მერაბ ჯანელიძემ.

**— რა ოპერაცია ჩაუტარდა გოგონას?**

— გაუკეთდა ლაპარატომია, მოხდა ღვიძლის ნახეთქი ჭრილობების დამუშავება, გაკერვა და მუცლის ღრუს სტენირება. უტარდება ყოველდღიური მონიტორინგი, რენტგენოლოგიური და ექოსკოპიური კონტროლი. გაუკეთდა კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელსაც უახლოეს დღეებში გავიმეორებთ. პაციენტი დინამიკური მეთვალყურეობის ქვეშ არის.

**— ანუ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

— ვიცი, რომ კარგად იქნება. როგორც ექიმს, ამის დიდი სურვილი მაქვს. წესით, არაფერი უნდა მოხდეს, მაგრამ რაც ჩამოგითვალეთ, იმ დაზიანებებს, ღმერთმა დაგვიფაროს და, შეიძლება ძალიან საშიში გართულებებიც ახლდეს თან. ამის საწინააღმდეგოდ ყველა ზომას ვიღებთ.



■ გვანცა ადამია

**„ბიჭს ასპროცენტიანი გრანტი აქვს აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე კარგი აბიტურიენტი იყო... ეს ბიჭი კარგად სწავლობდა და არც უზრდელი იყო“.**

■

იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული გვანცა ადამიასაც კარგად იცნობს და ლევან ღონღაძესაც. ორივე მისი სტუდენტია. მათ ურთიერთობაში საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. იმ დღესაც ნახა, კიბის მოაჯირთან როგორ საუბრობდნენ.

**— ბატონო ირაკლი, გვიამბეთ, რა მოხდა იმ დღეს.**

— ეს შემთხვევა დაახლოებით დღის 3-ის 4-5 წუთზე მოხდა. ყოველ საათზე ლექცია იწყება, რომელიც 2 საათს გრძელდება. მაგალითად, როცა 2 საათზე ლექცია იწყება, უნივერსიტეტის დერეფანი დაცარიელებულია, რადგან სტუდენტები ლექციებზე შედიან. შესაბამისად, იმ საათებში დერეფანში ხალხის ნაკლებობაა. ეს შემთხვევა მეორე სართულზე, ფიზიკის დიდი აუდიტორიის პირდაპირ მოხდა. კიბეს საკმაოდ მაღალი მოაჯირი აქვს. გოგონა და ბიჭი ამ მოაჯირთან დიდხანს იდგნენ და საუბრობდნენ. ეს ზუსტად დეკანატის პირდაპირაა, მეც ხშირად მიხდება იმ ადგილას გავლა.

არანაირი ყვირილის ან ჩხუბის ხმა არ გამიგია. ახლა ვიხსენებ, რომ ის გოგო და ბიჭი იდგნენ და საუბრობდნენ. ეს ბიჭი ჩემი სტუდენტი იყო, წინა სემესტრში ვუკითხავდი ლექციებს, გოგონას ახლა ვასწავლი. მოკლედ, როცა ისინი დერეფანში საუბრობდნენ და მე ჩავიარე, უცნაური რამ არ შემინიშნავს. როგორც ჩანს, როცა იქ აღარავინ იყო, ეს შემთხვევა მაშინ მოხდა. ყველაფერი სათვალთვალო კამერის მიერაა დაფიქსირებული. როგორც მიყვებიან, ვიდეოჩანაწერი საშინელი სანახავია... ერთი სიტყვით, როცა დერეფანი დაცარიელდა, ბიჭმა ამ საწყალ გოგოს ხელი ჰკრა და მეორე სართულიდან გადააგდო. ამ შენობას ნულოვანი სართულიც აქვს. შესაბამისად, გამოდის, რომ გოგონა სამი სართულის სიმაღლიდან არის ჩამოვარდნილი. ეს სართულები კი ტრადიციული სიმაღლის არ არის, ძველი შენობაა და თითო სართული დაახლოებით, 6 მეტრია.

კიდევ კარგი და მადლობა ღმერთს, რომ ამ ბიჭმა ისე გადააგდო, რომ გვანცა პირით მიწისკენ წავიდა და ხელებით დაეცა. ამიტომაც აქვს მენჯის მოტეხილობა. დაცემისას სისხლი არ დაქცეულა, სისხლისდენა შიგნით მოხდა. უკნიდან რომ გადავარდნილიყო ან თავით დაცემულიყო, ალბათ დავიღუპებოდით.

სანახავად ვიყავი და კალმით დაწერა, მამა შემოვიდესო. საავადმყოფოში ბიჭის დედაც მოვიდა, ტიროდა, გოგონას დედასთანაც მივიდა. გოგოს მშობლები სენაკში ცხოვრობენ და იქიდან ჩამოვიდნენ.

**— ვინ დაინახა ეს ყველაფერი?**

— თვითმხილველები არიან, რომლებიც უკვე დაკითხეს. რამდენიმე სტუდენტი იმ დროს კიბეზე ადიოდა და დაინახეს, რაც მოხდა. ყვირილი ატეხეს, ჩვენი უნივერსიტეტის ექიმს გამოუძახეს, გვანცას პირველადი დახმარება მან აღმოუჩინა. შემდეგ სასწრაფო დახმარება, პოლიციაც მოვიდა.

**— რა შეგიძლიათ გვითხრათ გვანცასა და ლევანზე?**

— ეს გოგონა ჩვენს უნივერსიტეტში მობილობის წესით სამედიცინო უნივერსიტეტიდან გადმოვიდა. ნორმალურად სწავლობდა, კარგი ნიშნების ფურცელი აქვს. ბიჭი კი თავიდანვე ჩვენთან ჩაირიცხა, მას ასპროცენტიანი გრანტი აქვს აღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე კარგი აბიტურიენტი იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში, თუ არ ვცდები, მეშვიდე სემესტრია, კარგი ნიშნები აქვს. ლექტორები ვსაუბრობდით, ორივე სტუდენტს ვიხსენდებდით. უცნაურობა მათთვის არ შეგვინიშნავს. ეს ბიჭი კარგად სწავლობდა და არც უზრდელი იყო. ხომ იცით, ზოგიერთი სტუდენტი როგორია, შეპასუხება იციან. მსგავსი რამ ამ ბიჭისთვის არ შეგვინიშნავს... ვნახოთ, როგორ წარიმართება გამოძიება. ამაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, დანარჩენი სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა.

**— გვანცას და ლევანს ერთად ხშირად ხედავდით? ზოგი ამბობს, შეყვარებულები იყვნენო, ზოგიც — ის ბიჭი დასდევდა და გოგოს არ უყვარდაო.**

— მე ისინი ერთად არ მინახავს. როგორც გოგონას ჯგუფელები ამბობენ, ეს ბიჭი სულ დასდევდა, ალბათ უყვარდა. გვანცას არ მოსწონდა. ჩვეულებრივი, სტუდენტური, ახალგაზრდული ისტორიაა, რომელიც, სამწუხაროდ, ასე დამთავრდა. ღმერთმა გადაგვარჩინა, რომ გოგონა არ დაიღუპა. საინტერესოა, ამ ბიჭს რა დაემართა. შესაძლებელია, ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზეც გაუშვან.

**„ზოგი ამბობს, ხელი ჰკრა და გადააგდოო, ზოგი კი – ხელში აიყვანა და ისე გადმოაგდოო. ამის შემდეგ ეს ბიჭი ერთ-ერთ ლექტორთან მივიდა და უთხრა, გვანცა მე გადავაგდეო. როცა გონზე მოვიდა და მიხვდა, რაც გააკეთა, უთქვამს, დუმილის უფლებით ვსარგებლობ, დამიმტკიცეთ, რომ მე გადავაგდეო“.**

■

გვანცას თანაკურსელებს და მეგობრებს ამ ამბის გახსენება ძალიან უჭირთ. დღემდე ვერ გარკვეულან, რა მოხდა. მათ „სარკესთან“ ზოგიერთი დეტალი გაიხსენეს.

**გვანცას თანაკურსელი:**

— როცა ეს მოხდა, ბიბლიოთეკაში ვიყავით. საშინელი კივილის ხმა გავიგონეთ. როგორც გავარკვიეთ, გოგონა გადმოაგდეს. ბავშვები შოკში იყვნენ... როგორც ჩანს, გვანცა არც ელოდა, რომ ის ბიჭი გადააგდებდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ისინი ერთმანეთს ხმამაღლა ესაუბრებოდნენ. ზოგი ამბობს, ხელი ჰკრა და გადააგდოო, ზოგი კი — ხელში აიყვანა და ისე გადმოაგდოო. ამის შემდეგ ეს ბიჭი ერთ-ერთ ლექტორთან მივიდა და უთხრა, გვანცა მე გადავაგდეო. როცა გონზე მოვიდა და მიხვდა, რაც გააკეთა, უთქვამს, დუმილის უფლებით ვსარგებლობ, დამიმტკიცეთ, რომ მე გადავაგდეო.

შემდეგ ვიდეოჩანაწერი ამოიღეს და ნახეს, რომ გვანცა მართლაც ამ ბიჭმა გადააგდო. სასწრაფო დახმარება რომ მოვიდა, თქვეს, საოცარია, როგორ გადარჩაო. იმ წუთას კისერი კი აამოძრავა, მაგრამ მკვდრის ფერი ედო. ბიჭს მე არ ვიცნობ, მისი თანაკურსელები კი კარგად ახასიათებენ. ლექტორებიც ამბობენ, ზრდილობიანი, წყნარი ბიჭიაო. გვანცას თურმე არ უყვარდა. უარი რომ უთხრა, ბიჭმა ვერ აიტანა, არც ჩემი ხარ, არც სხვისი იქნებიო და გადააგდო. უნივერსიტეტის დაცვამ დააკავა, აბა იმას ვინ გაუშვებდა?! პოლიციელებისთვის უთქვამს, ყველანაირ მიზეზს გეტყვით, თუ რატომ გადავაგდეო. რა თქვა და რა მოხდა, არ ვიცი.

**„თურმე წინა დღეს „ფეისბუქზე“ დაწერა, ხვალ ყველაფერი უნდა დამთავრდესო და მეორე დღეს ეს გააკეთა“.**

გვანცა კარგად სწავლობდა, კარგი ყოფაქცევისაა, მხიარული. ჩვენთან სხვა უნივერსიტეტიდან გადმოვიდა. სენაკელია, აქ, თუ არ ვცდები, ძმასთან ერთად ცხოვრობს, მშობლები იქით არიან.

**გვანცას მეგობარი:**

— იმ ბიჭს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი,რომ გვანცას დიდი ხნის განმავლობაში დასდევდა. თურმე ამ შემთხვევის წინა დღეს „ფეისბუქზე“ დაწერა, ხვალ ყველაფერი უნდა დამთავრდესო და მეორე დღეს ეს გააკეთა.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

## სერიალის გმირი

# გიორგი ბოჭორიშვილმა მაყურებელი გადაიკიდა

### „სერიალში ნინა, როგორც პიროვნება, არ არსებობს და ამიტომაც უღალატეს!“

სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ სიუჟეტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე ინტერნეტსივრცეში მაყურებელთა გუნდი ჩამოყალიბდა, რომელსაც სძულს ყველა ის პერსონაჟი, ვინც სერიალში მომხდარ ცოლ-ქმრულ ღალატშია გარეული ან ამ ღალატს ამართლებს. მსახიობ გიორგი ბოჭორიშვილის გმირი ზაზაც ამ ჯგუფის რისხვის ობიექტი გახდა. ფილმში ის თავისი ძმაკაცის, დათო გოცირიძის ღალატს ამართლებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ამბავში ტრაგედიას ვერ ხედავს.

თავად გიორგი კი სოციალურ ქსელებში მისი გმირის მისამართით გამოთქმულ შეფასებებს აღარ კითხულობს, რადგან უკვე აღიზიანებს. კინოპერსონაჟ ზაზასგან განსხვავებით, გიორგის აბსოლუტურად სხვა შეხედულება აქვს ოჯახზე. მისი ცოლიც, ეკატერინე დემეტრაძე, მსახიობია და რამდენიმე ეპიზოდში სერიალშიც მონაწილეობდა ერთ-ერთი დაქალის როლში, რომელსაც ქმარი ჩაგრავს. გიორგი და ეკატერინე 4 წლის ბიჭის, თომას მშობლები არიან.

ახალგაზრდა მსახიობი ბევრს ფიქრობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, პროფესიაში წინსვლაზე, იმაზე, თუ როგორი გაიზრდება მისი ვაჟი... ამ ყველაფერზე თავად გვიამბობს.

**— გიორგი, თქვენი გმირის გამო სოციალურ ქსელებში ბევრს გაკრიტიკებენ. მაყურებელს არ მოსწონს თქვენი გმირის რეაქცია, რომელიც ძმაკაცის ღალატს ამართლებს. როგორ რეაგირებთ ასეთ გამოხმაურებებზე?**

— მლანძღავენ, ფუ, ეს რა საქონელიაო და ასე შემდეგ. ამ კომენტარებს აღარ ვკითხულობ, რადგან ჩემზე ძალიან მოქმედებს. როცა შენი ფოტო დევს და ორასი ადამიანი გაგინებს, ძალიან რთულია. სამწუხაროდ, ისეთი მენტალობა არ მაქვს, ამან ჩემზე არ იმოქმედოს, მით უმეტეს, ჩემს პროფესიაში პირველ ნაბიჯებს ახლა ვდგამ. ამიტომ გადავწყვიტე, ეს შეფასებები არ წავიკითხო. ჩემი გმირი არ მომწონს. ის მდგომარეობა, როგორშიც ზაზაა, ჩემთვის ძალიან უცხოა. ფაქტობრივად მასთან საერთო არაფერი მაქვს, გარდა ერთისა — მეც ემოციური ვარ.

**— სერიალში ასეთ ფრაზას ამბობთ: „ბიჭო, ეს ქალები ღალატზე როგორ ჭედავენ!“. რეალურ ცხოვრებაში გაამართლებდით კაცის ღალატს?**

— ღალატს გამართლება არ აქვს. პატიება შეიძლება, მაგრამ არა — გამართლება. ცალსახად ვერ ვიტყვი, რეალურ ცხოვრება-

> **„მე და ჩემი ცოლი ვცდილობთ, ერთმანეთს დავეხმაროთ... ორივეს ერთი ხედვა გვაქვს, ერთ გზაზე ვდგავართ, ერთ ენაზე ვსაუბრობთ".**

ში როგორ მოვიქცეოდი. მსახიობი ლევან ყოჩიაშვილი ძალიან გულწრფელია, კარგად თამაშობს, მისი გმირის ორჭოფობა ძალიან კარგად ჩანს და, თუ ცივსისხლიანი არ ხარ, მის მიმართ თანაგრძნობით განეწყობი. ვფიქრობ, როცა ადამიანი გულწრფელად ინანიებს, კარგია.

რაც შეეხება ჩემს გმირს, მარტივად რომ ვთქვათ, ის დაკაცებული არ არის. მის ოჯახს მამამისი არჩენს, რომელიც ასევე ღალატზე დაიჭირეს და ამაზე სერიალში

> **„ქალის სიძლიერე იმით გამოიხატება, რაც მეტის გაკეთება შეუძლია. ქმარსაც უნდა მისცეს სითბო, მოსიყვარულე ცოლი, ვნებიანი შეყვარებული იყოს, შვილებსაც მიხედოს და საქმეც ჰქონდეს".**

მთელი ამბავი იყო. ზაზა გარკვეულწილად ამ ტრადიციებით არის გაზრდილი. მისთვის ღალატი უცხო არ გახლავთ. მის ოჯახს სიღრმე აკლია.

**— გეცნობათ ეს ისტორია?**

— რა თქმა უნდა. საქართველოში ასე ძალიან ბევრი ცხოვრობს, მაგრამ ამ პრობლემას ვერ აცნობიერებენ. ეს იმას ჰგავს, მერე რომ ფიქრობ, ვაიმე, რა სულელი ვიყავიო.

**— თქვენ გქონიათ რეალურად ასეთი განცდა?**

— რა თქმა უნდა, ეს შეგრძნება მუდმივად მაქვს. სულ მგონია, რომ დრო დავკარგე.

**— როგორ ფიქრობთ, სწორია, როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთს ახლობელი ადამიანი ატყობინებს, რომ ღალატობენ?**

— მეგობრის ვალდებულებაა, სიმართლე უთხრას, სისუსტეზე მიუთითოს.

**— სერიალის სიუჟეტმა ბევრი სოციალური საკითხი წამოსწია წინა პლანზე. მაგალითად, იმავე სოციალურ ქსელებში წერენ, როცა ქმარი ცოლს ღალატობს, ეს, პირველ რიგში, ქალის დანაშაულიაო. ზოგადად ვინ ან რა არის დამნაშავე ღალატში?**

— ქალმა და კაცმა ერთმანეთის მიმართ ფიზიკური ინტერესი არ უნდა დაკარგონ. თუ მათ გახსნილი ურთიერთობა ექნებათ,



■ მამა-შვილი

არ შეიძლება ქმარს ცოლი მობეზრდეს და პირიქით, ცოლს — ქმარი. ორივე პიროვნება უნდა იყოს. სამყაროში კაცი ქალის გარეშე არ არსებობს და ეს კანონზომიერია. ორივე იმისთვისაა შექმნილი, რომ ერთმანეთი შეავსონ. კაცებს ქალები რომ არ



აკმაყოფილებთ, ეს შეუმდგარი ადამიანების პრობლემაა. ხშირ შემთხვევაში კაცი და ქალი პრობლემის წინაშე იმიტომ დგებიან, რომ ერთმანეთს ვერ ხედავენ, რეალურად ვერ აფასებენ, როგორები არიან. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ქალისა და მამაკაცის

> **„ჩემი გმირი არ მომწონს. ის მდგომარეობა, როგორშიც ზაზაა, ჩემთვის ძალიან უცხოა. ფაქტობრივად მასთან საერთო არაფერი მაქვს, გარდა ერთისა — მეც ემოციური ვარ".**

ურთიერთობაში მთავარია, პიროვნებები იყვნენ და ღალატიც აღარ იქნება. სერიალის მიხედვით კი, ნინა, როგორც პიროვნება, ფაქტობრივად არ არსებობს.

**— ეს ხომ ქართული ისტორიაა, ქალი ბავშვებზე, მეუღლეზე ზრუნავს, ქმარი კი გარე-გარე დადის.**

— ბავშვებზე უნდა იზრუნო, მაგრამ ნინა ჩაკეტილ სივრცეშია. რა თქმა უნდა, დედამ შვილს უნდა მიხედოს, თუმცა ვთვლი, რომ ქალის სიძლიერე იმით გამოიხატება, რაც მეტის გაკეთება შეუძლია. ქმარსაც უნდა მისცეს სითბო, მოსიყვარულე ცოლი, ვნებიანი შეყვარებული იყოს, შვილებსაც მიხედოს და საქმეც ჰქონდეს. ქმარი ნინას სამსახურშიც არ უშვებს, ძალიან დაჩაგრული ჰყავს. დათო ასე თავისი კომპლექსებიდან გამომდინარე მოიქცა და არა იმიტომ, რომ ბავშვები უყურადღებოდ არ დარჩენილიყვნენ.

**— უკვე რამდენიმე სერიალში გაქვთ ნათამაშევი განსხვავებულ ამპლუაში. სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ მოძველბიჭო ტიპს თამაშობდით. ის პერსონაჟი მოგწონდათ?**

— იქ განსხვავებული ტიპაჟს, ყოფილ კრიმინალს ვთამაშობდი, თუმცა ჩემი გმირი, როგორც პიროვნება, სერიოზული გახლდათ. რაღაც გაგებით, ის უფრო ახლოს იყო ჩემთან, ვიდრე ზაზას გმირი.

**— თქვენს პირად ისტორიაზე გვიამბეთ, როგორ იპოვეთ თქვენი მეორე ნახევარი.**

— მე და ჩემი მომავალი მეუღლე, ეკატერინე დემეტრაძე, თეატრალურ უნივერსიტეტში კურსელები ვიყავით. უნივერსიტეტში ახლო ურთიერთობა არ გვქონია. მის საკურსო სპექტაკლზე ვიყავი და ამ ადამიანმა რაღაცნაირად მიმიზიდა. შემდეგ მის შესახებ მეგობარს ვკითხე, რომელმაც მითხრა, რომ ეკატერინეს შეყვარებული →24





Cyan Magenta Yellow Black

ჰყავდა. ეს რომ გავიგე, ალარაფერი მიცდია. შემდეგ ბათუმში ჩემს მეგობართან ვიყავი. ეკატერინე იქ ვნახე. გავიგე, რომ შეყვარებულს დაშორებია. მაშინ გამოვუტყდი, რომ მის მიმართ სიმპათიები მქონდა. შემდეგ ეს ურთიერთობა თბილისში გაგრძელდა და დავქორწინდით. ეს იყო 5 წლის წინ.

**— ერთმანეთის მიმართ ინტერესი რომ არ დაკარგოთ და თქვენი ოჯახური ცხოვრება საინტერესო იყოს, ამისათვის რას აკეთებთ?**

— არ ვიცი, ვწვალობთ. ერთმა მეგობარმა ასეთი რაღაც მითხრა, ადამიანებს ტყუილი აშორებთ, სიმართლე აახლოვებთო. ნებისმიერ შემთხვევაში სიმართლე უნდა თქვა. ტყუილი და რაღაცის დამალვა ურთიერთობას აცივებს. ყველაფერი სიმართლეზე დგას. სიმართლე კი ხშირ შემთხვევაში შეიძლება მტკივნეული იყოს, ამიტომაც ვთქვი, ვწვალობთ-მეთქი.

ამას გარდა, პიროვნების ხელყოფა არ უნდა მოხდეს, ანუ წარმატებას ვიღაცის ხარჯზე არ უნდა მიაღწიო. ორივე რეალიზებული უნდა იყოს. თუ ქალი დაიჩაგრა,

**„თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, დიდი მსხვერპლი უნდა გაიღო. რაც დრო გადის, ამას უფრო მეტად ვაცნობიერებ. ბევრ რაღაცაზე გიწევს უარის თქმა — ურთიერთობებზე, მეგობრებზე... ჩვენს ყოფაში ვინც კი წარმატებას აღწევს, ეს უზომო შრომის შედეგია".**

კაცს იმას ვერ მისცემს, რაც მას სჭირდება და პირიქით, თუ კაცი დაიჩაგრა და ველარაფერი გააკეთა, ქალისთვის უინტერესო გახდება. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, ერთმანეთს დავეხმაროთ.

**— როგორია ორი მსახიობის ყოველდღიური ცხოვრება?**

— ეკა მუსკომედიის თეატრში თამაშობს, რეპეტიციები აქვს, მსახიობის ცხოვრებით ცხოვრობს. 4 წლის თომა გვყავს, რომელიც ხან ჩემთანაა, ხან — დედასთან. როცა ჩვენ არ გვცალია, გადაღება ან სპექტაკლი გვაქვს, ჩვენს მშობლებთან ვტოვებთ. ვაკის „თეატრალურ სარდაფში" მაქვს რეპეტიციები, ივნისის ბოლოს სპექტაკლი გვექნება. საკუთარ თავზე მუდმივად ვმუშაობ.

კარგია, რომ ორივეს ერთი ხედვა გვაქვს, ერთ გზაზე ვდგავართ. მე და ეკა ერთ ენაზე ვსაუბრობთ. ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ გინდა, წარმატებას მიაღწიო, დიდი მსხვერპლი უნდა გაიღო. რაც დრო გადის, ამას უფრო მეტად ვაცნობიერებ. ბევრ რაღაცაზე გიწევს უარის თქმა — ურთიერთობებზე, მეგობრებზე... ჩვენს ყოფაში ვინც კი წარმატებას აღწევს, ეს უზომო შრომის შედეგია.

**— მამის როლში როგორი ხართ?**

— შვილის მიმართ მკაცრიც ვარ და უხეშიც. მინდა, ბევრი იშრომოს, რომ წარმატებას მიაღწიოს. ამაზე კი ვიღაცამ უნდა მიუთითოს, ვიღაცამ უნდა უთხრას.

**— სერიალში დროსტარება, ქეიფი ძალიან გიყვართ. ეს თვისება რეალურადაც გახასიათებთ?**

— ძირითადად სულ ვსვამდი, ძალიან მიყვარდა, მაგრამ ორი წელია საერთოდ არ დამილევია და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. მთელ ჩემს ენერგიას საკუთარ თავზე მუშაობაში, მეცადინეობაში ვხარჯავ და არა — დალევაში. კლუბებში სიარული არც არასდროს მიყვარდა.

✓ ეკა ლემონჯავა

# ვის კაბებში გრძნობს თავს დედოფლად თაკო ჩხეიძე

## გიორგი შალაშვილი: „თაკოს სილამაზის იქით ვერავის ვხედავ!"

დიზაინერ გიორგი შალაშვილის ცხოვრებაში ორი თამარი არსებობს და ორივე მისი მუზაა. ერთი — მისი შვილების დედა და ცხოვრების თანამგზავრია, მეორე კი მოდელი თაკო ჩხეიძე გახლავთ. თაკოს და გიორგის ბევრი საერთო აქვთ, მათ შორის ისიც, რომ ორივეს სამ-სამი შვილი ჰყავს და თან ბიჭები. რამდენიმე წლის წინ დამეგობრდნენ და ახლა ოჯახებითაც ახლოს არიან. ყველაფერი კი შპალერის კაბებით დაიწყო. ამაზე ქვემოთ თავად გვიამბობენ.

გიორგი დანიაში ცხოვრობს, მაგრამ მალე აფრიკაში წავა საცხოვრებლად. ბევრი ელოდება, რომ შავი ფერის სიყვარულით ცნობილი დიზაინერის კოლექცია აფრიკული გავლენის ქვეშ მოექცევა და ეგზოტიკური ფერებით გამდიდრდება, მაგრამ თავად გიორგი შალაშვილი ასე სულაც არ ფიქრობს. ცოტა ხნის წინ ის თაკო ჩხეიძის მიერ ორგანიზებულ თბილისის მოდის კვირეულზე ჩამოვიდა საქართველოში.

**თაკო**: 2007 წლიდან ვმეგობრობთ. ჩემი სამოდელო სტუდიისთვის მჭირდებოდა ადამიანი, რომელიც მომავალ მოდელებს თანამედროვე მოდის ისტორიაზე ლექციებს წაუკითხავდა. გიორგის სამხატვრო აკადემიაში საერთო მეგობრის წყალობით მივაგენი. მას შემდეგ დავიწყეთ თანამშრომლობა და დავმეგობრდით კიდეც. გიორგიმ ისეთი იდეები გამანდო, მაშინ მივხვდი, რომ მართლაც გენიოსი იყო. ყველა პირლია ვისხედით და მის მოსაზრებებს ვისმენდით. პროექტს „ქაღალდის თოჯინები" დაარქვა. ყველა გოგონას დაავალა, ერთი რულონი შპალერი მოეტანათ, რისგანაც საღამოს კაბები გაუკეთა.

**— გიორგი, მასალად შპალერი რატომ აირჩიეთ?**

**გიორგი**: იმიტომ, რომ გოგონები სოციალურად გაგვეთანაბრებინა. ზოგიერთს შეეძლო, გოტიეს კაბა ჩაეცვა, ზოგს კი ამის საშუალება არ ჰქონდა. უხერხული სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, ეს მოვიფიქრე. გოგონებს დავავალე, მშვიდი ფერების შპალერი მოეტანათ და 54 მოდელს ქაღალდის კოქტეილის კაბები ჩავაცვი. 3 დღე იდეას ვხვეწდით, 7 დღე სამოსის შექმნას მოვანდომე.

**გიორგი: „ჩემი ცოლი ლუთერანი იყო და მართლმადიდებლად მოინათლა, ლიქე გუეჰენენსენი გახდა თამარ გუეჰენენსენი. ჯვარი მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავიწერეთ".**

**თაკო**: იცით, როგორი გამოვიდა? ზღაპრული! მაშინ ორსულად ვიყავი და რადგან საღამო მე უნდა წამეყვანა, გიორგიმ ქაღალდისგან ულამაზესი საორსულო კაბა შემიკერა. ჩვენების დასასრულს გოგონებს კაბები უნდა შემოეხიათ და ძირს დაეყარათ. მე კი დასახევად ძალიან მენანებოდა. გიორგის ბევრი ვეხვეწე, არ დახიონ-მეთქი, მაგრამ ჩემმა თხოვნამ არ გაჭრა. ასეთი გამოსაშვები საღამო არსად მინახავს, პატარა მოდელები გაოცებულები იყვნენ.

**გიორგი**: ამ პროექტით დაიწყო ჩემი და თაკოს ურთიერთობა. 2009 წელს დანიაში წავედი საცხოვრებლად. თაკო დამიკავშირდა და მოდის კვირეულში მონაწილეობა შემომთავაზა. მას სიამოვნებით დავთანხმდი. პირველ მოდის კვირეულზე თბილისში 46 კოსტიუმი ვაჩვენე.

**თაკო**: მაშინ გიორგი ჩვენი საზოგადოების წინაშე პირველად წარდგა და საოცარი მოწონება დაიმსახურა. წინა წელს თბილისის მოდის კვირეული კარავში გავაკეთეთ. გიორგის კოსტიუმებმა ისეთი ოვაციები დაიმსახურა, შემეშინდა, კარავი არ გამსკდარიყო.

**— გიორგი, გარდა კარგი კოსტიუმებისა, კიდევ რა არის საჭირო, რომ ჩვენებაზე მაყურებელი დიზაინერს ოვაციებით შეხვდეს?**

**გიორგი**: ოვაციები იმიტომ არის, რომ ჩემს ჩვენებას თაკო ჩხეიძე ხურავს და მაყურებული საღამოდან ამაღლებული განწყობით მიდის.

**თაკო**: მიუხედავად იმისა, რომ წლებია ამ სფეროში ვარ და პოდიუმზე სიარული ჩემთვის უცხო არ არის, გიორგის ჩვენების დროს ყოველთვის განსაკუთრებულად ვღელავ. ჯერ პირჯვარს ვიწერ და ისე გამოვდივარ ჩვენებაზე. საკუთარ თავს ვეკითხები: „რატომ კანკალებ? რა განერვიულებს, პირველად ხომ არ გადიხარ პოდიუმზე?". მისი ჩვენება ყოველთვის ემოციურია ჩემთვის.

**— მოდის კვირეულის ორგანიზატორისთვის ცოტა უხერხული ხომ არ არის იმის ხმამაღლა თქმა, რომ დიზაინერებს შორის ფავორიტი გყავთ?**

**თაკო**: ბუნებრივია, ჩემი ფავორიტები მყავს, მაგრამ ვცდილობ, პრესასთან ამაზე ხმამაღლა არ ვილაპარაკო. ვცდილობ, ყველას ერთნაირად მივაქციო ყურადღება. რამდენიმე დიზაინერთან მაინც განსაკუთრებული თანამშრომლობა და ურთიერთობა მაკავშირებს.

**გიორგი**: პრივილეგირებული მხოლოდ იმით ვარ, რომ თაკო ჩემს ჩვენებებზე გამოდის.

**— თქვენ შეძელით, რომ ორსული თაკო ჩხეიძე პოდიუმზე გამოგეყვანათ.**

**გიორგი**: კი და ეს იყო 2 წლის წინ, მაისში. თაკო 8 თვის ორსული იყო, დავიყოლიე და ჩვენებაზე გამოვიყვანე.

**თაკო**: გამიკვირდა, ჩვენების დახურვა რომ შემომთავაზა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარი.

**— თაკო, რითი გამოარჩევთ გიორგის სხვა დიზაინერებისგან, რა არის მისი მთავარი „საფირმო ნიშანი"?**

**თაკო**: მისი შემოქმედება ძალიან მდიდარი და ელეგანტურია. გიორგის კაბა რომ მაცვია, არ აქვს მნიშვნელობა, სად ვარ, თავს დედოფლად ვგრძნობ. მისი მთლიანი კოლექცია ხელოვნების ნიმუშია.

**გიორგი**: არ მინდა, ჩემი სამოსით თაკოს სილამაზე დავჩრდილო. კარგი დიზაინერი ქალს უნდა დაეხმაროს, გარეგნობა უკეთ წარმოაჩინოს და არ დაჩრდილოს.

**თაკო**: გარდა იმისა, რომ გიორგი პროფესიონალია, მის პიროვნებაში მომწონს ის, რომ ძალიან განათლებულია, ინტელექტუალია, რაც მის კოლექციებშიც ჩანს. მის კაბებში ადამიანის მთელი ფსიქოლოგია,



Cyan Magenta Yellow Black

ლიტერატურაა ჩაქსოვილი.

— **თბილისის მოდის კვირეული რამდენიმე დღის წინ დასრულდა. გიორგი, კმაყოფილი ხართ თქვენი კოლექციით?**

**გიორგი**: კი, რადგან ამ კვირეულისთვის განსაკუთრებულად მოვემზადე. მთელ მსოფლიოში დავდივარ და ვაგროვებ ძველ ფოტოებს, სადაც ადამიანებს მე-19 საუკუნის დასასრულის და მე-20 საუკუნის დასაწყისის მოდური სამოსი აცვიათ. იქიდან ბევრი დეტალი ავიღე და ჩემს ახალ კოლექციაში გამოვიყენე. ჩემი ჩვენება ამჯერადაც თაკომ დახურა. მისი დამსახურებაა, რომ თბილისის მოდის კვირეული საერთაშორისო კალენდარში ჩაეწერა.

**თაკო**: პარიზში არის ასეთი საიტი „მოდ ონლაინ“, სადაც ყველა ქვეყნის მოდის კვირეულია შეტანილი. ამ ჩამონათვალში ახლა უკვე ყველას შეეძლება თბილისის მოდის კვირეულის მოძებნა თავისი ისტორიით.

— **გიორგი, როგორ ფიქრობთ, ქართული მოდა, ქართველი დიზაინერების ნამუშევრები შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს?**

**გიორგი**: მოდას ნაციონალობა არ გააჩნია, ის არის გლობალური. სხვანაირად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვერ გაიყიდება. ქართველ დიზაინერებს ძალიან გემოვნებიანი მომხმარებელი გვყავს, რომლებიც ჩაცმით ევროპელებს ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან. ვფიქრობ, რომ ჩვენი დიზაინერები მათ გემოვნებას აკმაყოფილებენ, ინდივიდუალურები და კრეატიულები არიან.

— **ყოველი კვირეულის დასრულების შემდეგ ამბობთ, რომ მოდის განვითარებისთვის აუცილებელია, არსებობდეს საწარმოები, სადაც სამოსი შეიკერება. ამისთვის თუ კეთდება რამე?**

**თაკო**: ეს არის ძალიან დიდი პროექტი და კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მეტად ჩაერთვება ამ საქმეში. ვგულისხმობ კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიას. ეს იქნება ქვეყნის პრესტიჟი, ქალაქის პიარი. წელს გვყავდნენ სტუმრები ბაქოდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან, პარიზიდან, მილანიდან. როცა უცხოელებს ვიწვევ, ბევრი მათგანი ვერ იგებს, თბილისი სად არის ან თბილისის მოდის კვირეული რა არის, მაგრამ რომ ჩამოდიან, შტერდებიან, აღფრთოვანებას ვერ მალავენ. ჩვენი დიზაინერებიც მოსწონთ, ქალაქიც და მასპინძლობაც. აქაურობა ისე მოსწონთ ხოლმე, რომ წასვლა აღარ უნდათ. წელს ყველაზე მეტად ყაზახი ბაიერები აქტიურობდნენ, კოლექციები რამდენიმე დიზაინერს შეუკვეთეს.

**გიორგი**: ქუთაისში არის მცირე საწარმო, სადაც ჩემი დიზაინით შექმნილი ჩექმები იკერება. საქართველოში არაჩვეულებრივი საწარმოებია და საუკეთესო შედეგსაც გვაჩვენებდნენ, მაგრამ თუ დიდი დაკვეთა არ აქვთ, საქმეს ხელს არ ჰკიდებენ.



■ გიორგი და თაკო

**თაკო: „გიორგიმ დიდი სიურპრიზი მომიწყო — 25 აპრილს, საღამოს, ერთ-ერთი საქმიანი ვახშმის დროს საათის ისრები 12-ს რომ გადასცდა, დარბაზში შუქი ჩაქრა და სანთლებიანი ტორტით მომილოცა დაბადების დღე".**

— **თაკო, გიორგი გჩუქნით თავისი კოლექციიდან სამოსს?**

**თაკო**: რასაკვირველია. ბოლოს ორი არაჩვეულებრივი კაბა მაჩუქა. ერთი — ჩემს დაბადების დღეზე, 26 აპრილს, მოდის კვირეულის დახურვაზე მეცვა. გარდერობში მისი ოთხი კაბა მაქვს. გიორგიმ დიდი სიურპრიზი მომიწყო — 25 აპრილს, საღამოს, ერთ-ერთი საქმიანი ვახშმის დროს საათის ისრები 12-ს რომ გადასცდა, დარბაზში შუქი ჩაქრა და სანთლებიანი ტორტით მომილოცა დაბადების დღე. სიმართლე გითხრათ, ამ კვირეულის გამო ჩემი დაბადების დღე აღარც კი მახსოვდა.

— **გიორგის დიზაინით შეკერილ კაბებს რა შემთხვევებისთვის ინახავთ?**

**თაკო**: როცა უცხოეთში საქმიან მოლაპარაკებებზე მივდივარ, ყოველთვის ყურადღების ქვეშ ვექცევი. ამ ბოლო დროს ისეთი შავი კაბა მეცვა დიდი შლეიფით, რომ დამდევდნენ და მეკითხებოდნენ, ვისი კაბა გაცვიაო.

— **გიორგი, ალბათ იშვიათია მოდელი, ჰყავდეს სამი შვილი და ისეთ კარგ ფორმაში იყოს, როგორც თაკოა.**

**გიორგი**: თაკოსნაირი ლამაზი ქალი საქართველოში სხვა არ დადის. სამი შვილის დედამ კარგი ფორმა შეინარჩუნა, ამიტომაც ვერ ჩავანაცვლე სხვა მოდელით და ყველა ჩემს ჩვენებაში მონაწილეობს. თაკოს იქით ვერავის ვხედავ, მას დიდხანს ვერ ვუყურებ, რა ვქნა, კაცი ვარ!

**თაკო**: გიორგი, შენ ახლა მათ სათაურის ფრაზა მიეცი!.. (იცინიან).

— **ორივე სამი ვაჟის მშობლები ხართ. ალბათ ესეც გაახლოებთ ერთმანეთთან.**

**თაკო**: კი, ასეა. ყველა სიკეთესთან ერთად ერსაც ვამრავლებთ... გიორგი ერთადერთი დიზაინერია, რომლის ჩვენებაზე დასწრების სურვილსაც ჩემი უფროსი ვაჟი გამოთქვამს. სერგი ბოლო ჩვენებაზე იყო მოსული, ფოტოც გადამიღო, კულისებში შემოვიდა და მითხრა, დედა, შენით ვამაყობო. იქვე დაამატა, გიორგი მართლაც მაგარი დიზაინერიაო. სერგი 13 წლის ხდება, ალექსანდრე სამწლინახევრისაა, დათუნა — წლის და 8 თვის. პატარები ჯერჯერობით მხოლოდ თამაშით არიან დაკავებული, უფროსი ვაჟის ინტერესები კი პერიოდულად იცვლება. მოაზროვნე ბავშვია, ბევრ ინფორმაციას იღებს. სამი ბიჭი რომ მყავს, ჯერ მხოლოდ იმით ვხვდები, რომ შინ მისულს ფეხბურთის მოედანი მხვდება. გოგოები ხომ ითამაშებდნენ თოჯინებით?

**გიორგი**: ჩემი უფროსი შვილი ლუკა 10 წლისაა, მას დანიაში ლუკასს ეძახიან. შუათანას ნიკოლოზი ჰქვია და ნიკოლას ეძახიან, ის 8 წლისაა. ნაბოლარა, თომა კი 6 წლის არის და იქ თომასს ვეძახით. შვილებს ქართულად ვზრდით. მხოლოდ 4 წელია, რაც დანიაში ვცხოვრობთ. საქართველოდან უამრავი ნაციონალური ნივთი წავიღე — ხანჯლები, ძველი ფოტოები, თუნგები, სკივრები, ხევსურული სამოსი და მაწვნის ქილებიც კი, რომლებსაც ჩემი ცოლი საყვავილე ვაზად ხმარობს.

**თაკო**: გიორგის მეუღლე ძალიან კრეატიული ადამიანია.

**გიორგი**: ჩემი ცოლი პროფესიით ჟურნალისტი-ფილოლოგია. ის ლუთერანი იყო და მართლმადიდებლად მოინათლა, ლიძე გუეჰენენსენი გახდა თამარ გუეჰენენსენი. ჯვარი მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავიწერეთ, ჩემი სამივე შვილი მართლმადიდებელია. კოპენჰაგენის გარეუბანში ვცხოვრობთ, ბავშვები საჯარო სკოლაში სწავლობენ, უყვართ ლეგოთი გართობა და მოგზაურობა.

**თაკო**: თამარს საოცარი გარდერობი აქვს...

**გიორგი**: ყოველი კოლექციიდან რამდენიმე კაბა მისი საკუთრება ხდება.

— **ცოლი შთაგონების წყაროა თქვენთვის?**

**გიორგი**: კი და ის დღემდე ჩემს მუზად რჩება. მოდის სამყაროში კი ჩემი მუზა თაკო ჩხეიძეა.

— **ოჯახებით მეგობრობთ?**

**გიორგი**: თავისთავად, სხვანაირად ვერც ჩვენ ვიმეგობრებდით. თაკოს არაჩვეულებრივი მეორე ნახევარი ჰყავს.

**თაკო**: ჩემი ქმარი გიორგის შემოქმედების გულშემატკივარია.

— **გიორგი, თაკოს ქმარი თუ იცვამს თქვენთან?**

**გიორგი**: არა, ის კონსერვატორია.

— **დაბოლოს, გიორგი, იმ ცვლილებაზე გვიამბეთ, რაც თქვენს ცხოვრებაში ხდება. აფრიკაში აპირებთ საცხოვრებლად წასვლას. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი საყვარელი შავი კოლექცია აფრიკული ფერებით აჭრელდება?**

**გიორგი**: ორ თვეში აფრიკაში გადავდივართ საცხოვრებლად, სამი წელი ველოდი ამას. ყველა ელოდება, რომ ჩემი სამოსი აჭრელდება, მაგრამ აფრიკაში იმიტომ არ მივდივარ, რომ ფერების დეფიციტს განვიცდი, მინდა, მათ კულტურას ვეზიარო, კულტურული ხასიათი შემოვიტანო ჩემს აქსესუარებში, რომლებიც გეომეტრიული იქნება. ვნახოთ, რას მომიტანს ეს მორიგი ექსპერიმენტი. არა მგონია, იქ ყოფნა მალე მომბეზრდეს.

✓ *ლანა კიკნაძე*

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლა, ღვიძლის გაწმენა, ფუნქციის აღდგენა. კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი. ასევე იმპოტენციის, შარდვის პრობლემების (შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა), წვის, ქავილის, უშვილობის მკურნალობა. პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც). უნებლიე შარდვა ასაკიანებშიც, ბავშვებშიც. განკურნება 100%-იანი ბიოპრეპარატებით, უკუჩვენება 0-ია. ანონიმურობა დაცულია. გამოცდილი სპეციალისტი, ქ-ნი ქეთი

☎ 599-90-54-78, 247-58-83.



Cyan Magenta Yellow Black

# პრეზიდენტის და პრემიერის პაროდისტები ვერაფრით დამეგობრდნენ

## ქართლოსი: „ველოსიპედით ტრაქტორს მეც დავეჯახე!“



■ ქართლოსი და ნიკა

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ახალგამოჩეკილ პაროდისტ ქართლოს ნატროშვილს, მისი წინამორბედებისგან განსხვავებით, გაუმართლა — მან მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთ რესტორანში გაიცნო. საქართველოს პრეზიდენტი „კომედი შოუს“ მსახიობების წვეულებაზე მოულოდნელად გამოცხადდა, ცოტა ხნით დარჩა და კარგადაც მოილხინა. ამ ქეიფის ამსახველი კადრები სოციალურ ქსელებშიც გავრცელდა.

ქართლოსისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილის პაროდისტი ნიკა კაკაბაძე პრემიერს არასოდეს შეხვედრია და არც ის იცის, ქვეყნის მეორე პირს მის ხუმრობებზე რა რეაქცია აქვს. ნიკა სიტყვაძუნწი, დინჯი მოსაუბრეა, ქართლოსი კი — ენერგიული და მოუსვენარი. „სარკე“ მათ ერთობლივი ინტერვიუს ჩასაწერად ხალხმრავალ ადგილზე შეხვდა. ჩვენმა რესპონდენტებმა მაშინვე მიიპყრეს გარშემომყოფების ყურადღება, განსაკუთრებით კი ქართლოსმა, რომელიც პრეზიდენტის ხმით შეუჩერებლად ლაპარაკობდა.

**— პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს შორის კოაბიტაცია არ შედგა, თქვენ შორის მაინც თუ არსებობს ამის შანსი?**

**ნიკა**: ჩვენ შორის კოაბიტაცია შემდგარია.

**ქართლოსი**: მე და ნიკას გვაქვს კოაბიტაციასთან მიახლოებული ტენდენციები. კოაბიტაცია დადებითად ჩვენ დავხატეთ, ვიდრე რეალურად არის. ვისურვებდი, რომ საქართველოს ნამდვილი პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი ისე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, როგორც მე და ნიკა. ერთმანეთს ზოგიერთ საკითხში არ ვეთანხმებით, მაგრამ იმაში კი ვთანხმდებით, რომ საქართველოს მომავალი ძალიან მაგარი უნდა იყოს.

**ნიკა**: თუ პრემიერი და პრეზიდენტი ერთად იმუშავებენ, კოაბიტაცია უფრო გაუადვილდებათ. ქართლოს, შენ რომ „რუსთავი 2“-ზე იყო და მე — „მეცხრე არხზე“, წარმომიდგენია, რა იქნებოდა.

**ქართლოსი: „ჩვენ შორის განსხვავებები უფრო მეტად მაშინ შეინიშნება, როცა პაროდიას ვაკეთებთ. იმ დროს ერთმანეთს საერთოდ ვემიჯნებით. სხვათა შორის, იმ მომენტში ნიკას ვერ ვიტან!“.**

**ქართლოსი**: ვთვლი, რომ ერთ ტელეკომპანიაში ყოფნა უფრო კარგია, ერთმანეთს ვავსებთ.

**— რა რეაქცია გქონდათ, როცა ერთმანეთს პრემიერის და პრეზიდენტის „რანგში“ პირველად მოუსმინეთ?**

**ქართლოსი**: ნიკასთან შეხვედრა კარგად მახსოვს.

**ნიკა**: ძალიან კარგად მახსოვს, ქართლოსი „რუსთავი 2“-ში პირველად რომ მოვიდა. თავიდან, რომ შემოვიდა, გამიკვირდა, ეს ვინ არის-მეთქი.

**ქართლოსი**: ეს 2013 წლის 27 თებერვალი იყო.

**ნიკა**: საერთოდ არ ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ პრეზიდენტის პაროდია რომ გააკეთა, ძალიან მომეწონა. ქართლოს, ჩემს პაროდიაზე იტყვი, არ მომეწონაო და...

**ქართლოსი**: ნიკას პაროდია თებერვლის შუა რიცხვებში ვნახე, ცოტა ხანში კი „რუსთავი 2“-ში მეც მივედი. ჩემი დებიუტი ნიკასთან ერთად შედგა და ეს ძალიან კარგი იყო. ნიკას სკეტჩი ტელევიზიით მქონდა ნანახი და გულში გავიფიქრე კიდეც, ეს სად იპოვეს-მეთქი.

**ქართლოსი: „სააკაშვილს ხელიც ჩამოვართვი და მის ხმაზეც მივესალმე. წუთნახევარი მისი ხმით ვლაპარაკობდი, ოღონდ ტექსტი არ მახსოვს, იმდენად აღელვებული და გახარებული ვიყავი“.**

**— თქვენი გმირები ხასიათით, ქცევებით ერთმანეთის ანტიპოდები არიან. თქვენც ასეთივე განსხვავებული ტემპერამენტი გაქვთ?**

**ქართლოსი**: ვერ ვიტყვი, რომ რადიკალურად განვსხვავდებით. ჩვენ შორის განსხვავებები უფრო მეტად მაშინ შეინიშნება, როცა პაროდიას ვაკეთებთ. იმ დროს ერთმანეთს საერთოდ ვემიჯნებით. სხვათა შორის, იმ მომენტში ნიკას ვერ ვიტან!

**ნიკა**: მე ასე არ ვარ, კეთილი ადამიანი გახლავართ, მაგრამ როლში კარგად რომ შევიდე, აუცილებელია, ქართლოსს ვერ ვიტანდე.

**— ნიკა, რაღაც ცუდ ხასიათზე მეჩვენებით.**

**ნიკა**: ამან ისეთი ქვეყანა დამიტოვა, უკეთეს ხასიათზე ვერ ვიქნები.

**ქართლოსი**: აბა, აბა! სხვათა შორის, ორივენი ძალიან პუნქტუალურები ვართ. სხვათა შორის, იცით, ტელეფონში ნიკას ნომერი როგორ მიწერია? „პირველი ოქტომბერი!“.

**ნიკა**: მე ასე — „ქართლოსი პაროდისტი“. ერთმანეთისადმი მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს და ძირითადად სკეტჩების დროს ვხვდებით. ქართლოსი ძალიან დადებითი ადამიანია.

**ქართლოსი**: დარწმუნებული ვარ, რომ ნიკას ოჯახს აუცილებლად ვესტუმრები, ნიკაც მოვა ჩემთან. მინდა, რომ ჩვენი მაგალითი ნამდვილმა პრემიერმა და პრეზიდენტმაც გადაიღონ. ჯერჯერობით მხოლოდ სამსახურში ვხვდებით ერთმანეთს.

**ნიკა**: ჯერ სამსახურებრივი „რომანია“. სამწუხაროდ, ამის იქით დრო არ გვრჩება.

**— თქვენი გმირების ხასიათთან რაიმე საერთოს პოულობთ?**

**ქართლოსი**: რითი ვგავარ მიშას? პირველ რიგში, ენერგიით. როცა მის ხმაზე ვსაუბრობ, ალბათ მისნაირად ვფიქრობ და არც მე ვგრძნობ დაღლილობას. ამ დროს ჩემი ლექსიკიდან სიტყვა „მეზარება“ ქრება. ერთი სიტყვით, როცა მიშას ხმით ვლაპარაკობ, მიშა ვარ!

**ნიკა**: პრემიერს შეიძლება ხასიათით ვგავარ. მაინცდამაინც მხიარული არ ვარ, არც ანეკდოტები მიყვარს, ჩემებური სტილი მაქვს. ფინანსურადაც არ ვგავარ, თუმცა ამაზე დიდად არ ვწუხვარ. მშვიდი ვარ, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. პრემიერი როცა დაღლილია, ჩემნაირ ხასიათზე დგება. ამ დროს ჩაკითხვებით თავს ნუ მოაბეზრებთ, თორემ გაბრაზდება და გეტყვით, „აიტივის“ ჟურნალისტი ხართო.

**— თქვენ რაზე ბრაზდებით ხოლმე?**

**ნიკა**: გაბრაზება მეც მეხერხება და ძირითადად უპასუხისმგებლობაზე ვბრაზდები.

**— ქართლოს, ახლაც ისე ხართ პრეზიდენტის როლში შესული, აუცილებლად უნდა გკითხოთ: რითი არ ჰგავხართ მას?**

**ქართლოსი**: ამას წინათ „სარკის“ ინტერვიუში ვთქვი კიდეც, რომ ხანდახან პრეზიდენტს ისეთი რაღაც აცვია, რასაც არ ჩავიცვამდი, თუმცა ზოგჯერ გემოვნებითაც ვგავართ ერთმანეთს.

**ნიკა**: რაც მას აცვია, შეიძლება ის შენ ვერც ჩაიცვა.

**ქართლოსი**: ნიკა, აქ სტილს ვგულისხმობ, ნუ მკბენ!

**ნიკა**: მგონი, ესეც იყო თურქეთში! თუ ვცდები?

**ქართლოსი**: კი, იქ მეც ვყოფილვარ! სხვათა შორის, მეექვსე კლასში რომ ვიყავი, 15 თუ 16 მაისი იყო, ველოსიპედით ტრაქტორს შევეჯახე და ძალიან მძიმე ტრავმა მივიღე. საბედნიეროდ, ხელის მოტეხვას გადავურჩი. ტრაქტორს იმიტომ დავეჯახე, რომ არ მუშაობდა და ყანაში არ იყო გასული. უსაქმოდ იდგა და მის საჭესთან შევარდნაძისდროინდელი ღიპიანი მძღოლი იჯდა.

**ნიკა: „კეთილი ადამიანი გახლავართ, მაგრამ როლში კარგად რომ შევიდე, აუცილებელია, ქართლოსს ვერ ვიტანდე“.**

**— ერთმანეთის პაროდიებზე გეცინებათ?**

**ნიკა**: არა, საერთოდ არ მეცინება, ყელში მაქვს ამოსული!

**ქართლოსი**: ერთად როცა ვართ და ნიკა ბიძინას პაროდიას აკეთებს, არ მეცინება, მაგრამ ტელევიზორში ან კომპიუტერში თუ ვნახე, ვერ მაჩერებენ, იმდენს ვიცინი. საერთოდ, იშვიათად მეცინება, მაგრამ „ვანოს შოუში“ დაბინტული ხელით რომ ვიყავი და მერე ეს გადაცემა ვნახე, სიცილით მოვკვდი. ნიკა მაწვნით და ფუნთუშით რომ შემოვიდა, ბოლოს კი ტრაილერის ხმას მიბაძა, ამაზე ხომ საერთოდ ცუდად გავხდი!

**— ნიკა, თქვენ რა რეაქცია გაქვთ, როცა საკუთარ თავს ეკრანზე უყურებთ?**

**ნიკა**: ეკრანიდან ჩემი ცეკვა რომ ვნახე, მომეწონა. მართლა საშინელება იყო.

**— მას შემდეგ, რაც ეკრანზე გამოჩნდით, თქვენდამი ადამიანების დამოკიდებულება შეიცვალა?**

**ქართლოსი**: ორივე ცნობადი სახე გავხდით. 4-5 სკეტჩში თქვენც რომ მიიღოთ მონაწილეობა, ხალხი გიცნობთ.

**ნიკა**: სასიამოვნოა, როცა ქუჩაში შენს დანახვაზე ხალხს ელიმება. სოფელში რომ ჩავდივარ, გარეთ ველარ გამოვდივარ, ყველა სახლში მეპატიჟება და დალევას მთავაზობს.

**— ჩვეულებრივ დღეებში, როცა გადაღებები არ გაქვთ, თქვენი გმირების ხმებით „სარგებ-**



Cyan Magenta Yellow Black

ლობთ“?

**ნიკა**: არა, არ მიყვარს.

**ქართლოსი**: ხშირად — არა. კახეთში, ჩემს სოფელში ვიყავი და ყველა იმას მეკითხებოდა, ბიძინა როგორ არისო. ნიკა, ძალიან მაინტერესებს, მე ვინმე მკითხულობს?

**ნიკა**: ანუ ჩემკენ თუ გკითხულობენ? რა თქმა უნდა, არა! ყველა ჩემიანია და შენ რატომ უნდა გიკითხონ?!

**ქართლოსი: „სხვათა შორის, იცით, ტელეფონში ნიკას ნომერი როგორ მიწერია? „პირველი ოქტომბერი!“.**

**ქართლოსი**: რა ვიცი, კახეთში რომ გავიარე, გლეხებმა, პრემიერი მოგვიკითხეო და...

**ნიკა**: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე არ გავსულვარ.

**ქართლოსი**: აი, ხომ ხედავთ! თავის ბიზნესცენტრში ზის გამოკეტილი, მე კი ხალხში დავდივარ.

— ***როგორ ფიქრობთ, რომლის პაროდია უფრო აქტუალურია დღეს?***

**ქართლოსი**: ეს იმდენად განსხვავებული ადამიანების პაროდიაა, ორივე აქტუალურია. ბიძინას პაროდისტი რომ არ იყოს, ჩემი პაროდია დაობლდებოდა.

**ნიკა**: ჩემი პაროდია უფრო აქტუალურია! არა, ვხუმრობ. როცა იმ სკეტჩებს ვუყურებ, სადაც მარტო ვიყავი, ან მარტო ქართლოსი იყო, ინტერნეტით ნახვაც ნაკლები აქვს და კომენტარებიც. ერთად როცა ვართ, უკეთესი შოუ გამოდის.

— ***ქართლოსმა წინა ინტერვიუში გვითხრა, პრეზიდენტს მოხარშულს ვცნობო. ნიკა, თქვენც ასე კარგად იცნობთ თქვენს გმირს?***

**ნიკა**: მე შემწვარს ვიცნობ.

**ქართლოსი**: თუ ადამიანი არ შეისწავლე, ისე მის პაროდიას ვერ გააკეთებ. ნიკას ბიძინას კარგი ნიუანსები აქვს დაჭერილი.

**ნიკა**: ვთვლი, რომ ბიძინას ისე არ ვიცნობ, როგორც ქართლოსი — მიშას. მე უფრო მეტად მას მიმიკებით ვემსგავსები. შესწავლის პროცესი მიმდინარეობს, რაღაც სიახლეებიც იქნება.

— ***გავიგე, რომ „კომედი შოუს“ მსახიობების ერთ-ერთ წვეულებაზე, სადაც თქვენც იყავით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო სტუმრად. გვიამბეთ, როგორ იქციფვით მასთან ერთად.***

**ქართლოსი**: პრეზიდენტის იქ მოსვლა ძალიან მოულოდნელი იყო, არავინ ელოდებოდა. 9 საათს 15 წუთი აკლდა, როცა მოვიდა. ჩვენთან 42 წუთი დაჰყო და წავიდა. როცა ის ადამიანი მოდის მოულოდნელად, რომლის პაროდიასაც აკეთებ, ბუნებრივია, ძალიან გაგიხარდება. მეც გამიხარდა, ხელიც ჩამოვართვი და მის ხმაზეც მივესალმე. დაახლოებით წუთნახევარი მისი ხმით ვლაპარაკობდი, ოღონდ ტექსტი არ მახსოვს, იმდენად აღელვებული და გახარებული ვიყავი.

— ***პრეზიდენტს ამაზე რა რეაქცია ჰქონდა?***

**ქართლოსი**: მას ისე ჩაეღიმა, აშკარად ძალიან მოეწონა.

**ნიკა**: ჩაეღიმა — არა, გაეღიმა!

— ***კონკრეტულად რა გითხრათ?***

**ქართლოსი**: მითხრა, მაგრად გამოგდის, ყოჩაღო. მისი ღიმილი ჩემთვის ყველაფერი იყო. პაროდია რომ არ მოსწონებოდა, არ გაეღიმებოდა.

**ნიკა**: მეც ჩვეულებრივად ხელი ჩამოვართვი. მისი მოსვლა მართლა მოულოდნელი იყო. როცა ქვეყნის პირველი პირი შენთან მოდის და იუმორს აფასებს, ეს ძალიან სასიხარულოა.

**ქართლოსი**: სხვათა შორის, ანალოგიურად გამიხარდება, სადმე პრემიერმინისტრიც რომ ვნახო.

**ნიკა**: ჩვენთვის პოლიტიკა არ არის მთავარი. მთავარია, როცა ქვეყნის პრეზიდენტი იუმორს აფასებს.

**ნიკა: „სასიამოვნოა, როცა შენს დანახვაზე ხალხს ეღიმება. სოფელში რომ ჩავდივარ, გარეთ ვეღარ გამოვდივარ, ყველა სახლში მეპატიჟება და დალევას მთავაზობს“.**

**ქართლოსი**: ერთ-ერთ საიტზე დაიწერა, თითქოს საქართველოს პრეზიდენტი ნიკა გვარამიასთან ერთად მოვიდა რესტორანში. ხაზგასმით აღვნიშნავ, სააკაშვილი რესტორანში რომ მოვიდა, ნიკა გვარამია უკვე იქ იყო.

— ***ქართლოს, ამბობენ, რომ პრეზიდენტი სპეციალურად თქვენ გასაცნობად მოვიდა.***

**ქართლოსი**: ეს ამ წამს გავიგე, რომ მას პირადად ჩემი გაცნობა სურდა. ის მხოლოდ ტელევიზიით მყავდა ნანახი... სამიოდე სადღეგრძელო შესვა და როგორ მოულოდნელადაც მოვიდა, ისე მოულოდნელად წავიდა.

— ***ქართლოსს აშკარად ეტყობა, რომ პრეზიდენტი უყვარს. ნიკა თქვენც ასე ძალიან გიყვართ პრემიერი?***

**ნიკა**: რა თქმა უნდა. შენი გმირი თუ არ შეიყვარე, ისე ვერც გააკეთებ.

✓ ეკა ლემონჯავა








Cyan Magenta Yellow Black



# „პაპაჩემი ყველას „შხამით“ უმასპინძლდება“

პაპაჩემი რაღაცნაირი კაცია, ვერაფერს გაუგებ. მამაც ვერ ეწყობა. ამბობს, ცხოვრებაში ბევრი პრობლემა შემიქმნაო. მამაჩემის მეგობრების დანახვა არ სიამოვნებს, დედაჩემის ნათესავების ატანა ხომ საერთოდ არ აქვს. მე გოგო რომ ვარ, ზედ არ მიყურებს, მხოლოდ ჩემს ძმას ეფერება. ამბობს, ჩემი შვილიშვილი ეს არისო.

ჩვენთან მოსვლას ყველა ერიდება, რადგან სტუმრებს ისეთ რამეს ეტყვის ხოლმე, რომ ყველა ვწითლდებით. ხშირად ვფიქრობ, ასეთი რატომ არის, მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობ.

ერთხელ, ჭიაკოკონობაზე, ბავშვებმა შევაგროვეთ ხის ნაჭრები, ფიჩხი, რომ ცეცხლი დაგვენთო. ძალიან გვიხაროდა, ყველაფერი სიცილ-სიცილით გავაკეთეთ და ცეცხლი დავანთეთ. უბანში უფროსებიც გამოვიდნენ და ერთი ჟრიამული იდგა. ყველა ხალისობდა, ცეცხლს ზედ ვახტებოდით, ძალიან ბედნიერები ვიყავით.

უცებ ჩვენი ეზოდან პაპა გამოვარდა, ორი დიდი ვედრო ეჭირა ხელში, ცეცხლთან მივიდა და წყალი დაასხა. ბავშვებმა უყვირეს, რას შვრები, რატომ გვიქრობო. ერთ-ერთს ვედრო ფეხებში ესროლა, შენ ვინ გეკითხებაო და თან შეაგინა. იმ ბავშვის დედა იქვე იყო. იმ ქალმა უთხრა, ასაკის გამო გცემ პატივს და არაფერს გეუბნები, თორემ ასეთ საქციელს არ მოვითმენდიო. იმ ქალსაც შეუკურთხა და გაიარა.

აბოლებულ ნაკვერჩხლებთან ყურებჩამოყრილი ვიდექით. ყველა ამბობდა, ფუ, რა მყრალი კაციაო. ძალიან შემრცხვა, რომ პაპა ასე მოიქცა. საშინელებაა, როცა შენი ოჯახის წევრზე ასე ლაპარაკობენ. ტირილი და გაქცევა მინდოდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა შენიშნა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი და დამამშვიდა, შენ არაფერ შუაში ხარ, ყურადღებას ნუ მიაქცევო.

არ მინდა, პაპაჩემი ყველას სძულდეს. ვინც ჩვენთან მოდის, ყველას ეტყობა სახეზე, რომ არ უყვართ. ამას წინათ ბიძაჩემი, დედის ძმა მოვიდა. ოთახში რომ შემოვიდა, პაპას ჩვეულებრივად მიესალმა. მან კი პირდაპირ მიახალა, ახლა შენ ან მშიერი იქნები ან ფული გენდომება, აბა, სხვა რამისთვის რატომ მოხვიდოდიო.

ბიძაჩემი ძალიან მორიდებული კაცია. დროებით უმუშევარი დარჩა და უჭირს, მაგრამ მათხოვარი არ არის. მამა თუ ეხმარება და ამუშავებს, ეს პაპაჩემის საქმე არ არის. მას რა ეკითხება?! ვერ წარმომიდგენია, ადამიანს ასე გული როგორ უნდა ატკინო. ბიძაჩემის სახე რომ მახსენდება, გული მიკვდება. ფერი დაკარგა და ჩვენი სახლიდან სიტყვის უთქმელად წავიდა. მერე დედაჩემს დაურეკა და უთხრა, არ გეწყინოს, მაგრამ თქვენს სახლში ფეხს აღარასოდეს დავადგამო.

ვერ ვხვდები, პაპას გამო მთელი ქვეყანა რატომ უნდა დაგვემდუროს. ყველას სახლში გულღიად მხვდებიან, ჩემთან კი მეგობრები ვერ მომყავს, რადგან ვიცი, მათაც შხამით გაუმასპინძლდება. ამ წერილს იმიტომ არ გწერთ, რომ მაინცდამაინც გთხოვოთ, რჩევა მომცეთ. უბრალოდ ჩემი ემოცია გაგიზიარეთ, რისთვისაც მადლობას გიხდით.

**„სარკის“ მკითხველი, 14 წლის**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
**1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
**2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
**3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru** **ანონიმურობა დაცულია**

# „კლასელებმა მარხვის შენახვა მეტიჩრობად ჩამითვალეს“

ჩემი კლასელები ზოგჯერ წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენენ, ადამიანის განადგურება ერთ წუთში შეუძლიათ. ვერაფერი გავუგე, მათთან ურთიერთობა ჩემთვის წარმოუდგენლად რთულია. თითქოს სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. რასაც ვიტყვი, ისინი საპირისპიროს ამბობენ. ვერ ვიტყვი, რომ შეკრული კლასი არ გვაქვს, რადგან საკმაოდ კარგად არიან ერთმანეთში.

გამორჩეული მოსწავლე ვარ, ყველა საგანს კარგად ვსწავლობ. მასწავლებლები ბავშვებსეუბნებიან, კიდევ კარგი, ეს გყავთ კლასში, თორემ წყალწაღებულები იქნებითო. ყველა გოგო გართობაზე და შეყვარებულზე ფიქრობს. არ ვამბობ, რომ მე ფრთიანი ანგელოზი ვარ, მაგრამ მათგან განსხვავებით, სულ სხვა ინტერესები მაქვს.

წელს დედამ ხატვაზე მიმიყვანა. 13 წლის ვარ და ბავშვობიდან კარგად ვხატავ, მაგრამ მინდოდა, პროფესიონალს ესწავლებინა ჩემთვის. ეს არის საქმე, რომელიც უზომოდ მომწონს. დედამ სურვილი შემისრულა და ოქტომბერში ხატვის მასწავლებელთან მიმიყვანა. იქ ჩემი ტოლი გოგო გავიცანი, რომელსაც ძალიან დავუახლოვდი. მასაც ჩემსავით უყვარს სწავლა, ერთნაირი ფერები მოგვწონს, ერთნაირ რაღაცეებზე ვფიქრობთ. ხატვის პედაგოგი გვეუბნება, გარეგნობითაც ერთმანეთს დებივით ჰგავხართო.



იმ გოგოს საოცრად კარგი ოჯახი აქვს. მისი ძმა ბერია. ხომ წარმოგიდგენიათ, მათ ოჯახში როგორი ატმოსფერო იქნება — ყველა მორწმუნეა. ძალიან კარგი დედ-მამა ჰყავს. ისინი ხშირად დადიან შვილთან მონასტერში და რამდენჯერმე მეც წამიყვანეს. დღესასწაულებზე სხვა ეკლესია-მონასტრებშიც დადიან და თუ დრო მაქვს, მეც მივყვები ხოლმე. გზაში სულ ლოცვით და გალობით მივდივართ, საჭმლის მიღების წინ აუცილებლად ლოცულობენ.

ჩემი ოჯახის წევრები ეკლესიურად არ ცხოვრობენ, ამიტომ ჩემთვის ის ყველაფერი, რასაც იქ ვხედავდი, ძალიან საინტერესო იყო. ერთ დღეს მეგობრის ძმამ მკითხა, ზიარება თუ გაქვს მიღებულიო. ძალიან შემრცხვა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, ვუთხარი, რომ მარხვა არასოდეს დამიცავს და არც ის ვიცოდი, ზიარება რა იყო. მან თავის დას უთხრა, კურთხევას გაძლევ, რომ მეგობარს მიხედო და ეკლესიაში მოიყვანოო.

დაქალი მართლაც დამეხმარა და მისი რჩევით ეკლესიაში დავიწყე სიარული. მოძღვარიც მყავს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. პირველად შობის მარხვა შევინახე. ჩემებსაც არ ეგონათ, რომ ამას შევძლებდი, მაგრამ მოვახერხე. პირველი ზიარება კი შობას მივიღე და უბედნიერესი ვიყავი.

ეს დიდმარხვაც ჩვეულებრივად შევინახე. ამის გამო კი კლასელების მრისხანება დავიმსახურე. მათ ეს საქციელი მეტიჩრობად ჩამითვალეს. თქვეს, რომ ღმერთი კი არ მწამს, უბრალოდ მაგარი გოგოს თამაში მინდა. მართლა გაუგებარია ჩემთვის, ასე რატომ ფიქრობენ ან მათი რა საქმეა, მე ეკლესიაში ვივლი თუ არა. ვეუბნები, რომ კარგი იქნება, ისინიც თუ მომბაძავენ. ისინი კი ისეთ სულელურ რაღაცეებს მპასუხობენ, გაოცებული ვრჩები.

ღმერთს ვთხოვ, რომ ყველა, მათ შორის — ჩემი კლასელები, დაადგნენ ეკლესიურ ცხოვრებას. მოძღვარმა მითხრა, ადრე თუ გვიან ისინიც მოვლენ ტაძრამდეო და მეც ამის იმედი მაქვს.

მრავალ ბრწყინვალე აღდგომას დაესწარით! თქვენი ჟურნალი ძალიან მიყვარს.

**„სარკის“ მკითხველი**



Cyan Magenta Yellow Black



# „მეგონა, ვუყვარდი, ის კი თურმე მეგობრად მთვლიდა“

მეგონა, რომ ერთ ბიჭს ვუყვარდი. მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა, თითქმის სულ ერთად ვიყავით. მისგან მხოლოდ კარგ განწყობას და სიმპათიებს ვგრძნობდი. ბოლო პერიოდში კი განსაკუთრებით გააქტიურდა. ჩემთვის საჩუქრები მოჰქონდა, უზომოდ თბილად მექცეოდა. ვალენტინობის დღესასწაულზე დიდი წითელი ვარდები და გულის ფორმის სამაჯური მაჩუქა. ამიტომაც ვიფიქრე, რომ ეს მისი მხრიდან სიყვარულის ახსნა იყო. დაქალებიც მეუბნებოდნენ, უყვარხარ, მაგრამ თქმას ვერ გიბედავსო და ოცნების კოშკებიც ავაგე. მართლა ძალიან შემიყვარდა, სულ მასზე ვფიქრობდი. მხოლოდ მისი ხმის გაგონებაზე ვოცნებობდი.

ამას წინათ კინოში ვიყავით ერთად. იქიდან რომ წამოვედით, ხელი გადამხვია და ჩამიხუტა. არ ვიცი, როგორ გავბედე, მაგრამ ვუთხარი, რომ მიყვარდა და ვაკოცე კიდეც. ის ძალიან დაიბნა. მითხრა, გითანაგრძნობ, მაგრამ იმავე გრძნობით ჯერ ვერ გიპასუხებ, როგორც მეგობარს, ისე გიყურებ, დრო მჭირდება, რომ სხვანაირად შემოგხედოო.

ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა! საშინლად დამცირებული ვიყავი, ტირილი დავიწყე. მამშვიდებდა, მეფერებოდა, მაგრამ ეს ჩემთვის შვება ნამდვილად არ იყო. შევცდი, დაქალებს რომ დავუჯერე და სიყვარული პირველმა მე გავუმჟღავნე.

იმ დღის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა აირია. აშკარად ეტყობა, რომ ჩემი რცხვენია. მეც უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა მასთან ერთად ვარ და ერთი სული მაქვს, როდის გავეცლები. დაქალებისთვის არ მითქვამს, რაც დამემართა. მათი ძალიან მერიდება. არ მინდა, რომ დამცინონ.

**„სარკის“ მკითხველი**

# „ჩემს გულუბრყვილობას ცუდად იყენებენ“

გულუბრყვილო გოგო ვარ. შემიძლია, უცნობ ადამიანსაც გადავუშალო გული. მიყვარს სხვისი პატივისცემა, მაგრამ ზოგჯერ ეს ცუდად მიბრუნდება, რადგან მერე ჩემს გამოყენებას ცდილობენ.

დედა მეუბნება, საკუთარი თავის ფასი უნდა იცოდეო. რა უნდა გავაკეთო, რომ ადამიანები ისევე მომექცნენ, როგორც მე ვექცევი მათ?

**მკითხველი, 14 წლის**

# „მომწონს გოგო, რომელსაც ჩემი ძმაკაცები დასცინიან“

ძალიან ცუდ დღეში ვარ. ძმაკაცებს ვერ ვუმხელ, რომ მომწონს გოგო, რომელსაცისინი დასცინიან. ის ჩვენს სკოლაში სწავლობს და ძალიან ლამაზია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ჩემმა ძმაკაცებმა კი აითვალწუნეს. მის დაზე ამბობენ, რომ კარგი რეპუტაცია არ აქვს და ამის გამო მასაც მიაწერენ რაღაცეებს. არადა ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი გოგოა და საერთოდაც, აუცილებელი არ არის, დები ერთმანეთს ჰგავდნენ.




საქმე ის არის, რომ იმ გოგოს და ჩემი ერთ-ერთი ძმაკაცის რძალი იყო — ძმის ცოლი. მერე ერთმანეთს გაშორდნენ. ამბობდნენ, იმ გოგომ ულალატაო, ამიტომ ბიჭები თავიანთი საქციელით ვითომ ჩვენს ძმაკაცსაც სოლიდარობას უცხადებენ. რამდენჯერმე კი ვთქვი, ის გოგო რა შუაშია-მეთქი, მაგრამ არავინ მომისმინა. ჩემი ძმაკაცი მის ოჯახზე გამწარებულია და ერთი სული აქვს, რამით დასაჯოს.

ბევრჯერ მოვინდომე სიმართლის გამხელა, მაგრამ ვერ ვბედავ. არ მინდა, დამცინონ. იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება იმ გოგოს სულაც არ მოვწონდე და საერთოდაც ვძულდე. მე ხომ მისთვის ათასი საშინელი სიტყვა მაქვს ნათქვამი, სულ ცინიკურად, აგდებით ველაპარაკებოდი ხოლმე. მას ასეთი მოპყრობა მართლა არ დაუმსახურებია და არ მესმის, ასე რატომ გავიმეტეთ. მასზე ძალიან ბევრს ვფიქრობ, შეიძლება მიყვარს კიდეც...

**მკითხველი**

გამოხმაურება

## «ჩემი ძმა მეგობრებმა გადაარჩინეს»

ჟურნალ „სარკის“ მე-16 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მეგობრის გარეგნობა უხერხულ მდგომარეობაში მაგდებს“. მინდა, ამ გოგონას ვუთხრა, რომ ცუდად იქცევა, მეგობრობას გარეგნობით რომ აფასებს. როგორ უხერხულ მდგომარეობასაც უნდა გიქმნიდეს მისი აღნაგობა, თუ გიყვარს, მასთან სიარული არ უნდა გეუხერხულებოდეს.

მე ძმა მყავს, რომელიც სამი წლის წინ საშინელ ავარიაში მოყვა. მთელი ორი წლის განმავლობაში ხელებს ვერ ამოძრავებდა. ვერ წარმოიდგენთ, მისი მეგობრები როგორ ეხმარებოდნენ. შეიძლება უხერხულია ამის დაწერა, მაგრამ ცხვირსაც კი წმენდდნენ. მის გარეშე არსად მიდიოდნენ. ზოგჯერ ხელში აყვანილი მიჰყავდათ და მოჰყავდათ. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ჩემი ძმა დეპრესიისგან მოკვდებოდა.

მის მეგობრებს არ რცხვენოდათ, რომ ინვალიდი ჰყავდათ გვერდით. მაპატიოს ამ გოგომ, მაგრამ ალბათ ის ამას ვერ გააკეთებდა. პირს ვერ მოწმენდდა, ხელებს ვერ დაბანდა. ჩემი ძმის მეგობრები კი ამ ყველაფერს აკეთებდნენ, დედაჩემს საავადმყოფოშიც კი ეხმარებოდნენ.

ძმის მეგობრები სიგიჟემდე მიყვარს. ისინი ჩემი ოჯახის წევრები, ჩემი ძმები არიან. ჩემს მშობლებსაც მათ მიმართ ასეთივე დამოკიდებულება აქვთ. ამბობენ, მრავალშვილიანი ოჯახი გვაქვსო. რა თქმა უნდა, ბევრ შვილში მათ გულისხმობენ.

ღვთის წყალობით, ჩემი ძმა ძალიან კარგად არის. მკურნალობამ და ჩვენმა მონდომებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ისიც ხვდება, მეგობრებმა რამხელა რამ გაუკეთეს. ამბობს, მათ ამაგს ვერასოდეს გადავიხდიო.

მინდა, ყველა კარგ მეგობარს დიდი მადლობა გადავუხადო და ყველა კარგ ადამიანს კარგი მეგობარი ვუსურვო გვერდით.

მადლობა „სარკეს“, რომ აზრის გამოთქმის საშუალება მომეცით და ჩემი ძმის მეგობრებისთვისაც ასე ხმამაღლა გადამახდევინეთ მადლობა!

**თქვენი ერთგული მკითხველი**

## «პედაგოგი დედა ქულებს მაკლებს»

ჟურნალ „სარკის“ მე-16 ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „პედაგოგი დედა ყველას დასანახად მე მსჯიდა“. ამ გოგოს მდგომარეობა კარგად მესმის. ზუსტად ვიცი, რასაც გრძნობს, რადგან მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი და დღესაც ვარ. დედაჩემი პედაგოგია, ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლის. მეუბნება, რომ მე სხვებზე მეტი მომეთხოვება. ვინმე თუ ხმაურობს კლასში, მე მსჯის, ვინმე თუ არ სწავლობს, მაგალითად მე მოვყავარ და სულ ზარმაც გოგოს მეძახის.

ცუდი მოსწავლე მართლა არ ვარ. კარგ ქულებს ვიღებ სხვა საგნებში, დედაჩემის გული კი ვერ მოვიგე, მუდამ უკმაყოფილოა. 10 ქულაზე რომ ჩავაბარებ, 8 ქულას მიწერს. სახლში კი მეუბნება, მაღალი ქულები რომ დაგიწერო, იტყვიან, შვილს ანებივრებსო. ეს რა შუაშია? თუ ვიმსახურებ, რატომ არ უნდა დამიწეროს? მაშინ სხვა კლასში გადამიყვანოს, მაგრამ არც ეს უნდა. სხვა ბავშვების გამო მე რატომ უნდა მჩაგრავდეს?!

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ




Cyan Magenta Yellow Black

# როგორ აშოშმინებს ხატია შამუგია გაბრაზებულ მძღოლებს

## „ლექსუსის" ჯიპი გურამიკომ ამერიკაში მიშოვა"



ხატია შამუგიას მანქანაში ისეთი თავბრუდამხვევი არომატი ტრიალებს, ადვილად მიხვდებით, რომ მის პატრონს სუნამოებთან მჭიდრო კავშირი აქვს. როგორც იცით, ის ერთ-ერთი ცნობილი პარფიუმერიული ბრენდის პიარმენეჯერია, ასევე ქართული შოუბიზნესისა და ბომონდური წვეულებების ერთ-ერთი მუდმივი სახე. გარეგნობაზე ზრუნვა უკვე პროფესიულ ჩვევად აქვს ქცეული, რომელსაც საჭესთანაც არ ღალატობს და მანქანის სარკეს „დანიშნულებისამებრ" ხშირად იყენებს, ვთქვათ, შუქნიშანზე დგომისას. ამიტომაც მის უკან, გაბრაზებული მძღოლების რიგი ჩნდება, მაგრამ ხატიამ მათი დასაშოშმინებელი მეთოდი იცის, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჩვენი რესპონდენტი „ლექსუსის" ლურჯ ჯიპს მართავს, რომელიც ყოფილი ქმრის, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების" წევრის, გურამ ლომიძის დახმარებით შეიძინა. ყოფილი ცოლის სურვილის დასაკმაყოფილებლად — ჰყოლოდა მაინცდამაინც ლურჯი ჯიპი, გურამიკომ ამერიკაში ბევრი ირბინა და ეს მანქანა მაინც იშოვა. საჭესთანაც პირველად მან დასვა ხატია და მართვის ანაბანა ასწავლა.

**„მაქვს მინიატურული სუნამოები, რომლებსაც ავტომობილის ღუმელს ხშირად ვასხამ. ღუმელი რომ დაუბერავს, სალონში სასწაული არომატი ტრიალებს".**

**— ხატია, გახსოვთ საჭესთან თქვენი პირველი დაჯდომა?**

— როგორ არა! მანქანასთან ჩემი პირველი შეხება ცუდად დასრულდა. პირველად გურამიკოს მანქანაზე დავჯექი. ის სულ მეუბნებოდა, მართვას მე გასწავლიო და, ხომ იცით, ქმარი ამ საქმეს ცოლს ბოლომდე მაინც არ ასწავლის. საჭესთან ყოველთვის სწორ გზაზე, ხაშურიდან ახალდაბის მონაკვეთზე მსვამდა და მეც თავისუფლად ვმართავდი. მერე უკვე გამიჩნდა ამბიცია, რომ თბილისშიც მევლო. ერთხელ პროდიუსერ ნატო დუმბაძესთან ვიყავით სტუმრად. გამოგვაცილა და აივნიდან გვიყურებდა. გურამიკოს ვთხოვე, საჭესთან დავესვი. დავჯექი, დავქოქე და გაზის სატერფულს ფეხი დავაჭირე, მანქანა გამექცა და სხვის ავტომობილს დავეჯახე, ის კი თავის წინ მდგომს დაეტაკა. სამეზობლოში ნატოს ისეთი ავტორიტეტი აქვს, არავინ არაფერი მითხრა, მაგრამ, მახსოვს, მაშინ ვთქვი, საჭესთან აღარასდროს დავჯდები-მეთქი.

ვერც ახლა გეტყვით, რომ მანქანის მანიაკი ვარ და ძალიან მიყვარს.

**— მაგრამ მაინც გაქვთ მანქანა.**

— უბრალოდ ჩემს ცხოვრებაში დადგა ეტაპი, როცა მანქანა გადაუდებლად დამჭირდა. სანამ ქმარი მყავდა, იმ შემთხვევის შემდეგ საჭესთან აღარ დავმჯდარვარ, მაგრამ გურამიკოს გავშორდი თუ არა, მივხვდი, რომ მანქანა მჭირდებოდა. ამიტომ ორკარიანი „ტოიოტა რავ 4" შევიძინე და მასწავლებელთან სიარული დავიწყე. ახალგაზრდა პედაგოგი მყავდა, მხიარული ბიჭი იყო და მანქანის მართვა სულ სიცილ-ხარხარით მასწავლა. გამოცდაც იოლად ჩავაბარე და მხოლოდ ამის შემდეგ დავჯექი საჭესთან.

**— სიცილ-ხარხარში როგორი მძღოლი დადექით?**

— კარგი, მაშინვე მოწესრიგებული მძღოლი ვიყავი. სიჩქარის გადაჭარბება არ მიყვარს. ისეთი მძღოლი ნამდვილად არ ვარ, რომ რისკზე წავიდე და სხვას საფრთხე შევუქმნა. ერთი უსიამოვნო შემთხვევა მახსენდება. მაშინ ახალბედა მძღოლი ვიყავი და რადიოდან ვბრუნდებოდი. ყურადღება არ მივაქციე, რომ საწვავი მითავდებოდა და მანქანა შუა გზაზე გამიჩერდა. ახლაც მწარედ მახსენდება, ჩემ უკან მდგომი მძღოლები როგორ მისიგნალებდნენ. კიდევ კარგი, თანამშრომელი მიმყავდა სახლში, ვითომ პატივი უნდა მეცა და საწვავის საყიდლად მოუხდა წასვლა. მას შემდეგ ისე დავკომპლექსდი, ღილაკს, რომელიც საწვავის რაოდენობას აჩვენებს, მწვანე შუქის ანთებას არ ვაცდი, ისე გავრბივარ ბენზინის ჩასასხმელად.

**— „ლექსუსის" ჯიპი რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ?**

— ის ორკარიანი „ტოიოტა" ცოტა მოუხერხებელი იყო. მინდოდა, დიდი მანქანა მყოლოდა. ცოტა დანაზოგი მქონდა, ძველი მანქანაც გავყიდე, გურამიკოც დამეხმარა და ამერიკიდან ლურჯი „ლექსუსი" გამომიგზავნა. არ ვიცი — რატომ, მაგრამ ლურჯი ამოვიჩემე, არადა ამ მარკაში ოქროსფერი, ვერცხლისფერი და შავი ჭარბობს. ლურჯი ძალიან რთული მოსაძებნი იყო. გურამიკო ამერიკიდან ჩხუბობდა, რაღა ეს ფერი აირჩიეო. როგორც იქნა, საწადელს მივაღწიე, თუმცა ძალიან შევცდი, მუქი ფერის მანქანა ყოველ წუთში გასარეცხია.

**„გურამიკო ძალიან „ავარია" მძღოლი იყო, მაგრამ ამერიკაში მოძრაობის წესებს ისე შეეჩვია, აქ რომ ჩამოდის, ისტერიკაში ვარდება".**

**— რამდენად კომფორტულია თქვენი ავტომობილი?**

— ძალიან კომფორტულია. 4 წელია მყავს და მისი ბევრი კარგი თვისება ახლა აღმოვაჩინე. მეგონა, „სიდი ფლეერი" არ მუშაობდა და მხოლოდ რადიოს ვუსმენდი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თურმე დისკს უკუღმა ვდებდი. აღმართზე ასასვლელი სიჩქარეც ჰქონია, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ვუპოვე. საჭე რომ სხვადასხვა პოზიციებზე გადადიოდა, ეს საერთოდ არ ვიცოდი. ერთხელაც ნიკუშა სკოლაში დავტოვე, გამოვბრუნდი და ვიღაც სიგნალებით გამომყვა, შევწუხდი და გადმოვხედე. მითხრა, გოგონი, თქვენს მანქანას საბურავი ბოლომდე აქვს დაშვებული, დისკზე დადის და გაფუჭდებაო. მაშინ გავიგე, რომ თურმე საბარგულში მთელი მოწყობილობაა შენახული. მერე გურამიკომ მითხრა, სალონის საბარგულში მაგ მანქანის შესახებ წიგნი დევს და წაგეკითხა მაინცო.

**— მერე წაიკითხეთ? გაერკვიეთ მანქანის ნაწილებში?**

— კი, უკვე ვერკვევი, რადგან ამ მხრივ, ძალიან ყურადღებიანი ვარ. არ არსებობს, რომ ზეთის გამოცვლა დამავიწყდეს. ვთვლი, რომ მანქანას ისევე სჭირდება ყურადღების მიქცევა, როგორც ადამიანის ჯანმრთელობას. თუ გინდათ, რომ ავტომობილი ერთგულად მოგემსახუროთ, თქვენც უნდა უერთგულოთ. სად რა ხდება, ძალიან მაგრად ვერ ვერკვევი, მაგრამ ხმით ვიგებ, ჩემს მანქანას რა სჭირდება, თუმცა პროფილაქტიკაში ხშირად არ მიწევს სიარული.

**— თქვენს ავტომობილს ეტყობა, რომ მისი პატრონი ქალია?**

— ამ მანქანის პატრონს პარფიუმერიასთან რომ აქვს შეხება, ძალიან ადვილი შესამჩნევია, რადგან სალონში განსაკუთრებული არომატი ტრიალებს. მე თვითონ არ გახლავართ მწეველი და ჩემს მანქანაში არც არავის მოვაწევინებ. მაქვს მინიატურული სუნამოები, რომლებსაც ავტომობილის ღუმელს ხშირად ვასხამ. ალბათ სწორად არ ვიქცევი, მაგრამ ღუმელი რომ დაუბერავს, სალონში სასწაული არომატი ტრიალებს. გარდა ამისა, ჩემს ავტომობილში, განსაკუთრებით საბარგულში, ბევრ რამეს ვინახავ — ქოლგას, ფეხსაცმელს, გამოსასვლელ პიჯაკს... ყველაფერს იტევს.

**— მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით შეგიძლიათ მართვა?**

— კი, ყოველთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დავდივარ. საჭესთან თუ დაბალძირიანი ფეხსაცმლით ვზივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ უკან ვყირავდები.

**— შუქნიშანზე გაჩერებულს სარკეში ჩახედვა გჩვევიათ?**

— აუცილებლად! მავიწყდება ხოლმე, რომ შუქნიშანთან ვდგავარ და უკნიდან გამუდმებით მისიგნალებენ. მე კი სარკე მაქვს ჩამოწეული, ან პომადას ვისვამ, ან — პუდრს, ან კიდევ თმას ვისწორებ.

**— ამ დროს გაბრაზებულ მამაკაც მძღოლებს რითი აშოშმინებთ?**

— მანქანიდან თავს გადავყოფ ხოლმე და ბოდიშს ვიხდი, მათაც სახე ეგრევე ეცვლებათ და აღარ ბრაზობენ.

**— ავარიული სიტუაცია შეგიქმნიათ სხვისთვის?**

— კი, ერთხელ შუქნიშანთან ვიდექი, სარკეში ვიხედებოდი და ჩემ წინ მდგომ მანქანას ცოტა მივეჯახე, ოღონდ ისე, რომ ნომრები ორივე მანქანას დასცვივდა. იმ ავტომობილის მძღოლი ჩემი მეგობარი აღმოჩნდა, რომელიც სხვის მანქანაზე იჯდა. ავარიული სიტუაცია ჩემთვის სხვებსაც შეუქმნიათ. საერთოდ მამაკაცები უფრო რისკიანები არიან და მოძრაობის წესებს ხშირ შემთხვევაში ისინი უფრო არღვევენ,



Cyan Magenta Yellow Black

ვიდრე ჩვენ, ქალები. ჩვენს ქალაქში მანქანები ასე ქაოსურად რომ მოძრაობენ, ამაში მამაკაცებს ვადანაშაულებ, რადგან ქალები მოძრაობის წესებს მნიშვნელოვნად არ ვარღვევთ.

**— თქვენი ყოფილი ქმარი, გურამიკო, როგორი მძღოლია?**

— გურამიკო ძალიან „ავარა“ მძღოლი იყო, მაგრამ ამერიკაში მოძრაობის წესებს ისე შეეჩვია, აქ რომ ჩამოდის, ისტერიკაში ვარდება.

**— მოძრაობისას დისკომფორტს რა გიქმნით?**

— ღვედი, კისერთან კანს მიხეხავს და შევწუხდი, თუმცა, რას ვიზამ, წესებს უნდა დავემორჩილო.

**— ყველაზე ხშირად რა სახის ჯარიმების გადახდა გიწევთ?**

— კომპანია „სითი პარკი“ იმდენ ჯარიმას მიწერს, მგონი, საქართველოს ბიუჯეტს მე ვავსებ. ერთხელ ამ კომპანიამ ჩემი მანქანა წაიყვანა კიდეც. პეკინზე გავაჩერე, მაღაზიაში უნდა შემერბინა, სულ 2 წუთის ამბავი იყო, მაგრამ ვინ მაცადა?! გამოვედი და რას ვხედავ, ჩემი მანქანა უკვე მიჰყავდათ. დავუძახე კიდეც, გეხვეწებით, არ წაიყვანოთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრეს, თან ისეთი ქარი ქროდა, დამეზარა, რომ უფრო მეტად მეხვეწნა. მეგობარს დავურეკე და მანქანა მან გამომიყვანა.

**— პატრულიც ისევე გცნობთ, როგორც გაბრაზებული მძღოლები?**

— თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა ერთ პატრულს განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა. გლდანის ეკლესიაში ჩემი მეგობრის შვილი მოვნათლე და უკან რომ ვბრუნდებოდი, ქალაქის ცენტრისკენ გზას ვერ გამოვაგენი. პატრულის ბიჭებს მივმართე თხოვნით, დავიკარგე და მასწავლეთ, საბურთალოზე რა გზით მოვხვდე-მეთქი. არ დაიზარეს, მანქანით წინ გამიძღვნენ და გზა მაჩვენეს. ასეთ კეთილ პატრულებზე ვგიჟდები! ერთი-ორი გულცივი პატრული კი შემხვედრია. მაგალითად, ერთხელ ტელეფონზე არც კი ვლაპარაკობდი, ესემესი გავხსენი და მხოლოდ ამის გამო დამაჯარიმეს.

**— ვერ გიცნეს?**

— არ მიცნეს! ან რატომ უნდა მიცნონ, თუ ვარღვევ?! წესებს ვინც არღვევს, ყველა უნდა დაჯარიმდეს.

**— საოცნებო მანქანა თუ გყავთ?**

— მანქანა ჩემთვის მხოლოდ კომფორტული გადაადგილების საშუალებაა. ჩემი გატაცება უფრო ქალური რაღაცეებია — სამკაულები, პარფიუმერია...

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

# თავის ქალაახდილმა ბიჭმა ცეცხლმოკიდებული მანქანიდან მეგობრები გამოიყვანა



ამბავი, რომელზეც ქვემოთ მოგითხრობთ, დაუჯერებელია, მაგრამ ის რეალურად მოხდა და კონკრეტულ ადამიანს შეემთხვა. ყველა, ვინც ამ შემთხვევას შეესწრო, ნანახმა შოკში ჩააგდო. ისტორიის გმირი ირაკლი ჭანტურია გახლავთ, მუსიკოსი, უცნაური ადამიანი, რომელიც არც ღმერთს აღიარებს და არც საკუთარ ასაკს. მისი მსოფლმხედველობა, აზროვნების სტილი ალბათ ბევრს გააკვირვებს და ბევრსაც გააღიზიანებს, მაგრამ ის ასეთია და ეს უცნაური ფაქტიც სწორედ მას შეემთხვა. თუ როგორი დასკვნა გააკეთა ამ ყველაფრიდან, რა გაკვეთილი გამოიტანა, ინტერვიუდან შეიტყობთ.

## ირაკლი ჭანტურია:

— მეგობრებმა გადავწყვიტეთ, გორში წავსულიყავით. ორი მანქანით გავემგზავრეთ. ორივეში ოთხ-ოთხი ვისხედით. გზაში ერთმანეთის გასწრებას ვცდილობდით და ეს ყველაფერი სერიოზულ რბოლაში გადაიზარდა. სანამ გორში შევიდოდით, ერთმანეთს შევეჯახეთ. ერთი ავტომობილი გზაზე დარჩა, მეორე კი, სადაც მე ვიჯექი, ამოტრიალდა, 9 თუ 10 ბრუნი გააკეთა და ხევში ჩავარდა. ვინც იმ მანქანაში იჯდა, ყველა გაითიშა, მარტო მე ვიყავი გონს.

ღვედი მოვიხსენი და სალონიდან გადმოვედი. ავტომობილს ცეცხლი ეკიდა. გონებადაკარგული მეგობრები მანქანიდან გადმოვიყვანე. ამ დროს პატრული მოვიდა. მე ვერაფერს ვგრძნობდი, მაგრამ თურმე თავის ქალა მქონდა ახდილი და

**„თუ ეს შემთხვევა ასე ადვილად გადავიტანე, ჩემთვის გზა ხსნილია. ამის შემდეგ რამ უნდა მომკლას?!“.**

ტვინი მიჩანდა. ამ მდგომარეობაში გადმომყავდა მეგობრები. პატრულის თანამშრომლები ამის დანახვაზე შოკში ჩაცვივდნენ. ერთ-ერთს ზომბი ვეგონე და, თავში ესროლეთო, ყვიროდა. პატრულის მოსვლის შემდეგ გონება დავკარგე.

**— რა თქმა უნდა, საავადმყოფოში აღმოჩნდებოდით.**

— დიახ. თავის ქალაზე უმძიმესი ოპერაცია ჩამიტარდა. საოპერაციოდან რეანიმაციაში გადამიყვანეს. ექიმი ჩემს ახლობლებს ეუბნებოდა, რომ, მინიმუმი, ერთი თვე კომაში ვიქნებოდი. ამასობაში გონზე მოვედი და ტანსაცმლის ჩაცმას ვცდილობდი. ექიმი რეანიმაციაში რომ შემობრუნდა, გაგიჟდა. ასეთი რამ წარმოუდგენელიაო, ამბობდა. შემდეგ რაღაც ჟურნალი გადმოიღო და ჩაწერა დაიწყო. თქვა, ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებს აქ ვიწერთო. ეგონათ, ერთი თვე მაინც კომაში ვიქნებოდი, მე კი ოპერაციიდან ნახევარ საათში გავიღვიძე და თან ისე, რომ ფეხზეც კი დავდექი.

**— მხოლოდ თავის ქალა დაგიშავდათ?**

— ქალა ჩამტვრეული მქონდა. თავის მარჯვენა მხარეს, შუბლიდან მოყოლებული 18 სანტიმეტრზე, 6 სანტიმეტრის სისქის ძვალი ჩამტვრეული იყო. ჯერ თავი უბრალოდ გამიკერეს. იმ ძვლის ადგილას სიცარიელე იყო, კანმა რომ დაიწია, თავი ოთხკუთხედი გამიხდა. 3 თვის შემდეგ მეორე ოპერაცია გამიკეთეს და თავის ფორმა აღმიდგინეს.

**— საავადმყოფოდან რამდენ ხანში გამოგწერეს?**

— მეოთხე დღეს უკვე სახლში ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში ერთი წამითაც არ მიგრძვნია ტკივილი. თავზე მგრძნობელობა ახლაც არ მაქვს, ნერვები „ჩახსნილია“. ხელის დადებას ან წყლის დასხმას ვერ ვგრძნობ, მაგრამ ეს არაფერია.

**— ამ მძიმე ტრავმამ სხვა დაავადების პროვოცირება, რაიმე გართულება არ გამოიწვია?**

— არა. ექიმები ამბობდნენ, შეიძლება ნორმალური ვერ დარჩეს, ეს ტრავმა რაღაც კვალს დაუტოვებსო. გამიმართლა, რომ უძლიერესი ექიმი, კახა ფაცუნაშვილი შემხვდა. ბიძაჩემი სიდნეიში ერთ-ერთი წამყვანი ქირურგია. როცა ამ ავარიის შესახებ გაიგო, ჩემებთან დარეკა და უთხრა, საქართველოში ერთადერთი ექიმი, ვინც ამ ოპერაციას კარგად აკეთებს, კახა ფაცუნაშვილია, სადაც უნდა იყოს, იპოვეთ და იმასთან მიიყვანეთო. არადა ზუსტად მასთან მოვხვდი. გორის საავადმყოფოში რომ მიმიყვანეს, კახა მორიგე იყო.

**„თურმე თავის ქალა მქონდა ახდილი და ტვინი მიჩანდა. ამ მდგომარეობაში გადმომყავდა მეგობრები. პატრულის თანამშრომლები ამის დანახვაზე შოკში ჩაცვივდნენ. ერთ-ერთს ზომბი ვეგონე და, თავში ესროლეთო, ყვიროდა“.**

**— თქვენს მეგობრებს რა ბედი ეწიათ, ისინიც ხომ დაშავდნენ?**

— ჩემს მანქანაში ვინც ისხდნენ, ძალიან არ დაშავებულან. ყველაზე დიდი ტრავმა მე მივიღე, რადგან ჩემს მხარეს მანქანის სახურავი ჩაიჭეჭყა და თავის ქალა სწორედ ამან დამიზიანა. ერთ მეგობარს დასჭირდა თავზე ერთი ნაკერი, დანარჩენები უვნებლად გადარჩნენ. რაც შეეხება მეორე მანქანაში მსხდომთ, ერთი უკანა ფანჯრიდან გადავარდა და ინერციით დაახლოებით 100 მეტრის მანძილზე იხოხა ასფალ-

→32

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უვნებლად, აკრძალვების გარეშე. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას. მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება. წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები. სისხლძარღვები იწმინდება ქოლესტერინისგან. იმუნიტეტი ძლიერდება. კანი ხდება ელასტიკური და ახალგაზრდა. გახდებით და გასუქდებით სასურველ წონამდე და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

გვაქვს სიმაღლეში ზრდის ეფექტური სწრაფი პროგრამა. კურსით 3-5 სმ-ის მომატებით 25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინებით, ამინომჟავებით+ვარჯიშებით. მრავალწლიანი გამოცდილებით შედეგები საუკეთესოა!

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

ტზე. ლავიწის ძვლის და ხელის მოტეხილობა ჰქონდა. საერთო ჯამში, ყველაზე მეტად ჩვენ ორნი დავშავდით.

— **ხევში გადავარდნის მომენტი კარგად გახსოვთ?**

— რაღაც კადრები გაკვრით, ბუნდოვნად მახსოვს. სასწრაფო დახმარების მანქანაში ცოტა ხანი აზრზე მოვედი, საავადმყოფოს ეზოც მახსოვს.

— **ცეცხლმოკიდებული მანქანიდან მეგობრები რომ გადმოგყავდათ, რა შეგრძნება გქონდათ, გეშინოდათ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, შიშის განცდა ნული მქონდა. სწორედ ამან გადამარჩინა, რომ ფსიქიკურად არ შევირყიე. პირიქით, მოტივირებული ვიყავი, რომ თავი ხელში ამეყვანა და მეგობრებსაც დავხმარებოდი. არადა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მე ვყოფილვარ.

— **ტკივილს ვერ გრძნობდით? ეს მართლაც დაუჯერებელია.**

— არა, საერთოდ ვერაფერს ვგრძნობდი. სახეზე ხელი რომ მოვისვი, სისხლი კი დავინახე, მაგრამ უბრალო დაზიანება მეგონა. სხვათა შორის, ბრუნის დროს ყველაფერი შენელდა, ყველაფერს ძალიან ნელა ვხედავდი. ორი ბრუნი ისე ნელა მოხდა, ისე გაიწელა, მთელი ცხოვრების ტოლფასი იყო. ეს ამად ღირდა, მაგარი იყო! ეს გრძნობა ყველამ უნდა განიცადოს!

— **რას ამბობთ?! ღმერთმა დაიფაროს!**

— დამიჯერეთ, მართლა მაგარი შეგრძნებაა, საკუთარ თავს იპოვი.

— **თქვენ იპოვეთ საკუთარი თავი?**

— რა გითხრათ... ამ ყველაფერს სხვა ფიქრებში მიჰყავხარ, სამყაროს სხვა ფერებში ხედავ, ყველაფერს რადიკალურად სხვანაირად უყურებ. ამის შემდეგ შეიძლება თქვა, რომ ცხოვრება მშვენიერია. ადამიანები რაღაც საფრთხის შემდეგ სიცოცხლეს უფრო აფასებენ, მაგრამ იცით, რატომ? რომ სტკიოდათ, ტრავმები რომ გადაიტანეს, ცუდად რომ იყვნენ — ამ ყველაფრის შემდეგ სიცოცხლეს იმიტომ აფასებენ, რომ აღარ უნდათ, ის განსაცდელი

**„ასაკს არასდროს ვითვლი, არ მინდა, ვიცოდე, რამდენი წლის ვარ. მინდა, იმდენი წლის ვიყო, რამდენისაც თავი მეგონება".**

განმეორდეს. მე კი ამას სხვანაირად ვუყურებ. თუ ეს შემთხვევა ასე ადვილად გადავიტანე, ჩემთვის გზა ხსნილია. ამის შემდეგ რამ უნდა მომკლას?! ასეთი აზრი გამიჩნდა და ყველაფერს ვაკეთებ, რაც მინდა.

— **თქვენი აზრით, რამ გადაგარჩინათ?**

— ჩემმა თავმა და ექიმმა. პირველ რიგში, საკუთარი თავის რწმენა მაქვს. ათეისტი ვარ, ღმერთის არ მწამს, ამიტომ ჩემი თავის ბოლომდე მჯერა. იმის თქმა, რომ სიკვდილს ღმერთმა გადამარჩინა, ჩემთან არ ჭრის. მე ექიმმა გადამარჩინა! რაღაც რომ მომსვლოდა, ექიმის ბრალი იქნებოდა და რომ გადავრჩი, ღმერთის?! საკუთარი თავის და ექიმის წყალობით გადავრჩი.

— **ვისთანაც ამ თემაზე მისაუბრია, თქვენ პირველი ხართ, რომელიც გადარჩენისთვის ღმერთს მადლობას არ სწირავს.**

— რელიგიას არასდროს არაფერს ვუკავშირებ.

— **სიცოცხლეს არც ახლა უფრთხილდებით?**

— არა! იქ ისეთი ამბავი გადავიტანე, რაც უნდა მომივიდეს, ვიცი, გადავიტან. სიცოცხლე ძალიან მიყვარს ან ვის არ უყვარს? სიცოცხლე მაგარია! უბრალოდ აუცილებელი არ არის, ზედმეტად გაუფრთხილდე.

— **საოცარია! რას საქმიანობთ?**

— მუსიკოსი ვარ. ელექტრონულ მუსიკას ვქმნი, დიჯეი ვარ, ტელეკომპანია „ჯიდიესში“ გადაცემას ვაკეთებ. დაოჯახებული არ ვარ. დედა და ბებია მყავს. მე ცალკე ვცხოვრობ.

— **რამდენი წლის ხართ?**

— მკვლელი შეკითხვაა!

— **რატომ?**

— ეს არ მაინტერესებს და იმიტომ. ასაკს არასდროს ვითვლი, არ მინდა, ვიცოდე, რამდენი წლის ვარ. მინდა, იმდენი წლის ვიყო, რამდენისაც თავი მეგონება.

— **უნდა ვაღიარო, რომ ძალიან უცნაური ხართ.**

— კი, უცნაური ვარ, მაგრამ ჩემში მოსწონთ ეს. ყოველთვის ყველასგან რადიკალურად განსხვავებული აზროვნება მქონდა და მაქვს. ბავშვობიდან ასეთი ვარ. არასოდეს არაფერში მზღუდავდნენ და განსხვავებულ ტიპაჟად ჩამოვყალიბდი.

✓ ეკა ლემონჯავა

# ამირან გამყრელიძე: „წითელათი დაავადებულებს ყველა სურვილი შეუსრულეთ!“

## მითი და რეალობა ბატონებზე

**საქართველოში წითელათი დაავადების შემთხვევებმა შესამჩნევად იმატა. დაავადება, რომელიც აქამდე მირითადად ბავშვების სახადად იყო მიჩნეული და უფროსებს იშვიათად ემართებოდათ, ახლა მოზრდილებშიც გავრცელდა. მედიკოსები მიზეზად ტოტალურ აუცრელობას ასახელებენ.**

**თბილისში ბოლო ორ თვეში წითელათი დაავადების 2.000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. ავადმყოფების უმეტესობა 20 წელს არის გადაცილებული. სამწუხაროდ, ინფექციის გართულებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.**

**წითელას აცრები ანუ იმუნიზაცია საქართველოში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. იმუნიზაციით მსოფლიომ ბევრი მსგავსი დაავადება წარსულს ჩააბარა. მაგალითად, ე.წ. ნატურალური ყვავილი 1980 წელს იქნა ლიკვიდირებული. ამ ვირუსზე აღარავინ იცრება, რადგან აღარც არსებობს. იმისათვის, რომ წითელას ლიკვიდაციაც მოხდეს, ყველამ უნდა ჩაიტაროს აცრა.**

გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკის პედიატრიული სექტორის ხელმძღვანელი **ნანა ნარეკლიშვილი** საქართველოს მოსახლეობას აფრთხილებს, რომ წითელა საკმაოდ საშიში დაავადებაა და უამრავ გართულებას იწვევს.

— **ქალბატონო ნანა, რა გართულება შეიძლება მოჰყვეს წითელას ინფექციას?**

— ბოლო თვეების განმავლობაში წითელათი დაავადების შემთხვევების დიდი პროცენტი არამხოლოდ ბავშვებში, მოზრდილთა შორისაც დაფიქსირდა. წითელა მწვავე ვირუსული დაავადებაა. ინფექციის წყარო დაავადებული ადამიანია. განსაკუთრებით საშიშია დაავადების დასაწყისი და გამონაყარის განვითარების პირველი დღეები. მე-5 დღიდან ვირუსის გამოყოფა წყდება. წითელა ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. არ გადაეცემა მესამე პირით და ავადმყოფი ადამიანის ნივთებით. ასაკის მატებასთან ერთად დაავადების განვითარების სიმძიმე მატულობს. დაავადების გადატანის შემდეგ რჩება მყარი იმუნიტეტი.

ამ ინფექციით დაინფიცირება განსაკუთრებით საშიშია 1-2 წლამდე ასაკში. ამ დროს ხშირია გართულებები უპირატესად ფილტვების ანთების სახით, რომელიც შესაძლოა მძიმე შედეგით დასრულდეს. წითელას ვირუსი ორგანიზმში ხვდება ზედა სასუნთქი გზებისა და თვალების ლორწოვანი გარსიდან. ინკუბაციური პერიოდი 9-11 დღეა. ამის შემდეგ იწყება კატარული პერიოდი ზოგადი ინტოქსიკაციით, ცხელებით 39 გრადუსამდე, თვალის, ყელის, სასუნთქი გზების დაზიანებით. დაავადებას ახასიათებს უმადობა, უძილობა, ცხვირიდან უხვი ლორწოვანი გამონადენი, იცვლება ხმის ტემბრი, ვითარდება ცრემლდენა; ავადმყოფს აღენიშნება სინათლის მიმართ შიში, თვალების უნებლიე ხამხამი, თვალებიდან ჩირქოვანი გამონადენი. საინკუბაციო პერიოდში ლოყების ლორწოვან გარსზე ჩნდება წვრილი, მოთეთრო ლაქები და წითელი გამონაყარი რბილ სასაზე, რაც დაავადების სადიაგნოსტიკო ნიშანია. ყბისქვეშა და კისრის უკანა ლიმფური კვანძები დიდდება. ზოგჯერ ავადმყოფს აქვს მუცლის ტკივილები, გულისრევა, რაც ხშირად აპენდიციტის სიმპტომოკომპლექსით გამოვლინდება.

გამონაყარის პერიოდი 3 დღეს გრძელდება. პირველ დღეს გამონაყარი ჩნდება სახეზე, მეორე დღეს — სხეულსა და ხელებზე, მესამე დღეს — ქვედა კიდურებზე. გამონაყარი მკვეთრი წითელია, სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ზოგან შეერთებულიც. მეოთხე დღეს წითელ ადგილებზე ყავისფერი პიგმენტაცია ჩნდება.





Cyan Magenta Yellow Black



ავადმყოფს კანი ექერცლება. კლინიკური გამოვლინების ალაგების შემდეგ კვლავ აღენიშნება მოთენთილობა, გაღიზიანებადობა, მეხსიერების დაქვეითებაც კი. წითელას გართულებებია ენცეფალიტი, პირის ღრუს განგრენული ანთება, კერატიტი.

**— ცნობილია, რომ წითელას მედიკამენტური მკურნალობა არ ტარდება. რა უნდა გაითვალისწინონ პაციენტებმა, რომ მათი მდგომარეობა შემსუბუქდეს?**

— მნიშვნელოვანია ჰიგიენური პირობების დაცვა. დადებითი ფსიქოემოციური განწყობის შექმნა, ჯანსაღი, ვიტამინებით მდიდარი საკვების მიღება, განსაკუთრებით ა და ე ვიტამინები. წითელას პროფილაქტიკა მხოლოდ ვაქცინაციით არის შესაძლებელი. ვაქცინაცია ეფექტურია იმ შემთხვევაში, როცა იგი ტარდება კონტაქტიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

■

იყო დრო, როცა ადამიანებმა არ იცოდნენ, რა იყო ეს უცნობი სნეულება, რომელიც წითელი გამონაყარით იწყებოდა და ხშირად ავადმყოფის გარდაცვალებით სრულდებოდა. ხალხმა წითელას და სხვა მსგავს ინფექციურ დაავადებებს — ყბაყურას, წითურას, ჩუტყვავილას — ბატონები შეარქვა და განსაკუთრებული წესებიც შეიმუშავა, რათა „მობრძანებულ" დაავადებას ადამიანის სიცოცხლე თან არ წაეღო. ბატონებმა წაიყვანესო — ამბობდნენ წითელათი გარდაცვლილ ადამიანზე ძველ დროში.

ამ ავადმყოფობის მიმართ ასეთი დამოკიდებულება დღემდეა შემორჩენილი. ხალხი „მისდამი" გარკვეულ მორიდებას და მოკრძალებას ამჟღავნებს, როცა ოჯახში ავადმყოფია. ძველი ტრადიციით, ამ დროს ოჯახში ურთიერთპატივისცემის, მყუდროებისა და სიმშვიდის განსაკუთრებული ატმოსფერო იქმნებოდა. ბავშვის დედას — „ბატონების დედას", ხოლო მამას — „ბატონების მამას" უწოდებდნენ. როგორც კი ავადმყოფს გამონაყარი დაეტყობოდა, ამაზე ამბობდნენ, რომ სახლში ბატონები დაბრძანდაო და აკეთებდნენ ბატონების ხონჩას: პატარა ცომისგან გამოძერწავდნენ ფრინველებს, ცხოველებს. წითლად შეღებავდნენ კვერცხებს. პატარა ცომითვე გააკეთებდნენ ლანგარს და ზედ დააწყობდნენ. იქვე ჭიქით ღვინოსაც დადგამდნენ. იმ ეტაპს, როცა ავადმყოფს ტანი დაუამდებოდა, სიმშვიდეს იგრძნობდა და ბატონები დასასრულს მიუახლოვდებოდა, სათუოდან გამოსვლას ეძახდნენ.

როცა ავადმყოფი გამოჯანმრთელდებოდა, ხონჩას აიღებდნენ, ბატონებმოხდილს თავს შემოავლებდნენ. მერე გზაჯვარედინზე გაიტანდნენ. ღვინით კიდევ ერთხელ დაულოცავდნენ გზა-კვალს და გააცილებდნენ.

ბატონებს ლამაზი სიტყვებით ხვდებოდნენ: „დაილოცოს თქვენი სავალი გზა და კვალი. უკლებლივ დამიტოვე ჩემი ოჯახი, ნურაფერი გეწყინებათ. მოგვიტევეთ ჩვენი არცოდნა და სისულელე. სულ თქვენი სახელისა და კვალის მლოცველი ვიქნებით".

ოჯახში თუ ბატონები ბრძანდებოდნენ, ფრინველისა და ცხოველის დაკვლა იკრძალებოდა. სანადიროდ არ დადიოდნენ. მამაკაცები წვერს არ იპარსავდნენ — ბატონებს ეწყინებათ და გაგვიბრაზდებიანო. ოჯახის რომელიმე წევრი არც დაკრძალვაზე მიდიოდა და არც სესხს გასცემდა. არც ცოლ-ქმარი წვებოდნენ ერთად. დავასა და ჩხუბს ყველანაირად ერიდებოდნენ. სახლში საკერავ ნემსს არ ხმარობდნენ. ხორცს არ ჭამდნენ და არც რამეს ხარშავდნენ, რადგან სახლში რაიმე ნახარშის ბუღი არ უნდა დამდგარიყო. ამ დროს მეზობლების თუ ნათესავების ოჯახში მომზადებული საჭმლით იკვებებოდნენ.

**„წითელას დროს ყველაზე ხშირია ფილტვების ანთება, მერე მოდის შუაყურის გართულებები, რაც ხანდახან სმენის დაკარგვითაც მთავრდება... პაციენტი უნდა იყოს მშვიდად, მიიღოს ბევრი სითხე და ის წამლები, რასაც ექიმი დაუნიშნავს".**

ბატონების გაბრაზების ნიშანი ავადმყოფის ტემპერატურის მატება და დაავადების გახანგრძლივება იყო. სჯეროდათ, რომ, თუ ბატონებს გააბრაზებდნენ, ბავშვი დაყრუვდებოდა, დამუნჯდებოდა ან რაიმე ორგანოს ანთება განუვითარდებოდა. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში სპეციალურ ღონისძიებას მიმართავდნენ — თიკნებს მიიყვანდნენ ავადმყოფის საწოლთან და მუხლზე ჩოქვით შემოუვლიდნენ მის საწოლს, თან ბატონებს დაპირებას აძლევდნენ: „თქვენი სულის ჭირიმე, ეს გადაგვირჩინე და ერთ მუჭა აყალო მიწას შევჭამ, 6 თვეს ღვინის ცვარას არ ჩავიკარებ პირში" და ა.შ.

თუ ბატონებით ვინმე გარდაიცვლებოდა, დატირების გარეშე ასაფლავებდნენ. შავებს არ იცვამდნენ, იტყოდნენ ხოლმე, ბატონებმა ასე ინებეს, დიდება მათ სახელსო. ტირილი და შავების ჩაცმა განსაკუთრებით მაშინ არ შეიძლებოდა, თუ ბატონებს ოჯახის სხვა რომელიმე წევრიც იხდიდა. ბატონით შეპყრობილისთვის რაიმე სურვილზე უარის თქმა არაფრით შეიძლებოდა.

ჩამოთვლილი ტრადიციები გარკვეულწილად ახლაც არის შემორჩენილი, განსაკუთრებით — მთიან რეგიონებში. ამ დაავადებას უფლის ანგელოზებითაც მოიხსენიებენ. ბატონებით დაავადებულების მფარველად წმინდა ბარბარე მიიჩნევა. მისი სახელობის ეკლესიებს წითელ მამლებს სწირავენ. როცა ტაძარს სტუმრობენ, ბატონებმოხდილს წითელ ტანსაცმელს აცმევენ.

■

დაავადებათა კვლევის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე წითელასა და სხვა სახადების მიმართ ამგვარ დამოკიდებულებას, ცრურწმენების გამორიცხვით, გამართლებულად მიიჩნევს. ის გვირჩევს, რომ მსგავსი ინფექციებით დაავადებულებს, სწორედ ისე უნდა მოვექცეთ, როგორც ბატონებს — მათ სიმშვიდე სჭირდებათ და არავითარი ნერვიულობა!

**ამირან გამყრელიძე:**

— წითელათი დაავადების შემთხვევები ისევ მატულობს. 2.000-ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული და ძირითადად 20 და უფრო მაღალი ასაკის ადამიანები ავადდებიან. ეს კი იმან გამოიწვია, რომ ისინი აუცრელები არიან. 2008 წელს უნდა აცრილიყვნენ 6-დან 27 წლამდე ადამიანები, მაგრამ ეს კამპანია ჩავარდა. 50%-ზე ნაკლები აიცრა. ჩავარდნა თბილისში უფრო დიდი იყო. რაიონებში აცრის მაჩვენებელი უფრო მაღალი გახლდათ. თბილისში მხოლოდ 15% აიცრა. დედაქალაქში ამიტომ გვაქვს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და თანაც 20 წელზე ზემოთ ასაკში. ახლაც მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით ყველა იმ ადამიანს მოვუწოდო, ვისაც გამოტოვებული აქვს ეს აცრა (და ასეთი საქართველოში 36 ათასი ბავშვია, რომლებსაც ერთი სავალდებულო აცრა მაინც აქვთ გამოტოვებული), ყველა მივიდეს პოლიკლინიკაში და აიცრან, რათა მდგრადი იმუნური დენა შევქმნათ, რომ აღარ გავრცელდეს. ეს თხოვნაა ყველას მიმართ.

**— ვაქცინაციაჩატარებულ ადამიანებსაც რომ ემართებათ ეს დაავადება?**

— იშვიათად ემართებათ. ვინც ორჯერ არის აცრილი, ის დაცულია 95-97%-ით. ვინც ერთხელ არის აცრილი, ის — 80-85%-ით. აცრილს შეიძლება ვირუსი შეხვდეს, მაგრამ მსუბუქად, დაავადება იოლად მიმდინარეობს. ამიტომ ვაქცინაცია საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. წელს ორი შემთხვევა დასრულდა ლეტალურად. თუმცა ორივე შემთხვევაში პაციენტს სხვა ძირითადი დაავადება ჰქონდა, რაც წითელამ კიდევ უფრო გაამწვავა.

**— წითელას და მსგავს ინფექციებს ბატონებს რატომ უწოდებენ?**

— იმიტომ, რომ ამ ინფექციით დაავადებულებს, როგორც ბატონებს, ისე უნდა მოვექცეთ, რადგან მათ სიმშვიდე სჭირდებათ, არ შეიძლება განერვიულდნენ. აუცილებელია მათი ყველა სურვილის შესრულება. არ არის სწორი მიდგომა, როცა ექიმთან არ მიდიან, რადგან საკმაოდ ბევრი გართულების გამოწვევა შეუძლია. ყველაზე ხშირია ფილტვების ანთება, მერე მოდის შუაყურის გართულებები, რაც ხანდახან სმენის დაკარგვითაც მთავრდება. ასევე ახასიათებს გართულებები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ. პაციენტი უნდა იყოს მშვიდად, მიიღოს ბევრი სითხე და ის წამლები, რასაც ექიმი დაუნიშნავს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

# გიგი დედალამაზიშვილმა ცოლს მზითევში ძაღლის მიყვანა აუკრძალა

## „ქართველ კაცში მამაკაცურობა ყველაზე კარგად არის შემონახული“

უკრაინელი ფოტოგრაფი მარინა კარპი საქართველოში მუსიკოსმა გიგი დედალამაზიშვილმა (ჯგუფი „მგზავრები“) ჩამოიყვანა და ოთხდღიანი ქართული ტრადიციული ქორწილიც გადაიხადეს. ქართველების რძალმა სამაგალითო ცოლის როლი კარგად მოირგო — ქმარს ოჯახში დომინანტის ფუნქცია მიანიჭა, დედამთილისთვის შვილად იქცა და გოზინაყის გაკეთებაც კი ისწავლა.

მარინას ცხოვრება თბილისსა და კიევს შორის არის განაწილებული. სამშობლოში სამუშაოდ ჩადის, თბილისში კი ოჯახური ცხოვრებითა და დასვენებით ტკბება. საქართველო იმდენად მოსწონს, რომ უკრაინელ ახლობლებსაც მოანდომა აქ ცხოვრება.



„ჩვენს ურთიერთობაში ისევ არის რომანტიკა, სიგიჟეები, საჩუქრები. ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდი გვაქვს. ეს კი გიგის დამსახურებაა“.

**— მარინა, ქართველი მამაკაცის ცოლობა ადვილი აღმოჩნდა თქვენთვის? ქართულ ტრადიციებსა და ღირებულებებს გაუგეთ?**

— ქართული ტრადიციები ძალიან განსხვავდება უკრაინულისგან, მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. ძალიან მომწონს თქვენი ოჯახური ტრადიციები, მშობლების მიმართ დამოკიდებულება. საქართველოში ქალის კულტია, დედა თქვენთვის ყველაფერია. უკრაინაშიც დიდ პატივს სცემენ დედას, მაგრამ არა ისე, როგორც აქ.

**— ქართველი მამაკაცები დომინანტობის მოყვარულები არიან, ოჯახში წამყვან ძალად ითვლებიან და ალბათ გიგისაც ასეთი ხასიათი აქვს. ეს მისაღებია თქვენთვის?**

— კაცი იმით უნდა შეაფასო, ქალი როგორ გრძნობს თავს მის გვერდით. მე კი გიგის გვერდით ძალიან ბედნიერი ვარ. ვიდრე ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდებოდა, ქალიც ვიყავი და კაციც, ყველა პრობლემას მე ვწყვეტდი. ახლა ყველაფერი შეიცვალა. რა თქმა უნდა, თავიდან ცოტა დისკომფორტი მქონდა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ კაცი ოჯახში მართლაც წამყვანი უნდა იყოს. უკრაინაში ასე არ არის, იქ ოჯახში ქალი იღებს გადაწყვეტილებებს. ქართველ კაცში მამაკაცურობა ყველაზე კარგად არის შემონახული. თავიანთი ხასიათით ევროპელი კაცებისგან ძალიან განსხვავდებიან. სწორედაც რომ კაცი უნდა იყოს ოჯახში წამყვანი ძალა და პრობლემებს ის აგვარებდეს. ქალს და კაცს ოჯახში სხვადასხვა ფუნქცია აკისრიათ. ქალის პრობლემა ოჯახის საქმეებია — დალაგება, მოწესრიგება, ბავშვების გაზრდა. კაცები კი გლობალურ პრობლემებს წყვეტენ — მუშაობენ, ფული შემოაქვთ.

**— როცა შეყვარებულობის პერიოდი მთავრდება და ოჯახური ცხოვრება იწყება, ურთიერთობაში რაღაც ახალი, იქამდე უცნობი შემოდის. თქვენი და გიგის ურთიერთობაში ქორწილმა რა შეცვალა?**

— ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. ახლაც ისეთივე ბედნიერები ვართ, როგორიც შეყვარებულობის დროს, შეიძლება მეტადაც კი. ერთმანეთი უფრო შევიყვარდა, ჩვენს ურთიერთობაში ისევ არის რომანტიკა, სიგიჟეები, საჩუქრები. ასე რომ, ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდი გვაქვს. ეს კი გიგის დამსახურებაა. არ მესმის, რატომ უნდა შეცვლილიყო რამე.

**— ქართულ სამზარეულოს ალღო აუღეთ, რომელიმე ტრადიციული კერძის მომზადება ისწავლეთ?**

— არა, ძალიან რთულია. ცუდი დიასახლისი ვარ, არაფერი მეხერხება.

**— არადა ქართველ მამაკაცებს კარგი კულინარი ქალები სიქრდებათ.**

— ერთადერთი, რაც ქართული სამზარეულოდან გავაკეთე, გოზინაყია. თუ მოვინდომებ, მჭადის გაკეთებაც შემიძლია. სამზარეულოში ჩემი ფუსფუსი ძირითადად სოსისის მოხარშვით და კვერცხის შეწვით შემოიფარგლება, მაგრამ გიგის ჩემი მწირი კულინარიული შესაძლებლობებიც აბედნიერებს. მგონი, არანორმალური კაცია, რადგან საერთოდ განსხვავებულია. არასოდეს მეუბნება, ეს რატომ არ გააკეთე, საჭმელი რატომ არ მომიმზადეო. ვთვლი, რომ ქალმა აუცილებლად უნდა იცოდეს მზარეულობა, მაგრამ იმის გამო, რომ შემოქმედი ადამიანი ვარ, გაზქურასთან დგომა საჩემო არ არის.

**— თქვენი ოთხდღიანი ქორწილით რამდენად კმაყოფილი ხართ, რა შთაბეჭდილებები გამოგყვათ?**

— იმ დღის გახსენებაზე სულ ვტირი, რადგან ძალიან ემოციური იყო. ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორი კაბა მეცმებოდა, მთავარი იყო, ის ხალხი დარჩენილიყო კმაყოფილი, ვინც დაგვაფასა და მოვიდა. სტუმრები გვყავდნენ როგორც საქართველოდან, ისე უკრაინიდან. ქორწილს რომ ვგეგმავდით, გიგის ვეუბნებოდი, უკრაინიდან ალბათ, მაქსიმუმი, 10 კაცი ჩამოვამეთქი, მაგრამ ნახევარი თვითმფრინავი ხალხი ჩამოვიდა. შოკში ვიყავი, ყველამ გამონახა დრო და საშუალება, რომ ჩვენთან ჩამოსულიყო. ის დღეები არასოდეს დამავიწყდება, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იყო! ჩვენმა ქართველმა და უკრაინელმა მეგობრებმა კარგად მოილხინეს.

„მინდა, ქართველებს ვაჩვენო, ქორწილის გადაღება როგორ შეიძლება. რაღაც სიახლის შემოტანას ვგეგმავ. საქართველოში, ამ მხრივ, ცოტა სხვა ტრადიციაა, ნეფე-პატარძალი მშობლებთან ერთად დგებიან და ფოტოებს იღებენ. მე ასე არ ვმუშაობ, კიევში სხვა სტილია“.

**— უკრაინაში ხშირად ახერხებთ ჩასვლას?**

— კი, ჩვენც ჩავდივართ და ისინიც ჩამოდიან. ჩემი ახლობლები მალე საცხოვრებლად აქ ჩამოვლენ, ეს სურვილი მე გავუჩინე. უკრაინაში ჩემი სამსახურის გამო საკმაოდ ხშირად ჩავდივარ. ზოგჯერ იქ ყოველდღე ვმუშაობ, გადაღებები მაქვს. საქართველოში კი ვისვენებ, ძალებს ვიკრებ. აქ ისეთი ჰაერია, არ მესმის, როგორ მუშაობთ. ჩემი ახლობელი იყო ჩამოსული და გადაღება მთხოვა, მაგრამ უარი ვუთხარი. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც მხოლოდ უნდა ჭამო და გეძინოს.

11 მაისს ჩემი დაბადების დღეა. მინდა, ამ დღეს საქართველოში ჩემი პირველი გამოფენა გავაკეთო და თქვენც გეპატიჟებით. ჩემი გადაღებული ქორწილის ფოტოების პრეზენტაცია იქნება. მინდა, ქართველებს ვაჩვენო, ქორწილის გადაღება როგორ შეიძლება. საქართველოში რაღაც სიახლის შემოტანას ვგეგმავ.

**— ანუ საქართველოშიც აპირებთ მუშაობას?**

— ძალიან მინდა, აქაც ვიმუშაო და

„უკრაინაში ყოველდღე ვმუშაობ, საქართველოში კი ვისვენებ. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც მხოლოდ უნდა ჭამო და გეძინოს“.

ქორწილები გადავიღო. საქართველოში, ამ მხრივ, ცოტა სხვა ტრადიციაა, ნეფე-პატარძალი მშობლებთან ერთად დგებიან და ფოტოებს იღებენ. მე ასე არ ვმუშაობ, კიევში სხვა სტილია. სულაც არ არის აუცილებელი, სიძე-პატარძალი კადრში იყურებოდეს. ქორწილის ორგანიზებისას შეცდომას უშვებენ, როდესაც ფოტოგრაფზე არ ზრუნავენ. რატომღაც არ უნდათ ამაში ფულის გადახდა. თვლიან, რომ მთავარია, კარგი საჭმელი იყოს. სინამდვილეში ჭამა არაფერია, ყოველდღე შეჭამ, მაგრამ ის ფოტოები მთელი ცხოვრება გაგყვება, შენი ბედნიერების ამსახველ სურათებს შვილებს აჩვენებ.

ფოტოგრაფია ძალიან მიყვარს, ბევრი ქორწილი მაქვს გადაღებული. მამაჩემს არ უნდოდა, ეს პროფესია ამერჩია. ბავშვობაში რომ ვამბობდი, სკოლას დავამთავრებ და ფოტოგრაფი გავხდები-მეთქი, ეცინებოდა, შენ ჭკუიდან ხომ არ შეიშალე, მთელი ცხოვრება სხვებს როგორ უნდა სდიოო. მირჩევდა, ბიზნესლედი ან მოსამართლე გავხდარიყავი. მე მაინც გავხდი ფოტოგრაფი და მამას დავუმტკიცე, რომ მე კი არა, სხვები დამდევენ აქეთ. უამრავი ადამიანის ბედნიერება გამიზიარებია. ზოგჯერ ერთ დღეში შვიდი ქორწილის გადაღება მაქვს, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ამიტომ ახლა



Cyan Magenta Yellow Black

უკვე მამაჩემს ვეუბნები, ხედავ, რამდენი გადაღება მაქვს, ფული თავისით მოდის-მეთქი.

— **რძალდედამთილობა ზოგადად მსოფლიოში პრობლემატური საკითხია. თქვენსა და გიგის დედას შორის როგორი ურთიერთობა დამყარდა?**

— ყველა მეუბნება, რომ თუ საქართველოში რძალ-დედამთილს შორის კარგი ურთიერთობა არ არის, ეს ნორმალური სიტუაციაა. ჩემთვის ეს საოცრებაა, არ ვიცი, რატომ არ უნდა მიყვარდეს ციცი, პირიქით, ვგიჟდები მასზე. ყოველთვის ჩემს მხარესაა. ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ და ბედნიერი ვარ. არ მესმის, გიყვარდეს ქმარი და მის დედას არ ელაპარაკებოდე. ამ დროს ქმარია ცოდო, რადგან მას ცოლიც უყვარს და დედაც. ამ მხრივ, გიგი ბედნიერი ადამიანია. მე და მისი ოჯახის წევრებს ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

— **როგორია ცოლის თვალით დანახული გიგი?**

— რა თქმა უნდა, სახლში ისეთი არ არის, როგორიც სცენაზე. სიმღერებს არ მიმღერის, მაგრამ ძალიან მხიარულია. არ ვთვლი, რომ რადგან ჩემი ქმარია, აუცილებელია, ვაქო. ის ისეთი მიყვარს, როგორიც არის. როცა გავიცანი, არ ვიცოდი, საქართველოში ცნობილი თუ იყო. მოგვიანებით გავიგე, რომ პოპულარული იყო და გამიკვირდა კიდეც, რადგან ვარსკვლავური თვისებები არ აქვს. გიგი ძალიან კარგი, კეთილი ადამიანია. „ფეისბუქში“ დავწერე კიდეც, მსოფლიოში ყველაზე კეთილი ადამიანის პრემია რომ არსებობდეს, აუცილებლად გიგის გადავცემდი-მეთქი. ჩვენს სახლში ფარული კამერა რომ დაამონტაჟოთ, ძალიან ბევრს იცინებთ, რადგან ათას სისულელეს ვაკეთებთ და ვგიჟობთ.



გიგი და მარინა

**„გიგიც და მისი ახლობლებიც ქართულად მელაპარაკებიან, მე რუსულად ვპასუხობ. ასე, ნელ-ნელა ვსწავლობ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქართულ ენას ვისწავლიდი, ძალიან რთულია“.**

— **თქვენი და გიგის შეხედულებები ყველაფერში ემთხვევა ერთმანეთს?**

— ერთადერთი, რაშიც არ ემთხვევა, ისაა, რომ მე ძალიან მიყვარს ფრანგული ბულდოგი, გიგის კი — არა. ეს ძალიან სერიოზული განსხვავებაა და ამის გამო დიდი პრობლემა გვაქვს. უკრაინაში პატარა ფრანგული ბულდოგი მყავს, მინდა, აქ წამოვიყვანო, მაგრამ გიგი უარს მეუბნება. არ ვიცი, ეს საკითხი როგორ მოგვარდება. ძალიან მიყვარს ცხოველები, ვგიჟდები, მაგრამ ამით გიგი ჩემგან ძალიან განსხვავდება. უფრო დიდი სახლი რომ გვექნება, ლაბრადორი აუცილებლად გვეყოლება.

— **თქვენი სურვილი იყო დედამთილ-მამამთილისგან ცალკე ცხოვრება?**

— ჩემი აზრით, ყველა ოჯახი ცალკე უნდა ცხოვრობდეს. ჩვენ და ციცი მეზობლები ვართ, შორს არ წავსულვართ. მე ჩემი ოთახი, ჩემი აბაზანა მაქვს, დანარჩენზე არ მაქვს პრობლემა, ერთად ვსადილობთ.

— **გიგისა და თქვენ შორის ეჭვიანობის მომენტები არის?**

— მე ეჭვიანი არ ვარ და ეჭვიანობის საბაბს არც გიგი მაძლევს. ძალიან ხშირად აღმოვჩენილვართ სასაცილო სიტუაციაში. ჩვენ ყველგან ერთად დავდივართ, ცალ-ცალკე არასოდეს ვართ. უკრაინაში რამდენჯერმე გიგისთან ლამაზი მოცეკვავე გოგოები მივიდნენ გასაცნობად, მაგრამ მან ყველას უთხრა, რომ უკრაინელი ცოლი ჰყავდა. მე ვეუბნები, ნუ ამბობ, რომ ცოლიანი ხარ, გაიცანი გოგოები-მეთქი... ეჭვიანობა არ შეიძლება, ეს არ მაღელვებს.

— **როცა გიგი სახლში არაა, რითი ხართ დაკავებული, ქართველი მეგობრები გაიჩინეთ?**

— როცა გიგი სახლში არ არის, მისი ოჯახის წევრებთან ერთად ვარ. გიგის დას, ნინის, ახლახან გოგონა ეყოლა. პირველი მე ვიქნები, ვინც მასთან ერთად როლიკებზე ივლის. ვგიჟდები როლიკებზე, მგონია, რომ 10 წლის ვარ და ეს შეგრძნება ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

— **როდესაც უკრაინელები ჩამოდიან, რა მოსწონთ საქართველოში ყველაზე მეტად?**

— პირველი, რაც მოსწონთ, ეს ქართველი ხალხია. უკრაინელები და ქართველები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ჩვენი ბუნებაც კი თითქმის ერთნაირია, აქ კარგი ამინდია. გარდა ამისა, ქართველებს ძალიან კარგი სამზარეულო გაქვთ. მწვადები, ბუნებაში სეირნობა — ეს ხომ შესანიშნავია! ახლა ჩემი ნათლია აპირებს ჩამოსვლას და მისთვის მეორე ქორწილს გადავიხდი. საქართველოში ღვინო უყვართ, უკრაინაში — არაყი, ამიტომ ბევრ ღვინოს ვერ უძლებენ, მალე თვრებიან. ძალიან მიყვარს კახეთი, სიღნაღი შესანიშნავი ქალაქია, ლოპოტაც ძალიან მაგარია. ჩემი ყველა უკრაინული ინტერვიუ ქართველებსა და საქართველოზე საუბრით იწყება.

— **შვილის გაჩენაზე ჯერ არ ფიქრობთ?**

— ჯერ — არა, მაგრამ ძალიან მინდა და მომავალ წელს აუცილებლად გავაჩენ. მეც ცხენის წელში ვარ დაბადებული, ჩემი ძმაც და დედაჩემიც, ამიტომ ძალიან მინდა, ჩემი შვილიც ცხენის წელში დაიბადოს. გიგი ვეფხვის წელშია დაბადებული, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მაგარი იქნება — ერთი ვეფხვი და ორი ცხენი. ძალიან მინდა, შვილი ზაფხულის პერიოდში მეყოლოს, მისი გაზრდა ასე უფრო მარტივი იქნება.

— **აშკარაა, რომ ქართულ ენაში პროგრესი გაქვთ. ვინმე გეხმარებათ მის სწავლაში?**

— ქართულის სწავლაში ხელს ის მიწყობს, რომ გიგიც და მისი ახლობლებიც ქართულად მელაპარაკებიან. მე კი რუსულად ვპასუხობ. ასე, ნელ-ნელა ვსწავლობ. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქართულ ენას ვისწავლიდი, ძალიან რთულია. ამიტომ პატარა პროგრესიც კი მიხარია. ინგლისური, უკრაინული და რუსული კარგად ვიცი და ალბათ ქართულსაც კარგად ავითვისებ.

✓ ქეთი დინოშვილი

# „ბიჭი ძუძუს წოვას თავს რომ დაანებებს, ღვინის სმაზე უნდა გადავიდეს!“



## ნუგზარ ერგემლიძის უნივერსალური სახელდახელო კერძი

მომღერალი და მუსიკოსი, აგრეთვე ყოფილი დეპუტატი, ნუგზარ ერგემლიძე, მხატვრობითა და რომანების წერით რომ იყო გატაცებული, ვიცოდით, მაგრამ თურმე კულინარიაშიც კარგად ერკვევა. „სარკის“ მკითხველებს „მადამ ბოვარის“ რეცეპტიც შესთავაზა, ინგლისური ბიფშტექსისაც და სახელდახელო უნივერსალური კერძისაც.

კვებისადმი თავისებური მიდგომა აქვს, სქესის მიხედვით აქვს დაყოფილი. თვლის, რომ გარკვეული პროდუქტი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი, ზოგი კი მხოლოდ ქალებმა უნდა მიირთვან. აქვს სხვა საინტერესო თეორიაც. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერს მასთან ინტერვიუში გაეცნობით.

— **ბატონო ნუგზარ, ქართული მამაპაპური სუფრისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— არსებობს ქართული სუფრები, რომლებიც მამაპაპურად მიმდინარეობს — ქორწილის, დაბადების დღის. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ვერ ვიტყვი, რომ ამ წესს მივყვები. ტრადიციები გზადაგზა იცვლება, მაგრამ არის რა- →36



Cyan Magenta Yellow Black



ღაც, რაც უცვლელად რჩება, მაგალითად, მეგობრების შეკრება, მათთან ერთად წარსულის გახსენება, მომავლის დაგეგმვა. ეს ყველაფერი საქართველოში ყოველთვის სუფრასთან კეთდებოდა. ძალიან მსიამოვნებს ოთხ-ხუთ ადამიანთან ერთად ქეიფი. სუფრასთან ხშირად მომსვლია სიმღერის, ლექსის, თქვენ წარმოიდგინეთ, რომანის დაწერის იდეაც. საუბარში ბევრი საინტერესო რამ იბადება.

— **დიდ სუფრებს გაძღოლიხართ?**

— თამადობა შემიძლია, მაგრამ მაინცადამაინც არ ვეტანები. ბოლოს პოლიტიკოს სოსო შატბერაშვილის ქალიშვილის ქორწილში ვითამადე. თამადობით თავის გამოჩენა არ მიყვარს. ამ ადგილის დასაკავებლად ისინი მიილტვიან, ვისაც თავის გამოჩენის მოთხოვნილება აქვთ. ეს ინსტიტუტი რაღაცით სახელმწიფოსაც ჰგავს. ზოგჯერ თამადა დიქტატორი ხდება. არ მიყვარს, როცა ამბობენ, მომისმინეთო. ამ შემთხვევაში ის უკვე ავტორიტეტს კარგავს. ისე უნდა მოიქცეს, ისეთი პაუზები გააკეთოს, რომ სუფრის წევრებს ლაპარაკი აცადოს, მერე თავად შემოგხედავენ, თამადა რატომ არაფერს ამბობსო. სიმართლე გითხრათ, დიდი სუფრები არ მიყვარს. ამ დროს მეგობარს ისე ვერ დაელაპარაკები, როგორც საჭიროა. მირჩევნია, მათთან ერთად დავლიო, ვისთან საუბარიც მიყვარს.

— **როგორც ჩანს, ყოველდღიურობაში თქვენს ოჯახში სტუმრების შეზღუდულ რაოდენობას ეპატიჟებით.**

— კი, ასეა. თუ დღესასწაულია, ჩვეულებრივი ქართული კერძებით ვშლით სუფრას, როცა უბრალოდ ძმაკაცები ვიკრიბებით, გვიყვარს ქაშაყი მოხარშული კარტოფილით, შემწვარი კარტოფილი, ლუდი, ხორცი.

— **ველოდი, რომ ხორცს აუცილებლად ახსენებდით.**

— ხორცი მამაკაცის საჭმელია და აბა, როგორ! კაცებს სხვა საჭმელი გვაქვს და ქალებს — სხვა. კაცმა არაჟანი, ნამცხვრები არ უნდა ჭამოს და არც რძე დალიოს. ბევრი ადამიანი დაღუპა ნაბახუსევზე რძის მიღებამ. ბიჭი ძუძუსწოვას თავს რომ დაანებებს, ღვინის სმაზე უნდა გადავიდეს. რძე წებოს შეიცავს და ის ხბოსთვის არის საჭირო, რომ გაიზარდოს. ადამიანს კი ხრტილებს ძვლებად უქცევს, ამიტომაა, რომ ბევრ მამაკაცს ძვლის დაავადებები აქვს. ქალში სხვანაირი ნივთიერებათა ცვლა მიმდინარეობს. მამაკაცებს მჟავე ნივთიერება უნდა ჰქონდეთ ორგანიზმში, ქალებს — ტუტე. დაღლილი მამაკაცი ლუდს გემრიელად რატომ სვამს? იმიტომ, რომ მჟავეა. ამიტომ სვამენ ღვინოსაც. გუდის ყველიც კაცურია.

არ მესმის, როდესაც ამბობენ, საერთოდ არ უნდა დალიოთო. ნერვული სტრესების ეპოქაში როგორ შეიძლება სასმელი არ დალიო?! გადამეტება არ შეიძლება.

**„კაცებს სხვა საჭმელი გვაქვს და ქალებს – სხვა. მამაკაცებს მჟავე ნივთიერება უნდა ჰქონდეთ ორგანიზმში, ქალებს – ტუტე“.**

რასაც ქართველი კაცები ვაკეთებთ, ასე არავინ იქცევა. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ვარ ნამყოფი და იქ 300 გრამს თუ დალევენ. იტალიელები შედარებით ბევრს სვამენ. მწერალმა ალექსანდრე დიუმამ თბილისში, თუ არ ვცდები, 8 ბოთლი ღვინო დალია. აქედან ცნობა წაიღო, რომ ამდენი ღვინო მართლაც შესვა. თავის წიგნში ამბობს კიდეც, მე ერთხელ დავლიე იმდენი ღვინო, ისინი კი ყოველდღე სვამენო.

— **თქვენ გაქვთ გამორჩეულად საყვარელი ღვინო?**

— კი, კახური ტანინიანი ღვინო მიყვარს, თაფლივით არის. ბოლო დროს ღვინოს დიდად აღარ ვეტანები. მირჩევნია, არაყი ან ვისკი დავლიო.

— **სამეგობროს თქვენი მომზადებული კერძებით მასპინძლობთ?**

— კარტოფილს და კვერცხს ჩვეულებრივად ვწვავ, ყველსაც ვჭრი. საჭმელებს ძირითადად ჩემი მეუღლე აკეთებს, მართალია, ცოტა ბუზღუნ-ბუზღუნით, მაგრამ მაინც. ის ამ საქმის ძალიან კარგი ოსტატია.

— **თქვენ არ ეხმარებით სამზარეულოში?**

— ხორცს მე ვამუშავებ, ვუკეპავ ხოლმე.

— **უცხო ქვეყნის სამზარეულოს უპრობლემოდ აგემოვნებთ?**

— ბაყაყს ვერ ვჭამ, საზიზღარი ფეხები აქვს, მაგრამ ფილე რომ გააკეთონ, მშვენივრად დავაგემოვნებდი. კიბორჩხალა ძალიან მიყვარს. ცხენის გამოყვანილი ხორციც მიჭამია. ბავშვობაში ბათუმში ბერძნები გვყავდა სტუმრად, ისინი ცოცხალ ლოკოკინაზე ლიმონს ასხამდნენ და ისე ჭამდნენ.

იაპონურ რესტორანში შემწვარი ხახვი ვჭამე, რაღაცეებით იყო შეზავებული, ძალიან გემრიელი გახლდათ. ჩემი მეგობარი რამდენჯერმე იყო ინდოეთში და თურმე იქ საცივიც ჰქონიათ. საერთოდ, ინდოელების სამზარეულო ქართულს ძალიან ჰგავს.

მექსიკელებს ჩვენსავით ცხარე საჭმელები უყვართ. რუსებსაც ძალიან კარგი სამზარეულო აქვთ. მათი ხიზილალიანი ბლინები ყველას მოსწონს. მათ მჟავეული ძალიან უყვართ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც სოკოს მარინადს გამოვყოფ. ძალიან მიყვარს, სუფრაზე თუ მხვდება. რუსებს ძალიან კარგი თევზის სუპი აქვთ. უკრაინული ხორციანი ბორშჩიც არაჩვეულებრივია!

ბავშვობაში ლეჩხუმში დავდიოდი. სულ მიკვირდა, ჩემი ტოლები სოკოს რომ მოკრეფდნენ, პირდაპირ ტაფაზე დადებდნენ, კარაქს უზამდნენ, მარილს მოაყრიდნენ და მზად იყო. ერთხელ უმი სოკო მაჭამეს, სასიკვდილო თუ ვიყავი, მაშინ მქონდა ამის შანსი. ტყეში მარილს აყრიდნენ და ჭამდნენ.

— **ინტერვიუს ისე ვერ დავამთავრებთ, თუ რამდენიმე გემრიელი კერძის რეცეპტებს არ ჩაგვაწერინებთ.**

— „მადამ ბოვარის“ გასწავლით. ავიღებთ საქონლის ხორცის ნაჭრებს და დავბეგვავთ. შემდეგ კუბიკებად დავჭრით და ფენებად დავალაგებთ. ერთ ფენაზე დავაყრით წიწაკას და მარილს, მეორე ფენაზე — სოკოს, რომელსაც ასევე მოვაყრით წიწაკას, ხორცის მესამე ფენაზე დაფხვნილ ყველს მოვაყრით, მაიონეზს მოვასხამთ და პომიდვრის ნაჭრებს მოვალაგებთ. თეთრ ფონზე წითელი პომიდორი ძალიან ლამაზია. ბოლოს ამ ყველაფერს ჰაერღუმელში შევდგამთ და ისეთ კერძს მივიღებთ, პირში რომ დნება.

ძალიან კარგია შემწვარი კალმახი კაკლის ფოთლებში. თევზს გავასუფთავებთ და მთლიანად, თავებიანად კაკლის ფოთოლში გადავახვევთ. შეწვის დროს ფოთოლს კბილის ჩხირებით დავამაგრებთ. ამაში მთავარი ის არის, რომ თავისივე ორთქლში იშუშება. კარგია, თუ მაყალზე შევწვავთ, რაღაცნაირი ბაჟეს გემო აქვს.

როცა სახლში ვართ და სწრაფად გვინდა რამის მომზადება, ტაფას ძალიან გავაცხელებთ და ზეთს მერე დავასხამთ. შემდეგ დავაწყობთ ყველის ნაჭრებს, ვუზამთ წიწაკას, მოვასხამთ ათქვეფილ კვერცხს და დავაყრით სუნელებს. ძალიან უხდება ყვითელი ყვავილი და ქონდარი. ბოლოს არაჟანს გადავუსვამთ. შეგვიძლია ჩაისთან ერთადაც მივირთვათ და ღვინოსთანაც. ბევრი არაფერი უნდა, მალე მზადდება და გემრიელიცაა.

ასევე გასწავლით, როგორ შეიძლება სისხლიანი ხორცის შეწვა. მთელი საიდუმლო ის არის, რომ ხორცი არც ზეთში უნდა შეიწვას და არც კარაქში. ხორცის ნაჭრებს დავბეგვავთ და ძალიან მაგრად გახურებულ ტაფაზე თითო-თითო ნაჭერს დავალაგებთ. ტაფაზე დაგდებისთანავე ხორცი პირს მოიკრავს, ცოტა ხანში გადმოვატრიალებთ და მეორე მხარესაც პირს მოიკრავს. სისხლი შიგნით რჩება და გამოსვლის საშუალება არ ეძლევა. ეს არის ინგლისური ბიფშტექსი, რომელიც ძალიან გემრიელია.

✓ **ქეთი დინოშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# „ქალის ბედნიერება წონაზეა დამოკიდებული“

## რატომ თქვა უარი ნანუკა ჟორჟოლიანმა იერუსალიმში ჯვრისწერაზე



ყველასახე ნანუკა ჟორჟოლიანი უკვე დიდიხანია აპირებს, საპატარძლო კაბა ჩაიცვას და ერეკლე კოდუას გვერდით საკურთხეველთან დადგეს, მაგრამ ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს. ამჯერად მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჯვრისწერა, სამზადისიც დაიწყო და დიეტაზეც დაჯდა. ბოლო პერიოდში სახის კანს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. პირდაპირ ეთერში მეზოთერაპიაც გაიკეთა. არ მალავს, რომ ზედმეტი წონის მოსაშორებლად ლიპოსაქციას მიმართა, ნაოჭების წინააღმდეგ კი — ბოტოქსს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ თვითკრიტიკულია და თუკი რაიმე არ მოსწონს თავის გარეგნობაში, ამის სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიც კარგად იცის.

**— ნანუკა, იცავთ თუ არა ჯანსაღი ცხოვრების წესს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესს ვიცავ. სუფთა ჰაერზე ყოფნა, სწორი კვება... ეს ჩემი სტილი არაა. მძიმე რეჟიმი მაქვს. სულ სამონტაჟოში ვარ ან კომპიუტერთან, გვიან ვიძინებ და ა.შ. სამაგიეროდ დღეში აუცილებლად ორი ლიტრი წყალი უნდა დავლიო, გახდომისთვის მჭირდება. ამ ბოლო დროს ხშირად ვარ დიეტაზე.

**— თქვენთვის როგორი დიეტაა უფრო ეფექტური?**

— უგულავას დიეტით ახლა 9 კილო დავიკელი. წყალბურთელების დიეტა, რომელიც დიდი რაოდენობით კვერცხს შეიცავს, ჩემთვის ასევე ძალიან ეფექტურია. ამას როსტოს დიეტას ვუწოდებ. ადრე, როცა „რუსთავი 2“-ში პირველად დავიწყე მუშაობა, ჩვენი ხელმძღვანელი დათო დვალი ცილების დიეტას იცავდა და მთელი „რუსთავი 2“ ამ დიეტაზე იყო. სასადილოში სოსისი და ყველი არ რჩებოდა, ერთმანეთს ვასწრებდით. „იმედში“ საბას გაჩენის შემდეგ მივედი. მაყურებელი ხედავდა, რომ იმ დროს ხან ვიკლებდი, ხან — ვიმატებდი. ახლა ცხოვრების ის პერიოდი დამეწყო, როცა ჩემს წონას უნდა დავუბრუნდე. მალე ჯვარი უნდა დავიწერო, ამიტომ ჩემი ამოცანაა, სწრაფად დავიკლო.

**— ჯვრისწერისთვის ყოველმხრივ ემზადებით — წონის, გარეგნობის, ჩაცმულობის გათვალისწინებით?**

— კაბა იქნება სადა, მოკრძალებული და აუცილებლად რომელიმე ქართველ დიზაინერთან შეკერილი, რადგან მიყვარს ისინი. მინდოდა, იერუსალიმში დამეწერა ჯვარი, მაგრამ მოძღვარმა მითხრა, რომ ამით სერიოზული ჯვრის ტარება მომიწევდა. თურმე წმინდა მიწაზე ჯვრისწერა ბევრად მეტ ტვირთს ნიშნავს. კიდევ ჯვრის ტარება და გამოცდის ჩაბარება მინდა?! ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოში მოკრძალებულად დავიწერო ჯვარი.

**— რა წონამდე გინდათ ჩამოსვლა?**

— 60-62 კილომდე. რამდენი დამრჩა, ამას ვერ გეტყვით... თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამშობიაროდან 103 კილო გამოვედი, ე.ი. ძალიან ბევრი დავიკელი.

**— ალბათ ძალიან რთული იყო ორსულობის შემდეგ ფორმაში ჩადგომა.**

— საერთოდ ძალიან რთული ორსულობა მქონდა. ფეხმძიმობის პირველი პერიოდი 2008 წლის აგვისტოს ომს დაემთხვა. მაშინ „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტი გახლდით და იცით, სადაც ვიყავი. მთელი ორსულობის განმავლობაში მძიმე ნერვული ფონი მქონდა. 7 თვის რომ გავხდი, ყოველდღე მივდიოდი ექიმ ზაზა სინაურიძესთან და ვეუბნებოდი, გამჭერითმეთქი. რას აღარ მატყუებდნენ, რომ ეს არ გაეკეთებინათ. ყველაზე რთული ტოქსიკოზი — ტოქსოდერმო მჭირდა. ალერგიული ქავილი ჭკუიდან მშლიდა! ამან გამოიწვია ჩემი შეშუპება. ორსულობის შემდგომი პერიოდიც მძიმე მქონდა. ძალიან მინდა, კიდევ ერთ შვილი გავაჩინო, მაგრამ ის ამბები რომ მახსენდება, უარს ვამბობ.

ორსულობის შემდეგი 3 წელი ფორმაში ჩადგომა ვერ შევძელი, არადა სულ დიეტაზე ვიყავი. მასაჟებზეც ვიარე, ენდოკრინოლოგთანაც ვიყავი და აღმოჩნდა, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ. საბოლოოდ დღეს უკვე შედეგი მაქვს, მაგრამ ისეთ ფორმაში მაინც არ ვარ, როგორიც საბას გაჩენამდე ვიყავი — 58 კილო. გენეტიკურად ყველა დიდია ჩემ გარშემო. შესაბამისად რთულია ჩემთვის იმ შედეგის მიღება, რასაც სხვა ადვილად აღწევს.

**„სარკიდან ძლიერი, ჯიუტი, ბევრი ნაკლის მქონე, მაგრამ „ჯიგარი" გოგო მიყურებს".**

**— თქვენი აზრით, ქალისთვის წონა ასე მნიშვნელოვანია?**

— ვფიქრობ, რომ ქალის ბედნიერება წონაზეც არის დამოკიდებული. სხვა სტიმული გაქვს, როცა ფორმაში ხარ, ასაკიც გაკლდება, ჯანმრთელობა რეგულირდება და ა.შ. კულტურაა, რომ თავს მოუარო.

**— სახლში როგორ გამოიყურებით ხოლმე?**

— თუ სახლიდან არ გავდივარ, მაცვია პიჟამა, ხალათი და ჩუსტები, მაგრამ ეს წელიწადში ერთხელ ხდება.

**— ჩაცმულობაში ფერებს აქცევთ ყურადღებას?**

— თუ შავი მაცვია, ნიშნავს, რომ მინდა, გამხდარი ვჩანდე. ადრე ბევრი მკვეთრი ფერი მიყვარდა. ახლა სადა და დამჯდარ ფერებს ვანიჭებ უპირატესობას. მიხდება ყვითელი, მაგრამ არ მიყვარს. მომწონს შავისა და თეთრის კომბინაცია და ყველანაირი პასტელური ფერი.

**— მაკიაჟში როგორ ფერებს იყენებთ?**

— ბოლო დროს მაყურებელიც შენიშნავდა, მაკიაჟში იასამნისფერი ტონები მომწონს. ტუჩზე ნაკლებად ვაკეთებ აქცენტს.

**— ხშირად აკრიტიკებენ თქვენს ჩაცმულობას და სწორედ ფერების შეხამებას. რა რეაქცია გაქვთ ამაზე?**

— მე არ ვარ დიზაინერი, რომელიც სხვას მოსავს. ამიტომ კრიტიკა ჩაცმასთან დაკავშირებით ჩემთვის ნაკლებად მტკივნეულია. ამბობენ, რომ გაურკვეველი სტილი მაქვს, ფერებს ცუდად ვუხამებ. ცუდი სიტყვაა გოიმობა, მაგრამ ახლა გამოვიყენებ — არ გამიგია, ვინმეს ეთქვას, ნანუკა გოიმურად იცვამსო. თუ იტყვიან, არც ეს იქნება პრობლემა. მაღელვებს ის, როცა მეტყველების გამო მაკრიტიკებენ. ჟურნალისტი კარგად უნდა მეტყველებდეს.

**„ერთ გადაცემაში ზოლებიანი, ძალიან მოკლე კაბა მეცვა. ანჯელინა ჯოლივით მოკლე კაბით სიარული გადავწყვიტე. სრული „მარაზმი" იყო!".**

გადაცემაში რაც მაცვია, ჩემი გარდერობიდანაა, სამსახური არ ყიდულობს ჩემთვის და ამიტომ ქუჩაშიც მაცვია. ვიცი, რომ ჩემი ჩაცმულობა თინეიჯერებს მოსწონთ. ჩემს რამდენიმე სამოსს ეკა ხოფერიას სტილი დავარქვი. მას ძალიან აკადემიური, მოწესრიგებული სტილი აქვს, რომელიც მომწონს, მაგრამ ვერ ვირგებ. მეგობარი დიზაინერები სულ მეუბნებიან, რომ ასეთი სამოსი მიხდება. მათ ვპასუხობ, რომ, თუ ოდესმე პოლიტიკურ ტოქ შოუს წავიყვან, მაშინ ჩავიცვამ ამგვარად. ჩემს შოუში თავს უფლებას ვაძლევ, მეცვას ის, რაც მიყვარს. მომწონს ბასა ფოცხიშვილის და ნინო დარასელის ჩაცმულობა. მათი გარდერობიდან ყველაფერს წამოვიღებდი.

**— ჩაცმის მხრივ, თქვენს რომელ ექსპერიმენტს მიიჩნევთ წარუმატებლად?**

— ერთ გადაცემაში ზოლებიანი, ძალიან მოკლე კაბა მეცვა. ანჯელინა ჯოლივით მოკლე კაბით სიარული გადავწყვიტე. სრული „მარაზმი“ იყო!

**— ოჯახის წევრებისგან ვის აზრს ითვალისწინებთ გარეგნობასთან დაკავშირებით?**

— ჩემს მეუღლეს მოსწონს, როცა აკადემიურად და კლასიკურად მაცვია. მე და ჩემი შვილი, მარიამი, უფრო ვუზიარებთ რჩევებს და აზრებს ერთმანეთს იმიტომ, რომ ერთი გარდერობი გვაქვს.

**— ვარცხნილობას ხშირად იცვლით თმის ფორმას დიდ ყურადღებას აქცევთ?**

— ვთვლი, რომ ვარცხნილობა ცალკე ჩაცმულობაა. კარგი ვარცხნილობის შემთხვევაში ქალი სადა კაბაშიც კი მიმზიდველია. ეს იგივეა, რაც კარგი ჩანთა და ფეხსაცმელი. როგორ გგონიათ, პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში როცა ვიყავი და ჩემს ვარცხნილობაზე ამბები ატყდა, განა არ ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა?! ზუსტად ვიცი, პიარი როგორ კეთდება. წარმოიდგინეთ, ჟიურის წევრებიდან ერთი ჰოლივუდის ვარსკვლავი იყო, მეორე — პრიმაბალერინა... მე კი ერთი ჩვეულებრივი შოუს წამყვანი გახლდით. ისინი უნდა გადამეფარა. მეორე დღეს ყველა ჩემს ვარცხნილობაზე ლაპარაკობდა.

დიდი ხანია თმის ფერი არ შემიცვლია და ვფიქრობ, ხომ არ გადავიღებო.

**— გარეგნობაში ექსპერიმენტების ჩატარება გიყვართ?**

— ვგიჟდები! ბოლოს და ბოლოს კამერის წინ გავიკეთე მეზოთერაპია, თუმცა არ მიყვარს ექსპერიმენტების ჩატარება პლასტიკური ოპერაციებით. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წონის კორექციისთვის ლიპოსაქცია გავიკეთე და შუბლზე — ბოტოქსი. მიფიქრია, რომ ცოტა დიდი ცხვირი მაქვს, მაგრამ რა ფორმის მინდა მქონდეს, ეს აღარ ვიცი. არც ტუჩებს დავიბერავდი.

**— მეზოთერაპიამდე როგორ უვლიდით კანს?**

— მხოლოდ სახის საცხებს ვიყენებდი. გარუჯვა მიყვარს, რაც კანს საოცრად აშრობს, ამიტომ დამატენიანებელს აუცილებლად ვიყენებ.

**— რა დროს ატარებთ სარკის წინ?**

— ძალიან ცოტას. მხოლოდ სახლიდან გასვლის წინ და მაკიაჟის კეთების დროს ვიხედები სარკეში.

**— და ვინ გიყურებთ სარკიდან?**

— ძლიერი, ჯიუტი, ბევრი ნაკლის მქონე, მაგრამ ერთი „ჯიგარი“ გოგო მიყურებს.

✓ **მანანა ნოდია**





Cyan Magenta Yellow Black

# მარკუს მეტრეველი: „ყოფილი ცოლი შვილებს ისევ არ მაჩვენებს“



მომღერალ მარკუს მეტრეველს აღარც ნიანგის ტყავის ფეხსაცმელები აცვია და ვერც საოცნებო „ჰამერის“ საჭეს მიუჯდა, მაგრამ საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებას მაინც არ ნანობს. ურჩევნია, ახალგაზრდობის წლები სამშობლოში გაატაროს. ამ ეტაპზე ის საბერძნეთში გაკეთებული დანაზოგით ცხოვრობს, უახლოეს მომავალში კი ჯიბის შესავსებად შეიძლება ისევ წავიდეს საზღვარგარეთ, ოღონდ ცოტა ხნით.

მის შემოქმედებაში სტაბილურობაა, მონაწილეობს კონცერტებში, წერს ახალ სიმღერებს და ალბომს, პირად ცხოვრებაში კი ისევ ქაოსი და გაურკვევლობა აქვს. ყოფილ ცოლთან ურთიერთობის დალაგება ვერ შეძლო, შვილებს ვერ ნახულობს. ამის გამო შეიძლება უახლოეს მომავალში სასამართლოსაც მიმართოს.

— **მარკუს, კარგა ხანია, არსად გამოჩენილხართ. მოგვიყევით, რას აკეთებთ, რა გეგმები გაქვთ.**

— პირველ ქართულენოვან ალბომს ვამთავრებ, მხოლოდ ერთი სიმღერა დამრჩა ჩასაწერი. ახლა ალბომის გარე და შიდა ყდისთვის ფოტოებს ვიღებთ. ბოლო სიმღერა ძალიან ცნობილმა კვიპროსელმა კომპოზიტორმა დამიწერა, რომელიც „ევროვიზიისთვისაც“ მუშაობს. ის თავად დამიკავშირდა. თურმე ჩემს სიმღერებს მოუსმინა და „ფეისბუქზე“ მომწერა, რომ გვეთანამშრომლა. ივლისის შუა რიცხვებში კვიპროსში ჩასვლას ვგეგმავ.

**„ნინი შერმადინი იყო ის ადამიანი, რომელმაც ჩემს გულში რაღაც გრძნობები გააღვიძა“.**

— **საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ საკმაოდ პოპულარული იყავით, მერე კი თქვენმა რეიტინგმა იკლო. როგორ ფიქრობთ, ასე რატომ მოხდა?**

— საქართველოში დიდი გეგმებით ჩამოვედი, მაგრამ, როცა ქვეყანაში სტაბილური სიტუაცია არ არის, დაზღვეული არაფრისგან ხარ. თუნდაც ხელისუფლების ცვლილება გიშლის ხელს, იმ სტრატეგიას მიჰყვე, რაც თავიდან გქონდა ჩაფიქრებული.

— **ხელისუფლების ცვლილება დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ბუნებრივი მოვლენაა. შემოქმედს რატომ უნდა შეუშალოს ხელი?**

— იმიტომ, რომ საქართველოში შოუბიზნესი პოლიტიკაზეა მიბმული. როცა ხელისუფლება იცვლება, ამ სფეროსაც ეტყობა. მერე თავიდან გიწევს ახალი ადამიანების გაცნობა, გზების გაკვალვა და ა.შ. ვფიქრობ, რომ მივიწყებული სახე მაინც არ ვარ. წინ ნორმალურ ტემპში მივდივარ იმ ფონზე, რაც საქართველოში ხდება.

— **მთავრობის ცვლილება თქვენ რა მხრივ შეგეხოთ, შევიწროება იგრძენით?**

— ნებისმიერ პოლიტიკურ მიმართულებას მივესალმები, თუ იმ ძალას საქართველოსთვის კარგი უნდა. შესაბამისად სულ ერთია ჩემთვის, ხელისუფლებაში ვინ იქნება, ბატონი ბიძინა თუ ბატონი მიშა. რომელსაც სურს საქართველოს წინსვლა, იმის გვერდით დავდგები. ორივე პოლიტიკოსს დიდ პატივს ვცემ. დაბლოკვა და მსგავსი რამ მე არ შემხებია.

— **რა მოლოდინები გქონდათ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ?**

— ზუსტად მაშინ, როცა საქართველოში წამოსვლას ვაპირებდი, „იქს ფაქტორის“ კასტინგზე ნინი შერმადინი გავიცანი. მან მითხრა, საქართველოში არ წახვიდე, თორემ ინანებო. მაინც გავრისკე. თან პრეზიდენტი მოგვიწოდებდა, ემიგრანტი ქართველები სამშობლოში დაბრუნდითო. მეც ჩამოვედი, მაგრამ ის ვერ მივიღე, რასაც ველოდი. მეგონა, შოუბიზნესი გამართული და აყვავებული დამხვდებოდა და კორუმპირებული არ იქნებოდა...

— **რას გულისხმობთ კორუმპირებულ შოუბიზნესში?**

— ზოგიერთი მომღერალი სახელმწიფო სტრუქტურებთანაა ახლოს, ზოგიერთი კი ჩარეცხილი და დაბლოკილია.

— **საბერძნეთში შოუბიზნესი შორს დგას პოლიტიკისგან?**

— ევროპაში მომღერალი იმ პოლიტიკოსის გვერდით დგება, ვინც მეტს გადაუხდის, მაგრამ ეს სამუდამო არაა. იგივე მომღერალი მეორე წელს კონკურენტი პოლიტიკოსის გვერდით შეიძლება ვნახოთ. შოუბიზნესი ერთ პოლიტიკურ ძალაზე მიჯაჭვული არ არის.

— **საქართველოში თქვენი დაბრუნებისთანავე ბევრი ჭორმართალი გავრცელდა, თქვენს სექსუალურ ორიენტაციაზე კი ლაპარაკობდნენ.**

— ჩემს ორიენტაციაზე რომ არ ისაუბრონ, კიდეც გამიკვირდება... (იცინის). ეს ჭორი იმდენად შევისისხლხორცე, თვითონ ვამბობ, სექსუალურ ორიენტაციაზე რამე მკითხეთ-მეთქი. ასეთ ლაპარაკს ველოდი. სანამ საბერძნეთში წავიდოდი, მაშინაც ვიქცევდი ყურადღებას. ჩემმა პირველმა სიმღერამ „თავისუფლება“ და კლიპმა, რომელიც სერგი გვარჯალაძემ გადაცემა „კომუნიკატორში“ გაუშვა, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ორ დღეში ცენზურის ქვეშ მოექცა. ეს სიმღერა სიყვარულის, ურთიერთობის, გემოვნების და ა.შ. თავისუფლებაზე იყო აგებული. მაშინ 19 წლის ვიყავი. ვიფიქრე, რომ საქართველოში ჩემი ადგილი არ იყო... ამიტომ საბერძნეთიდან დაბრუნებულს არც გამკვირვებია, ჭორების ობიექტი რომ გავხდი.

მომღერალი მაყურებლის წინაშე განსხვავებული ვიზუალით უნდა წარდგეს, მარტო ვოკალური მხარე არაფერია. ახლა გამოსწორდა ქართულ ესტრადაზე მდგომარეობა, თორემ ადრე ყურადღებას არ აქცევდნენ, სცენაზე როგორ იდგნენ. მომღერალს ღიპი არ უნდა ჰქონდეს!

— **რა დაგხვდათ ქართულ ესტრადაზე, როგორ შეაფასებთ თქვენს კოლეგებს?**

— კარგი ახალი თაობა დამხვდა, მაგრამ ამავდროულად არიან დაუბანელი, ძონძებით შემოსილი სახეები. ზოგიერთმა არ იცის, სცენაზე როგორ უნდა ავიდეს. უბრალოდ წარმატებულად ყროყინებენ. თუ გვინდა, ევროპელები ვიყოთ, უნდა ვიცოდეთ სცენაზე დგომა. პატივი უნდა ვცეთ მსმენელს და მაყურებელს. ეს შენიშვნა, რა თქმა უნდა, ყველას არ ეკუთვნის. ბოლო პერიოდში, ამ მხრივ, სასიკეთო ძვრები ჩანს.

— **კოლეგებზე ასე განაწყენებული იმიტომ ხომ არ ლაპარაკობთ, რომ ცუდად შეგხვდნენ?**

— რამდენიმე ცნობილი სახე კრიტიკულად და სკეპტიკურად შემხვდა, მლანძღავდნენ. ცოტა ხანში ეს სიტუაცია დათბა და ახლა თითქმის ყველასთან ვმეგობრობ. პრინციპში, ყველგან ასე ხდება. როცა ახალი სახე შედის შოუბიზნესში, უნდობლად უყურებენ. მაგრამ საქართველოში ცუდი ის არის, რომ თვითონ არაფერს წარმოადგენენ და შენ გაკრიტიკებენ. ჯერ საკუთარ თავს მიხედონ! ამბობდნენ, რომ გოიმი, მახინჯი, გაუნათლებელი ვიყავი და ხმა არ მქონდა. ყველანაირ საზიზღრობას მაბრალებდნენ.

— **იმ ადამიანებთან დღეს კარგი ურთიერთობა გაქვთ?**

— ახლა მათთვის გავხდი ძალიან ნიჭიერი, გემოვნებიანი, თბილი ადამიანი და ა.შ.

— **ნინი შერმადინზე მინდა გკითხოთ. იქნებ გარკვეულით, ინტრიგის ჩაგდების გარეშე გვითხრათ, იყო თუ არა თქვენ შორის რომანი.**

— მე ვამბობ იმას, რომ ნინი იყო ის ადამიანი, რომელმაც ჩემს გულში რაღაც გრძნობები გააღვიძა. ჩვენი ურთიერთობა არ განვითარდა ბოროტი ადამიანების გამო, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს, რომ ურთიერთობა გაგვფუჭებოდა.

— **დღეს აღარ გაქვთ ურთიერთობა?**

— ვმეგობრობთ, მაგრამ არა ისე, როგორც თავიდან. ნინი ძალიან მიყვარს და ვგულშემატკივრობ.

— **ახლა ვინმეზე შეყვარებული არ ხართ?**

— მე საერთოდ სიყვარულით ვიკვებები. ამ ეტაპზე ჩემ გვერდით ძალიან კარგი ადამიანი დგას, თითქმის ჩემი ასაკის არის. ჯერ მეტის თქმა არ მინდა.

— **გულწრფელად გვითხარით, ინანეთ საქართველოში დაბრუნება?**

— მარტო იმას ვნანობ, რომ წლები მიდის და აქ დიდი არაფერი ხდება. ჩემი ოცნება სამშობლოში დაბრუნება და ახალგაზრდობის აქ გატარება იყო.

— **საქართველოში რითი ირჩენთ თავს?**

— წელს უამრავ კონცერტში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ ყველა საქველმოქმედო იყო. აქ შემოსავალი მაშინ გაქვს, თუ რესტორანში მღერი. სამი რესტორნისგან მქონდა შემოთავაზება და უარი ვთქვი, რადგან ასეთ ადგილებში სიმღერა არ შემიძლია. არანაირი ბიზნესი არ მაქვს. იმ დანაზოგს ვხარჯავ, რაც მქონდა, მაგრამ ეს ოდესმე ამოიწურება. მანქანის დაბურული მინების გამო იმდენი ჯარიმა გადავიხადე, რომ, მგონი, ფული აღარც დამრჩა.

— **„ჰამერის“ ყიდვას რომ აპირებდით, გადაიფიქრეთ?**

— არც ჩემი ახლანდელი მანქანა „იქს 5“ ღირს იაფი. მას ვყიდი, ვაპირებ, ცოტა დავამატო, რომ „ჰამერი“ ან სხვა ვიყიდო.

— **საქართველოში ჩამოსვლით ბევრ რამეზე მოგიწიათ უარის თქმა?**

— კი, დიდ ჰონორარებზე. ვერ ვამდიდრებ ჩემს შემოქმედებას, ველარ მივდივარ დასასვენებლად ნებისმიერ ადგილას. ადრე თუ ნიანგის ტყავის ფეხსაცმელში 6.000 ევროს ვიხდიდი, ახლა ამას ველარ ვახერხებ. მიყვარდა მეგობრებისთვის ძვირადღირებული საჩუქრების გაკეთება. იქ აპარტამენტებში ვცხოვრობდი, მაგრამ სულ საქართველო მენატრებოდა. ამიტომ არ ვნანობ, რომ აქ ჩამოვედი. ახლა როგორც ვარ, ამითიც ძალიან ბედნიერი გახლავართ.

— **ყოფილ ცოლთან დაძაბული ურთიერთობა გქონდათ. მოაგვარეთ ეს პრობლემა?**

— ის კვლავ არ მაჩვენებს ჩემს შვილებს. არ მინდოდა, სასამართლოსთვის მიმემართა, მაგრამ, მგონი, იძულებული ვიქნები, კარგი ადვოკატი ავიყვანო და ჩემი უფლებები დავიცვა.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ უქმნის ქმარს მყუდროებას დალი ჩიტალაძე




■ გუსტავ კლიმტის ვიტრაჟი საძინებელში

**„რემონტი გააკეთეთ კლასიკურ სტილში და მოერიდეთ თანამედროვე ტენდენციებს“, — გვირჩევს მოდის ექსპერტი დალი ჩიტალაძე. ეს მისი ცხოვრებისეული გამოცდილებაა. ბინა 8 წლის წინ კლასიკურ სტილში გაარემონტა, მხოლოდ ჭერის გაკეთებისას გაითვალისწინა მოდური ტენდენციები და ახლა ეს სანანებელი აქვს.**

**ბევრი სინათლე, სწორად განლაგებული სარკეები და კარგად შერჩეული ფერები ბინას შუქით და სიმყუდროვით ავსებს. დალი ჩიტალაძეს თავისი სახლი ძალიან მოსწონს, მაგრამ ასაკის მატებას-თან ერთად სულ უფრო უმძაფრდება ბუნებასთან სიახლოვის სურვილი. ეზოიან სახლზე ოცნებობს, სადაც ყვავილებს გააშენებს და მოუვლის.**

**— ქალბატონო დალი, გაიხსენეთ ის პერიოდი, როცა რემონტი გააკეთეთ თქვენს ბინაში. მაშინ როგორი ინტერიერი გსურდათ და დღეს თუ გაკმაყოფილებთ ის?**

— ეს ბინა დაახლოებით 10 წლის წინ შევიძინე, მაგრამ რემონტის გაკეთებას და ყველაფრის მოწესრიგებას 2 წელი მაინც დასჭირდა. ასე რომ, ამ ბინაში საცხოვრებლად 8 წლის წინ გადმოვედით. ის 2 წელი საშინელება იყო, სულ რაღაც არ მომწონდა. ლოდინის რეჟიმში ვიყავი, მასალები უნდა ჩამოეტანათ. მერე შუშის კარი შევუკვეთე და მასაც დიდხანს ველოდე-ბოდი. ხანაც გრანიტის ფერი არ მომწონდა და სახლის რემონტმა ამდენ ხანს ამიტომ გასტანა.

**„საძინებელი ძალიან მყუდრო უნდა იყოს. დღის განმავლობაში ვიღლები, უამრავი პრობლემაა და ამიტომ კარგი ძილი მჭირდება".**

დღეს უკვე რაღაცეები არ მომწონს და მინდა, შევცვალო. აქ ყველაფერი ისეა გაკეთებული, როგორც მაშინ იყო მოდაში. რომ მახსენდება, რემონტი რა ნერვების ფასად დამიჯდა, აღარაფერი მინდა. ახლა უკვე სერიოზულად დავფიქრდი, რომ ეზოიანი სახლი შევიძინო. რაც შუა ასაკს ვუახლოვდები, მინდა მიწა, ბალახი, აუზი, დიდი სიამოვნებით მოვუვლი ყვავილებს. ჩემი პატარა სამყარო მინდა ბუნებით და სუფთა ჰაერით. ამაზე უკვე

→40


# რელიფი

მწვავე პრობლემების რბილი გადაწყვეტა!




რელიფი ეფექტურად ხსნის ბუასილის ყველა სიმპტომს




რელიფი
გამოშვების ფორმა:
რექტალური სანთელი და მალამო
ზვიგენის ღვიძლის ქონი
ფენილეფრინის ჰიდროქლორიდი

რელიფი ადვანსი
გამოშვების ფორმა:
რექტალური სანთელი და მალამო
ზვიგენის ღვიძლის ქონი
ბენზოკაინი

რელიფი ულტრა
გამოშვების ფორმა:
რექტალური სანთელი
ზვიგენის ღვიძლის ქონი
ჰიდროკორტიზონის აცეტატი
თუთიის სულფატი

BAYER

150 Years
Science For A
Better Life

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს
მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

**შინ**

გართულება დამეწყო, ოცნებად მექცა.

**— კონკრეტულად რა არ გაკმაყოფილებთ, რისი შეცვლა გინდათ?**

— არ მომწონს ჭერი, „გიპსოკარდონი“ აღარ მხიბლავს, ადრე მოდაში იყო და ჭერის სიმაღლე 30 სანტიმეტრით დავაპატარავე. მინდა, მისაღებ ოთახში ის ჭერი საერთოდ ჩამოვხსნა. მოდის ექსპერტს მეძახიან და, შემიძლია გითხრათ, რომ კლასიკა და ელეგანტურობა ყოველთვის მოდაშია. ამიტომ გირჩევთ, თანამედროვე ტენდენციებს არ აჰყვეთ, ყველაფერი კლასიკურ სტილში გააკეთეთ, თუ გინდათ, რომ თქვენი რემონტი არასოდეს დაძველდეს. მიყვარს ულტრათანამედროვესთან შეხამებული ძველებური ელემენტები. მაშინაც ასე ვფიქრობდი და გავაკეთე კიდეც, მხოლოდ ჭერის დიზაინში შევცდი.

**— მარტო ჭერის გამოცვლა შედის თქვენს გეგმებში თუ კედლებსაც სხვა ფერით გადაღებავთ?**

— კედლების ფერები ძალიან მომწონს, ამიტომ დავტოვებ. მხოლოდ ჭერს შევცვლი, მისაღებ ოთახში ფარდებს და რბილ ავეჯს გამოვცვლი. ავეჯი, ისევე როგორც ტანსაცმელი, რაღაც პერიოდის განმავლობაში ცვდება, მოდიდან გადადის, ამიტომ უნდა გამოიცვალოს.

მისაღებში ხალიჩაც უნდა ავიღო. თავიდანვე გული მეთანაღრებოდა, როცა მუქ ბორდოსფერ ფარდებს ვკიდებდი, თუმცა ბორდოსფერი ძალიან მიყვარს. ამ ფარდებს ნეიტრალური ფერით ჩავანაცვლებ, მაგალითად, კრემისფერი შეიძლება. თან სივრცეს უფრო გაადიდებს.

**„ზამთარში, ახალ წელს, შობას, ბუხართან მთელი ოჯახი ვიკრიბებით. ვთვლი, რომ სახლში მყუდროების ერთ-ერთი ელემენტი სწორედ ბუხარია“.**



■ ბუხართან და ჩინურ ვარდთან




**— ბინას აშკარად ეტყობა, რომ სივრცე ძალიან გიყვართ.**

— ეს ბინა იმიტომ შევიძინეთ, რომ შემოსვლისთანავე თვალში მომხვდა არაჩვეულებრივი ხედები. მისაღები ოთახის ერთ კუთხეში რომ დადგე, მთელ სივრცეს აღიქვამ.

**— ამაში ალბათ ჰოლში გაკეთებული სარკეებიანი სვეტიც გეხმარებათ.**

— ეს ბოძი ბინის საყრდენია, ჩემმა არქიტექტორმა მითხრა, ამას ვერაფერს უშველი, ეს რომ მოანგრიო, ჭერი ჩამოგენგრევაო. ამიტომ სარკეებით შევფუთე. ერთი წერტილიდან შემიძლია ყველა ოთახი ვაკონტროლო. მაგალითად, საძინებელში რომ ვწევარ და კარი ღიაა, ამ სარკეების დახმარებით ზუსტად ვიცი, მისაღებ ოთახში რა ხდება, ვინ არის და რას აკეთებს.

ჰოლის შემოსასვლელში ჩვეულებრივი დახურული კარადა რომ გამეკეთებინა, სადაც ქურთუკებს ვკიდებთ, ძალიან დაბნელდებოდა, ახლა სინათლეცაა და მეტი სივრცეც. შუშა და სარკე ხშირად უნდა ათამაშო, ოღონდ — სწორად. არ ვფიქრობ, რომ ჩემს სახლში ბევრი სარკეა, იქაა, სადაც საჭიროა, რომ იყოს. ვერასოდეს ვიცხოვრებ ისეთ ბინაში, სადაც ხედი არ მექნება. საძინებლიდან თითქმის მთელ თბილისს ვუყურებ, სახლის ორი აივანიც მეხმარება მეტი სივრცის აღქმაში.

**— მოგწონთ დიდი ოთახები?**

— ამ ბინის ფართი 150 კვადრატული მეტრია, მართლაც დიდი ოთახებია. თავიდან ოთხი პატარა ოთახი ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩამწკრივებული და მოვანგრევინე. საერთოდ სხვა სახლად გადავაკეთე. გამიმართლა, რომ ძალიან კარგი არქიტექტორი, პაატა ქურდიანი მყავდა. ზუსტად აკმაყოფილებდა ჩემს მოთხოვნებს. ვუთხარი, რომ საძინებელში აუცილებლად მინდოდა პირადი აბაზანა-ტუალეტი და გარდერობის ოთახი. ქალს აუცილებლად სჭირდება დასვენება, ამიტომ საძინებელი ძალიან მყუდრო უნდა იყოს. დღის განმავლობაში ვიღლები, უამრავი პრობლემაა და ამიტომ კარგი ძილი მჭირდება. ჯანმრთელობის პირველი წყარო გამოძინებაა. ქალს, მინიმუმი, 8-9 საათი ძილი აუცილებლად სჭირდება, არავინ თქვას, რომ




4 საათი გამოსაძინებლად ჰყოფნის.

— **თქვენი საძინებელი მართლაც მყუდროდაა მოწყობილი და დილით გაღვიძებულს არც ზედმეტი ფერები გაგაღიზიანებთ.**

— რომ ვიღვიძებ, ჩემი ვიტრაჟის თბილ ფერებს ვხედავ. ეს გუსტავ კლიმტის ნახატის, „სიცოცხლის ხის“ ერთ-ერთი მონაკვეთია. ისე მომეწონა ეს მონაკვეთი, რომ სპეციალურად გავაკეთებინე. ოთახში ეს რომ არ იყოს, ძალიან დაბნელდებოდა, მხოლოდ ერთი ფანჯარა არ ეყოფოდა.

**„სურნელოვანი სანთლები სულ მინთია. სახლში კარგ სუნს დიდი მნიშვნელობა აქვს".**

— **როგორია თქვენი გარდერობის ოთახი?**

— გარდერობის ოთახი ჩემთვის უკვე პატარაა, აღარ მყოფნის. საძინებელში ერთი გარდერობი დავამატე და ჩემი მეუღლის სამოსი იქით გადავიტანე. კვდება ხოლმე სიცილით, მე ამ პატარა გარდერობში გადმომაგდეს და თავად ამხელა ოთახი არ ჰყოფნისო. ახლა ვეუბნებოდი, გარდერობის ოთახი ცოტა კიდევ გავადიდოთ-მეთქი. მითხრა, არც კი მიხსენო, თორემ არ ვიცი, რას გიზამო.

იმედი მაქვს, ახალ სახლს შევიძენთ, იქ უკეთესი პირობები მექნება და ყველაფრის მოთავსებას შევძლებ.




— **თქვენი ქმარი მეოჯახე კაცია, უყვარს სახლისთვის ნივთების შეძენა?**

— საოცარი მეოჯახეა, ძალიან უყვარს შენება, კეთება. ამას გარდა, საოცარი მამაა, შვილებზე გადაყოლილი. ყოველთვის ვამბობ, რომ მის გვერდით არაფერი მაშინებს. ცხოვრების განმავლობაში ბევრი კარგიც ვნახეთ და ცუდიც, მაგრამ ყველაფერი ერთად გადავიტანეთ. ამიტომ რაღაც უაზრო დეტალებზე, მაგალითად, თუ ოჯახში რაღაც არ არის, არ ვნერვიულობ. ვამბობ, რომ დღეს თუ არა, ხვალ იქნება. ოპტიმისტი ვარ. როგორ ცუდადაც უნდა ვიყო, ყოველთვის ვიცი, რომ მეორე დღეს უკეთესად ვიქნები.

**„ჩემი ქმარი საოცარი მეოჯახეა, ძალიან უყვარს შენება, კეთება. საოცარი მამაა, შვილებზე გადაყოლილი. ყოველთვის ვამბობ, რომ მის გვერდით არაფერი მაშინებს".**

სახლის მყუდროებას და აურას აუცილებლად დიასახლისი ქმნის. მამაკაცი რაც უნდა მეოჯახე იყოს, თუ დიასახლისს არ აქვს მეოჯახის სული, სახლში მყუდროება არ შეიქმნება. საზღვარგარეთ ერთი კვირითაც რომ ვიყო სასტუმროში, იქაც უნდა მოვიწყო ისეთი მყუდროება, რაც ჩემს ბინაში ასე ძალიან მიყვარს. სურნელოვანი სანთლები სულ მინთია. ეგვიპტეში სპეციალური სურნელოვანი ზეთები ვიყიდე. სახლში კარგ სუნს დიდი მნიშვნელობა აქვს. სიგარეტს ვეწევით და არ მინდა, თამბაქოს სუნი იდგეს, ამიტომ გამოსავალი სურნელოვან სანთლებში ვიპოვე. ოღონდ გამორიცხულია ვინმე სიგარეტით ხელში შემოვიდეს ჩემს საძინებელში. მეუღლე დაღლილი, განერვიულებული რომ მოდის, აუცილებლად სჭირდება მყუდრო სახლი, რბილი საწოლი, რომ კარგად დაისვენოს.

— **ბევრი ბალიში თქვენ გიყვართ?**

— კი, საძინებელში ბევრი ბალიში ძალიან მიყვარს. შეიძლება ერთ ბალიშზე დავიძინო, მაგრამ ვიდრე დამეძინება, →42



**შინ** თითო-თითო ბალიშს ვიცვლი.

**— ცოლ-ქმარი ერთობლივად წყვეტთ, სახლში რა შეცვალოთ, რა გააკეთოთ, რა შეიძინოთ?**

— კი, ერთობლივად, ერთმანეთის აზრების გათვალისწინებით. ჩვენი გემოვნება ძალიან ემთხვევა, არც ერთ დეტალზე გვიკამათია. ორივეს გვიყვარს მინიმალიზმი ძველებური ელემენტების შერწყმით. ამ სახლში ყველაფერი ჩემი და ჩემი ქმრის იდეებითაა გაკეთებული. მეგობრებს ჩემთან მოსვლა ძალიან უყვართ. იციან, რომ აქ მყუდროდ ვისვენებთ, გემრიელი ვახშმითაც ვუმასპინძლდები, მურაბასაც კი ჩემი ხელით ვაკეთებ, ოღონდ კი არ ვხარშავ, ხილს შაქართან ერთად ვინახავ. ძალიან მიყვარს სამზარეულოში ტრიალი. გემრიელ კერძებსაც ვამზადებ და საოცარ ნამცხვრებსაც ვაცხობ.

**— ყველაზე მეტი რომელი ოთახის ინტერიერზე იფიქრეთ?**

— საძინებელსა და მისაღებ ოთახზე. კაბინეტის ოკუპირება ჩემმა შვილმა მოახდინა. როცა რემონტი გვქონდა, ამერიკაში ცხოვრობდა და სულ მეგონა, რომ იქიდან არ ჩამოვიდოდა. სკოლა იქ დაამთავრდა, უნივერსიტეტშიც იქ ისწავლა და ვფიქრობდი, იქ დაიწყებდა მუშაობას. ერთ დღეს კი გამომიცხადა, დავიღალე ემიგრაციაში ცხოვრებით, სამშობლოში უნდა ჩამოვიდეო. ახლა ზის იმ ოთახში და ქართულად წერს ნოველებს. მალე ალბათ გამოვცემთ.

შვილი უცებ დამიბრუნდა ამერიკიდან, ოღონდ — მწერალი. სულ განვიცდიდი მის იქ ყოფნას, ერთი პერიოდი მე და ჩემი მეუღლე აქედან ვერ გავდიოდით და საშინლად მენატრებოდა.

**— მისაღებში მოწყობილ ბუხარს ხშირად იყენებთ პირდაპირი დანიშნულებით?**

— ჩემი სტიქია ცეცხლია და ამიტომ ძალიან მიყვარს ბუხარი. ჩემი ქმარიც მიერთდება ცეცხლის სიყვარულში. ზამთარში, ახალ წელს, შობას, ბუხართან მთელი ოჯახი ვიკრიბებით. ვთვლი, რომ სახლში მყუდროების ერთ-ერთი ელემენტი სწორედ ბუხარია.



■ სარკეებიანი სვეტი

**— სახლში აუცილებლად გექნებათ გამორჩეულად საყვარელი ნივთები, როგორია მათი ისტორიები?**

— კი, როგორ არა. განსაკუთრებით მიყვარს მოოქროვილი ზარდახშა. ძალიან კარგი მოლაპარაკებები გვქონდა ლონდონში და მაშინ ვიყიდე, რომ ის წელი მთელი ცხოვრება დამმახსოვრებოდა. ამ სახლში სურათის ჩარჩოებიც კი მიყვარს, მით უმეტეს, რომ ფოტოგრაფიაზე ვგიჟდები. ჩემთვის სურათი ყველაფერია, ბევრ რამეს მახსენებს. ჩარჩოში ჩასმული სურათები — ეს ჩვენი ოჯახის ისტორიაა. როგორც ხედავთ, კედლებზე ნახატებიცაა და ფოტოებიც. ჰოლში ერთ კედელზე მთლიანად ჩემი სურათებია. ფოტოგრაფ ირმა შარიქაძის ფოტოსესიაში მივიღე მონაწილეობა. ოჯახის წევრების სურათები ბუხარზე მილაგია. საძინებელში მაქვს ჩემი მეუღლის და მისი შვილიშვილის პატარაობის ფოტოები. მამას ხასიათით არც ერთი შვილი ჰგავს, მაგრამ ამ პატარა გოგოში ზუსტად ის ხასიათი დავინახე, რაც ჩემს მეუღლეს აქვს და ეს ამ ფოტოებსაც ეტყობა. ორივეს ზუსტად ერთნაირი გამოხედვა აქვს.

**— მისაღებში ყვავილი რომ გიდგათ, თქვენი შენაძენია?**

— ეს ჩინური ვარდია, პატარა იყო, რომ ვიყიდე, გაგიჟდა და უცებ გაიზარდა. წითელი ყვავილები აქვს. ძალიან კეკლუცია, მოფერება უყვარს, ოღონდ ვერ იტანს ადგილის შეცვლას. ზამთარში აქ დიდ ნაძვის ხეს ვდგამ და ვარდი სხვა კუთხეში გადაგვაქვს, ამის გამო იბუტება, ფოთლებს ჩამოყრის ხოლმე. ამიტომ აღარ ვუცვლი ადგილს.

✓ ქეთი დინოშვილი




# რატომ შეარქვეს რამაზ იოსელიანს იაპონელებმა „პრობლემ სანი“

## „პარიზში გასტროლები ირაკლი ოქრუაშვილმა გვაჩუქა“



მსახიობ რამაზ იოსელიანისთვის მოგზაურობა განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა. უფინანსობის გამო ბოლო დროს ამ სიამოვნებას მოკლებულია, მაგრამ ადრეული წლებიდან გასახსენებელი უამრავი რამ აქვს. არასოდეს დაავიწყდება მიხეილ თუმანიშვილთან ერთად ესპანეთში გატარებული დღეები, იაპონური საოცრებები და ამერიკული ტრადიციები, რომლებმაც გააგიჟა. ბატონი რამაზის სამოგზაურო ბუმი საბჭოთა კავშირის პერიოდს უკავშირდება და, როგორც თავად გვითხრა, ის დრო ენატრება. უამრავ ქვეყანას შეავლო თვალი, ერთადერთი, სადაც არ ყოფილა, აფრიკის კონტინენტია.

— **ბატონო რამაზ, რა პროცესია თქვენთვის მოგზაურობა?**

— ჩემთვის მოგზაურობა სიამოვნების, განმუხტვის პროცესია და ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, ფინანსების ნაკლებობის გამო ხშირად ვერ მივდივარ სამოგზაუროდ. თუ სადმე გავდივარ, ეს გასტროლებს უკავშირდება. უსახსრობის გამო ბოლო პერიოდში საზღვარგარეთ გასტროლებზეც ვერ დავდივართ, თორემ საქართველოში სოფელ-სოფელ ბევრს ვმოგზაურობთ.

— **როდის ჰქონდა თქვენს თეატრს გასტროლების ბუმი?**

— ეს კომუნისტების დროს იყო. შეიძლება იფიქროთ, რომ იმ დროს მივსტირი, მაგრამ ასეა და რა ვქნა? მაშინ კინომსახიობთა თეატრიდან, მგონი, მარტო აფრიკის კონტინენტზე არ ვყოფილვართ. მთელი მსოფლიო მოვიარეთ. იმ პერიოდში მოსკოვში „გოსკონცერტი“ არსებობდა და გასტროლებზეც მისი საშუალებით დავდიოდით. სამივლინებო ხარჯებს ისინი იხდიდნენ, კარგი ჭამა-სმა და გადასარევი ფესტივალები გვქონდა. ახლა კი თუ ვინმემ ფესტივალზე დაგვპატიჟა, ჩვენი ხარჯებით უნდა წავიდეთ და ხშირ შემთხვევაში თეატრს მგზავრობის ფული არ აქვს. თეატრიდან მაშინ მივდივართ გასტროლზე, თუ ვინმე მათხოვრულად ფულს გადმოგვიგდებს.

— **გატყობთ, გენატრებათ ის დრო.**

— ალბათ მენატრება, რადგან მართლა კარგი დრო იყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახალგაზრდა და სიცოცხლით სავსე ვიყავი. მხოლოდ ერთი იდეაფიქსი გვქონდა, კარგად გვეთამაშა და ბევრი სპექტაკლი გვქონოდა. თან ჩვენი მასწავლებელი, მიხეილ თუმანიშვილი, ცოცხალი გვყავდა.

— **როგორი იყო მასთან ერთად მოგზაურობა?**

— ბატონ მიშას თვითმფრინავის ისე ეშინოდა, ჩვენთან ერთად მხოლოდ ესპანეთში გახლდათ. ძალიან კარგი თანამგზავრი იყო. ჩვენ მას თეატრის ხელმძღვანელად ვერ აღვიქვამდით. ის ჩვენთვის უფრო მშობელი მამა იყო და, როგორც შვილები დაჰყავს მამას სამოგზაუროდ, ჩვენც ასე ვგრძნობდით თავს. დილით ფორმაში უნდა ვყოფილიყავით, ჩვენ კი გვიან ვიძინებდით და ამის გამო ხშირადაც გვტუქსავდა. არ უნდა გვემაიმუნა და არ უნდა გვემამაძაღლა, რადგან უცხო ქვეყანაში საქართველოს წარმოვადგენდით. რა თქმა უნდა, ბატონი მიშა მართალი იყო, მაგრამ მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და თავში გვიქროდა.

— **თეატრის დასთან ერთად მოგზაურობა სახალისოა?**

— გენიალური და არაჩვეულებრივი რამ გახლავთ. თეატრი პატარა ოჯახია თავისი ჩხუბებით, გაბუტვებით, სიყვარულებით, ერთგულებით, მოვლითა და მოფერებით. გასტროლი თეატრისთვის პირველი წამალია. ამ დროს მსახიობებს ყოველგვარი წყენა და ცხოვრებისეული პრობლემა ავიწყდებათ და, სხვათა შორის, გასტროლების დროს ავლენენ თავიანთ ნამდვილ ხასიათსა და სახეს. ზოგი პრეტენზიულია, ზოგი — ჯიუტი და ზოგიც — ამყოლი.

— **ცნობილი ფაქტია, კომუნისტების დროს საზღვარგარეთ ჯგუფი რომ მიდიოდა, აუცილებლად სუკ-ის თანამშრომელი მიჰყვებოდა. თქვენც გყავდათ ხოლმე ასეთი „თანამგზავრი“?**

— დიახ. მოსკოვში რომ ჩავიდოდით, „გოსკონცერტში“ ჯერ გასაუბრებას გავდიოდით, გვარიგებდნენ, სხვა ქვეყანაში როგორ უნდა მოვქცეულიყავით. განყოფილების გამგე გვეტყოდა, თქვენთან ერთად ჩვენი წარმომადგენელიც მოდისო. ერთხელაც მადრიდში მივემგზავრებოდით და აეროპორტიდან ვიღაც ტიპი აგვყვა. კულტურის სამინისტროდან ვარო, ასე გაგვაცნო თავი. კულტურის სამინისტროში ყველას ვიცნობთ და თქვენ რაზე მუშაობთ-მეთქი, ვეკითხებოდი. მსახიობების ყბაში თქვენი მტერი ჩავარდეს, მაიმუნების პრეზიდენტები ვართ! ამ საცოდავ „კაგებეშნიკს“ ღადაობა დავუწყეთ. ყოველ წუთს ვეკითხებოდით, საიდან ხარ-თქო, გავაგიჟეთ! ბოლოს გვითხრა, შემეშვით, ხომ იცით, ვინც ვარო. მერე ეს ტიპი გავიცანით, გადასარევი კაცი აღმოჩნდა. ხუთ-ხუთმა იარეთო, გვეუბნებოდა, ეშინოდა, ვინმე არ დარჩენილიყო, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იქ დამრჩენები არ ვიყავით.

ბოლოს სულ გადავრიეთ. ვკითხეთ, მთავრობამ მარტო გამოგიშვა ჩვენთან ერთად-თქო. კიო, გვიპასუხა. მგონი, ასე არ არის, რადგან თქვენ გარდა სხვაც დაგვყვება და გვითვალთვალებს-თქო. გავახედებდით და ვიღაცაზე ვანიშნებდით, ნახე, როგორ გვიყურებს-თქო, ვეტყოდით და ისიც ეჭვდებოდა. ბოლოს თქვა, მე მარტო არ გამომიშვებდნენ, ეს ჩემი პირველი ვიზიტიაო. თავი გაყიდა.

— **მოგეწონათ ესპანეთი?**

— საზღვარგარეთ ეს ჩვენი პირველი გასვლა და ჩემთვის რაღაც საოცრება იყო. სხვა სამყაროში მოვხვდით. პრადოს მუზეუმიდან ველარ გამოვდიოდი, თან ჩვენი სასტუმროს გვერდით იყო და სრული შოკი მივიღე.

**„ავსტრალიელ მაყურებელს ჩვენს სპექტაკლზე ისტერიკა დაემართა. „ბაკულას ღორები“ რამდენჯერმე მოითხოვეს, ტაშს იმდენ ხანს უკრავდნენ, დაიღალნენ და ემოციებისგან ფეხების ბაკუნზე გადავიდნენ“.**

— **გასტროლების დროს უცხო ქვეყნის დათვალიერებას ასწრებთ?**

— რა თქმა უნდა. პარიზში 6-ჯერ ვარ ნამყოფი და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ იქაურობა ზეპირად ვიცი. მგონი, პარიზი მართლა მსოფლიო დედაქალაქია. იქ ფეხს ჩადგამ თუ არა, შეგრძნება გეუფლება, თითქოს იქ დაიბადე და გაიზარდე. ყველაფერი ნაცნობია, ხალხი გიღიმის, მოკლედ, ქალაქი გიღებს. ეიფელის კოშკზე სამჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ დიდი არაფერი, ავედი და პარიზს გადმოვხედე. ლუვრზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მონმარტრი არაჩვეულებრივია! იქ ქართველი ემიგრანტებისთვის ვითამაშეთ სპექტაკლი „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“.

— **სპეციალურად ქართველებისთვის ჩახვედით?**

— ეს გასტროლი ირაკლი ოქრუაშვილმა აიღო თავზე. შარშან გაზაფხულზე საჩუქარი გაგვიკეთა და პარიზში წასვლა დაგვიფინანსა. ამისთვის დიდი მადლობა მას. სპექტაკლზე იმდენი ხალხი მოვიდა, თეატრის კარი ღია იყო და ქუჩიდანაც გვიყურებდნენ. ბილეთები შეგნებულად არ გავყიდეთ, მოსაწვევები დარიგდა. ქართველებთან ერთად სპექტაკლს ფრანგებიც ესწრებოდნენ. სპექტაკლი ქართველ ქალზეა, რომელიც ამერიკაში მოხუცს უვლის. ეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ პრობლემატურია. საზღვარგარეთ კაპიკებზე სამუშაოდ არაერთი ქართველი ქალი მიდის. მათთვის ეს იმდენად ნაცნობი სიტუაცია იყო, უნდა გენახათ, რა დღეში ჩაცვივდნენ. ტიროდნენ და ყველა ამბობდა, არა,

→44



■ პარიზში



Cyan Magenta Yellow Black

ჩვენს მიწაზე უნდა დავბრუნდეთო.

— **ყველაზე კარგი მაყურებელი სად დაგხვდათ?**

— საზღვარგარეთ ყველგან კარგი მაყურებელია, მაგრამ რაც განსაკუთრებულად დამამახსოვრდა, ავსტრალიელი მაყურებელი იყო. იქაურებს ჩვენს სპექტაკლზე ისტერიკა დაემართათ. „ბაკულას ღორები“ რამდენჯერმე მოითხოვეს, ტაშს იმდენ ხანს უკრავდნენ, დაიღალნენ და ემოციებისგან ფეხების ბაკუნზე გადავიდნენ. ქართული თეატრი სადაც უნდა წავიდეს, ყველგან წარმატებული იქნება. მსგავსი ტემპერამენტისა და ხიბლის არტისტი არც ერთ ქვეყანას ჰყავს. თუ საქართველოში სპექტაკლი მოეწონათ, ჩათვალეთ, რომ ყველგან წავა. ერთობ პრეტენზიული მაყურებელი გვყავს. ჩვენს მაყურებელს ყოველდღე გამოცდა უნდა აბარო, დანდობა არ იცის და სწორიცაა, მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს.

— **ავსტრალიაში რა პერიოდში იყავით?**

— იქ 1992 წელს ვიყავით. ავსტრალიაში მოგზაურობა ფანტასტიკური გახლდათ, თან პირველი შემთხვევა იყო, როცა „კაგებეშნიკი“ არ წამოგვყვა და უფრო თავისუფლად ვიყავით. ხელოვნების ფესტივალი იმართებოდა, სადაც მუსიკოსებიც იყვნენ, მხატვრებიც და სხვადასხვა ქვეყნებიდან თეატრის წარმომადგენლებიც. მე და ნინო ბურდული ერთ დღეს ვართ დაბადებული და იქ ყოფნას ჩვენი დაბადების დღე დაემთხვა. რა თქმა უნდა, ერთად გადავიხადეთ. ჯო პასი, ჯო უილიამსი, პაკო პენია და სხვა მუსიკოსები დავპატიჟეთ. იქ 40 დღე დავრჩით და გადასარევი დრო გავატარეთ.

— **ბევრისგან მსმენია, უცხო ქალაქში გზა როგორ არევია და დაკარგულა. თქვენ არასოდეს მოხვედრილხართ ასეთ გაუგებრობაში?**

— როგორ არა, ყველაზე საშინელი დამემართა — ტოკიოში დავიკარგე. ერთ-ერთმა თეატრმა დამპატიჟა. საღამოს მასპინძელს სასტუმროში უნდა გავეცილებინე, გავიგიჟე თავი, გზა კარგად ვიცი და მე თვითონ უნდა წავიდე-მეთქი, მაგრამ ისე დავიკარგე... ტოკიოს ქუჩებში 6 საათი დავდიოდი. თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა! იაპონელებმა ინგლისური არ იციან და რა გინდა, გააკეთო? არ გაგიჟდე-მეთქი, საკუთარ თავს ვამხნევებდი. ჩემდა საუბედუროდ, მოსაწვევი ბარათიც სასტუმროში დამრჩენია. თეატრის მისამართს ვკითხულობდი და ვერავინ მიპასუხა. ნიშნულად ქალაქის უზარმაზარი მერია მქონდა და ქუჩების ძებნაში ისეთ კვარტალში მოვხვდი, უზარმაზარი სახლები იდგა და მერიის შენობას ფარავდა. იმ კვარტლიდან როგორღაც გამოვაღწიე და აღმოჩნდა, რომ თურმე მერიის შენობას გავცდენილვარ. მეტროში 3-ჯერ ჩავედი და ამოვედი. თურმე ტოკიოს თეატრის მსახიობებიც მეძებდნენ.

ბოლოს შემთხვევით ჩემს სასტუმროს სხვა მხრიდან ჩავუარე და ვიღაცამ დამიძახა კიდეც: „რამაზ სან!“. მერე იმ თეატრის არტისტებმა „პრობლემ სან“ შემარქვეს. არადა კარგი ორიენტაციის უნარი მაქვს. უბრალოდ ტოკიო 20 მილიონიანი ქალაქია თავისი ვიწრო ქუჩებით. იქ მანქანას რომ ვერ აჩერებენ, ამწეკრანს ჰაერში ჰყავს გამოკიდებული.

— **მიუხედავად ამ ფაქტისა, იაპონიიდან საოცარი შთაბეჭდილებით დაბრუნდებოდით.**

— იაპონია არაამქვეყნიური ქვეყანაა. გენიალური, სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ქუჩაში სიგარეტს ვეწეოდი, უცებ ვიღაცამ ზურგზე ხელი დამარტყა, გავიხედე და პოლიციელი შემრჩა. ვიფიქრე, მიჭერენ-მეთქი და... საფერფლე მომაწოდა, აქ მოწევა არ შეიძლებაო. რაღაც ადგილზე მანიშნა, ხესთან კვამლი ამოდიოდა, იქ ეწევიანო.

საოცრად მოწესრიგებული ხალხია. სტუმრად იშვიათად გეპატიჟებიან. ოჯახში იმდენივე თეფში გააჩნიათ, რამდენიც არიან, მაგრამ ტექნიკიდან ყველაფერი აქვთ. ჩაცმაზე არ ზრუნავენ, არც ავეჯზე ფიქრობენ დიდად და არც სასახლეებში ცხოვრობენ. ოღონდ ჭამაზე აქვთ გართულება. კარგად უნდა იკვებონ. მათთვის ყველა საკვებს რაღაც დანიშნულება აქვს, რომელი რა ორგანოსთვისაა მისწრება, ზეპირად იციან.

**„ტოკიოს ქუჩაში სიგარეტს ვეწეოდი, უცებ ვიღაცამ ზურგზე ხელი დამარტყა, გავიხედე და პოლიციელი შემრჩა. ვიფიქრე, მიჭერენ-მეთქი... საფერფლე მომაწოდა, აქ მოწევა არ შეიძლებაო".**



ტოკიოში

**„იაპონიაში საშინელი ჩვევა აქვთ, ყველაფერს ხმაურით ჭამენ. წვნიანსა და ჩაის ხვრეპენ. ისინი რომ ხვრეპდნენ, მე სიფათი მეცვლებოდა, მადა მეკარგებოდა".**

გვიან მივხვდი, ასე რატომ ცხოვრობენ. სულ მიწისძვრებში და გაქცევაში არიან ის უბედურები და ავეჯი სად შეაგროვონ? საწოლიც არ აქვთ, იატაკზე სძინავთ.

— **პირადად თქვენ როგორ ეგუებით უცხო ქვეყნის სამზარეულოს?**

— იაპონიაში კვება ძალიან გამიჭირდა, ყველაფერი თევზის სუნად ყარდა. თან საშინელი ჩვევა აქვთ, ყველაფერს ხმაურით ჭამენ. წვნიანსა და ჩაის ხვრეპენ. ისინი რომ ხვრეპდნენ, მე სიფათი მეცვლებოდა, მადა მეკარგებოდა. ჩემი მეგობარი, ვისთან ერთადაც გახლდით, რუსულად მეუბნებოდა, ნე პრინიმაი ტაკიე როჟიო (ასეთ სახეს ნუ იღებო). ხვრეპდნენ და თან ამბობდნენ, უჰ, რა გემრიელიაო. ყველა გაოცებული მიყურებდა. თურმე, თუ არ შეხვრეპ და თან მოწონებას არ გამოხატავ, უზრდელობა და მასპინძლის შეურაცხყოფა ყოფილა.

იაპონური სამზარეულოდან ბევრი არაფერი მომეწონა. ესპანური სამზარეულო კი მართლა ძალიან მაგარია! ზღაპარი საჭმელები აქვთ. თქვენ არ იცით, გოჭს როგორ წვავენ, უგემრიელესია!

— **არსებობს ქვეყანა, რომლის ტრადიციებმაც გაგაოცათ?**

— კი, ასეთი ამერიკაა. იქ 1993 წელს გახლდით გასტროლზე. მენეჯერი გოგო გავიცანით, მისი მეუღლე ადვოკატი იყო. ეს ბიჭი შემდეგ ბილ კლინტონის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გამხდარა. ამ წყვილს დავუახლოვდით. დრო გვქონდა, გოგოს მშობლებთან ვიყავით დაპატიჟებული და სამი დღით პენსილვანიის შტატში წაგვიყვანეს. ოჯახში ასეთი ტრადიცია ჰქონდათ — სიძე და ქალიშვილი სიგარეტს მშობლებთან არ ეწეოდნენ, არც სვამდნენ. მოკლედ რომ გითხრათ, მთელი ოჯახი შეიკრიბა. დავსხედით მაგიდასთან და ჭამა დავიწყე თუ არა, გოგოს დედამ შემაჩერა, ჭამის წინ ლოცვა წაიკითხა და მერე ვისადილეთ. ეს ქალი ქართველ დედას ჰგავდა, სუფრაზე რაც იდო, ყველაფერს მთავაზობდა.

მეორე დღე რესტორანში წავედით და... იქ კი გავგიჟდი. დედ-მამამ თავიანთი ანგარიში გადაიხადეს, შვილმა და სიძემ თავიანთი, ეს ჩემთვის შოკი იყო. კიდევ კარგი, დაპატიჟებული ვიყავი, თორემ ჩემიც მე რომ გადამეხადა, სულ გადავირეოდი! ასეთი რამ პირველად ვნახე, მერე კი მივეჩვიე, სხვა რა გზა მქონდა.

— **როგორც ქვეყანა, ამერიკა მოგეწონათ?**

— სხვებისგან განსხვავებით, ამერიკას ჩემზე შოკი არ მოუხდენია. იქ ნამდვილად ვერ ვიცხოვრებდი. ევროპა ყველაფერს მირჩევნია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყანაში ცხოვრების შანსი არაერთხელ მომეცა, საქართველოს გარდა მაინც ვერსად ვიცხოვრებ. ამერიკაში ერთი კვირით წავედით, მაგრამ რაღაც მოხდა და კიდევ ორი კვირით დავრჩით. ეს ორი კვირა იყო უბედურება. ფული არ გვქონდა. რადგან ძალიან კარგი სპექტაკლი ჩავიტანეთ და ჩვენ შესახებ მთელმა ვაშინგტონმა იცოდა, ის ორი კვირა სასტუმრომ უფასოდ გვაცხოვრა.

— **თვითმფრინავში თავს კომფორტულად გრძნობთ?**

— ეს ტრანსპორტი ძალიან მიყვარს, პრობლემა არ მაქვს. ფრენის დროს ერთადერთხელ შემეშინდა. კომუნისტების პერიოდში მაშინდელ ლენინგრადში მივფრინავდით. თვითმფრინავის უკანა სალონში ვიჯექი და სულ რაღაც ხმები მესმოდა. ბორტგამცილებელს რუსულად ვუთხარი, ხომ არ ვფეთქდებით, საშინელი ხმები მესმის-მეთქი. ისე დავიძაბე, ხალხსაც შეეშინდა და ჩოჩქოლი ატყდა. ბორტგამცილებელი მოვიდა და მითხრა, ტრაპთან მილიციას გამოვიძახებ და ინტრიგისთვის დაგიჭერთო. მერე ტუალეტში შევედი, ჩასარეცხ ღილაკს დავაჭირე ხელი და მივხვდი, რომ იმისი ხმა ყოფილა და ტყუილად მეშინოდა. ტუალეტთან ვიჯექი და ვინც ჩარეცხავდა, მაინცდამაინც მე მესმოდა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black



# მხიარული და მთვრალი გლაზგო

შოტლანდიის ყველაზე დიდი ქალაქი გლაზგო შუა შოტლანდიის დაბლობზე, მდინარე კლაიდის ნაპირზე მდებარეობს. „გლაზგო“ კელტური სიტყვაა და თარგმანში „ძვირფას მწვანე ადგილს“ ნიშნავს. ქალაქი საკუთარ სახელს ამართლებს — ის პრაქტიკულად მთლიანად მწვანეშია ჩაფლული.

ინგლისთან სიახლოვისა და კულტურების შერწყმის წყალობით, გლაზგო ტურისტების უსაყვარლეს ქალაქად ითვლება. ეს ის ადგილია, სადაც ულტრათანამედროვე ბარები და შუა საუკუნეების შენობებია თავმოყრილი.

## კლიმატი

გლაზგოში საკმაოდ ცვალებადი კლიმატია. ერთ საათში ამინდი შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს. ასე რომ, იქ წამსვლელი ტურისტები, სეზონის მიუხედავად, მზად უნდა იყვნენ ნებისმიერი ამინდისათვის.

ამ ქალაქში მზე თითქმის არ ჩანს, ზაფხულშიც კი. სინესტის გამო ქვები, რომლებითაც შენობებია აგებული, შავდება. ზაფხულში ტემპერატურა იშვიათად ადის 23 გრადუსზე. ზამთარი საკმაოდ თბილია, ტემპერატურა 0 გარდუსზე დაბლა თითქმის არასოდეს ეცემა. გაითვალისწინეთ, შოტლანდიის ყველაზე დიდ ქალაქში სამოგზაუროდ საუკეთესო პერიოდი მაისიდან სექტემბრამდეა.

## ენა

გლაზგოს ოფიციალური ენები ინგლისური და გელარ-შოტლანდიურია. მოსახლეობის უმეტესობა, დაახლოებით 85%, ინგლისურენოვანია, დარჩენილი რაოდენობა კი გელურ-შოტლანდიურ ენაზე საუბრობს. არის მესამე არაოფიციალური ენაც, ე.წ. ქვემო შოტლანდიური, რომელიც გერმანიკული ჯგუფისაა და ინგლისურთან საკმაოდ ახლოს დგას. მას მხოლოდ ღრმად მოხუცებულები ფლობენ.

ქალაქის საგანმანათლებლო სისტემა, მედიისა და ეკლესიის მსგავსად, ინგლისურ ენაზეა დაფუძნებული.

## ფული

ფუნტი სტერლინგი გლაზგოს ოფიციალურ ვალუტას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისს იგივე ეროვნული ვალუტა აქვს, შოტლანდია დღემდე უშვებს სტერლინგის განსხვავებულ ბანკნოტს, რომელსაც ინგლისის სხვა ნაწილში ხშირად არც იღებენ.

გაითვალისწინეთ, გლაზგო საკმაოდ ძვირი ქალაქია, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე, როცა ნებისმიერი ნივთისა თუ მომსახურების ფასი ორმაგდება.

## გადაადგილება

გლაზგოს ორი აეროპორტი ემსახურება — საერთაშორისო და პრესვიკის სახელობის. საერთაშორისო აეროპორტი გლაზგოდან 40 მილის მოშორებით მდებარეობს და ყველაზე გადატვირთულია მთელ შოტლანდიაში. ცენტრის მიმართულებით 66 ნომერი ავტობუსი ყოველ 10 წუთში ერთხელ გადის და დანიშნულების ადგილზე ზუსტად 25 წუთშია. მგზავრობის ღირებულება 7,5 ფუნტ სტერლინგს შეადგენს, ბავშვებისა და მოზარდებისათვის კი საფასური ნახევრდება.

პრესვიკის აეროპორტიდან ცენტრამდე მატარებლით მიხვალთ, მგზავრობის ხანგრძლივობა 45 წუთია. შოტლანდიისა და ევროპის სხვა ქალაქებიდან გლაზგოში მოხვედრა ასევე შეგიძლიათ მატარებლით, ავტობუსით ან სულაც მანქანით.

გლაზგო კომპაქტური ქალაქია, ასე რომ, ფეხითაც თავისუფლად შეგიძლიათ მოიაროთ. შიდა გადაადგილებისათვის ყველაზე კომფორტული და უსაფრთხო ავტობუსია. თუ ის ორსართულიანია, ასეთი მგზავრობა ერთგვარ ტურსაც წარმოადგენს — სანამ დანიშნულების ადგილზე მიხვალთ, შორიდან უამრავი რამის შეთვალიერებას მოასწრებთ. „ექსპრესს ქარდის“ ბარათები აეროპორტებში იყიდება და 30 დღის განმავლობაში მოქმედებს. მგზავრი ამ ბარათის საშუალებით ტრანსპორტზე 30%-იანი ფასდაკლებით სარგებლობს.

გლაზგოს მეტროპოლიტენი წრიულია და სულ რაღაც 16 სადგურს მოიცავს. რაც შეეხება ტაქსის, ქალაქში ის ყველაზე ძვირადღირებულ ტრანსპორტს წარმოადგენს.

## სამზარეულო

შოტლანდიის სამზარეულო მრავალფეროვანია. ქალაქში ნებისმიერი ქვეყნის რესტორანს წააწყდებით. შოტლანდიელები ამბობენ, რომ ძალიან უყვართ უცხო ქვეყნის კერძების დაგემოვნება, ამიტომ ეროვნულ რესტორნებზე ხშირად მათ სტუმრობენ. ინდური სამზარეულო არამარტო შოტლანდიაში, ზოგადად ბრიტანეთში სარგებლობს დიდი პოპულარობით. ინდური რესტორნების ქსელს „კამასუტრა“ ეწოდება.

შოტლანდიის ნაციონალური კერძები ძირითადად ხორცსა და თევზზეა დაფუძნებული. მათგან უკონკურენტოა შოტლანდიური ორაგული და კერძი ჰაგისი, რომელიც ცხვრის გულ-ღვიძლისაგან მზადდება. შოტლანდიური სამზარეულო მდიდარია დესერტებით, მათგან კი აღსანიშნავია დაკეპილი ძროხის ხორცით მომზადებული შოტლანდიური ღვეზელი.

ყავა ყველაზე გავრცელებული სასმელია. ის აუცილებლად შოტლანდიურ ნამცხვართან ერთად უნდა მიირთვათ. რაც შეეხება ალკოჰოლს, რა თქმა უნდა, არამარტო აქ, მეზობელ ქვეყნებშიც კი შოტლანდიური ვისკი უკონკურენტოა. იშვიათად თუ შეხვდებით მის გარეშე სამშობლოში დაბრუნებულ ტურისტს.

ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის პაბების შესწავლას შეიძლება მთელი ცხოვრება მოანდომო, მაგრამ მაინც შეგხვდებათ ისეთი პაბი, როგორსაც ვერასოდეს წარმოიდგენდით. ამ საქმის მცოდნეები კი გვირჩევენ, მოვინახულოთ გლაზგოს ერთ-ერთი ყველაზე საოცარი პაბი „ცხენის ფეხსაცმელი“. ასეთი ორიგინალური სახელი ბარს ნალის ფორმის დახლის გამო შეურჩიეს, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიოში ყველაზე გრძელ დახლადაა მიჩნეული.

## ღირსშესანიშნაობები

გლაზგოს მთავარ ღირსშესანიშნაობას ჯორჯის მოედანზე განთავსებული მერიის შენობა წარმოადგენს. 1882-1888 წლებში აგებული შენობა 5.016 კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული და მისი დათვალიერება გიდის დახმარებით ნებისმიერ მსურველს შეუძლია. 1888 წელს აქ პირველი საქალაქო ყრილობა გაიმართა.

შოტლანდიელები რომ დღე და ღამე კილტებს ატარებენ, მხოლოდ და მხოლოდ მითია. შოტლანდიელები კილტს მხოლოდ საზეიმოდ და ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში იცვამენ, მაგალითად, რაგბის ან ფეხბურთის თამაშებზე.

„ეიბისი“ გლაზგოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი და კლუბია. აქ ყოველდღე შეგიძლიათ კონცერტს დაესწროთ.

გლაზგოს თანამედროვე მუზეუმის ექსტერიერი მაინცდამაინც არ ტოვებს შთაბეჭდილებას, მაგრამ შიგნით ბევრ და გაუგებარ ექსპონატს შეხვდებით. აუცილებლად უნდა მოინახულოთ „მიტჩელის“ ბიბლიოთეკა, რომელიც 1877 წელს დაარსდა და 1,2 მილიონ წიგნზე მეტს მოიცავს. ყოველწლიურად მას ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი სტუმრობს.

რაც შეეხება საყოველთაოდ ცნობილ გლაზგოს უნივერსიტეტს, მეოთხეა მსოფლიოს ყველაზე ძველ უნივერსიტეტებს შორის და 1451 წლით თარიღდება.

გლაზგოს კოშკი 127 მეტრი სიმაღლისაა და ყველაზე მაღალია შოტლანდიის მასშტაბით. კოშკი მდინარე კლაიდის სანაპიროზე განთავსებული სამეცნიერო ცენტრის ნაწილს წარმოადგენს.

ღირსშესანიშნაობებთან ერთად გლაზგოში უამრავი გასართობი დაწესებულებაა, რაც ქალაქს მხიარულს ხდის. გლაზგოს მხიარული და მთვრალი ქალაქიც კი შეარქვეს.

## უსაფრთხოების წესები

კრიმინალური თვალსაზრისით, გლაზგო ყველაზე უსაფრთხო და მოწესრიგებულია სხვა ევროპულ ქალაქებთან შედარებით. ტურისტულ ადგილებში თავდასხმები, ჯიბის ქურდები თითქმის არ არსებობენ და არც ღამით გარეთ სიარული წარმოადგენს პრობლემას. უმთავრესი, რაც გლაზგოში უნდა დაიცვათ, ზრდილობა და წესრიგია.

გლაზგოში მათხოვრები საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად გაჭირვებულებს მთავრობა უფასო საცხოვრებლით და თვეში საშუალოდ 600 ფუნტიანი შემწეობით უზრუნველყოფს, ისინი მაინც მათხოვრობენ და შეგროვილი ფულის მეტ წილს სასმელში ან ნარკოტიკებში ხარჯავენ.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — შოტლანდია;**
**ქალაქი — გლაზგო;**
**ფართობი — 175,5 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 580.690;**
**ოფიციალური ენა — ინგლისური, შოტლანდიური;**
**ოფიციალური ვალუტა — ფუნტი სტერლინგი.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# „ჩემს ქმარს საყვარლისგან გაჩენილი შვილი აშანტაჟებს“



წარსულის შეცდომები თავის ნაკვალევს სამუდამოდ ტოვებს და არავინ იცის, როდის და რა ფორმით შეგვახსენებს თავს. ჩვენი რესპონდენტი, ახალგაზრდა ქალი ლელა, სიყვარულით გათხოვდა. ჩამოყალიბებული და გაწონასწორებული პიროვნება შეხვდა, მაგრამ წარსულიდან გამოყოლილმა „ექომ“ ოჯახური მყუდროება დაურღვია, მთელი ცხოვრება გაუმწარა. ეს იყო მისი ქმრის ერთი, თითქოსდა არცთუ მნიშვნელოვანი სასიყვარულო თავგადასავალი, რომლის შედეგმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა ლელასა და მის ქმრის ურთიერთობაში, თუმცა სამი შვილის დედამ ქმრის ყოფილი საყვარლის ათასგვარ შეტევას გაუძლო და ოჯახი გადაარჩინა, ბოლომდე გამგებ და თანამდგომ ცოლად დარჩა.

**ლელა:**

— 23 წლისა გავთხოვდი. ჩემი ქმარი, ლევანი, 29 წლის შემდგარი მამაკაცი იყო სტაბილური სამსახურით, კარგი შემოსავლით და ა.შ. მისთვის პირველი სიყვარული არ ვყოფილვარ. ცხადია, ამ ასაკის მამაკაცს ცხოვრების გზაზე ექნებოდა რაღაც თავგადასავლები. ზეიკოც ამ თავგადასავლების ნაწილი იყო.

ლევანი მაშინ 22 წლის გახლდათ, ზეიკო მასზე გაცილებით უფროსი, უკვე საკმაოდ გამოცდილი და, რომ იტყვიან, გაცვეთილი ქალი იყო. მრავალი მამაკაცი ჰყავდა გამოცვლილი. ლევანს თავის უიღბლო ცხოვრებაზე საუბრებით თავი შეაცოდა, მისი გულუბრყვილობით და კეთილშობილებით ისარგებლა, რომანი გააბა და ბოლოს ისე მყარად ჩაეჭიდა, რომ ლევანის მშობლებმა და მეგობრებმა ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან. გაშორების შემდეგ რამდენჯერმე შეიტყუა საწოლში და ორსულად დარჩა. ლევანი პასუხისმგებლობით სავსე ადამიანია და ალბათ ცოლადაც მოიყვანდა, ძმაკაცებს რომ არ ევაჟკაცათ. იმ ქალის წარსული გაიკითხ-გამოიკითხეს და ლევანს ფაქტები წინ დაულაგეს.

**— ეს ფაქტები რაზე მეტყველებდა?**

— მოწმობდა იმას, თუ როგორ „ეტენებოდა“ (უკაცრავად ამ გამოთქმისთვის) ზეიკო ხან — ერთ, ხან მეორე მამაკაცს, როგორ ცდილობდა ცრუ ორსულობით მათ შეტყუებას და რა ექსცესები ჰქონდა თითოეულ მათგანთან. ბოლოს, როგორც იქნა, ლევანმა ის ქალი ჩამოიშორა. ზეიკომ ბიჭი გააჩინა, მაგრამ ლევანს მასთან უკვე შეხება აღარ ჰქონდა, ეჭვიც ეპარებოდა, შვილი თუ მისგან ჰყავდა.

**— ამ ისტორიას თქვენი ოჯახის შექმნაში ხელი არ შეუშლია?**

— ერთმანეთი რომ შეგვიყვარდა, ლევანმა ყველაფერი გულწრფელად მომიყვა. რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ფაქტი იყო, მაგრამ მხოლოდ წარსულს ეხებოდა და ისე მნიშვნელოვნად არ ჩავთვალე, რომ ჩვენი ურთიერთობისთვის ხელი შეეშალა. ზეიკო კი გააქტიურდა. ჩვენი ქორწილის თარიღი შეიტყო და ჩაშლა მოინდომა. ამას ალბათ ვერ გააკეთებდა, მაგრამ გვარიანად კი გაგვამწარებდა. ლევანის მეგობრებმა იყოჩაღეს და იმ დღეს ზეიკო სახლში დააბეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჩვენმა ქორწილმა დაძაბულობის გარეშე ჩაიარა. მე საერთოდ არაფერი ვიცოდი მომხდარის შესახებ და თავისუფლად და ლაღად ვგრძნობდი თავს.



## სასჯელად ქცეული წარსული

ზეიკო ლევანს დაემუქრა, მთელი ცხოვრება გაგამწარებო და გეგმის განხორციელებას შეუდგა. ტელეფონით რეკავდა ჩვენთან ოჯახში და ილანძღებოდა, იგინებოდა კიდეც, პირიდან რაღაც საშინელებები ამოსდიოდა. ლევანს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და ჩემზეც უმსგავსობებს, სიბინძურეებს ამბობდა.

**— ტელეფონით ვის ელაპარაკებოდა, თქვენ თუ თქვენს ქმარს?**

— ყურმილს ძირითადად ჩემი დედამთილი იღებდა და ცდილობდა, ისე გაეცა პასუხი, ჩვენამდე არ მოეტანა, ბოლოს უკვე ულაპარაკოდ უთიშავდა ტელეფონს. ზეიკომ ხერხს მიმართა: ჯერ ვიღაც კაცს არეკვინებდა და მერე თვითონ იღებდა ყურმილს. შანტაჟზე და პროვოკაციებზეც მიდიოდა. მხოლოდ ერთხელ მოვხვდი მაგ დროს ტელეფონთან (ჩემი დედამთილი ბაზარში იყო წასული) და ცუდად გავხდი. სამი თვის ორსული ვიყავი.

**„ვაჟი ულტიმატუმს უყენებს, თუ არ დამეხმარები, გამოვაცხადებ, რომ მამა აღარ მყავსო... დედამისის ნაკვალევზე წავიდა, შრომას და ხელის განძრევას შანტაჟს და მუქთად ნაშოვნ ფულს ამჯობინებს“.**

ჩემს ქმარს მოვუყევი, რაც მოხდა. მან სასწრაფოდ ზომები მიიღო და იმ ქალს შეხვედრა დაუთქვა. ზეიკო შვილთან ერთად მივიდა. ბავშვს ლევანჩო ერქვა და საოცრად ჰგავდა მამას. ჩემმა ქმარმა მაშინ პირველად ნახა შვილი. ნეტა, ეს შეხვედრა არ შემდგარიყო...

**— შვილის ნახვამ თქვენს მეუღლეში რა ცვლილება გამოიწვია?**

— შვილთან სიახლოვე იგრძნო და დამოკიდებულება შეეცვალა. დაიწყო მისთვის ფულადი დახმარების მიცემა. ამან ზეიკო დააცხრო და ლევანის დაბრუნების იმედი მიეცა. ერთი სიტყვით, ეგ ქალი გაშმაგებით მებრძოდა და ამისათვის ამჯერად ფარულ ომს იყენებდა. ჩემი ქმარი კი არაერთხელ წამოეგო მის ანკესზე. რამდენჯერმე კინაღამ ოჯახი დაგვენგრა.

**— ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, ლევანი იმ ქალის ჭკუაზე დადიოდა და მის გამო თქვენ გიპირისპირდებოდათ?**

— ზეიკოს დიდი გავლენა ჰქონდა ჩემს ქმარზე, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ლევანი მის ნათქვამს იჯერებდა. უბრალოდ განწყობა ეცვლებოდა და ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. იმის შემდეგ, რაც იმ ქალს შეხვდა, ხშირად ვკამათობდით, სერიოზულადაც გვიჩხუბია. თან ფეხმძიმედ ყოფნისას ზედმეტად მგრძნობიარე გავხდი, ყველაფერზე ვტიროდი. მოგეხსენებათ, კაცები ქალის ცრემლებს ვერ იტანენ...

**— მშობიარობის შემდეგ თქვენს ურთიერთობაში ალბათ ახალი ეტაპი დადგა, შვილმა რა როლი ითამაშა?**

— შეგვეძინა გოგონა, რომელსაც ჩემი დედამთილის სახელი, ქეთევანი დავარქვით. ძალიან ლამაზი, მშვიდი და ჭკვიანი ბავშვი იყო. მან ჩემი ქმარი ოჯახისკენ მოაბრუნა, მეტად თბილი და ყურადღებიანი გახადა. დედამთილი მირჩევდა, რომ ოჯახის სიმტკიცისთვის მეორე შვილიც მიმეყოლებინა, ბავშვების გაზრდაში კი თავად მომეხმარებოდა. მართლაც, მალევე დავფეხმძიმდი და ნინო გავაჩინე. ლევანს შვილები უზომოდ უყვარდა, თავს ევლებოდა, მაგრამ ვატყობდი, რომ გულის სიღრმეში ვაჟიშვილს ნატრობდა. ამიტომ გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მისთვის ბიჭი გამეჩინა. დედამთილიც ყოველმხრივ მხარში მედგა, მაგრამ ანთება დამემართა და ორსულად არ ვრჩებოდი. დედამთილმა ექიმებთან მატარა, მკურნალობის კურსიც ჩამიტარა და ნატვრა ამისრულდა, დავფეხმძიმდი.

**— ვაჟი შეგეძინათ?**

— ექოსკოპიაზე მითხრეს, ბიჭიაო, მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდნენ, გოგო ყოფილა. ასეთი რამ იშვიათად ხდება. ჩემს ნაბოლარას ნეკა დავარქვი. ჯერ კიდევ ჩვილი ულამაზესი იყო, მწყობრი ნაკვთებით. ძალიან ჰგავდა მამას.

**— თქვენი ქმარი როგორ შეხვდა მესამე გოგონას დაბადებას?**

— იმდენი იბაქიბუქა ძმაკაცებში, ბიჭის მამა ვხდებიო, რომ გოგოს დაბადებამ, ცოტა არ იყოს, გააწბილა, მაგრამ მერე პატარა ნეკა განსაკუთრებულად შეუყვარდა, გიჟი მამა გახდა. სულ ბავშვის ჭკუაზე დადიოდა, ათამამებდა, ყველა სურვილს უსრულებდა. დედამთილი საოჯახო საქმეებში და ბავშვების გაზრდაშიც ძალიან მეხმარებოდა, მაგრამ მოულოდნელად ინსულტით გარდაიცვალა. დედის სიკვდილის შემდეგ ჩემი ქმარი რადიკალურად შეიცვალა. სულ გაღიზიანებული იყო, ზედმეტს არ გველაპარაკებოდა.

მერელა მივხვდი, რომ დედამთილი იყო ოჯახის დედაბოძი, რომელზედაც ჩვენი



Cyan Magenta Yellow Black

ბედნიერება იყო დაფუძნებული. ჩემი ქმარი ბევრი რამით დედაზე გახლდათ დამოკიდებული, მის რჩევებს ითვალისწინებდა, დიდ პატივს სცემდა. მისი ხათრით, შეიძლება ითქვას, ჭკვიანადაც იქცეოდა.

**— გინდათ თქვათ, რომ დედის გარდაცვალების შემდეგ თქვენმა ქმარმა ოჯახზე გული აიყარა?**

— დიახ, ასეა. უკვე ველარ ვცნობდი. უხეში და პირქუში გახდა. სიტუაცია აერია არამხოლოდ ოჯახთან ურთიერთობაში, სამსახურშიც. სერიოზული შეცდომა დაუშვა და თანამდებობიდან მოხსნეს, სხვა ადგილზე გადაიყვანეს, დააქვეითეს, მაგრამ მალე ის განყოფილებაც გააუქმეს და საერთოდ უმუშევარი დარჩა. უფულობის გამო ძალიან გაღიზიანებული იყო, ვერ დაელაპარაკებოდი.

**— ზეიკოც ხომ არ ახდენდა რაიმე გავლენას?**

— როგორც მერე გავიგე, ისიც თავგზას უბნევდა, შვილით მანიპულირებდა, ფულს სძალავდა. შანტაჟით ემუქრებოდა და რა ვიცი, კიდევ რას კადრულობდა.

**— ამ ყველაფრის შემდეგ თქვენს ქმარს მაინც ჰქონდა მასთან და შვილთან ურთიერთობა?**

— როგორც ჩანს, ურთიერთობა ჰქონდა შვილის გამო, თუმცა ამას მიმალავდა. ჩემს განერვიულებას ერიდებოდა. ერთმა საერთო ახლობელმა ისიც მითხრა, ზეიკო მჩხიბავებთან დადის და შენს ქმარს ჯადოს უკეთებსო. მართალი გითხრათ, ჯადოს მიმართ ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ლევანის მაგალითმა ძალიან შემაშინა. ჩემმა ქმარმა ჯერ დედა დაკარგა, მერე სამსახური, წონაშიც საგრძნობლად დაიკლო, რომ იტყვიან, ჩამოხმა, ძალიან უსუსური და უმწეო გახდა. მირჩიეს, ტაძარში მევლო — ეკლესიური ცხოვრება განსაცდელთან გამკლავებაში დამეხმარებოდა. ასეც მოვიქეცი. დავიწყე ლოცვები და ლიტურგიაზე სიარული. ტაძარში ბავშვებიც დამყავდა, ქმარი კი ვერაფრით ავიყოლიე.

**— ლოცვების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა?**

— ლევანმა ახალი სამსახური იშოვა. მართალია, დაბალშემოსავლიანი, მაგრამ, ასე თუ ისე, თავი გაგვაქვს. შეძლებისდაგვარად მეც ვეხმარები. რაც მთავარია, ჩვენს ოჯახში მდგომარეობა სტაბილური გახდა.

**„მინდოდა, ლევანჩო სახლში მომეყვანა და ჩემი შვილებისთვის გამეცნო, მაგრამ სულ რაღაც მიშლიდა ხელს. ახლა ვფიქრობ, კარგი ვქენი, ბავშვებს რომ არ გავაცანი. ჩემი გოგონები როცა გაიზრდებიან, თავად გადაწყვეტენ, უფროს ძმასთან რა ურთიერთობა ექნებათ“.**

**— ზეიკოს მხრიდან პრობლემა მოიხსნა?**

— ზეიკომ ვიღაც ახალგაზრდა კაცი გამოიჭირა და მთელი მონდომებით მასზე გადაერთო, ხოლო რაც შეეხება მის შვილს, ჩემს ქმარს ახალი თავსატეხი გაუჩინა.

**— რას აშავებს?**

— უკვე დიდი ბიჭია, სკოლა დაამთავრა. იმის ნაცვლად, რომ სამსახური მოძებნოს და საქმეს მოეკიდოს, მამამისს ავალდებულებს, ფული უხადოს, თითქოს ჩემი ქმრის ჯიბე ბანკის სალაროა, ის ახალგაზრდა კაცი კი — პენსიონერი. ახალგაზრდები დღეს უკეთ იკაფავენ გზას, ვიდრე ჩემი თაობის ადამიანები. მამამისს რას სთხოვს? მადლობელი არ უნდა იყოს, რომ ქორწინების გარეშე გაჩენილ შვილს აქამდე ასე ეხმარებოდა? ახლა აღარ აქვს იმდენი, რომ მასაც ხელი გაუმართოს და რა ქნას?! ბავშვები ხომ უნდა დავზარდოთ?! თანაც ვალები გვაქვს.

ლევანი ისეთი გულუხვია, უცხოს რომ დასჭირდეს, დაუფიქრებლად ჯიბეზე გაიკრავს ხელს და შვილის გულისთვის რას აღარ იზამს. მისი ვაჟი ულტიმატუმს უყენებს, თუ არ დამეხმარები, გამოვაცხადებ, რომ მამა აღარ მყავსო. საწყალ კაცს გულს უხეთქავს. ლევანს ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს და მაგიტომ უფრო მეცოდება. უსახსრობა და გაჭირვება საკუთარი თავის რწმენას აკარგვინებს, თავმოყვარეობას ულახავს, თავს სრულფასოვან ადამიანად აღარ თვლის. შვილმა მამას ხომ უნდა გაუგოს?

ლევანიც უმამოდ გაიზარდა, მამამისს სხვა ცოლ-შვილი ჰყავდა და ჩემს ქმარს მისგან არაფერი მოუთხოვია, არანაირი დახმარება მიუღია, თუმცა თავისებურად დღემდე პატივს სცემს, რაც უნდა იყოს, მისი ბიოლოგიური მამაა. ლევანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა და თან მუშაობდა, ერთი დღეც კი არ ყოფილა უქმად. მისი ვაჟი კი დედამისის ნაკვალევზე წავიდა, შრომას და ხელის განძრევას შანტაჟს და მუქთად ნაშოვნ ფულს ამჯობინებს. დედამისი ბავშვობიდან აჩვევდა მათხოვრობას და ყველაფერი მაგის ბრალია.

**— თქვენს გოგონებს უფროს ძმასთან ურთიერთობა აქვთ?**

— მინდოდა, ლევანჩო სახლში მომეყვანა და ჩემი შვილებისთვის გამეცნო, მაგრამ სულ რაღაც მიშლიდა ხელს. ახლა ვფიქრობ, კარგი ვქენი, ბავშვებს რომ არ გავაცანი და არ დავიახლოვე. ჩემი გოგონები ჯერ არასრულწლოვნები არიან. როცა გაიზრდებიან, თავად გადაწყვეტენ, უფროს ძმასთან რა ურთიერთობა ექნებათ.

✓ **ნანა კობახიძე**

## ეს იცოდით?

❖ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი დეპუტატებისაგან შემდგარი პარლამენტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჰყავს. მასში 2987 დეპუტატია წარმოდგენილი.

❖ მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ კაცობრიობამ მხოლოდ 292 წელი იცხოვრა ომის გარეშე.

❖ ისტორიაში 10 ომი იყო ისეთი, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გრძელდებოდა.

❖ ისტორიკოსთა დასკვნებით, კოლიზეუმში 700 ათასი გლადიატორია დაღუპული.

❖ სავსე მთვარე ცხრაჯერ უფრო მეტად ანათებს, ვიდრე ნახევარმთვარე.

❖ იმის გამო, რომ სიცივეში ბგერა უფრო კარგად ვრცელდება, ვიდრე სიცხეში, სმენადობა ყინვაში უკეთესია.

❖ პოლიეთილენის პაკეტი პირველად 1912 წელს გამოიგონეს. მაშინ თერმული წებო არ არსებობდა, ამიტომ პაკეტს თეთრი ძაფით კერავდნენ.

❖ დანიის დროშა დედამიწაზე ერთ-ერთი უძველესია.

❖ ინტერნეტში 2300 გაზეთის ნახვა შეგიძლიათ, რომელთა 54% ინგლისურენოვანია.

❖ ამერიკელი პოპმომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი არაქნოფობიით (ობობების შიში) იტანჯება.

❖ ბრიტანეთის მეფე ჩარლზ I-ის სიმაღლე 1,3 მეტრი იყო.

❖ „კომუნისტი ადამიანური სახით“, — ასე ეძახდნენ ევროპაში საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტ მიხაილ გორბაჩოვს.

❖ გაერო-ში ტრიბუნაზე ფეხსაცმლის ბრახუნისათვის საბჭოთა კავშირის ცკ-ის პირველი მდივანი, ნიკიტა ხრუშჩოვი, 10.000 დოლარით დააჯარიმეს.

❖ სტალინის რეჟიმის ყველაზე სასტიკი სახე, ლავრენტი ბერია, ახალგაზრდობაში ფოსტალიონი იყო.

❖ მდინარე ამაზონს 500 შენაკადი აქვს.

❖ ტაჯმაჰალის სასახლე 22 წელი შენდებოდა.

❖ ავსტრიაში 1848-1854 წლებში აგებული ზემერინგის რკინიგზა ევროპაში პირველი სტანდარტული სიგანის რკინიგზაა. იგი მსოფლიოში პირველ მთის რკინიგზადაა მიჩნეული, რომელიც ურთულეს რელიეფზე წარმატებით გაიყვანეს.

❖ ბიბლიის ყველაზე მოკლე თავი 117-ე ფსალმუნია.

❖ კათოლიკეები მსოფლიოს 235 ქვეყანაში ცხოვრობენ, მილიარდზე მეტნი არიან და ქრისტიანების 52%-ს შეადგენენ.

❖ ჰომეროსის „ილიადა“ 15 000 სტროფისგან შედგება.

❖ 1931 წლიდან საბჭოთა კავშირში ბიბლიის დაბეჭდვა და გავრცელება აიკრძალა.

❖ ცნობილ ამერიკელ მწერალს, ერნესტ ჰემინგუეის, ნობელის პრემია ნაწარმოებმა „მოხუცი და ზღვა“ მოუტანა.

❖ ერნესტ ჰემინგუეი ღვინოს კაცობრიობის ცივილიზაციის უდიდეს მწვერვალს უწოდებდა.

❖ ერნესტ ჰემინგუეი ძირითადად ფანქრით წერდა.

❖ ერნესტ ჰემინგუეი სახალხო გამოსვლის შიშით იტანჯებოდა. მან 5 ომი, 4 ავტოკატასტროფა, 2 ავიაკატასტროფა გადაიტანა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.



Cyan Magenta Yellow Black

# საუკეთესო მეთოდები ცელულიტის წინააღმდეგ

ცელულიტი — ეს არის სისხლის ცირკულაციისა და ცხიმის უკუდენის დარღვევა ცხიმის ქსოვილში. პრობლემა დაკავშირებულია ქალური ჰორმონის, ესტროგენის მოქმედებასა და კანქვეშა ცხიმოვან უჯრედისებში კოლაგენის ბოჭკოების განსაკუთრებულ განლაგებასთან. სხვადასხვა მიზეზით, იქ წარმოიქმნება მაგარი „ფიჭა“, რომელშიც ცხიმის, წყლისა და ტოქსინების ჩაკეტვა ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ექიმები მას კოსმეტიკურ დეფექტის უწოდებენ, ცელულიტი არამხოლოდ გარეგნობასთან დაკავშირებულ უხერხულობას ქმნის. სისხლძარღვებისა და ნერვების მოჭერის გამო, კანი ძლიერ მგრძნობიარე ხდება და შეხებისას მტკივნეულია. ტოქსინების მუდმივად დაგროვება საერთო მდგომარეობაზე აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ ცელულიტი პირდაპირი გაგებით, დაავადებად არ ითვლება, საჭიროა მისი განვითარების თავიდან აცილება. ხოლო თუ უკვე გაქვთ, მისგან უნდა გათავისუფლდეთ. ამისთვის მოთმინება და დიდი ძალისხმევა გმართებთ. სამაგიეროდ არამხოლოდ გარეგნობა, ასევე განწყობა და თვითშეგრძნება გაუმჯობესდება, თქვენი თვითშეფასება ამაღლდება.



## რატომ ჩნდება

სისხლის ცირკულაციის დარღვევისა და პრობლემურ ზონებში ლიმფის დაგროვების ძირითადი მიზეზებია:

1. მჯდომარე სამუშაო. ფიზიკური აქტივობის უგულებელყოფა, დივანზე წამოწოლილი დასვენება გასეირნების მაგივრად.

2. არასწორი კვება ცელულიტის მტერია. მავნეა არამხოლოდ მუდმივად ზედმეტის ჭამა, ასევე ცხიმიანი, ტკბილი კერძებითა და ფასტფუდებით გატაცება. უარყოფითად აისახება მონოდიეტები და შიმშილობაც.

3. სტრესები ნივთიერებათა ცვლის სერიოზულ დარღვევასა და ჰორმონულ უთანხმოებას იწვევს. საბოლოო ჯამში, მიკროცირკულაცია უარესდება. ამიტომ ცელულიტისკენ მიდრეკილება უფრო ნერვულ ადამიანებს აქვთ.

4. შემოჭერილი ტანსაცმელი, განსაკუთრებით ჯინსები, კოლგოტკები, ვიწრო ფეხსაცმელი ლიმფისა და სისხლის დინებას ამცირებს. ზედაპირული და კაპილარული ვენები იკუმშება, წარმოიქმნება შეშუპება, ქსოვილების სუნთქვა ირღვევა.

5. თამბაქოს მოწევა ჟანგბადის შიმშილს და წვრილი სისხლძარღვების სპაზმებს იწვევს.

## სამი საუკეთესო გადახვევა

ცელულიტის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ყველაზე ხელმისწვდომი პროცედურა, რომლის სახლში ადვილად ჩატარება შეიძლება, ეს არის გადახვევა. მისი წყალობით ლიმფის უკუდენა და სისხლის ცირკულაცია უმჯობესდება, ზედმეტი ცხიმი და ტოქსინები გამოდის.

კანზე ცელულიტის საწინააღმდეგო საშუალება დაიდეთ. სხეულზე პოლიეთილენის ფენა შემოიხვიეთ, შემდეგ — ფოლგა და ბოლოს თბილი საბანი დაიფარეთ. გადახვევის მაქსიმალური ხანგრძლივობა 1 საათია. შემდეგ თბილი წყალი გადაივლეთ და კონტრასტული შხაპი მიიღეთ. სასურველია გადახვევა მთელ სხეულზე გაიკეთოთ, დახმარება ახლობლებს სთხოვეთ, მაგრამ, თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ ყურადღება პრობლემურ ადგილებს დაუთმეთ. ასეთი პროცედურები 2-3 დღეში ერთხელ შეასრულეთ. გთავაზობთ გადახვევის 3 საუკეთესო საშუალებას:

1. ყავის და ზეთის — აიღეთ 0,5 ჭიქა დაფქული ყავა და იმდენი ცხელი წყალი დაუმატეთ, რომ სქელი ფაფა მიიღოთ. შემდეგ 2 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი შეურიეთ.

2. ზღვის მცენარეების — 2 სუფრის კოვზ გამხმარ ლამინარიას 1 ჭიქა თბილი წყალი დაასხით, 15 წუთი დადგით, რომ გაფუვდეს. შემდეგ ბლენდერში დააქუცმაცეთ, დაუმატეთ კვერცხის გული და 10 წვეთი ციტრუსოვანთა ეთერზეთი.

3. თიხის — 1 ჭიქა მშრალი თიხა (უმჯობესია ცისფერი) წყლით სქელი არაჟნის სისქემდე გააზავეთ და გასაფუებლად 15 წუთი დადგით. 5-10 წვეთი ეთერზეთი დაუმატეთ.

## თაფლის მასაჟი

ხელისა და სამკურნალო თაფლის ინტენსიური მოქმედება ძლიერი ბუნებრივი ბიოსტიმულატორია. მასაჟისთვის გამოდგება ნებისმიერი თაფლი, მაგრამ უმჯობესია ცაცხვის ან სხვადასხვა ბალახის. დაგჭირდებათ 2-3 სუფრის კოვზი.

პრობლემური ზონები მშრალი ხელისგულებით დაისრისეთ, რათა კანი გასუფთავდეს და გათბეს. ცოტა თაფლი წაისვით და წრიული მოძრაობით შეიზილეთ. შემდეგ ხელებით კანს ძლიერ დააწექით და უცებ აიღეთ. ცოტა მტკივნეული იქნება, კანი გაწითლდება, სამაგიეროდ თაფლი მის ღრმა ფენაში განსაკუთრებით ინტენსიურად შეღწევას დაიწყებს. ასეთი წესით დაამუშავეთ არამხოლოდ პრობლემური ნაწილი, ასევე მის ირგვლივ კანი. ყოველ ზონას 5-10 წუთი დაუთმეთ.

ხელისგულებსა და დამუშავებულ ადგილებზე რუხი ფერის სქელი მასა გაჩნდება. ეს კანის მკვდარი უჯრედები და ტოქსინებია. თაფლმა ისინი კანის ფორებიდან გამოწოვა. მასაჟის შემდეგ თბილი წყალი გადაივლეთ და ჩაიცვით. ნივთიერებათა ცვლისა და სისხლით მომარაგებით დაჩქარების გამო პირველად ჟრჟოლა-შეციება შეინიშნება. 10 სეანსი დღეგამოშვებით ჩაიტარეთ. ორკვირიანი შესვენების შემდეგ კურსი გაიმეორეთ.

## ცელულიტის საწინააალმდეგო ზეთი

ზოგიერთი მცენარის ზეთი განსაკუთრებით ეფექტურად ეხმარება ცელულიტისგან გათავისუფლებას. როზმარინი სისხლის ცირკულაციას ააქტიურებს; ღვია და კვიპაროსი ზედმეტი სითხის უკუდენას ხელს უწყობს, შეშუპებას აქრობს; გრეიპფრუტი და ფორთოხალი კანს ატონიზირებს, ლიმფის დინებას ასტიმულირებს, სტრიებს აქრობს; ლიმონი და ლაიმი კანს კარგად ასუფთავებს და სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს; პილპილი ათბობს; კოჭა ნივთიერებათა ცვლას აძლიერებს და ცხიმების გახლეჩას ეხმარება.

კანისთვის მეტად სასიამოვნო ცელულიტის საწინააღმდეგო ზეთი თავად მოაზადეთ: 1/2 ჭიქა ძირითად ზეთს (ატმის, ნუშის, ყურძნის წიპწების, ზეითუნის), 3 წვეთი გრეიპფრუტის, 3 წვეთი კედრის, 2-2 წვეთი ფორთოხლისა და ლიმონისა დაუმატეთ. საღამოს კონტრასტული შხაპის მიღების შემდეგ პრობლემურ ზონებზე წაისვით.

## კონტრასტებზე ვმუშაობთ

მასაჟისა და გადახვევის შემდეგ აუცილებელია პრობლემურ ზონებზე კონტრასტული წყლის გადავლება. შხაპი კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედებიდან ტოქსინების გამოსვლას ეხმარება. კანსა და კუნთებს კარგად ატონიზირებს, სისხლძარღვებს ამაგრებს და ლიმფის დინებას აუმჯობესებს. კონტრასტული შხაპის დროს ცხელი (დაახლოებით 40-45 გრადუსი) და ცივი (დაახლოებით 10-20 გრადუსი) წყლის მონაცვლეობა ხდება. ტემპერატურას ირჩევთ თქვენი შეგრძნებების მიხედვით. შხაპი მიიღეთ დილას და საღამოს. დილით გადავლება ცივი წყლით დაამთავრეთ, რათა ორგანიზმის ტონუსი ამაღლდეს, ხოლო საღამოს თბილი წყლით, რათა ძილისთვის მოემზადოს. გადავლება დაიწყეთ თბილი წყლით (1 წუთი). იმდენივე ეთმობა ცივი წყლის გადავლებას. საკმარისია მონაცვლეობითი 5-6 გადავლება.

## სამკურნალო ზღვა თქვენს აბანოში

ზღვის წყალი კანქვეშა ცხიმოვან უჯრედისებზე სასიკეთოდ მოქმედებს. ზღვის მარილი მდიდარია მაგნიუმით, იოდით, კალიუმითა და რკინით. ქსოვილებიდან ზედმეტი სითხისა და შლაკების გამოტანას ეხმარება. ამიტომ ცელულიტის მკურნალობისთვის რეკომენდებულია კვირაში 1-2-ჯერ ზღვის მარილის აბაზანის მიღება. ცხელ წყალში 0,5 კგ მარილი გახსენით და აბაზანაში ჩაუშვით. წყლის ტემპერატურა 37 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო პროცედურის დრო — 20 წუთს. შემდეგ თბილი შხაპი გადაივლეთ.

**პ.ს.** ცელულიტისგან გათავისუფლება ერთ თვეში არ ხდება. მთავარია, პროცედურების რეგულარობა და თანამიმდევრობა. პროცედურის ჩატარება ჩვევად გაიხადეთ, როგორც კბილის გაწმენდა და თავის დაბანა.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# თქვენს პატარას ჭარბი წონის პრობლემა ხომ არ ემუქრება?



ფუმფულა წითელი ლოყები და სიმსუქნისგან დაბერილ-დაკეცილი პატარა თითები — თუ ბავშვი სწორედ ასე გამოიყურება, ბევრი მშობლისათვის ის აბსოლუტურად ჯანმრთელია. რეალურად კი საქმე სხვაგვარადაა. სამწუხაროდ, მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ჭარბწონიანი ბავშვების რიცხვი, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემა აქტუალურია და სწორ მიდგომას საჭიროებს.

გასაკვირია, მაგრამ საკმაოდ ხშირია ჭარბი წონის არსებობა ისეთ ბავშვებში, რომლებიც ცუდ მჭამელებად ითვლებიან. ხშირად ეს არასწორად შერჩეული დამატებითი საკვების შედეგია და მშობლები თავად ვართ ყველაფერში დამნაშავე, რადგან ვცდილობთ, შვილებს ნაადრევად მივცეთ უფროსებისთვის განკუთვნილი საკვები.

**ჯანსაღი საკვები** —საკვები არამარტო სასიცოცხლოდ აუცილებელია, მის მიღებას ფსიქოლოგიური და ემოციური მნიშვნელობაც აქვს. ხშირად მშობლები თავად ვუფუჭებთ შვილებს მადას. მაგალითად, როცა ბავშვი წვნიანის ჭამისას ჭირვეულობს, ნაცვლად იმისა, რომ მისი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს და წვნიანი აჭამოს, დედა არასასურველ პროდუქტს სთავაზობს — სოსისს, ძეხვს, ტკბილეულს. მშობლები თავს იმით იმართლებენ, რომ ოღონდ პატარამ ჭამოს და და ყურადღებას არ აქცევენ, რამდენად ჯანსაღ საკვებს აძლევენ.

**ზომიერების დაცვა** — არ არის სწორი, როცა პატარას აიძულებენ, მიუხედავად იმისა, შია თუ არა, ის ულუფა გაათავოს, რასაც თეფშზე დაუდებენ.

გენეტიკური განწყობა — ჭარბი წონის პრობლემა შესაძლოა გენეტიკური ფაქტორითაც იყოს განპირობებული, თუმცა ეს განაჩენი სულაც არ გახლავთ. უბრალოდ ამ შემთხვევაში უფრო მეტი ყურადღება და პროფილაქტიკაა საჭირო.

უახლესი კვლევების მიხედვით, ჭარბწონიანობის განვითარების რისკი დაახლოებით 82%-ია, თუ ორივე მშობელი ჭარბწონიანია. ეს მაჩვენებელი 51%-მდე მცირდება, თუ მხოლოდ დედაა მსუქანი. თუ ჭარბწონოსანი მამაა, მაშინ რისკი დაახლოებით 38%-ია.

მთავარი ის გახლავთ, რომ თუ თავად განუხებთ ჭარბი წონა, მსგავსი პრობლემისგან დასაცავად მკაცრად უნდა აკონტროლოთ შვილის რაციონი. არავითარ შემთხვევაში მიიღოთ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, თუ რა პროდუქტი უნდა ჩართოთ პირველად შვილის დამატებით რაციონში. ეს კვალიფიციურ პედიატრს მიანდეთ.

**ასაკობრივი რისკი** — 4-5 წელი ბავშვის ცხოვრებაში ცხიმოვანი ქსოვილის გარდაქმნის პერიოდია. 4 წლამდე პატარები ხშირად საკმაოდ ბევრს ჭამენ, მაგრამ წონაში არ იმატებენ. უკვე 4-5 წლის შემდეგ ცხიმოვანი ქსოვილის სტრუქტურა იცვლება, ნივთიერებათა ცვლის პროცესი აღარ არის ისეთი სწრაფი. აქედან გამომდინარე, ჭარბი წონის დაგროვება დიდია და თუ მშობლები შვილისგან მაინც მოვითხოვთ, თავისი ულუფა ბოლომდე გაათავოს, მიუხედავად მისი სურვილისა, რა თქმა უნდა, პრობლემა აქტუალური გახდება.

11-12 წლის ასაკიდან აქტიურად იწყება ჰორმონალური ცვლილებები, ასევე აქტიურად მიმდინარეობს ზრდის პროცესი, მატულობს მადაც. სტატისტიკის მიხედვით, ბავშვების 80%, რომლებიც პებერტატულ ასაკში ჭარბი წონით შევიდნენ, ამ წონას მოზრდილობაშიც ინარჩუნებენ. მართალია, ჭარბი წონისგან გათავისუფლება მოგვიანებით შესაძლებელია, მაგრამ სასურველია, ეს 11-12 წლამდე მოხდეს.

ჭარბი წონის განვითარების მიზეზები

**1. ტკბილეული** — ხშირად შვილებს კარგი ქცევისთვის ტკბილეულით ვასაჩუქრებთ, ხოლო, თუ ცუდად მოიქცევა, ვემუქრებით, რომ ამ სიამოვნებას მოვაკლებთ. სასუსნავის ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მანიპულაციისთვის გამოყენება სწორი მიდგომა არ არის.

**2. პასიური ცხოვრების წესი** — სამწუხაროდ, თანამედროვე ბავშვები ნაკლებად აქტიურები არიან. ისინი დღის დიდ ნაწილს მჯდომარე მდგომარეობაში ატარებენ. ეს ცუდია და მთავარი მიზეზი იმისა, რომ მათში ჭარბწონიანობამ მოიმატა.

**3. მოძველებული ტრადიციები** — პირველი, მეორე და მესამე კერძი აუცილებელია! ბევრი მშობელი ამ სტერეოტიპის დაცვას დღესაც ცდილობს. ენდოკრინოლოგების აზრით კი, ეს სტერეოტიპი 25%-ით ზრდის ჭარბი წონის განვითარების რისკს.

**4. დედის რძის შემცვლელები** — სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ჭარბი წონის მქონე ბავშვების დიდი ნაწილი ხელოვნურ კვებაზე იმყოფებოდა. დედის რძე მნიშვნელოვანია ჭარბი წონის პროფილაქტიკისთვისაც, ამიტომ ამ სიამოვნებას შვილს ნუ მოაკლებთ.

ზედმეტი წონა არამარტო ესთეტიკური პრობლემაა, უზარმაზარი დატვირთვაცაა მთელი ორგანიზმისა და ყველა სისტემისთვის. დიდია შაქრიანი დიაბეტის განვითარების ალბათობა, უნაყოფობის რისკი იზრდება როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, ასევე იზრდება ღვიძლის, ხერხემლის, გულის იშემიური დაავადებებისა და არტერიული წნევის მომატების, სახსრების პრობლემების განვითარების რისკი.

თუ ბავშვის წონა დაახლოებით 15%-ით აღემატება მისი ასაკის ნორმას, ეს უკვე წონის სიჭარბეა; თუ 15-30%-ით — ეს პირველი საფეხურის გაცხიმოვნებაა; 30-50%-ით — მეორე ეტაპის გაცხიმოვნებასთან გვაქვს საქმე; 50%-ზე მეტი მესამე ეტაპის გაცხიმოვნებაა; 100% კი მეოთხე ეტაპზე მიანიშნებს.

### მშობლების 5 არასწორი მოსაზრება

**პირველი** — ბავშვის წონის სიჭარბის მიზეზი გენეტიკაა და არა არასწორი კვება!

**მეორე** — იძულებული ვართ, ბავშვს ვაჭამოთ ნაკლებად სასარგებლო საკვები, რადგან სხვაგვარად ის არაფერს შეჭამს და მშიერი დარჩება.

**მესამე** — რადგან პატარა დიდ ენერგიას ხარჯავს, აუცილებელია, ნორმაზე მეტი შეჭამოს.

**მეოთხე** — მშობლებიც მსუქნები ვართ და შვილიც ჩვენ დაგვემსგავსა.

მეხუთე — არავითარი ჭარბი წონა! ის უბრალოდ პუტკუნაა!



## მდოგვი ბედნიერების ჰორმონის გამომუშავებაში დაგეხმარებათ

მდოგვი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და ბევრ აუცილებელ ვიტამინსა და მინერალს შეიცავს. ის მდიდარია ფოსფორით, კალიუმით, რომლებიც ორგანიზმსეხმარებიან ცხიმების, ცილებისა და ნახშირწყლების გადამუშავებაში.

მდოგვში არსებული დე ვიტამინი ორგანიზმის მიერ კალციუმის შეწოვას ეხმარება. რაც შეეხება ბე1 და ბე2 ვიტამინებს ჯგუფს, ისინი აუცილებელია ნერვული სისტემისთვის.

მდოგვი, როგორც სხვა ცხარე კერძები, საჭმლის მომნელებელი სისტემის სტიმულირებას ახდენს და ჰორმონ სეროტონინისა და ენდორფინების გამომუშავებას უწყობს ხელს, რომლებიც ბედნიერებისა და სიამოვნების მთავარ ჰორმონებადაა აღიარებული.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# დათო იმედაშვილი: „ფანტასტიკური ყოფილი ქმარი ვარ!“

## „მალე მესამე ბიჭის მამა გავხდები“



პროდიუსერ დათო იმედაშვილისთვის ანნა იმედაშვილი ერთადერთი ქალი აღმოჩნდა, რომელმაც ოჯახს დიდი ხნით მიაჯაჭვა. მართალია, სულ 6 წელია, რაც ერთად არიან, მაგრამ დათოს შემთხვევაში ეს მიღწევაა, რადგან მანამდე ორი ოჯახი დაენგრა. სიტყვა თავად „დანგრევა“ არ მოსწონს, თვლის, რომ უბრალოდ ურთიერთობა დასრულდა. მთავარი, რაც ქალისგან უნდა იგრძნოს, დადებითი ენერგეტიკა, მუხტია. მან ახალ-ახალი იდეებისკენ, საქმის კეთებისკენ უნდა უბიძგოს. ანნა კი სწორედ ასეთი აღმოჩნდა, ის მისი ცხოვრების მუზად იქცა. ახლა მათ ცოლქმრულ ურთიერთობაში ძალიან ლამაზი პერიოდი დგას — ანნა ორსულად არის. დათო მესამე ბიჭის მამა გახდება, ანნა კი — პირველი შვილის დედა.

**— დათო, ჩვენს რუბრიკაზე საუბარი თქვენი ცხოვრების თანამგზავრით, ანნა იმედაშვილით დავიწყოთ. როგორ შეხვდით ერთმანეთს?**

— ერთი პერიოდი ერთ-ერთი რადიოს მფლობელი ვიყავი, სადაც ანნა მოვიდა სამუშაოდ. სულ ცოტა ხანში ჩვენი ურთიერთობაც აგორდა. გარდა იმისა, რომ ის ძალიან ლამაზია, მართალი ადამიანიცაა. ყველაფერი თავის ადგილზე აქვს, ურთიერთობაშიც და ემოციურადაც ისეთია, როგორიც მე მჭირდებოდა. მოდი, ასე ვთქვათ — ანნა ჩემი მუზა გახდა. ჩემთვის ქალი ენერგიის მომცემია, როცა მისგან ხარ დამუხტული, ბევრი რაღაცის გაკეთება შეგიძლია.

**„რატომ უნდა გავუძლო ქალს?! აქეთ გამიძლოს! ქალებისადმი ეს მიდგომა არ მომწონს“.**

**— ორი ოჯახი დაგენგრათ და ამის შემდეგ მესამის შექმნაზე მაინც იფიქრეთ? ბევრი თქვენს ადგილზე შეშინდებოდა.**

— დამენგრა?! ეს რა სიტყვაა?! ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ ერთად ყოფილიყვნენ, გავიდა გარკვეული დრო და მიხვდნენ, რომ ეს ურთიერთობა საინტერესო აღარ იყო. დაშორებას არასოდეს შემთხვევაში არავის ვაბრალებ, ეს ძალიან ჩვეულებრივი რამ გახლავთ. ოჯახის ძალით შენარჩუნებას მშვიდობიანად დაშორება სჯობს. ყოფილ მეუღლეებთან დღესაც ფანტასტიკური ურთიერთობა მაქვს, მათთან შვილები მაკავშირებს. ვმეგობრობთ და ბევრ რამეში ერთმანეთს გვერდშიც ვუდგავართ.

პირველ ცოლთან ერთი წელიც არ მიცხოვრია, ძალიან მალე გავშორდი, მასთან ბიჭი მყავს, რომელიც მალე 16 წლის გახდება. მეორე ცოლთან 11 წლის გოგო მყავს, მასთან 5 წელი ვიცხოვრე. 2 წლის გაშორებული ვიყავი, როცა ანნა გავიცანი და 6 წელია ერთად ვართ. ფაქტობრივად, ანნა სტაჟიანი ცოლია. იყო პროგნოზები, რომ ჩემი ხასიათის გამო ეს ურთიერთობაც მალე დასრულდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

**— რთული ხასიათი გაქვთ?**

— ალბათ — არა, უბრალოდ, როცა ურთიერთობა ისე არ ვითარდება, როგორც მე მაქვს ჩაფიქრებული, კომპრომისზე წასვლა არ მიყვარს.

**— ანნასთან ურთიერთობაში კომპრომისებზე წასვლა არ გჭირდებათ?**

— ჩვენ შორის ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც მე მსიამოვნებს.

**— ამ 6 წლის განმავლობაში ალბათ მაინც იქნებოდა სირთულეები, რისი გადალახვაც მოგიწიათ.**

— დიდი დაძაბულობა არასოდეს გვქონია, თუმცა ცხოვრებისეული სირთულეები, გამარჯვებები და მარცხი ერთად გავიარეთ და ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობაც ამიტომ გამყარდა. ანნას უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია, ყოველთვის გვერდით მედგა, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ვიცი, რომ შვილს ელოდებით. ეს სიურპრიზი იყო თქვენთვის თუ წინასწარ დაგეგმეთ, მშობლები გამხდარიყავით?**

— ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში შვილის ყოლის ინიციატორი ანნა იყო, მაგრამ თავიდან მე არ მინდოდა. შემდეგ ანნაც დამეთანხმა, რომ ცოტა დრო უნდა გასულიყო და ბავშვზე მერე გვეფიქრა. მგონია, რომ ორმა ადამიანმა რაღაც პერიოდის განმავლობაში განმარტოების მუღამი და გემო უნდა იგრძნოს. შვილი ძალიან კარგია, მაგრამ ურთიერთობები ცოტა რუტინაში გადაჰყავს. დღეს ორივემ გადავწყვიტეთ, რომ მზად ვიყავით, მე მესამე შვილი მყოლოდა და ანნას — პირველი. ის უკვე 7 თვის ორსულია.

**— ბავშვის სქესი იცით?**

— ბიჭს ველოდებით. მინდა გითხრათ, რომ ისევ ბიჭი ძალიან გამიხარდა.

**— როგორ ემზადებით მესამე შვილის მამობისთვის?**

— მე ჯერ არ ვემზადები, ანნა კი ისტერიკულად ემზადება. ცდილობს, პატარასთვის რაღაცეები შეიძინოს. ვეუბნები, რომ ეს საჩქარო არ არის და ამ ყველაფრის ყიდვა მერეც შეიძლება, მაგრამ მაინც არ იშლის თავისას. ღამე ეღვიძება და ჰგონია, რომ დედობისთვის მზად არ არის.

**„კარგია, როცა ქალი ვითარდება და თვითონაც რაღაცას ქმნის, მაგრამ მაინც ის არსებაა, ვისთვისაც კაცი ქმნის იმ გარემოს, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს“.**

შვილების აღზრდაში რაღაც დოზით მივიღე მონაწილეობა, მაგრამ მამას უფრო ნაკლებად ხედავდნენ და დღესაც ასეა. ისინი უფრო ბებიასთან და დედებთან იყვნენ. ჩემი ყოფილი ცოლები შვილებზე გადაყოლილი, ფანტასტიკური დედები არიან. ვფიქრობ, ანნაც გადასარევი დედა იქნება.

**— როგორი ორსულობა აქვს?**

— ძალიან მშვიდი და არაპრეტენზიული. ანნა რომ ფეხმძიმედ დარჩა, პროექტი „ახალი ხმა“ მიჰყავდა, მუშაობდა და დღესაც ჩემთან ერთად მუშაობს. ძალიან აქტიურად და უპრობლემოდ აგრძელებს ცხოვრებას. მისთვის არც საუზმის მომზადება მიწევს, პირიქით, ჩემზე ისევ თვითონ ზრუნავს. უბრალოდ ცოტა უფრო მალე იღლება და ოდნავი ხელშეწყობა სჭირდება. რაღაც სურვილები აქვს ხოლმე და ვცდილობ, შევუსრულო. ორსულად არის თუ არა, ამას მნიშვნელობა არც აქვს, მისი სურვილების შესრულება ჩემთვის მაინც სასიამოვნოა. თავიდან პატარ-პატარა გურმანული მოთხოვნილებები აწუხებდა, ახლა კი ნაკლებად აქვს.

**— როგორი ქმარი ხართ ანნასთვის და როგორი ყოფილი ქმარი ხართ თქვენი შვილების დედებისთვის?**

— როგორც ამბობენ, ძალიან კარგი ყოფილი ქმარი ვარ. ყოფილი ცოლები ჩემზე ცუდს არაფერს ამბობენ, პირიქით. ვფიქრობ, რომ ანნა ძალიან ბედნიერია, ყოველ შემთხვევაში, დღეს მას ასე ეტყობა, თუმცა ალბათ მაინც მას უნდა შეეკითხოთ, როგორ ქმრობას ვუწევ. ვერ გეტყვით, რომ ძალიან სენტიმენტალური ვარ და დღესასწაულები მიყვარს, პირიქით, რატომღაც არ მიყვარს. თურმე ანაობა წელიწადში 277-ჯერ ყოფილა. ეს საერთოდ მაგიჟებს და მაცოფებს! ყოველ მეორე კვირას შეიძლება ჩემმა ცოლმა მითხრას, დღეს ანაობაა და არ მომილოცეო. ვუთხარი, სანამ წელიწადში ერთ თარიღს არ აირჩევ, აღარც ერთ ანაობას მოგილოცავმეთქი.

**— ქალს ყველაზე დიდ მომხიბვლელობას რა სძენს?**

— ის თუ შეძლებს, რომ საყვარელიც იყოს, ცოლიც და მზრუნველი დედაც, ამ კომფორტს თუ ქმნის, მამაკაცი ყოველთვის მზად იქნება, მისი მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის ყველაფერი გააკეთოს. ქალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. იმის სურვილი, რომ ხვალ რაღაც შექმნა და გააკეთო, შენ გვერდით მყოფმა ადამიანმა უნდა შეგიქმნას, ვისთვისაც ამ ყველაფრის გაკეთება გაგიხარდება.

**— თქვენ როგორ ზრუნავთ იმისათვის, რომ მეორე ნახევარს სასურველი გარემო შეუქმნათ?**

— ჩვენი ცხოვრება ერთფეროვანი ნამდვილად არ გახლავთ. მე და ანნა ერთად ხან რას წამოვიწყებთ ხოლმე და ხან რას.

**— ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ვის ეკუთვნის?**

— ჩემს ოჯახში ასეთი შეკითხვა არც ისმის. ვისთვისაც მამაკაცის სიტყვას ფასი არ აქვს, ისეთ ქალთან ურთიერთობა არც მაინტერესებს, მაგრამ თუ ისეთი საკითხია, სადაც ქალის აზრი მეტად მნიშვნელოვანია, იქ ყოველთვის ვთმობ. კაცმა ურთიერთობის დაბალანსება მაქსიმალურად უნდა შეძლოს, მაგრამ, როდესაც რაღაცაზე ვამბობ, რომ შავია და ის კი თეთრს უწოდებს, ის რაღაც მაინც შავად დარჩება, რადგან მე ვთქვი. არ ვიცი, შეიძლება ქალი რომ ვყოფილიყავი, მეც იგივენაირად მეაზროვნა. ვთვლი, რომ ჩემს გარემოში გადაწყვეტილებას მე ვიღებ, თუმცა შეიძლება ისეც იყოს, რომ ანნა გადაწყვეტილებას იღებდეს და ამას მე ვერც ვხვდებოდე, მაგრამ პრობლემა არ მაქვს.

**— თქვენი აზრით, ქალი როდის კარგავს ქალურობას?**

— ჩემთვის ქალი ცოტა რთულად აღსაქმელი ხდება, როდესაც ის მამაკაცთან ყოველ-



Cyan Magenta Yellow Black

მხრივ თანასწორია. თუ ორივემ 100 კილოგრამი უნდა ავწიოთ, დღეში ორივემ 12 საათი ვიმუშაოთ და შემდეგ ეს ყველაფერი ისე გავიყოთ, როგორც ბიზნესპარტნიორებმა, ასეთი ურთიერთობა უკვე სხვა რამეში გადადის. კარგია, როცა ქალი ვითარდება და თვითონაც რაღაცას ქმნის, მაგრამ მაინც ის არსებაა, ვისთვისაც კაცი ქმნის იმ გარემოს, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს.

**— გამოდის, რომ გენდერული თანასწორობის მომხრე არ ხართ.**

— საერთოდ ვერ ვხვდები, გენდე-

**„როცა სტუდენტი ვიყავი, შთაბეჭდილება მქონდა, რომ საქართველოში ქალს ვერ ვიპოვიდი. ვერც ძველი კინოფილმების ვარსკვლავებს აღვიქვამდი ლამაზად. ახლა კი ისეთი თაობა მოდის, გრძელი ფეხებიც აქვთ და სახის თხელი ნაკვთებიც. ამაში პლასტიკური ქირურგიაც კარგად გვეხმარება“.**

რული თანასწორობა რას ნიშნავს და საერთოდ, მგონია, რომ ეს მოგონილია. უფლებების დარღვევა ერთია, მაგრამ ყველაფერში თანასწორი ვიყოთ და ყველა გადაწყვეტილება ერთნაირად მივიღოთ, ეს ნიშნავს, რომ ქალმა საკუთარ თავზე სხვა ვალდებულებებიც უნდა აიღოს. ის, ვინც საკუთარ თავზე ბევრ ვალდებულებას აიღებს, უბრალოდ მეგობარი ან ბიზნესპარტნიორი შეიძლება იყოს, მაგრამ, როგორც ქალი, უინტერესო გახდება ჩემთვის. ასეთი ქალი არ შეიძლება იყოს ის, ვისაც ეტრფი და ვისკენაც ლტოლვა გაქვს.

**— ქალს ყველაზე მეტად რა საქმე არ უხდება?**

— შეიძლება ყველაფერი მოუხდეს, მათ შორის, მშენებლობაც კი. თუ საქმეს ლამაზად ხელმძღვანელობს, რატომაც არ მოუხდება? ყველაფერი მოხდენაზეა. ქალს შეიძლება მძღოლობაც უხდებოდეს. მაგალითად, ანნას მძღოლობა ძალიან უხდება და მანქანას ძალიან კარგადაც მართავს.

**— როგორი ქცევით შეიძლება ქალმა წყობიდან გამოგიყვანოთ?**

— ქალებს ნაკლებად შეუძლიათ მდგომარეობიდან ჩემი გამოყვანა. ქალი შეიძლება ისეთი კარგი და მაგარი იყოს, გადამრიოს!

**— როგორ ქალებს გადაჰყავხართ ჭკუიდან?**

— ანნამ ხომ გადამრია? რასაც მან ჩემთან ურთიერთობაში მიაღწია, იმას ბევრი ქალი ვერ შეძლებდა.

**— ზოგიერთი კაცი ქალებზე ამბობს, გასაძლები არსებები არიანო, თქვენც მათსავით ხომ არ ფიქრობთ?**

— გასაძლებ ქალს ეგრევე ვიშორებ! რატომ უნდა გავუძლო ქალს?! აქეთ გამიძლოს! ქალებისადმი ეს მიდგომა არ მომწონს.

**— ქართველ ქალებს რა პრობლემები აქვთ?**

— ქართველი კაცები... გარემო ჩვენ მიერ ყალიბდება, სადაც არსებობს მიღებული და მიუღებული ნორმები. თუ ქალს ამ ნორმის გადახვევის სურვილი უჩნდება და ვერ გადადის, უკვე კომპლექსდება, თუმცა ალბათ გარღვევებიც არის. ლამაზი ქალები ბოლო დროს უფრო მომრავლდნენ, რაც ძალიან მახარებს, რადგან, როცა სტუდენტი ვიყავი, შთაბეჭდილება მქონდა, რომ საქართველოში ქალს ვერ ვიპოვიდი. ვერც ძველი კინოფილმების ვარსკვლავებს აღვიქვამდი ლამაზად. ახლა კი ისეთი თაობა მოდის, გრძელი ფეხებიც აქვთ და სახის თხელი ნაკვთებიც. ამაში პლასტიკური ქირურგიაც კარგად გვეხმარება.

**— როგორც ჩანს, მოგწონთ პლასტიკური ქირურგიით შეცვლილი ქალები.**

— რა თქმა უნდა. ქალს რაც გაალამაზებს, კომპლექსებს დააძლევინებს და მეტ სითამამეს შესძენს, ყველაფერს მივესალმები.

**— როგორი ჩაცმული ქალისკენ გაგირბით თვალი?**

— შეიძლება დახურული ტანსაცმელი ეცვას და თვალი მაინც გამექცეს. მთავარია, ლამაზი იყოს. ქალი ყველაზე მეტად კაბაში მომწონს. შარვალს თუ ჩაიცვამს, მაშინ მას ძალიან ქალური სილუეტი უნდა ჰქონდეს, რომ ამ ჩაცმულობამ მომხიბლოს. ქალზე ჯინსები არ მიყვარს. როცა სამუშაო გარემოშია და გამუდმებით სირბილი უწევს, კიდევ არა უშავს, მაგრამ კაბა მაინც ძალიან მომწონს.

**— ანნას ხშირად ურჩევთ, რა ჩაიცვას?**

— ხანდახან. ჯინსები აცვია, თუმცა სანამ ჩემი ცოლი გახდებოდა, მანამდე უფრო ხშირად იცვამდა. არ მომწონს, როცა სადმე ერთად მივდივართ და ანნას ჯინსები აცვია. გვერდით რომ გავიხედავ, მინდა, ლამაზი ქალი მყავდეს. ჯინსებით კი მეც დავდივარ.

**— ანნა თუ ერევა თქვენს ჩაცმულობაში?**

— ხანდახან ცდილობს, დამეხმაროს. „ფეშენ ვიკზე“ ვიყავი და საკუთარი თავი ერთ რამეში გამოვიჭირე, რომ კოსტიუმების ნაცვლად ქალებს ვუყურებდი. რატომღაც ჩვენებებზე ტანსაცმელზე კონცენტრირებული არასოდეს ვარ. ვხვდები, რომ ეს არასწორია, რადგან საკუთარ ჩაცმულობაში შეცდომებს ვუშვებ.

**— ანნა აფიქსირებს იმას, რომ ქალებს უფრო ათვალიერებთ, ვიდრე სამოსს?**

— კი, აბა, ხომ არ დავმალავ?!

**— მერე არ ექვიანობს?**

— ანნა ეჭვიანი ნამდვილად არის, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ეს საკითხი სკანდალებამდე მიდის. მე კი ეჭვიანი ქმარი არ ვარ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



■ ჰალიდ ალ შაობი




## არაბი შეიხი «ლაციოს» ყიდვას აპირებს

საუდის არაბეთის შეიხი ჰალიდ ალ შაობი სერია ა-ს კლუბის, რომის „ლაციოს“ 80 მილიონ ევროდ შეძენას აპირებს. ეს ინფორმაცია გამოცემა „La Reppublica“-მ გაავრცელა. რომაული კლუბის მფლობელი კლაუდიო ლოტიტო კი ირწმუნება, რომ ამის შესახებ მისთვის არაფერია ცნობილი.

— „ლაციოს“ 80 მილიონ ევროდ გაყიდვას არ ვაპირებ, ეს უბრალოდ სასაცილოა. მისი ფასი გაცილებით მაღალია, — განაცხადა ლოტიტომ, — ნებისმიერ შემთხვევაში, კლუბის გაყიდვა ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

## მსოფლიოს ჩემპიონატის გულშემატკივრები კაშიროლებით შეიარაღდებიან



2014 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის (რომელიც ბრაზილიაში გაიმართება) ოფიციალური მუსიკალური ინსტრუმენტი კაშიროლა იქნება. ამ ინფორმაციას ბრაზილიის პრეზიდენტ დილმა რუსეფის სიტყვებზე დაყრდნობით გამოცემა „Globo Esporte“ ავრცელებს.

კაშიროლა მსოფლიოს პირველობის ოფიციალურ ინსტრუმენტად 23 აპრილის საღამოს გამოაცხადეს ბრაზილიაში. დილმა რუსეფის თქმით, სწორედ კაშიროლაა ყველაზე შესაფერისი ინსტრუმენტი მსოფლიოსთვის ბრაზილიის წარსადგენად. პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ კაშიროლა გულშემატკივრებისა და ტელემაყურებელთა მხრიდან პრეტენზიებს არ გამოიწვევს, როგორც ეს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა ვუვუზელასთან დაკავშირებით.

კაშიროლა მუსიკალური ინსტრუმენტის, შეიკერის სახესხვაობაა. მყარი ნივთიერებისგან დამზადებული დახურული მოცულობა (კონტეინერი) ნაწილობრივ წვრილი ფხვიერი მასითაა ავსებული. შენჯღრევის დროს ის ლამაზ ხმას გამოსცემს.

კონფედერაციის თასის გათამაშების დროს, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარე წლის 15-30 ივნისს გაიმართება, ბრაზილიის ხელისუფლება 10-დან 14 მილიონამდე კაშიროლას გაყიდვას გეგმავს, ხოლო 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის 100 მილიონი კაშიროლას გამოშვებაა დაგეგმილი. სავარაუდოდ, ამ ინსტრუმენტის შეძენა 15-30 ბრაზილიურ რეალად იქნება შესაძლებელი.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



Cyan Magenta Yellow Black

# მშობლებისგან გამოყოფა მათ სიყვარულზე უარის თქმას არ ნიშნავს!

მშობლებთან ურთიერთობა რთული თემაა მაშინაც კი, თუ უკვე 30 წლის ვართ და დიდი ხანია, მშობლიური ბუდიდან ამოვფრინდით. შეგვიძლია არ ვიცხოვროთ დედასთან და მამასთან ერთად (შეიძლება ცოცხლებიც აღარ იყვნენ), მაგრამ სულ ერთია, მათ ჩვენში „ვატარებთ“, მრავალი წელი მათი შეფასებებისა და აკრძალვების გავლენის ქვეშ ვიმყოფებით, მათთან შინაგან დიალოგს ვმართავთ, ისევ და ისევ ვცდილობთ, რაღაც დავუმტკიცოთ.



ჩვენს განვითარებასა და მშობლებთან ურთიერთობებში რამდენიმე ეტაპს გავდივართ.

### პირველი ეტაპი: დამოკიდებულება

ეს არის პერიოდი დაბადებიდან 10-12 წლამდე, როდესაც ბავშვი ყველა აზრში მშობლებზეა დამოკიდებული, ისინი მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, მათი ავტორიტეტი უცილობელია.

### მეორე ეტაპი: დამოკიდებულებაში წინააღმდეგობა

იდეალები იმსხვრევა. მოზარდი იწყებს მშობლების კონტროლის წინააღმდეგ წასვლას და სულ უფრო მეტად თანატოლების აზრზე ორიენტირებული ხდება. იწყება პრეტენზიები, იზრდება უკმაყოფილება და გულისწყრომა მშობლების მიმართ, რომლებსაც შვილის მზარდი სურვილების დაკმაყოფილება უკვე აღარ შეუძლიათ (ან უარს ამბობენ). ამ პერიოდში ხდება ილუზიებთან გამოთხოვება, სამყაროს მიღება ყველა თავისი შეზღუდვითა და უსამართლობით, შეცნობა, რომ მშობელი ღმერთი არ არის, არამედ ჩვეულებრივი ადამიანია ყველა თავისი სისუსტითა და ნაკლოვანებით.

იდეალურ შემთხვევაში მოზარდმა უნდა გააკეთოს დასკვნა, რომ ბავშვობა მთავრდება, საჭიროა უფრო დამოუკიდებელი და მოზრდილი გახდეს, ისწავლოს თავისი აზრის ბოლომდე დაცვა, მისებურად მოქცევა, მაგრამ ამისთვის პასუხისმგებლობა იგრძნოს და მშობლებისგან რაღაცის მოლოდინი აღარ ჰქონდეს.

### მესამე ეტაპი: ავტონომია

ამ ეტაპამდე იშვიათად მიდის ვინმე. ჩვეულებრივ, ადამიანები პირველ ორ ეტაპზე „იჭედებიან“. მათთვის მთელი ცხოვრება მთავარ ადამიანებად მშობლები რჩებიან.

ავტონომია გულისხმობს, რომ შვილი არამხოლოდ ფიზიკურად და ფინანსურად, ასევე მშობლების შეფასებებსა და განსჯაზე დამოკიდებულად ყოფნას წყვეტს. დედის სიტყვები — „ყველაფერს არასწორად აკეთებ, შენით უკმაყოფილო ვარ“ — ამ ეტაპზე მასში უკვე აღარ იწვევს სირცხვილის, დანაშაულის გრძნობას ან გულისწყრომას. დამოუკიდებელი „ბავშვი“ უკვე აღარ ელის, რომ მშობლები მის მიმართ ზრუნვასა და სიყვარულს გამოავლენენ. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია მოწიფულმა შვილმა გააცნობიეროს, რომ დედამ და მამამ ყველაფერი მისცეს, რაც შეეძლოთ.

### გაგება და მიტევება

მშობლებისგან გამოყოფა სულაც არ ნიშნავს მათთან კავშირის გაწყვეტას, არამედ ურთიერთობებისგან „განტვირთვაა“. ბოლოს და ბოლოს იმის აღიარებაა, რომ უფლება გაქვთ, მშობლების მოლოდინს არ შეესატყვისებოდეთ, მათ სახლში სიტუაციისთვის პასუხისმგებელი არ იყოთ და თავი დამნაშავედ არ იგრძნოთ, მაგრამ ამავდროულად მშობელს უფლება უნდა მისცეთ დარჩეს ისეთი, როგორიც არის — მომთხოვნი, კრიტიკული, არაიდეალური.

ყოველ ჩვენგანს თავისი გზა, თავისი ფასეულობები, თავისი აზრი და შეცდომების დაშვების უფლება აქვს. არ ვთვლით, რომ ვიღაცას ვიღაცის რაღაც მართებს. შინაგანი სიცარიელის შესავსებად და ცხოვრებისთვის აზრის მისაცემად ერთმანეთს არ ვიყენებთ. არამედ ვხარობთ იმით, რომ ერთმანეთი გვყავს და ძალიან ახლობლები ვართ. ადამიანი ნამდვილად ზრდასრული მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც მშობლებს ღირსებებითა და ნაკლოვანებებით იღებს, შეცდომებს პატიობს და შეუძლია გულწრფელად გადაუხადოს მადლობა იმისთვის, რომ სიცოცხლე აჩუქეს.

# დავიხსნათ თავი გაზაფხულის დეპრესიისგან

შემოდგომაზე ბევრ ადამიანს უმიზეზო ნაღველი და სევდა რომ იპყრობს, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ გაზაფხულზეც ანალოგიურ მდგომარეობაში რომვარდებიან, ამაშიც უჩვეულო არაფერია.

გაზაფხულის დეპრესიით იტანჯებიან ისინი, ვისაც პირადი ცხოვრება მოწყობილი არ აქვთ. როდესაც ირგვლივ ყველას უყვარს, საყვარლები და ბედნიერები არიან, საკუთარი მარტოობა უფრო მძიმედ აღიქმება. რისკის ჯგუფში არიან ისინი, ვინც 30-ს (40, 50 და ა.შ.) გადააბიჯა. როგორ შევებრძოლოთ ამ მდგომარეობას?



1. დაეხმარეთ ახლობელს. თქვენ ერთადერთი არ ხართ, ვინც ნაღვლობს. დაისახეთ მიზანი: დაიბრუნეთ კარგი განწყობა. გაერთეთ, მოყევით სასაცილო ისტორიები, მოაწყვეთ გულღია საუბრები ფინჯან ჩაისთან (ბოკალ ღვინოსთან). თვითონაც ვერ შეამჩნევთ, გულზე როგორ მოგეშვებათ თქვენც და თქვენს მოწყენილ მეგობრებსაც.

2. არასაჭირო მოიშორეთ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ცხოვრება ქვის ლოდია, თქვენ — მოქანდაკე. ეცადეთ, ლოდს ყველაფერი ზედმეტი მოაცილოთ, თქვენი ცხოვრება ჭეშმარიტად მშვენიერი რომ გახდეს. დაფიქრდით, რა არ გესაჭიროებათ. მობეზრებული ურთიერთობები სწორედ გაზაფხულზე უნდა გაწყვიტოთ. სამუშაოს შეცვლის დრო არ მოვიდა? შეიძლება საკუთარ თავზე არავისთვის საჭირო მოვალეობებს იღებთ? სხვათა შორის, ურიგო არ იქნება ძველმანებისა და ხარახურისგან გათავისუფლდეთ. უსიამოვნო რაც ნაკლები დარჩება, მით უფრო თავისუფლად ამოისუნთქავთ და გაზაფხული მით უფრო ნათელი ფერებით აივსება.

3. სიკეთე ჩაიდინეთ. აუცილებელი არ არის სიკეთე „მსხვილი“ იყოს. გამოკვებეთ უსახლკარო ძაღლი, მეზობელს მაღაზიიდან მძიმე ჩანთის წამოღებაში დაეხმარეთ, ეზოში ბავშვებს თქვენი ბავშვობისდროინდელი რაიმე თამაში ასწავლეთ. ყველაფერი ეს ძალიან ადვილია მოზრდილი, ძლიერი და ჯანსაღი ადამიანისთვის და განწყობას მშვენივრად ამაღლებს.

4. გეგმა შეადგინეთ. როდესაც ადამიანს პერსპექტივაში რაიმე საინტერესო არ აქვს, განწყობა ეცემა. შეადგინეთ სასიამოვნო გეგმები. დათქვით დღე, როდესაც კინოში ან თეატრში წახვალთ, ბავშვობის მეობრებს შეხვდებით, კვირას მარტო ან ახლობელთან ერთად ქალაქში გაისეირნებთ, დიდიხნის უნახავ საყვარელ ნათესავს ეწვევით... სასიხარულო მოვლენის მოლოდინში შესამჩნევად გახალისდებით.

5. თქვენში გაზაფხული შემოუშვით. მაშინაც კი, თუ საგაზაფხულო განწყობა ნამდვილად არ გაქვთ და ყვავილებიც არ გახარებთ („სულ ერთია, მაინც არავინ მაჩუქებს“), ეცადეთ, საერთო სასიხარულო გამოცოცხლებაში ჩაებათ. შეიძინეთ და შინ ან სამსახურში წაიღეთ დიდი ლამაზი გაზაფხულის თაიგული. სინამდვილე მსუბუქად შეალამაზეთ და კოლეგების კითხვაზე— „საიდან ყვავილები?“ — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმეთ.

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომლებსაც ეთანხმებით და გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით, როდესაც ამის აუცილებლობა აღმოცენდება.

„გაზაფხული სიხარულის დროა და არა — სევდის“.

„ბუნების განახლება ხდება, მაშასადამე, ჩემს ცხოვრებაშიც მოხდება უკეთესობისკენ ცვლილებები“.

„გაზაფხული იმისთვის არსებობს, რომ ბედნიერი ვიყო“.

„ირგვლივ იმდენი სილამაზეა, უბრალოდ, არ შემიძლია არ გავიხარო. ნაღველისთვის არავითარი საბაბი არ მაქვს“.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

## ვინ არის თქვენი შესაფერი ოთხფეხა მეგობარი?



ოთხფეხა მეგობრის შერჩევისას ორიენტაცია აიღეთ მის ტემპერამენტზე. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სახლში უნდა იყოლიოთ ძაღლი, რომელიც ხასიათით თქვენთან ახლოსაა. ყველა ჯიში პირობითად 4 ჯგუფად იყოფა: მელანქოლიკები, სანგვინიკები, ფლეგმატიკები და ქოლერიკები. თქვენ რომელი ტიპი შეგეფერებათ?

მელანქოლიკი. თუ მარტოხელა ხართ და ალერსიან, ერთგულ, „დივანის მეგობარს“ ეძებთ, თქვენთვის საუკეთესოა პეკინესი, ჩინური ქოჩორა, ჯუჯა შნაუცერი. მელანქოლიკი ძაღლები მუდმივ ყურადღებას ითხოვენ, მარტოობა არ უყვართ, ბრაზიანი და ეჭვიანები არიან. მათი აღზრდა მხოლოდ მოფერებით შეიძლება.

სანგვინიკი. მშვიდი, გაწონასწორებული, ცოტა პედანტური პიროვნება ხართ? თქვენთვის იდეალურია ლაბრადორი, ტაქსა, დოგი. ისინი კეთილები, მხიარულები, ცოდნის მოყვარულები არიან. ბავშვებს შესანიშნავად ეწყობიან. ყველა გარემოებაში მშვიდები არიან. მათი აღზრდა ადვილია: დამჯერი, მიმხვედრი და ალღოიანები არიან.

ფლეგმატიკი. ვისაც ფუსფუსი არ უყვარს და ყველაფერს ფილოსოფიურად უდგება, უნდა შეიძინოს როტვეილერი, სენბერნარი ან ნიუფაუნდლენდი. ასეთი ძაღლები მშვიდები, კეთილმოსურნეები, დამყოლები არიან. კარგად ეგუებიან ადამიანებს და მშვენიერი ძიძები არიან. ნაკლებად მოძრაობენ. თუ ბრძანება არასაჭირო მოეჩვენათ, უბრალოდ იგნორირებას გაუკეთებენ.

ქოლერიკი. თუ მოძრავი ცხოვრება გიყვართ, ბევრ დროს ბუნებაში ატარებთ, გამოგადგებათ პუდელი, ფოქსტერიერი, გერმანული ნაგაზი, დალმატინელი. ისინი მეტად აქტიურები, მოძრავები და კონტაქტურები არიან. ბრძანებას წრაფად იმახსოვრებენ, ადვილად სწავლობენ, დიდხანს სეირნობა უყვართ. არასწორი აღზრდის შემთხვევაში კი შეიძლება აგრესია გამოალინონ და უმართავები გახდნენ. მოეპყარით მშვიდად, აღზრდისას დატუქსვა და მირტყმა არ გამოიყენოთ.

## ვის როგორი ბალიში სჭირდება



საუკუნეების განმავლობაში ადამიანები ბუმბულის ბალიშზე იძინებდნენ. ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ მე-20 საუკუნეში მას საძინებლიდან სწრაფად გამოაძევებდა უფრო მოხერხებული და უსაფრთხო მოდელები.

მთავარი თვისება, რასაც კარგი ბალიში უნდა ფლობდეს, ეს არის თავი და კისერი საჭირო მდგომარეობაში დაიჭიროს. მხოლოდ ასე შეძლებთ ნამდვილად მოდუნებასა ლა სრულყოფილად დასვენებას.

### სისქე

სანამ მაღაზიაში ბალიშის შესაძენად წახვალთ, ჯერ თქვენი კეფის ფორმა განსაზღვრეთ. თუ საკმაოდ ბრტყელი გაქვთ, უფრო სქელი და მძიმე გამოგადგებათ. თუ კეფის ფორმა ამოზნექილია, მაშინ რეკომენდებულია, უფრო ბრტყელ ბალიშზე ძილი.

ასევე მხედველობაშია მისაღები კისრის სიგრძე და მხრების სიგანე. რაც უფრო გრძელია კისერი და მხრები განიერი, ბალიში მით უფრო მაღალი უნდა იყოს.

მესამე ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს ბალიშის სიმაღლის არჩევანზე, ეს არის პოზა, რომელშიც ძილი გიყვართ. თუ ღამის დიდი ნაწილი ზურგზე გძინავთ, უფრო დაბალი ბალიში დაგჭირდებათ იმ ადამიანებთან შედარებით, ვინც გვერდზე ძილს ამჯობინებს. ასევე გასათვალისწინებელია „სქესობრივი ნიშანი“. ქალის ბალიშის სისქე საშუალოდ 10-15 სმ-ია; მამაკაცისა — 12-17 სმ.

### სიმაგრე

მკვრივი ბალიშის არჩევანი ასევე დამოკიდებულია თქვენი ძილის პოზაზე. თუ გვერდზე წოლა გიყვართ, უმჯობესია მაგარი ბალიში, რათა თავისა და კისრისთვის კარგი საყრდენი იყოს. თუ ზურგზე გძინავთ, საშუალო სიმკვრივის ბალიში გამოგადგებათ.

### ნატურალური შემავსებელი

**ბუმბული.** ასეთ ბალიშს გედის ან ბატის ბუმბულით ავსებენ.

**პლუსი**: ჰაერგამტარია, სითბოს დიდხანს ინარჩუნებს.

**მინუსი**: ალერგიულებისთვის რეკომენდებული არ არის. ალერგიას იწვევს ბალიშში ბინადარი ტკიპები. 5 წლის შემდეგ ბუმბული დაშლას იწყებს.

**მატყლი.** ასეთი ბალიში თბილია. მატყლი წარმოქმნის ელექტროსტატიკურ ველს, რაც ჯანმრთელობაზე სასიკეთოდ მოქმედებს, განსაკუთრებით რევმატიზმის, კუნთებსა და სახსრებში ტკივილის დროს.

**პლუსი**: ადვილად ნიავდება. 10 წელი ძლებს.

**მინუსი**: არასწორი ექსპლოატაციის დროს მატყლი ითელება.

**წიწიბურას ან ბრინჯის ჩენჩო.** ასეთი შემავსებლები თავის წერტილოვან მასაჟს უზრუნველყოფენ. წიწიბურას ჩენჩოს არომატი სწრაფად დაძინებას ეხმარება.

**პლუსი**: ასეთი ბალიშის წყალობით, თავიდან აიცილებთ ხვრინვას, უძილობას. ამავდროულად ალერგიას არ იწვევს და დაღლას ხსნის.

**მინუსი**: ძვირი ღირს. 5 წელი ძლებს. ყოველი მოძრაობის დროს გამოსცემს ჩქამს, რომელმაც შეიძლება მგრძნობიარე ადამიანებს დაძინებაში ხელი შეუშალოს.

**ნატურალური ლატექსი.** ყველაზე მოდური შიგთავსია. მისი ძირთადი შემადგენელია ტროპიკული ხის — გევეიას ფისი.

**პლუსი**: ექსპლუატაციის ვადა 20 წელია. მკვრივია, თავსა და კისერს კარგად იჭერს.

**მინუსი**: მაღალი ფასი.

### სინთეტიკური შემავსებელი

**სინტეპონი.** მოცულობითია, რბილია.

**პლუსი**: იაფია და ალერგიას არ იწვევს. ექსპლუატაციის ვადა 7-10 წელია.

**მინუსი**: არ „სუნთქავს“.

**ჰოლოფაიბერი.** ბუმბულის ერთ-ერთი საუკეთესო სინთეტიკური შემცვლელია. პოლიესტერის ზამბარისებური ბოჭკოებისგან შედგება და შეკუმშვის შემდეგ ფორმას სწრაფად აღიდგენს.

**მინუსი**: მაღალი ფასი.

**კომფორელი.**ყველაზე პოპულარული თანამედროვე შემავსებელია. სინთეტიკური ბოჭკოების ფუმფულა ბურთებისგან შედგება, „სუნთქავს“.

**პლუსი**: ხანგრძლივი ხმარებისას ფორმას ინარჩუნებს. ალერგიას არ იწვევს. ადვილად ირეცხება.

**მინუსი**: მაღალი ფასი.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ჩემპიონატი სიცილში

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან დიეგოში სიცილის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი კანადელი რეჟისორი ალბერტ ნერენბერგი გახლდათ. ის დიდი ხანია სიცილის პრობლემითაა დაინტერესებული და ამ თემაზე ფილმიც კი გადაიღო. ადრე ნერენბერგი მსგავს ტურნირს სამშობლოში მართავდა.



ჩემპიონატის მონაწილეებს ისე უნდა ეცინათ, რომ მათ დამსწრე საზოგადოებაც აჰყოლოდა. ნერენბერგმა აღნიშნა, რომ მის სამშობლოში, კანადაში ჩატარებული კონკურსები დეპრესიულ ადამიანებს არასოდეს მოუგიათ.

## გოგონა ქვეწარმავლებთან ერთად ცხოვრობს

16 წლის ბრიტანელი ლიამ ენდრიუ ოთახს 300 ეგზოტიკურ ცხოველთან ერთად იყოფს, რომელთაგან უმეტესი შხამიანია. მიუხედავად ამისა, გოგონას მათთან ერთად სძინავს. თინეიჯერი ხვლიკებისა და ბაყაყების მთელ არმიასაც ინახავს. გარდა ამისა, ლიამი ტელევიზორს ყოველთვის გველების გარემოცვაში უყურებს და კისერზე შემოხვეული ქვეწარმავლებით ქუჩაშიც დასეირნობს.



— ეს ცხოველები ადამიანებზე მეტად მიყვარს, — აცხადებს ლიამ ენდრიუ.

ყველაზე საკვირველი კი ის არის, რომ ყველა მათგანს შეეძლო გაქცევა, მაგრამ პატრონის ოთახიდან მის გარეშე თითქმის არ გადიან. ლიამის მშობლები არაერთხელ შეუშინებიათ ქვეწარმავლებს, მაგრამ რადგან მათ ერთადერთ ქალიშვილს ისინი ძალიან უყვარს, ყველაფერს მოთმინებით იტანენ.



## ძაღლები მკვდარ მეგობარს გვერდიდან არ მოშორდნენ

ვილნიუსის ცენტრალურ ქუჩაზე სამი ძაღლი გზაზე გადასვლას ცდილობდა, როდესაც ერთ-ერთს მანქანა დაეჯახა და ადგილზე მოკლა. გადარჩენილი ძაღლები მკვდარ მეგობარს გვერდიდან არ სცილდებოდნენ, ლოკავდნენ და წკმუტუნებდნენ მანამ, სანამ ლიტვის ცხოველთა დაცვის ორგანიზაციამ ისინი დროებით თავშესაფარში არ გადაიყვანა.

პოლიცია ამ დრომდე ეძებს იმ მძღოლს, რომელმაც ძაღლი მოკლა და გაიქცა.

## ყველაზე მაღალი ველოსიპედი



ლოს ანჯელესში მცხოვრებმა რიჩი ტრიმბლმა მსოფლიოში ყველაზე დიდი ველოსიპედი შექმნა, რომლის სიმაღლე 4,5 მეტრია. ველორბოლაში მონაწილე ველოსიპედისტები გზას უთმობდნენ გიგანტურ ველოსიპედს, რომელზეც თავად რიჩი ტრიმბლი იყო ამხედრებული.

რიჩმა 4,5 მეტრიანი ველოსიპედი ზუსტად 12 საათში ააწყო. მისი წინა ნამუშევარი 1 მეტრით უფრო დაბალი იყო. ველოსიპედს რეკორდების წიგნში მალე ოფიციალურად შეიტანენ.

## სიამის ტყუპებმა მანქანის ტარება ისწავლეს



მინესოტას შტატში მცხოვრებმა სიამის ტყუპებმა, 23 წლის ები და ბრიტან ჰენსელებმა მანქანის მართვა ისწავლეს და ამის დემონსტრირება უკვე არაერთხელ მოახდინეს.

ტყუპებს საერთო სხეული, ორი ხელი, ორი ფეხი და სამი ფილტვი აქვთ. გული და კუჭი ორივე გოგონას საკუთარი აქვს, სისხლმომარაგება კი საერთოა. სირთულეების მიუხედავად, მათ ისწავლეს არა მხოლოდ სიარული, არამედ სირბილი, ფორტეპიანოზე დაკვრა, ველოსიპედისა და მანქანის ტარებაც კი.

## თავში ისარგაყრილი კაცი საავადმყოფოში თავისი ფეხით მივიდა

ბრაზილიაში, ქალაქ პეტროპოლისში, ქირურგებმა 34 წლის მამაკაცს თავიდან ჰარპუნი ამოაცალეს. სატყორცნ იარაღს, რომელიც წყალქვეშა ნადირობისთვის გამოიყენება, ბრუნო კაუტინო მოზიდულ მდგომარეობაში წმენდდა, როდესაც ისარი გავარდა და თავში მოხვდა. მედპერსონალი ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გააკვირვა, რომ ბრუნომ საავადმყოფოს მომხდარიდან 10 საათის შემდეგ აბსოლუტურად გონზე მყოფმა მიაკითხა.

თავის ქალიდან 90 სანტიმეტრიანი ჰარპუნის ამოსაღებად სპეციალისტებმა სახანძრო ბრიგადის ინსტრუმენტებიც კი გამოიყენეს. 4 საათიანი ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ქირურგების თქმით, საბედნიეროდ, ისარს თავის ტვინის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილები არ დაუზიანებია. ამჟამად ბრუნო ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციას გადის. გართულებების თავიდან ასაცილებლად სტაციონარში მას კიდევ რამდენიმე დღე დააკვირდებიან.

მსგავსი შემთხვევა გასული წლის ივლისშიც მოხდა, როცა 16 წლის ფლორიდელი ნასერ ლოპეის მეგობრის მიერ შემთხვევით გასროლილი ჰარპუნი შეერჭო თავში და სასწაულით გადარჩა.



Cyan Magenta Yellow Black

## ქალი მძინარე იკვებება



55 წლის ბრიტანელი ლესლი კუსაკი წლებია, მეტად უცნაური და ამოუხსნელი დაავადებით იტანჯება. ის ღამით, ძილის დროს ჭამს, ამიტომ დღისით მკაცრ დიეტაზეა, მაგრამ წონაში დაკლებას ვერაფრით ახერხებს, რადგან ღამით მიღებული საკვების რაოდენობას ვერ აკონტროლებს.

სამი შვილის დედა მხოლოდ დილით მაგიდაზე დაყრილი ნარჩენებით ხვდება, თუ რა მიირთვა ძილში. ლესლი ხშირად მაღვიძარასაც აყენებს, მაგრამ ამაოდ, მის გამოფხიზლებას ვერავინ და ვერაფერი ახერხებს. მისი მეუღლის თქმით, მაღვიძარას თავადვე თიშავს. ყველაზე ცუდი, რაც მას ღამით შეუჭამია, არის მაზი, ხველების საწინააღმდეგო სიროფი, უმი კარტოფილი და საპონი. მისი ღამის პიჟამოები ყოველთვის საშინლად დასვრილია. ლესლი ამას ძალიან განიცდის, მაგრამ თავს ვერაფერს უხერხებს.

## 14 წლის ჰამბურგერი

იუტას შტატში მცხოვრებმა დევიდ უიპლმა ცდის ჩატარების მიზნით 1999 წელს მაკდონალდსში ჰამბურგერი შეიძინა. დევიდს აინტერესებდა, გაძლებდა თუ არა ჰამბურგერი ერთ თვის განმავლობაში, მაგრამ მისი არსებობა მალე გადაავიწყდა.



საკუჭნაოში საგულდაგულოდ შენახული ჰამბურგერი 2 წლის შემდეგ დევიდის მეუღლემ იპოვა დალაგების დროს. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნახეს, რომ მივიწყებული ჰამბურგერი ისევე გამოიყურებოდა, როგორც ყიდვის დღეს. მას შემდეგ უკვე 14 წელი გავიდა, უიპლები კი მაკდონალდსში შეძენილ ჰამბურგერს კვლავ განძივით ინახავენ და უფრთხილდებიან.

## კაცი რეკორდსმენობის სურვილმა იმსხვერპლა

ინდოეთში მდინარე ტეესტაზე გაბმულ ბაგირზე 41 წლის კაცი, რეკორდსმენი საილენდრა ნას რიო, თმით დაეკიდა და ასე აპირებდა ბაგირზე გაცოცებას. საილენდრა ცდილობდა, გინესის რეკორდების წიგნში კიდევ ერთხელ მოხვედრილიყო. თვითმხილველთა თქმით, ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი, როცა თმა ბაგირზე გაეჭედა და კაცმა ადგილიდან დაძვრა ველარ მოახერხა.

რეკორდის დასამყარებლად უსაფრთხოების ზომები დაცული არ იყო. საილენდრას სამაშველო სამსახურიც კი არ ჰყავდა მობილიზებული. ტრიუკის სანახავად შეკრებილებმა მისი ჩამოხსნა ვერ მოახერხეს, მოგვიანებით მისულ მაშველებს კი საილენდრა გარდაცვლილი დახვდათ — რეკორდსმენი გულის შეტევით დაიღუპა.

საილენდრას რამდენიმე რეკორდი ჰქონდა დამყარებული. გასულ წელს 42 ტონიანი მატარებელი თმით 3 მეტრზე გაათრია.

## გიგანტური ბოთლი ოკეანეში გაუშვეს



გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელმა ერთ-ერთმა კომპანიამ სარეკლამო კამპანიისათვის გიგანტური ბოთლი შექმნა. კომპანიამ წინა საუკუნეებში გავრცელებულ კავშირის დამყარების მეთოდს მიმართა და 8 მეტრიანი ყვითელი ბოთლი ოკეანეში გაუშვა.

2.500 კილოგრამიანი ბოთლი ოფიციალურადაა რეგისტრირებული და დაზღვეულიცაა. მასში გამაგრილებელი სასმელის მთელი შეკვრა და სხვადასხვა ენაზე შედგენილი წერილი დევს. იმ იღბლიანს, რომელიც ბოთლს იპოვის, კომპანია დაუვიწყარ საჩუქარს უმზადებს.

ამ დროისათვის ბოთლი ატლანტის ოკეანეში მიცურავს და არავინ იცის, სად გაჩერდება.

## დელიში „ეშმაკის ბორბალს“ ხელით ატრიალებენ



ინდოეთის დედაქალაქ დელიში ატრაქციონ „ეშმაკის ბორბალს“ მუშები ხელით ატრიალებენ, რადგან ქვეყანაში ელექტროენერგია ხშირად ითიშება, გენერატორები კი ძვირი ღირს. მიუხედავად ამისა, „ეშმაკის ბორბალს“ კლიენტები არასოდეს აკლია.

ატრაქციონის მფლობელი რამდენიმე მამაკაცს ქირაობს, რომლებიც „ეშმაკის ბორბალზე“ ადიან, რკინაზე დგებიან და ხელით ატრიალებენ. აღსანიშნავია, რომ არც კლიენტების უსაფრთხოებაა დაცული და არც მუშების.

## უძვირფასესი ყველი ვირის რძისგან

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ყველს სერბეთის ერთ-ერთ ნაკრძალში მდებარე ვირების ფერმაში ამზადებენ. ყველი, სახელწოდებით „პულე“, ვირის რძისგან კეთდება და 1 კილოგრამი 1200 დოლარი ღირს.

ფერმაში მომუშავეთა თქმით, 1 კილო ყველის დასამზადებლად 25 ლიტრი ვირის რძეა საჭირო. ნაკრძალში ასევე აწარმოებენ ვირის რძეს, რომელიც ბოთლებშია ჩამოსხმული. ითვლება, რომ ვირის რძე კლეოპატრას სილამაზის ერთ-ერთი საიდუმლო იყო.



Cyan Magenta Yellow Black

# ავანტიურისტი ქალი ხართ?

**1. თუ შვებულებას თქვენთვის უცნობ ადგილზე ატარებთ...**
ა) მაშინვე ყველაფრის ფოტოგრაფირებას დაიწყებთ — 10
ბ) ჯერ გზამკვლევს გაეცნობით საფუძვლიანად — 5
გ) შეშინდებით და უკან დაბრუნებას ამჯობინებთ — 0

**2. სიამოვნებით იქნებოდით...**
ა) მეკობრე — 10
ბ) მეცნიერი — 0
გ) ფოტოგრაფი — 5

**3. ყველაზე მეტად რომელი გამონათქვამი მოგწონთ?**
ა) ვინც არ რისკავს, არც შამპანურს სვამს — 10
ბ) ერთი ძველი მეგობარი ათ ახალს ჯობია — 5
გ) ინტერესმა კატაც კი მოკლაო — 0

**4. ნათესავებმა ბინის შეცვლა გადაწყვიტეს...**
ა) გაგიხარდებათ — 5
ბ) ახალ ბინაზე ყველაფერს გაარკვევთ —10
გ) დაე, გადავიდნენ, ოღონდ თქვენ გარეშე — 0

**5. საიდუმლო გასასვლელი აღმოაჩინეთ...**
ა) არაჩვეულებრივია! — 5
ბ) სასწრაფოდ ფანარს დაუწყებთ ძებნას — 10
გ) პოლიციას გამოიძახებთ, იქ შეიძლება საშიში იყოს — 0



**5. მობილური გაჩუქეს...**
ა) ყველა ღილაკს სათითაოდ დააჭერთ თითს — 10
ბ) ინსტრუქციას წაიკითხავთ — 5
გ) შეგეშინდებათ — 0

**6. თქვენს მეზობლად ახალი ოჯახი დასახლდა...**
ა) სასწრაფოდ მათ გასაცნობად წახვალთ — 10
ბ) ამ ოჯახის ფსიქოლოგიას შეისწავლით და თუ არ მოგეწონათ, მათგან თავს შორს დაიჭერთ — 5
გ) დაიცდით, სანამ თავად გაგეცნობიან — 0

**შედეგები:**

### 60-40 ქულა – ავანტიურისტი

ცოცხალი, ინტერესიანი და გამჭრიახი ადამიანი ხართ, გიყვართ ყველაფერი ახალი და ნებისმიერ საქმეს დიდი ენთუზიაზმით ჰკიდებთ ხელს.

### 35-20 ქულა – ანალიტიკოსი

ჭკვიანი, ცნობისმოყვარე ხართ, აი, ავანტიურისტს კი ნამდვილად ვერ გიწოდებთ.

### 15-0 ქულა – ფრთხილი

ავანტიურისტის არაფერი გცხიათ, მეტიც, საკმაოდ ფრთხილი და შეიძლება ითქვას, მშიშარაც ხართ. ცოტა მეტი სითამამე ნამდვილად არ გაწყენდათ.

# მცენარეებში კარგად ერკვევით?



**1. რას უწოდებენ მცენარეებს, რომლებიც სპეციალურად არავის დაურგავს და არავინ უვლის?**
ა) ქუჩის.
ბ) ტყის.
გ) ველური.

**2. რა ეწოდებათ მცენარეებს, რომლებსაც ადამიანი საკუთარ ბაღში ან ბოსტანში ზრდის?**
ა) ქუჩის.
ბ) სახლის.
გ) კულტურული.

**3. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის კულტურული ბუჩქი?**
ა) მაყვალი.
ბ) თხილი.
გ) ქაცვი.

**4. რომელ ჯგუფშია ჩამოთვლილი მხოლოდ ხილი?**
ა) მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი.
ბ) ვაშლი, ქაცვი, ჟოლო, მაყვალი.
გ) მსხალი, წაბლი, სელი, ლობიო.

**5. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის კულტურული?**
ა) ჭინჭარი.
ბ) სიმინდი.
გ) შვრია.

**6. რომელ ჯგუფშია ჩამოთვლილი მხოლოდ ბოსტნეული?**
ა) ჟოლო, მარწყვი, ქაცვი, მაყვალი.
ბ) ხახვი, პომიდორი, კიტრი, თალგამი.
გ) ჭვავი, ნიორი, კიტრი.

**7. რომელ ჯგუფშია მხოლოდ მარცვლოვნები?**
ა) ბრინჯი, ქაცვი, სიმინდი, ლობიო.
ბ) ბამბა, ხორბალი, ჟოლო, სელი.
გ) ჭვავი, მუხუდო, ქერი, ხორბალი.

**8. რომელი მცენარე არ მიეკუთვნება სართავს?**
ა) ბამბუკი.
ბ) სელი.
გ) ბამბა.

**სწორი პასუხები: 1. გ) ველური; 2. გ) კულტურული; 3. ბ) თხილი; 4. ა) მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი; 5. ა) ჭინჭარი; 6. ბ) ხახვი, პომიდორი, კიტრი, თალგამი; 7. გ) ჭვავი, მუხუდო, ქერი, ხორბალი; 8. ა) ბამბუკი.**

**შედეგები:**

თუ ტესტის კითხვებიდან 7-ს სწორი პასუხი გაეცით, მცენარეებში კარგად ერკვევით, გიყვართ მათი მოვლა და მოყვანა. 5 კითხვაზე სწორი პასუხი მეტყველებს, რომ გარკვეული ცოდნა გაქვთ, მაგრამ მხოლოდ თეორიული. ნაკლები სწორი პასუხის შემთხვევაში კი თქვენთვის სულ ერთია, მცენარე კულტურულია თუ ველური, რომელი რას ისხამს, იჭმევა თუ ირთვება... მოკლედ, არაფერიც არ იცით.

# სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 5 | | 1 | | | 9 |
| 3 | | | 6 | | | | | 7 |
| | 8 | | | | 2 | 6 | | |
| | | 1 | | 8 | | 7 | | |
| | 9 | | | | | | 6 | 3 |
| 5 | | | 4 | | | | | |
| 8 | | | 9 | | 3 | 4 | | |
| | | 6 | | 7 | | | 2 | 1 |
| | 7 | | | | | 5 | | |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | | | | 9 | | 8 |
| 1 | | | | 2 | | 3 | | |
| | | 4 | 6 | | | | | 5 |
| 5 | 2 | | | | 3 | | 1 | |
| | | 8 | | | | | 9 | |
| 6 | | | | 8 | | 4 | | |
| | 3 | | 7 | | | 6 | | |
| | | 6 | | | 2 | 7 | | |
| 9 | | | | 6 | 1 | | | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

ტესტი ქალბატონებისთვის

# რომელი სამკაულია თქვენი?

**1. აქსესუარები გიყვართ?**
ა) ძალიან — 0
ბ) მიყვარს, ოღონდ მხოლოდ ოქროსი — 2
გ) არ მიყვარს — 4

**2. სოლიდური შემოსავალი გაქვთ?**
ა) დიახ — 2
ბ) არა — 4
გ) არაკორექტული შეკითხვაა — 0

**3. როგორი საყურე მოგწონთ?**
ა) ბიჟუტერია — 0
ბ) ოქროსი ძვირფასი თვლებით — 2
გ) საყურის გარეშეც თავს მშვენივრად ვგრძნობ — 4

**4. სად ყიდულობთ სამკაულებს?**
ა) ბაზრობაზე — 0
ბ) საიუველირო მაღაზიებში — 2
გ) სამკაულების გარეშეც იოლას გავალ — 4

**5. რომელი მომღერალი უფრო მოგწონთ კადიშევა თუ ბაბკინა?**
ა) კადიშევა — 2
ბ) ბაბკინა — 0



გ) არც ერთი — 4

**6. როგორ სტილში იცვამთ?**
ა) საღამოს კაბებს და ქუსლიან ფეხსაცმელს — 2
ბ) ჯინსებს და მაისურებს — 0
გ) უღიმღამოდ — 4

**7. რა აზრის ხართ ამ ტესტზე?**
ა) ტესტი არ მომწონს, სამკაულები და აქსესუარები მიყვარს — 0
ბ) კარგი ტესტია, მიყვარს სამკაულები — 2
გ) ნორმალური — 4

**შედეგები:**

**0-10 ქულა** — თქვენ ბიჟუტერია მოგწონთ, არც ისე ძვირი. არავითარი ქვები და ოქრო-ვერცხლი.

**11-20 ქულა** — თქვენი სამკაული ოქროს ან ვერცხლის ნაკეთობაა ბრილიანტებით ან სხვა ძვირფასი ქვებით.

**21-28 ქულა** — არანაირი სამკაული არ გიხდებათ, რადგან აქსესუარები არ გიყვართ. მათ მიმართ აბსოლუტურად გულგრილი ხართ.

# როგორი ლიდერი ხართ?

**1. ბავშვობიდანვე ძალიან გიჭირდათ, სხვებს დამორჩილებოდით და მათ ჭკუაზე გევლოთ?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**2. თვლით, რომ მეცნიერებასა და კულტურაში პროგრესი წარმოუდგენელი იქნებოდა იმ ადამიანების გარეშე, რომელთაც სხვებზე ბატონობის დაუოკებელი სურვილი აქვთ?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**3. მიგაჩნიათ, რომ ნამდვილ მამაკაცს უნარი აქვს, ქალი დაიმორჩილოს?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**4. არ გიყვართ, როცა ახლობლები თქვენზე ზრუნავენ?**
ა) მიყვარს — 5
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 3

**5. თვლით, რომ ქალი თავისი ნატურის მორჩილია?**
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 5

**6. ბევრი ვერ ხვდება, ყველაფრის თავზე აღება იმიტომ გიწევთ, რომ ახლობლების კეთილდღეობაზე ზრუნავთ?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**7. თქვენი აზრით, პრობლემების უმრავლესობა იმიტომ იჩენს თავს, რომ რკინის ხელიანი ლიდერები გვაკლია?**
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 3

**8. რთულ სიტუაციებში დიდი დრო არ გჭირდებათ, რათა სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**9. გსიამოვნებთ და შეგიძლიათ, ადამიანების დიდ ჯგუფს უხელმძღვანელოთ?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**10. არ გიყვართ სხვათა წინაშე ბოლომდე გახსნა?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**11. თქვენთვის უცხოა მშვიდ ნავსაყუდელზე ოცნება?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**12. თვლით, რომ დაქვემდებარებულმა უბრალოდ ხელმძღვანელის ნებისმიერი ბრძანება უნდა შეასრულოს?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**13. როცა ახლობლებს რაღაცას სთხოვთ, შინაგან წინააღმდეგობას განიცდით?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**14. ხშირად ხვდებით სიტუაციებში, როცა ვიღაც თქვენგან ახსნა-განმარტებებს ითხოვს მაშინ, როცა ყველაფერი ისედაც ნათელია?**
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0
გ) არ ვიცი — 3

**15. თვლით, რომ ხასიათით მამას ჰგავხართ, რომელიც მთელი ოჯახის ბურჯი იყო?**
ა) დიახ — 0
ბ) არა — 5
გ) არ ვიცი — 3

**შედეგები:**

**0-30 ქულა — დიქტატორი**

თქვენი პასუხები დიად დიქტატორს ხატავს, რომელიც თვლის, რომ იცის, რა როგორ უნდა იყოს და ასეთ მიდგომას გამართლებას ადვილად უძებნით. არაჩვეულებრივად გამოგდით სხვათა დარწმუნება, ხელმძღვანელობა, იძულება, ყველაფერი დროზე გააკეთონ. მაგრამ ხანდახან თქვენი დაქვემდებარებულების თვალებში თავისუფლად ამოიკითხავთ: „ცოტა შეგვასვენე, სული ნუ ამოგვხადე!“

**31-50 ქულა — ბრძენი**

ჰარმონია და გადაწყვეტილებების მიღება, სიბრძნე და გათვლა, ჭკვიანური რჩევების მიცემის უნარი — ეს თქვენი მთავარი ღირსებებია. თუ საჭიროა — უხელმძღვანელებთ, თუ არა — დაუთმობთ. ყოველთვის ყურად იღებთ და ითვალისწინებთ სხვათა აზრს და სურვილს, მაგრამ მარტო თქვენ იცით, ყოველთვის აღწევთ თუ არა ასეთი მიდგომით მიზანს.

**51-75 ქულა — მორჩილი**

მზად ხართ, ნებისმიერი საყვედური „გადაყლაპოთ“, ყველანაირი მსხვერპლი გაიღოთ, თუნდაც ეს საჭირო არ იყოს. ხშირად გრძნობთ თავს უსუსურად და დახმარებას სხვებისგან ელით, თავად კი არაფერს აკეთებთ, რათა სიტუაცია გამოასწოროთ. გარშემომყოფებში ეძებთ ხასიათის იმ შტრიხებს, რომლებიც თქვენ გაკლიათ, მათი ხელით ცდილობთ, ცხოვრებაში თქვენთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნათ.



# ნაწლავებმა საათივით რომ იმუშაონ

როგორ მოიქცეთ, თუ ნაწლავებმა თავიანთი ფუნქციის შესრულება შეწყვიტეს? ცხოვრების წესში შესწორება შეიტანეთ.

ხშირ შემთხვევებში ქრონიკული ყაბზობა არა რაიმე დაავადების, არამედ ცხოვრების წესის — არასწორი კვების, ორგანიზმში წყლის უკმარისობის, დაბალი ფიზიკური აქტივობისა და სიზარმაცის გამო ალმოცენდება. თუ საკუთარ ჩვევებს შეებრძოლებით, ნაწლავების პრობლემებს გადაჭრით. საიდან დაიწყოთ?

### რას მიაქციოთ ყურადღება

პირველ რიგში, საჭიროა ბევრი სითხის მიღება. წყლის უკმარისობის დროს კუჭსა და მსხვილ ნაწლავში საჭმლის მომნელებელი წვენების წარმოქმნა ირღვევა. ხოლო მსხვილ ნაწლავში სქელი მასა — ქვები ფორმირდება. ორგანიზმიდან მათი გამოდევნის პროცესი ნამდვილი პრობლემაა. ამავდროულად კანცეროგენულ (კიბოს გამომწვევი) და სხვა ტოქსიკურ ნივთიერებებთან ხანგრძლივი კონტაქტის გამო, მძიმე დაავადებების განვითარების რისკი იზრდება.

ყოველ დილით, უზმოზე და ყოველთვის, საკვების მიღებამდე ნახევარი საათით ადრე, ჭიქა წყალი დალიეთ.

დაუმატეთ უჯრედისები. ნაწლავების მუშაობაში დარღვევების აღმოფხვრას მხოლოდ წყლის მოცულობის გაზრდა ყოველთვის არ ეხმარება. წყალი თირკმლებით და კანიდან სწრაფად გამოდის, ამიტომ საჭიროა ნაწლავების სანათურში მისი შეკავება. ამისთვის კი აუცილებელია მეტი მცენარეული უჯრედისი. მას შეიცავს ბოსტნეული, ბურღულეული, რუხი პური. სასარგებლოა მრავალძარღვას თესლების პრეპარატები. მათ წყლის შეწოვის თვისება გააჩნიათ. მათი წყალობით, ნაწლავების ფიზიოლოგიური შეკუმშვა ჩქარდება და შიგთავსი სწორ ნაწლავში წინ წაიწევს.

### დელიკატური საკითხი

ყაბზობის კიდევ ერთი ხშირი მიზეზი დეფეკაციის სურვილის ჩახშობაა. ადამიანებში, რომლებიც ხშირად დეფეკაციის სურვილს იკავებენ, ახშობენ, დროთა განმავლობაში იმ რეცეპტორების მგრძნობელობა, რომლებიც ტვინში დეფეკაციის ცენტრს ინფორმაციას აწვდიან, შეიძლება პრაქტიკულად გაქრეს. საბოლოო ჯამში, ალმოცენდება სიტუაცია, როდესაც ლაბორატორიული, რენტგენული ან ენდოკრინული კვლევის მეთოდები ყაბზობის მიზეზებს ვერ ავლენენ, ხოლო ექიმთან ვიზიტი და წამლების მიღება ეფექტს არ იძლევა.

პრობლემები თავიდან რომ აიცილოთ, თქვენი სხეულის სიგნალებს მოუსმინეთ. სწორი ნაწლავის რეცეპტორების დაკარგული ფუნქციის აღდგენა შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა წყალი დალიოთ და მუცელზე მსუბუქი მასაჟი გაიკეთოთ. შემდეგ შეეცადეთ, ნაწლავები ძალდაუტანებლად დაცალოთ. პირველი ცდები შეიძლება წარუმატებელი იყოს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ნაწლავები და დეფეკაციის ცენტრი თავიანთ დანიშნულებას „გაიხსენებენ“ და მათი მუშაობა საათივით აეწყობა.

### მეტი მოძრაობა

ქრონიკული ყაბზობის პროვოცირება შეუძლია ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესს. არასაკმარისი ფიზიკური აქტივობის გამო, კუნთები სუსტდება, ტონუსს კარგავს. დილით მარტივი სავარჯიშო შეასრულეთ, ცურვით, აერობიკით, ცეკვით დაკავდით და ფეხით ბევრი იარეთ.

## რატომ გვჭირდება ინულინი?

ინულინი ფრუქტოზის ბუნებრივი პოლიმერია, რომელიც ზოგიერთი მცენარის ბოლქვებსა და ფესვებშია წარმოდგენილი. რით არის სასარგებლო ეს ნივთიერება?

ინულინი სისხლძარღვების სიმკვრივეს ამაღლებს, ცუდი ქოლესტერინის დონეს ამცირებს და სისხლის შემადგენლობას აუმჯობესებს, ამიტომ მას ათეროსკლეროზის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს ურჩევენ. ინულინი ასევე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალიზაციასა და ვიტამინების ათვისებას ეხმარება, მძიმე ლითონებისა და რადიონუკლეიდების გამოდევნას აჩქარებს, მაგრამ განსაკუთრებით სასარგებლოა კუჭქვეშა ჯირკვლისთვის. ინულინი დიაბეტის დროს შაქრის დონის შემცირებას ხელს უწყობს, მის გართულებას თავიდან აგაცილებთ. სახელდობრ, რომელ პროდუქტებშია?

ინულინი ყველაზე მეტია ვარდკაჭკაჭას (ყავის შემცვლელი) ფესვებში, ასევე ბევრია მიწავაშლას ბოლქვებში. მცირე რაოდენობით შეიცავს ბანანი, ხახვი და ნიორი. მარცვლოვანი კულტურებიდან ინულინით მდიდარია ქერი და ჭვავი, ხოლო სამკურნალო ბალახებიდან ბაბუაწვერა და ექინაცეა.

## რისგან ჩნდება წყლული პირში



ლოყის შიდა მხარეს, სასაზე ან ენაზე პერიოდულად ჩნდება პატარა წყლულები, რომლებიც დიდხანს არ შუშდება? ასეთ სიმპტომს სერიოზულად მიუდექით. ეს ქრონიკული მორეციდივე აფთოზური სტომატიტია. ის პირის ლორწოვანი გარსის ანთებით დაავადებებს შორის ერთ-ერთია და მისთვის აფთების — მცირე წყლულების (თეთრი, ყვითელი ან რუხი ფერის) გამოვლენა. ჭამის დროს ტკივილი აღინიშნება, შესაძლებელია ლორწოვანის შეშუპება, ნერწყვის გამოყოფის მომატება, პირიდან უსიამოვნო სუნი, მეტყველების დარღვევა, ყბისქვეშა ლიმფური ჯირკვლების გადიდება. მძიმე შემთხვევებში საჭმლის მონელების პრობლემები, უძილობა ვითარდება.

მიზეზი სხვადასხვაა. ძირითადად, რა თქმა უნდა, გამოწვეულია ვირუსებით, სოკოთი ან ბაქტერიებით. მაგრამ პრაქტიკულად აფთოზურ სტომატიტს ყოველთვის თან ახლავს იმუნური სისტემის მუშაობაში დარღვევები, ჰორმონული უთანხმოება, ვიტამინების დეფიციტი. ბიძგის მიმცემი მექანიზმები ასევე შეიძლება იყოს ლორწოვანი გარსის ტრავმა, თამბაქოს ჭარბად მოხმარება, ზოგიერთი წამლის მიღება, განსაკუთრებით ქიმიოთერაპია ონკოლოგიური დაავადებების დროს. ამიტომ არ გაგიკვირდეთ, თუ სტომატოლოგი გამოკვლევაზე სხვა სპეციალისტებთან გაგაგზავნით.

თუ წყლულები კვირაზე მეტ ხანს არ შუშდება, აუცილებლად მიმართეთ სტომატოლოგს.

ანტისეპტიკური დამუშავებისთვის პირში გამოივლეთ გვირილის, კალენდულას ნახარში ან შავი ანწლის ყვავილების ნაყენი (1 ს.კ. ნედლეულს 1 ჭიქა ადუღებული წყალი დაასხით).

ტკივილს კარგად აყუჩებს და ლორწოვანს აღადგენს გვირილის, სალბის ბალახის და ტუხტის ფესვების (თანაბარი რაოდენობით აიღეთ) ნახარში.

გაუფრთხილდით ლორწოვან გარსს — არ ჭამოთ ცხელი ან პირიქით, ძლიერ ცივი. მოერიდეთ უხეშ საკვებს, ცხარე კერძებს, მარინადებს.

გახსოვდეთ, ანტიბიოტიკების ან სოკოს საწინააღმდეგო საშუალებების (მათ რიცხვში გარეგანის) თვითნებურად მიღება კატეგორიულად იკრძალება. აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



# გვპასუხობს ექიმი

**— აღმოაჩნდა „ბე“ ჰეპატიტი. საჭიროა ვაქცინაცია. გადაედება თუ არა ოჯახის წევრებს?**

— სავალდებულოა ვაქცინაცია, რადგან „ბე“ ჰეპატიტი ძალიან ადვილად და სწრაფად გადადის.

**— ვარ 3 წლის გათხოვილი. მაქვს მოჭარბებული ლორწოვანი, თეთრი გამონადენი. ზოგჯერ წელის არეში ტკივილიც. არ ვფეხმძიმდები. შეიძლება ამის ბრალი იყოს?**

— პირველ რიგში, უნდა გაიკეთოთ ნაცხის ანალიზი, რადგან, რასაც თქვენ ლორწოვან გამონადენს ეძახით, შეიძლება ანთებითი პროცესის, სოკოვანი დაავადების მანიშნებელი იყოს. გირჩევთ, მიმართოთ გინეკოლოგს. სასურველია, ჩაიტაროთ ექოსკოპიური კვლევა, რომ დადგინდეს, წელის ტკივილი მომდინარეობს თუ არა გინეკოლოგიური პრობლემიდან თუ უბრალო დამთხვევაა და მიზეზი სხვა არის. რაც შეეხება დაორსულებას, გირჩევთ, ძირეული გამოკვლევა ჩაიტაროთ.

**— კომპიუტერთან დიდხანს ვმუშაობ, თვალები მეწვის. რა გავაკეთო?**

— ეს გადაღლილი, გამომშრალი თვალისთვის დამახასიათებელია და საჭიროა ხელოვნური ცრემლის სახელწოდებით ცნობილი პრეპარატების დანიშვნა. მიმართეთ ოფთალმოლოგს.

**— მყავს 3,5 თვის ბიჭუნა, გავუკეთეთ გულის ექოსკოპია. გვითხრეს ოვალური ხვრელი აქვსო. რამდენად საშიშია?**

— თუ სხვა პათოლოგია არ არსებობს, ხვრელი ერთი წლის ასაკში, სავარაუდოდ, დაიხურება. რა თქმა უნდა, ბავშვი კარდიოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ თუ გეყოლებათ, კარგი იქნება.

**— მაწუხებს თავის ტკივილი გადაღლილობის, უძილობის და ნერვიულობის ნიადაგზე. ჩავიტარე კვლევები, დამიდგინდა შაკიკი. ახლა ვამჩნევ, რომ ყოველ დილით მაქვს ყრუ ტკივილები. შაკიკის ბრალია თუ კიდევ სხვა დაავადება მჭირს?**

— ზეპირად ძნელია რამის თქმა, მაგრამ თქვენი სიმპტომები შაკიკზე მიანიშნებს. უმჯობესი იქნება, თუ ნევროპათოლოგთან კონსულტაციას გაივლით.

**— მაქვს შიში და აკვიატებული აზრები. რა ვქნა?**

— სავარაუდოდ, ვეგეტონევროზი გაქვთ, აუცილებელია ნევროპათოლოგის კონსულტაცია.

**— როგორ ვუმკურნალო სოკოთი დაავადებულ ფრჩხილს?**

— სოკოთი დაავადებულ ფრჩხილს შინაური მეთოდებით ვერ უმკურნალებთ. საჭიროა როგორც გარეგანი, ასევე შინაგანად მისაღები ანტიმიკოზური თერაპიის ჩატარება. რატომღაც აღიქმება, რომ ფრჩხილის სოკო ერთი ტიპისაა და მისი მკურნალობაც სტანდარტულია. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება მცდარია. მკურნალობის თანამედროვე მეთოდები იძლევა საშუალებას, დერმატოლოგიურ ლაბორატორიაში ჩატარდეს ფრჩხილის ანაფხეკის ანალიზი და მკურნალობაც ისე დაინიშნოს, რომ შედეგმა არ დააყოვნოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მიიღოთ ძლიერი პრეპარატები, მაგრამ შედეგი არ გქონდეთ. სანამ სპეციალისტს მიმართავთ, გირჩევთ, ფრჩხილზე წაისვათ იოდი, შემდეგ კი კლოტრიმაზოლის მალამო, რითაც დროებით შეაჩერებთ პროცესის შორს წასვლასა და გართულებას.

**— ვარ ორსული. ჩავიტარე გეგმური გამოკვლევა და აღმოაჩნდა „ცე“ ჰეპატიტი. რამდენად საშიშია ნაყოფისთვის, ისიც დაავადებული დაიბადება?**

— ბავშვი ჯანმრთელი დაიბადება, მაგრამ თქვენ სასურველია იმშობიაროთ საკეისრო კვეთით.

**— ორსულად ვარ და შეიძლება ეპილატორი გამოვიყენო?**

— ეპილატორი ნაყოფზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

**— ამერია ციკლი. გადავიღე ექოსკოპია, მითხრეს, ყველაფერი წესრიგში გაქვს და ეს ჩივილები კლიმაქსის დაწყებაზე მიანიშნებსო. დამინიშნეს დუფასტონი. მაინტერესებს, ციკლი გამიხანგრძლივდება და გათხოვების შემთხვევაში თუ დავფეხმძიმდები?**

— დაფეხმძიმების შანსი ყველა ქალს აქვს, თუ კვერცხუჯრედი გამოიყოფა. ზეპირად ვერავინ დაადგენს, შეძლებთ თუ არა დაფეხმძიმებას. დუფასტონი არის საუკეთესო საშუალება, როგორც ციკლის გასახანგრძლივებლად, ასევე ფეხმძიმობის ფონის მოსამზადებლად. ადვილი შესაძლებელია უპრობლემოდ დაფეხმძიმდეთ, მაგრამ დუფასტონის სამთვიანი კურსის შემდეგ აუცილებლად გაიარეთ გინეკოლოგთან კონსულტაცია.

**— ვარ ორსული. მაქვს ქიპთან ჰიპერტონუსი. ექიმმა დამინიშნა გინიპრალი. საშიში ხომ არ არის ნაყოფისთვის?**

— გინიპრალი არის საშვილოსნოს კუნთების მოსადუნებელი საშუალება, შეიძლება ითქვას, უებარი პრეპარატია ჰიპერტონუსის მოსახსნელად. გაითვალისწინეთ, რომ გინიპრალის მიღებამდე 15-20 წუთით ადრე აუცილებლად მიიღოთ ფინოპტინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გექნებათ ძლიერი ტაქიკარდია.

**— მაქვს შიშები, განსაკუთრებით — მარტო დარჩენის. მგრძნობიარე ვარ ამინდის ცვლილების მიმართ. ვიღებ მხოლოდ მცენარეულ წამლებს. მირჩიეთ, რა მივიღო. ძილს არ ვუჩივი.**

— ვალერიანის, კორვალოლის და კუნელის 10-10 წვეთი მიიღეთ დღეში 2-ჯერ. ერთი კვირის შემდეგ დოზა შეამცირეთ და 5-5 წვეთი მიიღეთ.

**— 1 წლის წინ ვიმშობიარე საკეისრო კვეთით. რამდენ ხანში შეიძლება დავფეხმძიმდე და შეიძლება თუ არა ფიზიოლოგიური მშობიარობა?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ თქვენს გინეკოლოგს შეუძლია. გასათვალისწინებელია თქვენი ასაკი, წინა ორსულობის მიმდინარეობა, რატომ გახდა საჭირო საკეისრო კვეთის ჩატარება და შემდეგ როგორ წარიმართა პოსტოპერაციული მდგომარეობა.

## სასარგებლო სანელებლები



გაზაფხულზე ჯანმრთელობა რომ გაიმაგროთ, გაგაცნობთ ეფექტურ რეცეპტებს.

აიღეთ თითო მწიკვი ილი, კოჭა, წიწაკა და დარიჩინი. სანელებლებს 1 ჭიქა წყალი დაასხით და 5 წუთი წამოადუღეთ. 10 წუთი გააჩერეთ, შემდეგ 1/3 ჭიქა ნაყენს 2/3 ჭიქა რძე შეურიეთ და დღის განმავლობაში ცოტ-ცოტა დალიეთ. სასიამოვნო სასმელი კარგად ატონიზირებს და იმუნიტეტს აძლიერებს.

2-3 ჩაის კოვზი კვლიავის (ზირა) თესლები თერმოსში ჩაუშვით და 1 ჭიქა მდუღარე დაუმატეთ. ღამით დატოვეთ. კვლიავის ჩაი სუნთქვის ორგანოების ანთების, საჭმლის მონელების პრობლემების დაძლევას ეხმარება.

## ცე ვიტამინი ფეხებსაც სჭირდება



გსურთ, ლამაზი და ჯანმრთელი ფეხები გქონდეთ? რაციონში ხშირად ჩართეთC ვიტამინითა და რუტინით მდიდარი პროდუქტები. ისინი წვრილ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, თრომბის წარმოქმნას აბრკოლებს, სისხლძარღვების კედლებს ამაგრებს და ვარიკოზული დაავადებების განვითარებისგან იცავს. რუტინსა და ასკორბინის მჟავას შეიცავს შავი ცირცელი, ბროწეული, ასკილი, ციტრუსები, წითელი მოცვი.

ვისაც ვენებთან დაკავშირებით პრობლემები აქვს, სასარგებლოა წიწიბურას ფაფა. წიწიბურა ლიდერია ანტიმჟანგავ კვერცეტინის შემცველობით. ეს ნივთიერება არამხოლოდ სისხლძარღვებს ამაგრებს, ასევე ვარიკოზის საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**



Cyan Magenta Yellow Black

1. „... და არა ... რა“; 2. ინტუიცია; 3. ჭრელი ცხენი; 4. ცხენის კისრის ნაწილი; 5. ნოტი; 6. დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი; 7. სითხის რაოდენობა, რასაც წყარო დროის ერთეულში იძლევა; 8. ჟაკ ... კუსტო; 9. ბრიყვი, რეგვენი; 10. რისამე დადგენილი წილი; 11. ... ჟორდანია; 12. სამება, სამეული; 13. პერანგი ძველად; 14. ბეჰემოთი; 15. უფლისწულის ტიტული მონარქიულ ესპანეთში; 16. ცხოველი, რომელსაც ზოგიერთი პრიმიტიული ტომები თაყვანს სცემენ; 17. გამიზნული ფულადი სახსრები; 18. კამერუნელი ფეხბურთელი; 19. ... მანი; 20. მტაცებელი თევზი; 21. საგაზაფხულო ხორბალი; 22. ფინიკიელთა ქალღმერთი; 23. ბრინჯის არაყი; 24. მიმართვა მეფისადმი საფრანგეთში; 25. ორენოვანი ტექსტი; 26. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 27. ინგლისური მაგარი ლუდი; 28. მუზეუმი მადრიდში; 29. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 30. ნაწარმოების მთავარი აზრი; 31. ბერძნული ანბანის ასო; 32. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 33. ინდოეთის უძველესი რელიგია; 34. ჰოლივუდელი ორთაბრძოლების ოსტატი; 35. ნივთიერების ცომისებური მასა; 36. სამიანი კამათელზე; 37. გადასაზიდი საქონელი; 38. დამხმარე თეორემა; 39. აზოტთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი; 40. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 41. ქალაქი რაჭაში; 42. ველორიქშა ინდოეთში; 43. წყალი ლათინურად; 44. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 45. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი პარტიტურაში; 46. ესპანურის არმცოდნე უცხოელის მეტსახელი მექსიკაში; 47. მთათა სისტემა ლეჩხუმში; 48. ჯაჭვლიანის ფილმი; 49. გაუმჯობესებული მოტოველოსიპედი; 50. ინგლისში პოპულარული ერთგვარი თამაში ბურთით; 51. შტატი აშშ-ში; 52. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 53. ძუაგაბმული ჯოხი ვიოლინოს დასაკრავად; 54. შუამარბი ფეხბურთში; 55. ფრანგი კომპოზიტორი; 56. სიგრძის ძველფრანგული საზომი; 57. იუპიტერის თანამგზავრი; 58. ... ალან პო; 59. ცალსასწორი; 60. ჰოლანდიელი ასტრონომი; 61. ნოტი; 62. მდინარე ესპანეთში; 63. ყვულის სახეობა; 64. მეტყველების ორგანო; 65. მუსიკის სწორად აღქმის უნარი; 66. კაკლის მონათესავე ხე; 67. სახალხო პოეტ-მომღერალი შუა აზიაში; 68. ბუნებრივი საღებავი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. კვარტალი; 2. ნიყვი; 3. ჩაკ; 4. ნო; 5. მეტაფორა; 6. კურტიე; 7. ბაასი; 8. აკი; 9. იკა; 10. აბსურდი; 11. ნოე; 12. პანთერა; 13. ოი; 14. კონგენიალური; 15. ან; 16. მენეჯმენტი; 17. ავიცენა; 18. პადრე; 19. კანა; 20. დო; 21. მანაგუა; 22. ერე; 23. სკეტჩი; 24. ტარა; 25. ივ; 26. ასალი; 27. პერანგი; 28. მოსე; 29. სურმუში; 30. ივან; 31. იო; 32. ანუ; 33. გაუჩო; 34. ტიპი; 35. მენადა; 36. მონეტა; 37. კენკრა; 38. კაფია; 39. სიქა; 40. კრუპიე; 41. ილ; 42. მორტალე; 43. მატლი; 44. კაკადუ; 45. უნია; 46. ოდილია; 47. ტაიფუნი; 48. დაუნი; 49. აკრედიტაცია; 50. ტანკი; 51. იდო; 52. დიალექტიკა; 53. ქეში; 54. ლას; 55. ტრამბლე; 56. ურარტუ; 57. რო; 58. კარმანი; 59. აჯიკა; 60. ია; 61. უნაბი; 62. ალმასი; 63. მარჯორი; 64. ჰანოი; 65. სი.**სურათებზე:**ჯანფრანკო ფერე; პაკო რაბანი; კრისტიან დიორი; ჯორჯო არმანი.

**კოდი: ვალუტა**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი



1. ცილისწამება
2. იაპონური თეატრი



3. ახალი წელი გურიაში
4. ... დისნეი
5. ბერძნული ანბანის ასო
6. ორტაეპიანი სტროფი
7. ნაბიჯი ბალეტში
8. თბილი ქვეყნების ხე
9. ნებისყოფის სისუსტე
10. მწვანილი
11. ხეთების ქალღმერთი
12. ქალაქი პაკისტანში
13. ქალბატონო ფრანგულად
14. ცომისებრი ნუგბარი
15. ქალი
16. ფეთქებადი ნივთიერება
17. საფუტკრე
18. ქიმიური ელემენტი
19. ამონი
20. ჯარი
21. ყვავილი
22. საყოველთაო ლოცვა
23. ნოტი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ბრბო; 2. რუ; 3. გო; 4. შტეფსელი; 5. მარკა; 6. ბრალი; 7. შაშხი; 8. ისააკ; 9. აიოვა; 10. ფილმი; 11. ხოტა; 12. ნიბლია; 13. რაინი; 14. ლოხი; 15. ფხა; 16. არისა; 17. სი; 18. ფაკირი; 19. ტოლსტოი; 20. ეტა; 21. „ინდიანა“; 22. პიტ; 23. ურო; 24. მა; 25. ტომ. **სურათებზე:** კაბა; კიმონო; ტუნიკა; სარი.



Cyan Magenta Yellow Black

# სილამაზის რეცეპტები

## ნიღაბი ცხიმიანი კანისთვის

აიღეთ 1 სუფრის კოვზი თხევადი თაფლი, 2 სუფრის კოვზი ნაღები ან არაჟანი და ლიმონის წვენის 3 წვეთი. ნარევი წრიული მოძრაობით გასუფთავებულ სახეზე დაიდეთ (თვალების ირგვლივ მოერიდეთ). 10 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. კანი ხავერდოვანი გახდება და ცხიმოვან ბრწყინვას დაკარგავს.



## თავის კანის პილინგი

1 სუფრის კოვზი სუფრის მარილი (უმჯობესია ფხვნილად ქცეული ზღვის მარილი) ნებისმიერ შამპუნში აურიეთ და მიღებული ნარევი თმის ძირებში შეიზილეთ. ერთი წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. ეს პროცედურა თავის კანს ასუფთავებს და თმის ზრდას აჩქარებს. ამის შემდეგ 3 კვირის განმავლობაში დღეგამოშვებით გაიკეთეთ მკვებავი ნიღაბი. მზა ნიღბები (კარგია, თუ მის შემადგენლობაში იქნება მკვდარი ზღვის მინერალები) შინაურთან შეანაცვლეთ.

მარტივი და ეფექტური ნიღაბი — თითო ჩაის კოვზი თხევადი $B_6$ და $B_{12}$ ვიტამინი აურიეთ. ოდნავ შეათბეთ და თმის ძირებზე წაისვით. თავზე პოლიეთილენი, შემდეგ პირსახოცი დაიფარეთ. 40 წუთის შემდეგ თმა შამპუნით ჩამოიბანეთ.

# რატომ გარბის ქმარი

## ფსიქოლოგთა რჩევები

### გაიგეთ მიზეზი

ზოგიერთი მამაკაცის ძნელადგასაგები შემოქმედებითი სწრაფვა-გატაცება, როგორც წესი, რეალობიდან გაქცევის მცდელობად ითვლება. გაარკვიეთ, სახელდობრ, რისგან გაქცევას ცდილობს თქვენი საყვარელი მამაკაცი. შეიძლება, მისი დახმარება შეგიძლიათ.

### ყველაფერი საქმეშია



ნებისმიერმა იდეამ შეიძლება პრაქტიკული გამოყენება ჰპოვოს. ქმრის მორიგ პროექტზე (გეგმაზე) გაღიზიანება არ გამოხატოთ და აგრესიული რეაგირება არ გქონდეთ. მიიღეთ, როგორც მოცემულობა, რომ თქვენს წყვილში სალად მოაზროვნე ადამიანის როლი სწორედ თქვენ გერგოთ. ქმრის იდეის მიმართ აღტაცება გამოხატეთ და დაფიქრდით, მისგან რა სარგებლობა შეიძლება ნახოთ.

### დამოუკიდებელთა კავშირი

გენიის ანუ იმ ადამიანის, რომელიც თავს ასეთად თვლის, გვერდით ცხოვრებისას ისწავლეთ, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე იყოთ. დაკავდით თქვენი კარიერით, ცალკე ბიუჯეტი გქონდეთ, ისარგებლეთ სპეციალისტების მომსახურებით, რომლებსაც შეუძლიათ სახლში სამუშაო შეგიმსუბუქონ.

### ძალდატანებით საყვარელი ვერ გახდებით

ხშირად ურთიერთგაუგებრობის მიღმა არამხოლოდ მიზნებსა და ინტერესებში სხვაობა, არამედ ერთმანეთის მიმართ გრძნობის არარსებობა იმალება. სწორედ აქედან ჩნდება კომპრომისების მოძებნისა და სხვისი მოთხოვნილებების გაგების სურვილის არქონა. ამ შემთხვევაში ქორწინების გადარჩენისთვის მცდელობას აზრი არ აქვს.

# თირკმლები ციფრებსა და ფაქტებში

თირკმლების მთავარი ფუნქციაა სისხლის გასუფთავება ნარჩენებისგან, რომლებიც მასში ნივთიერებათა ცვლის პროცესში გროვდება და ჰორმონ რენინის გამომუშავება, რომელიც არტერიული წნევის რეგულაციაზეა პასუხიმგებელი.

3 წუთში თირკმლებში ადამიანის სისხლის მთელი მოცულობა გადის.

ადამიანს ორივე თირკმელი ნორმაში უნდა ჰქრნდეს. თავის ფორმით ისინი ლობიოს მარცვლებს გვაგონებენ.

დღე-ღამეში თირკმლები 1700 ლ სისხლს ფილტრავს და ასუფთავებს.

თირკმლები დღე-ღამის განმავლობაში 1,5 ლიტრ შარდს ამზადებს, რომელიც შარდის ბუშტში ჩადის.

120-200 გრამს იწონის ადამიანის თითოეული თირკმელი, სიგრძე — 10-12 სმ-ია, სიგანე — 6 სმ, სისქე — 3 სმ.

ორივე თირკმელში დაახლოებით 2 მილიონი ნეფრონია (ფილტრი), რომელთა გავლით სისხლი გადის.

ჩასუნთქვის მომენტში თირკმლები 2-4 სმ-ით ქვევით იწევს, ხოლო ღრმა ჩასუნთქვისას 4-6 სმ-ით.

2,5-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება თირკმლების განვითარების ანომალიები შეზრდის სახით ბიჭებში, ვიდრე გოგონებში. ხოლო განვითარების ანომალიები თირკმლების ზომაში გაორმაგების 2-ჯერ უფრო ხშირად გოგონებში აღინიშნება.

მწეველ ადამიანებში თირკმლის ქრონიკული დაავადებები (და შარდსასქესო სისტემის სხვა ორგანოების) მნიშვნელოვნად უფრო მწვავედ მიმდინარეობს, ვიდრე არამწეველებში.

თირკმლების ყველაზე მძიმე დაავადებად თირკმლის კენჭოვანი დაავადება ითვლება.

# ბოლოკი – სალათების მეფე

მას უამრავი პლუსი აქვს. 100 გრამი ბოლოკი C ვიტამინის დღიურ ნორმას შეიცავს, ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს და ცხიმების დაგროვებას ებრძვის. ეს ბოსტნეული სისხლში შაქრის დონის მოწესრიგებას ეხმარება, კიბოს დაავადებებს თავიდან აგაცილებთ, ვინაიდან საღებავ ანტოცინს შეიცავს. უჯრედისები, რომლითაც მდიდარია ბოლოკი, მადის გაუმჯობესებას, საჭმლის მონელებას ეხმარება, ორგანიზმიდან ქოლესტერინი და ტოქსინები გამოაქვს.



ბოლოკში ასევე ბევრია ფიტონციდები, ე.წ. ბუნებრივი ანტიბიოტიკები. ასე რომ, ნებისმიერ სალათში დაუმატეთ, ისიამოვნეთ და გაჯანსაღდით.

# დღის შუქის ნაკლებობა ასუქებს



მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ ორგანიზმი ვიტამინD-ს გამოიმუშავებს. მისი დეფიციტის დროს ორგანიზმში ნაკლები ლეპტინი (ჰორმონი, რომელიც პასუხისმგებელია ჩვენს მადაზე) წარმოიქმნება. ამის გამო სიგნალები დანაყრების შესახებ ტვინში გვიან მიდის. ადამიანი ზედმეტს ჭამს და, ბუნებრივია, კილოგრამებს აგროვებს. ამას ამტკიცებს რუსი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკვლევა. კანქვეშა ცხიმიD ვიტამინს შთანთქავს, ამიტომ მსუქან ადამიანებში მისი დეფიციტი მეტია. წონაში მცირე მომატებისას უბრალოდ საჭიროა, მზიან ამინდში ხშირად ისეირნოთ. ეს ორგანიზმს არამხოლოდ ვიტამინით გააჯერებს, ასევე კალორიების ნაწილის დახარჯვას დაეხმარება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## ქართული ანეკდოტები



**ცოლი სხვა ქალაქშია და ქმარს ურეკავს:**
**— ჩვენი გოშია როგორაა?**
**— მოკვდა, — პასუხობს ქმარი.**
**— არ შეგეძლო, ეს უფრო დელიკატურად გეთქვა? მაგალითად, გოშია ნავში ჩახტა, ნავი წყალმა წაიღო, ნავი გადაბრუნდა და გოშია უგზო-უკვლოდ დაიკარგა... ნუ, რაც არის, არის... დედაჩემი როგორაა?**
**— მე მგონი, ნავში ჯდება.**

მამა-შვილი ჭიები ნეხვში სხედან.
— მამი, ვაშლში კარგია?
— ოო, გადასარევი!
— მსხალში?
— კიდევ უკეთესი.
— ატამში?
— ეგ ხომ სრული ნეტარებაა.
— აბა, ჩვენ რატომ ვზივართ ნეხვში?
— პატრიოტიზმი, შვილო... პატრიოტიზმი!

❖ ❖ ❖

სვანი თევზაობს. ჭიები გაუთავდა და ანკესს ფურცელი



**ორი ნარკომანი გაგუდულ კაიფშია:**
**— ე, სიმონ, შენი საცოლე შიშველი გინახავს, როგორია?**
**— არა, ტო, საიდან!**
**— გინდა, გირასკაზო?**

წამოაცვა წარწერით: „ჭია ვარ“. ცოტა ხანში ტივტივა შეირხა, სვანმა ანკესი ამოიღო და თავისი ფურცელი დახვდა მეორე მხარეს წარწერით: „ბებიაშენი მოატყუე“.

❖ ❖ ❖

— ზაქროვ, აბა, ყველაზე ძლიერი ცხოველი რომელია?
— სპილო, ჯოვ.
— მითამ რათა?
— ვირივით ღონე აქ მაგ ჩემისას!

❖ ❖ ❖

გამთენიისას სახლში მისულ ქმარს ცოლი ეჩხუბება:
— სად იყავი, ზინასთან?
— არა.
— აბა, ლენასთან?
— არა.
— თინიკოსთან?
— არა.
— აბა, სად ეგდე მთელი ღამე?
— ქალო, წამაძინე ცოტა და რამეს მოვიფიქრებ.

❖ ❖ ❖

— ყმაწვილო, წუხელ სად ბრძანდებოდი? — ეკითხება ცოლი ქმარს.
— რა ნატაშა, რის ნატაშა, რეებს მოიგონებ ხოლმე!

❖ ❖ ❖

— შენ რატომ გიყვარს ფეხბურთი?
— სამსახურში უფროსი მიყვირის, სახლში ცოლი. სტადიონი კი ის ადგილია, სადაც მე ვუყვირი ბოლო ხმაზე თერთმეტ კაცს.

❖ ❖ ❖

განცხადება გაზეთში:
„გარდამეცვალა ძალიან საყვარელი ბებია. ვეძებ ბებიას, რომელსაც შეუძლია დაამთავროს ჩემი სვიტრის ქსოვა“.

❖ ❖ ❖

თავისი პირველი წიგნი მწერალმა შემდეგი მიძღვნით გამოსცა:
„ვუძღვნი ჩემს ცოლს, ურომლისობამაც შემაძლებინა ამ წიგნის დაწერა“.

❖ ❖ ❖

— ვერ ხედავ, იმ კაცს მაგიდაზე სძინავს, რატომ გარეთ არ გააგდე? — ეკითხება რესტორნის მფლობელი ოფიციანტს.
— ეგ სანამ არ გამოფხიზლდება, ვერ გავაგდებ.
— ვითომ რატომ?
— რატომ და, რამდენჯერაც გავაღვიძე, იმდენჯერ გადამიხადა ანგარიში.

❖ ❖ ❖

გემი ჩაიძირა, გამძვინვარებულ ოკეანეში ფიცარზე ჩაბღაუჭებული ებრაელი ცოლ-ქმარი ტივტივებს.
— ამაზე მეტი საშინელება არსებობს რამე? — ყვირის ცოლი.



**— ექიმო, ამ ბოლო დროს ცუდადაა ჩემი საქმე.**
**— რა გჭირს?**
**— სარკეში რომ ვიხედები, გული მერევა.**
**— მოსალოცად გქონია საქმე, შე კაცო, სარკეც ხოშიანი გქონია და მხედველობაც!**

— მაგაზე მეტი საშინელება შენ მაშინ გენახა, უკან დასაბრუნებელი ბილეთები რომ ამელო, — ამშვიდებს ქმარი.

❖ ❖ ❖

თავმობეზრებული სიდედრი სიძეს უყვირის:
— პირდაპირ გაოცებული ვარ... ნეტავ ვიცოდე, რისთვის უყვარხარ ჩემს ბრიყვ გოგოს!
— ზრდილობიანი ვარ, თვარა გეტყოდი, — დაიმორცხვა სიძემ.



**— რატომ სვამ ამდენს, ბიჭო, დაიღუპები!**
**— რა ვქნა, როგორ მოვიქცე?**
**— უთხარი სასმელს: „არა“!**
**— ესმის, რო?!**

❖ ❖ ❖

— აი, — ეუბნება ექიმი პაციენტს, — წაიღე ეს ტაბლეტები და ორი თვის მანძილზე სვი.
— ორი თვის მერე რა ვქნა, ექიმო?
— სამწუხაროდ, მერე არაფერი.

❖ ❖ ❖

ორი მაგრად დაბოლილი ნარკომანი პარკში მერხზე ზის. მოულოდნელად პატრულის მანქანა გაჩერდა და არ იძვრის.
— გეგა, ე პატრულები ცისფერები ხომ არ არიან?
— საიდან ასკვნი, შე ჩემა?
— პროსტო, შეხედე, რა... პარკში რა გოგოები დადიან, ეს ჩემისები კი ჩვენ არ გვაშორებენ თვალს.

❖ ❖ ❖

— ექიმო, საშინლად მტკივა მუცელი.
— აბა, ამიხსენით, როგორი ტკივილები გაქვთ?
— ბუყბუყი, ექიმო, მთელი ტან-მუცლით ვბუყბუყებ.
— მაშასადამე, ბუყბუყებთ, არა?.. — ჩაფიქრდა ექიმი, — იცით, ახლა მე ზუსტად ვერაფერს გეტყვით, დალევა, მოწევა და ქალებში სიარული უნდა შეწყვიტოთ.
— აპა, რა ვქნა, მარტო ვიბუყბუყო, შე კაცო?!



**მასწავლებელი მოსწავლეს ტუქსავს:**
**— ჯერ მიწას არ ასცილებიხარ და უკვე სტრიპტიზბარში დაეთრევი, რომ ტიტველ ქალებს უჭვრიტინო?**
**— არ ვყოფილვარ, მასწ!**
**— ნუ იტყუები, მე თვითონ დაგინახე სცენიდან!**

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები



Cyan Magenta Yellow Black

უცხოური დეტექტივი



## რეიმონდ ჩენდლერი

# ოქროს თევზები



ის იყო, ვიფიქრე, ხომ არ მესადილა-მეთქი, რომ კარი გაიღო და ჩემს კაბინეტში კეიტ ჰორნი შემოვიდა.

ეს მაღალი, არც მთლად ახალგაზრდა ქალი ადრე პოლიციაში მსახურობდა, რომელიც მას შემდეგ დაკარგა, რაც წვრილმან თაღლით ჯონი ჰორნს გაჰყვა ცოლად. კეიტმა მისი ხელახლა აღზრდა დააპირა, მაგრამ უშედეგოდ, ახლა კი ქმრის ციხიდან გამოსვლას ელოდა, ისევ რომ ეცადა მისი გამოსწორება.

კეიტმა ხელჩანთიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, წინ ჩამომიჯდა, გააბოლა და გამიღიმა:

— მისმინე, ლინდერის მარგალიტებზე თუ გსმენია რამე? — და მაშინვე დაამატა, — ოოო, რა მაგარი კოსტიუმი გაცვია! როგორც ჩანს, ბანკში ბევრი ფული გაქვს!

— ორივე ააცდინე. არც ლინდერის მარგალიტები გამიგია და ბანკშიც არაფერი მაქვს.

— მაშინ ნაღდი მაყუთი რომ გაშოვნინო, რას იტყვი?

— ფული ყველას უყვარს, მაგრამ გააჩნია, რა გზითაა ნაშოვნი.

— ერთმა მდიდარმა კაცმა, სოლ ლინდერმა, თავის ცოლს ორი ძვირფასი მარგალიტი უყიდა, რაშიც სადაზღვევო კომპანია „რელაიენსმა“ ჯილდოდ 25 ათასი დააწესა.

— ანუ ვიღაცამ აწაპნა.

— სწორად მიხვდი. მოკლედ, ეს საქმე მთელი 19 წელი გრძელდება, ეჭვმიტანილმა ტიპმა 15 წელი ლივენვორტის ციხეში გაატარა, 4 წელი კი გარეთაა.

— თავიდან რა მოხდა?

— ყმაწვილი როგორღაც საფოსტო ვაგონში დაიმალა, ვაიომინგის მახლობლად გამყოლი მოკლა, შეკვეთილი ბანდეროლები მოხვეტა და მატარებლიდან გადახტა. ის მხოლოდ ბრიტანეთის კოლუმბიაში დააკავეს და ძარცვის ბრალდებით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

— აკი 15 წელიო?

— მაცალე, — კეიტმა სიგარეტის კვამლი შემომაფრქვია, — 15 წლის მერე შეწყალებას შეჰპირდნენ, ოღონდ ნაძარცვი დააბრუნეო. მან ყველაფერი დააბრუნა მარგალიტების გარდა.

— შლაპაში დამალა? — გამეღიმა უნებურად.

— მე არ გეხუმრები, ამიტომ მომისმინე.

პირზე ხელი ავიფარე და სერიოზული გამომეტყველება მივიღე.

— ერთხელ, ციხეში ყოფნისას ამ ტიპმა, უოლ საიპმა, ზომაზე მეტი ვისკი დალია, ლაპარაკის საღერღელი აეშალა და მასთან ერთად მჯდომ ვინმე მარდოს, მეტსახელად ქეციანს, გაუმხილა, რომ თავისი მარგალიტები სადღაც აიდაჰოში ჩამარხა.

— ეს უკვე საინტერესოა.

— მოხდა ისე, რომ ახლა ეს ქეციანი ჩემი მდგმურია, თან კოკაინზე ზის და ძილში რაღაცეებს ლაპარაკობს.

— და შენც მარგალიტების ადგილსამყოფელი მისი ბოდვიდან შეიტყვე?

— ცხადია, არა. მე, როგორც ძველი პოლიციელი, მას სხვა მხრიდან მივუდექი და სიფხიზლეში ყველაფერი ვათქმევინე.

— ანუ გაიგე, საიპი სადაც არის?

— ამაზე მარდო არაფერს ამბობს და არც იმაზე, უოლ საიპი ახლა რა სახელს ატარებს. როგორც მან თქვა, საიპი ოლიმპიაში ან მის მახლობლად ნახა, ოღონდ ისე, რომ თავად საიპს ჩემი მდგმური არ შეუმჩნევია.

— ეს შენი ქეციანი აქ რას აკეთებს?

— არც არაფერს, თუმცა რაღაცის აშკარად ეშინია და მგონი, მოთმინების ფიალაც აევსო.

— ჩემი აზრით, მას სადაზღვევო აგენტთან დასაკონტაქტებლად დახმარება სჭირდება. ასეა, ხომ?

— ჰო. იქნებ ახლავე წახვიდე და დაელაპარაკო, ჰა? ვიდრე კოკაინი გათიშავს, უნდა მოასწრო.

— რა თქმა უნდა... შენ უარს როგორ გეტყვი!

— ჩემი ბინა ხომ იცი? დერეფანში მეორე კარია და ქეციანიც იქ ცხოვრობს.

— მივაგნებ.

კეიტი წამოდგა:

— იცი... ამ საიპმა ციხეში 15 წელი გაატარა ანუ თავისი მიეზღო... ხომ არ გეჩვენება, რომ უკეთურ საქმეს ჩავდივართ?

— არა, — თავი გავაქნიე, — მან მარგალიტებიც მოიპარა და კაციც მოკლა.. სხვათა შორის, ისიც საინტერესოა, ახლა რითი ცხოვრობს.

— ცოლის ფულებით, — მომიგო კეიტმა, — თავად კი... თავად ოქროს თევზებით ერთობა.

— ოქროს თევზებით? — გამიკვირდა, კეიტი კი ისე გავიდა ოთახიდან, აღარაფერი უთქვამს.

❦

კეიტ ჰორნისათვის მიცემული პირობა დაუყოვნებლივ შევასრულე, მაგრამ... ქეციანი მარდო ცოცხალი აღარ დამხვდა — თვალები ღია დარჩენოდა, მაჯები თოკით ჰქონდა შეკრული, გვამს არავითარი ძალადობის არანაირი კვალი არ ემჩნეოდა, ერთი ნაკაწრიც კი. როგორც ჩანს, ზედმეტი ნარკოტიკი მოუვიდა და გულმა უმტყუნა, მაგრამ გაურკვეველი იყო, მაჯები ვინ შეუკრა ანუ უფრო სავარაუდოდ მკვლელობის ვერსია რჩებოდა, რასაც მისი დამწვარი ფეხისგულებიც ადასტურებდა.

ოთხის ნახევარი იქნებოდა, ოტელ „მენშენ ჰაუსის“ ვესტიბიულში რომ შევედი, სიგარეტებით მოვაჭრე კიოსკს მივადექი და „ქემელი“ მოვითხოვე. კეიტ ჰორნმა კოლოფი გამომიწოდა და ისე გამიღიმა, მიამიტ კლიენტებს რომ ულიმიან ხოლმე გაქნილი გამყიდველები.

— მალე დაბრუნდი, — თქვა მან, — აბა, როგორაა საქმე?

— ცუდად... შენი მდგმური მოკლეს... საკუთარ საწოლში.

კეიტი გაფითრდა:

— რა თქვი?

— ჰო, ასეა... თუ იმ ვიღაცეებთან ყველაფერი დაფქვა, აღარაფერი გამოგვივა, თუ არა და, საიპს შეიძლება მათზე ადრე მივაგნო.

— მე რა ვქნა?

— არაფერი. მეც დამივიწყე და მარგალიტებიც. გვამს როცა გასინჯავენ, მიხვდებიან, რა ბნელი წარსულიც ჰქონდა და რომ ამისათვის საკადრისიც მიეზღო.

— საწყალი... — კეიტს ცრემლები წამოსცვივდა.

— კარგი, კარგი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ არ მოგვიკლავს. ახლა კი ჩუმად უნდა ვიყოთ, თორემ ჯილდოსაც დავემშვიდობებით, თუ ოდესმე საერთოდ გაიღეს, — ქალს ხელზე მივეფერე, გულთბილად გავუღიმე და იქაურობა დავტოვე.

❦

სადაზღვევო კომპანია „რელაიენსს“ „გრას-ბილდინგის“ სამი პატარა ოთახი ეკავა, ერთ-ერთი მათგანი კი მმართველ ლიუტინის კაბინეტი იყო. საშუალო ასაკის მელოტი მმართველი ჩემს სავიზიტო ბარათს დააცქერდა, შემომხედა და თქვა:

— თქვენ კორმადი ხართ... ჰო, მსმენია... რით შემიძლია გემსახუროთ?

თითებით სიგარეტი დავატრიალე, ხმას დავუწიე და შევეკითხე:

— ლინდერის მარგალიტები გახსოვთ?

— რა დამავიწყებს? — ოდნავ ნაძალადევად ჩაიცინა მან, — კომპანიას ისინი 150 ათასი დოლარი დაუჯდა. მაშინ დამწყები თანამშრომელი ვიყავი.

— იდეა მაქვს, — გადავედი საქმეზე, — იქნებ ეს სისულელეა, მაგრამ ბედის ცდა ღირს, 25 ათასიანი ჯილდო ისევ ძალაშია?

— 20 ათასი, — ახითხითდა ლიუტინი, — ძიებაში თავად 5 ათასი უკვე დავხარჯეთ.

— იყოს 20 ათასი, ოღონდ მაინტერესებს, თქვენგან რა დახმარების იმედი უნდა მქონდეს.

— რაში დახმარების?

— თქვენს სხვა ფილიალებში წარსადგენი სარეკომენდაციო წერილე-ბის მიღების.

— მუშაობას რომელ შტატში აპირებთ? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. ამას ნიუ იორკი მაინც არ მოგვიწონებს. ისე, ფარული დახმარებისა და 20 ათასის იმედი მაინც უნდა გქონდეთ, თუ, ცხადია, გაგიმართლათ, თუმცა ვეჭვობ, რამე გამოგივიდეთ.

— ვნახოთ. ადამიანი იმედით ცოცხლობს.

— უკაცრავად, მაგრამ... მგონი, ცოტა გიქრით. ვთქვათ, თქვენზე თვალთვალი დავაწესე. მაშინ რას იზამთ?

— თამაშიდან გავალ, ყველაფერს პოლიციას ჩავუკაკლავ და შინ დავჯდები.

— რატომ? — დაინტერესდა მმართველი.

— იმიტომ, რომ ადამიანი, ვისაც ჩემი კვალზე გაყვანა შეეძლო, დღეს საიქიოში გაისტუმრეს, — მივუგე ნელა.

— ამ ყველაფრის მერე კიდევ ჩემი წერილის იმედი გაქვთ?

წამოვდექი, ჩავიცინე და კარს მივაშურე.

ლიუტინი ადგილიდან წამოხტა და მაგიდას შემოურბინა:

— მისმინეთ, ვიცი, ფსიხი რომ ხართ, მაგრამ ერთ რამეს მაინც გთხოვთ. იმ ტიპებს თუ მიაგნებთ, ჩვენი ბიჭების მეშვეობით დააბრუნეთ. რეკლამა ჩვენთვის აუცილებელია!

— მართლა? როგორ გგონიათ, მე რითი ვცხოვრობ?

— 25 ათასი.

— და არა 20?

— 25 ათასი, თქვენ კი მართლა არანორმალური ხართ. საიპს რომ მარგალიტები ჰქონოდა, აქამდე რომელიმე ჩვენგანს მოელაპარაკებოდა.

— რაც გინდათ, ის იფიქრეთ, მე კი ჩემსას ვცდი.

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ისე გავუღიმეთ, როგორც ორმა ჭკვიანმა ადამიანმა, თითოეული მათგანი რომ თვლის, თითქოს მისი გაცურება არავის შეუძლია.

❦

ჩემს კანტორაში ხუთის ნახევარზე დავბრუნდი, ორიოდე ჭიქა ვისკი გადავკარი, ჩიბუხი დავტენე და სკამზე მოვკალათდი, ფიქრს რომ მივცემოდი. ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა.

— კარმადი? — თქვა ყურმილში ქალის მაღალმა, ცივმა, უცნობმა ხმამ.

— დიახ.



Cyan Magenta Yellow Black

— თქვენ რაშ მედერს უნდა შეხვდეთ. იცნობთ, ხომ?
— არა, — ვიცრუე, — რატომ უნდა შევხვდე?
ყურმილში მოულოდნელად მკვეთრი, ყინულივით ცივი სიცილის ხმა მოისმა:
— ერთ ტიპს ფეხები ასტკივდა და იმიტომ.
ხაზი გაითიშა. ყურმილი მეც დავდე, ასანთი ავანთე და იქამდე ვიყავი კედელს მიშტერებული, ვიდრე თითები არ დამეწვა.
რაშ მედერი „კვორი-ბილდინგის" ადვოკატებს შორის იმით გამოირჩეოდა, რომ თუ ვინმეს ყალბი ალიბის შექმნა სჭირდებოდა, დასახმარებლად მაშინვე მას აკითხავდა, როგორც ამ საქმეში დახელოვნებულს. და საერთოდ, მედერი ყოველთვის ისეთ საქმეებს ეჭიდებოდა, ცუდი სუნი რომ ასდიოდა და რომელზეც კარგად მოითბობდა ხელს.

სპრინგ-სტრიტზე სამუშაო დღე მთავრდებოდა. ტაქსები აჩქარებულად აგრძელებდნენ გზას, ტრამვაი ნელა მიიწევდა წინ, ხალხს შინ მიეჩქარებოდა.
„კვორი-ბილდინგის" ფასადი სხვადასხვა ტიპის გამოსახულების რეკლამებით იყო აჭრელებული. მათ შორის იყო ასეთიც:
„რაშ მედერი, საუკეთესო ადვოკატი, ოთახი 619".
შენობაში შევედი, ლიფტით მეექვსე სართულზე ავედი და დერეფნის გავლით 619 ოთახს მივადექი. სამჯერ დაკაკუნების შემდეგ კარი ჭრიალით გაიღო. ჩემს წინ ჩაფსკვნილი მამაკაცი იდგა შავი, ხშირი წარბებით, გაწკეპილი ულვაშებითა და ქონმოდებული ლოყებით.
მან ნიკოტინისგან გაყვითლებული ორი თითი გამომიშვირა:
— ბებერი ნაგაზი საკუთარი პერსონით! სახეებს კარგად ვიმახსოვრებ. თქვენ კარმადი ხართ თუ არა?
მე უხმოდ შევაბიჯე ოთახში და მის თხოვნას არც დაველოდებივარ, ისე ჩამოვჯექი დიდი საწერი მაგიდის წინ მდგარ სკამზე. მან მაგიდას შემოუარა, ბალიშიან სკამზე მოკალათდა და გაბადრული მზერა მომაპყრო:
— მიხარია, რომ შემომიარეთ... თქვენი ვიზიტი დიდი პატივია ჩემთვის... ალბათ საქმე გაქვთ რამე... ან საინტერესო იდეა...
— იდეა? რის შესახებ?
მან მზერა ამარიდა.
— ვთქვათ, იმის შესახებ, რომ შეგვეძლო ერთად რამე საქმის გაჩარხვა... თუნდაც ქვების შოვნა...
— ის ქალი ვინ არის?
— რომელი ქალი?
— მე რომ დამირეკა.
— ვინმემ დაგირეკათ?
მე მისი ძველმოდური ტელეფონის ყურმილს დავავლე ხელი და პოლიციის სამმართველოს ნომრის აკრეფა დავიწყე. მედერი მიხვდა, რასაც ვაპირებდი და ხელი ბერკეტს დააჭირა.
— მისმინე, — უკმაყოფილოდ დაიწყო, — ასე რა გაჩქარებს? მეძებრებს რატომ ურეკავ?
— შენთან სურთ დალაპარაკება, — მივუგე აუჩქარებლად.
— რატომ?
— რადგან შენ ერთ გოგოს იცნობ, რომელიც ერთ ტიპს იცნობს, რომელსაც ფეხები ასტკივდა.
— ნუთუ სხვაგვარად არ შეიძლება?
— მე აქ არაფერ შუაში ვარ.
— კარგი, გეტყვი. კეროლმა დაინახა, როგორ შეხვედი სახლში და უკან როგორ გამოხვედი, მაგრამ პოლიციაში არ დაურეკავს.
— ეს ვინ არის?
— კეროლ დონოვანი ჩემი მეგობარია. ეს მან დაგირეკა.
— განაგრძე. როგორც ჩანს, საქმე მარგალიტებს ეხება.
— გამოიცანი, — გამოცოცხლდა მედერი, — მოკლედ, კეროლმა ერთ საღამოს ნარკომანი ტიპი გამოიჭირა, რომელიც მარგალიტებზე მოუყვა, ანუ ჩრდილო-დასავლეთ კანადაში ვიღაცა ცხოვრობს, რომელმაც დიდი ხნის წინ მარგალიტები მოიპარა და მათ ვერ ელევა. ეს ნარკომანი ეშმაკობდა, თითქოს რაღაცას მალავდა, მაგრამ რატომ, ვერ ვხვდები.
— ალბათ ფეხისგულების შებრაწვას ელოდა.
— ეს მე არ მიქნია, — ჩაილაპარაკა მან.
— რა განსხვავებაა, შენ თუ კეროლმა? ეს მკვლელობაა, თუმცა თქვენ მაინც ხახამშრალი დარჩით ანუ ვერ შეიტყვეთ ის, რაც გსურდათ. მეც ამიტომ დაგჭირდით, თითქოს ვიცი რამე. არადა, რომ მცოდნოდა, აქ არ მოვიდოდი. ასე არ არის?
მედერმა გაიღიმა, მაგიდის ქვედა უჯრიდან მომცრო ლამაზი ბოთლი და ორი ზოლიანი ჭიქა ამოიღო, მაგიდაზე დადგა, ჭიქები შეავსო და ჩურჩულით თქვა:
— ფული ჩვენ ორმა გავიყოთ, მე და შენ. კეროლს არც გავაგებინოთ. მკაცრი ქალი ბევრი მინახავს, ეს კი რკინისაა, თუმცა მისი გარეგნობით ამას ვერ იტყვი. ხომ მეთანხმები?
— მე მინახავს?
— მგონი, კი. თავად ასე ამბობს.
— ააა, ეს ისაა? „დოჯში"?
მან თავი დააქნია, მერე ჭიქას დასწვდა, მომიჭახუნა და ზალპით გადაჰკრა. ცოტა მეც მოვსვი, მერე შევეკითხე:
— მე რატომ მიყოფ? იმდენი არაფერი ვიცი, ნახევარი რომ შემომთავაზო.
მედერმა ეშმაკურად შემომხედა:
— ვიცი, ლინდერის მარგალიტებში 50 ათასი როგორ მოვხვეტო. შენს წილს მოგცემ და არც მე წავაგებ. შენი სამუშაო ღიაა, ოფიციალური, რასაც თავად მოკლებული ვარ. აბა, ჩვენს შეთანხმებას გაუმარჯოს.

რაც შემდეგ მოხდა, ბუნდოვნად მაგონდება.
ჩემი ჭიქა ბოლომდე დავცალე თუ არა, მაშინვე გულისრევა დამეწყო. მერე რევოლვერმომარჯვებული მედერი დავლანდე, მაგრამ მე დავასწარი და ჯიბიდან ამოღებული ჩემი პისტოლეტი თავში ჩავცხე. ის ჩაიკეცა, თუმცა მკვდარს არ ჰგავდა... მერე გარდერობიდან მკაცრი ქალიშვილი გამოვიდა და უკვე იატაკზე გაშოტილს თავზე დამადგა.
— კარმადი, ყველაფერი ნათელია... ახლა გამოიძინე, მერე კი...
მეტი აღარაფერი მახსოვს. როცა გონს მოვედი, ოთახში აღარავინ იყო. ძლივს წამოვდექი, ოთახიდან გამოვლასლასდი, ლიფტით დაბლა დავეშვი, ჩემს მანქანას მივაგენი და გეზი შინისკენ ავიღე.




დილის 10 საათი იქნებოდა, ტელეფონის ხმამ რომ გამაღვიძა. ყურმილს დავწვდი.
— ჯერ არ წასულხარ? — მომესმა კეიტის ხმა, — ასეც ვიცოდი.
— მარტო ხარ?
— ახლა მარტო ვარ, მანამდე კი, რამდენიმე საათის განმავლობაში აქ მაძებრები იყვნენ. ისე, საკმაოდ თავაზიანები აღმოჩნდნენ და მითანაგრძნობდნენ კიდეც. მათი აზრით, ვიღაცა ძველ ანგარიშებს ასწორებს.
— და შენი ტელეფონი ახლა ალბათ უკვე ისმინება, — შევუღრინე ყურმილს, — სად უნდა გავმგზავრებულიყავი?
— თავადაც იცი. შენმა ლამაზმანმა მითხრა.
— კეროლ დონოვანს გულისხმობ?
— მას შენი სავიზიტო ბარათი ჰქონდა. რა, განა ის...
— არანაირი ლამაზმანი არ მყავს, — მოვუჭერი სწრაფად, — რაც შეეხება დანიშნულების პუნქტს, უკვე ვიცი, თანაც შენგან. ასე არ არის?
— ჰო, ჰო!
— აბა, ჯერჯერობით, — ვთქვი და ყურმილი დავკიდე.
ღამის რეისით ქალაქ ოლიმპიაში გავფრინდი.
თუ თავის ტკივილს და დაუძლეველ წყურვილს არ ჩავთვლით, ფრენა სასიამოვნო იყო.

ოტელი „სნოქველმი", სადაც დავბინავდი, კეპიტელვეიზე მდებარეობდა, ქალაქის პარკის პირდაპირ. ქუჩა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიემართებოდა, ქალაქის იმ რაიონისკენ, რომელსაც ტამუოტერი ერქვა.
ჩრდილოეთისკენ მიმავალმა ორი ოტელი და რამდენიმე მაღაზია ჩამოვიტოვე, მერე კი გზაჯვარედინს მივადექი. მარჯვენა გზა სიეტლისკენ მიემართებოდა, მარცხენა კი, ხიდის გავლით, ნახევარკუნძულ ოლიმპიკისკენ.
გზაჯვარედინის იქით ძველი, უღიმღამო შენობები იწყებოდა სხვადასხვა წარწერით: „ყველაფერი მრეწველობისათვის", „ჩინური რესტორანი", „ბილიარდი" და ა.შ.
საბილიარდოში შევედი და მაღალ ტაბურეტზე ჩამოვჯექი. მელოტი ბარმენი წამოდგა, მძიმედ შემომხედა და ოქროს კბილი გამოაჩინა:
— რას დალევთ?
— ერთი ვისკი, თუ შეიძლება, ოღონდ ჯერ მითხარით, ვინმეს აქ ოქროს თევზები ჰყავს?
— არა, არ ვიცი, — მომიგო მან და შეტრიალდა.
ვისკის მოლოდინში მიმოვიხედე. ბილიარდის მაგიდასთან ვიღაცა გრძელცხვირა ტიპი იდგა და თავის თავს ეთამაშებოდა. „რამდენი დარტყმულია ამქვეყნად", — გავიფიქრე და დახლისკენ შევტრიალდი, ბარმენის მოტანილ სასმელს რომ შევქცეოდი.
ის იყო, ვისკი გამოვცალე და ბარმენიც გავისტუმრე, რომ... გრძელცხვირა ბილიარდს შეეშვა, მომიახლოვდა, გვერდით დამიდგა და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა:
— თავად ქეციანი როგორ არის?
— არის რა, — ვიცრუე, რაკი არ ვიცოდი, ვისთან მქონდა საქმე.
— მე დაისს მეძახიან, — თქვა უცნობმა, — სულ დასავლეთისკენ მივიწევ და იმიტომ. გგონია, ქეციანი არ გატყდება?
— არ გატყდება, — დაბეჯითებით მივუგე.
— შენ რა გქვია?
— დოჯ ვილისი ელ პაკოდან.
— სად გაჩერდი?
— ოტელ „სნოქველმიში".
— წამოდი, ვილაპარაკოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

www.facebook.com/Tinatinbonney

# ეიფორია

## მესამე ნაწილი

დასაწყისი №7-18

### სანდრო და მე

ვახელ თვალებს. ისეთი ღამე იყო, მგონი, კარგა ხანს გახსენებისას ჟრუანტელი დამივლის. საქმე უნდა მიანდო პროფესიონალებს და სანდრო უდაოდ პროფესიონალია. სად არის ნეტა? ვწვები იდაყვებზე. ოთახი არეულია. სიჩუმეა. ვიხვევ ზეწარს და გავდივარ ოთახიდან. ვხედავ, რომ აივნის კარია ღია. ვუახლოვდები და ვხედავ სანდროს ტერასაზე. გონზე არ ვიყავი, რომ ტერასა ჰქონდა. სანდროს აცვია შორტი და ვარჯიშობს. აშკარად ყურთსასმენები უკეთია. ვდგავარ და ვტკბები. რა ლამაზი საყურებელია, როდესაც ასეთი გარეგნობის კაცი ვარჯიშობს. მისი რელიეფური სხეული შეუდარებელია. აქამდე თუ მისი სხეული მიზიდავდა, ახლა მთელი მისი არსება მიყვარს. სანდრო მამჩნევს და ხელს მიქნევს.

— ლენ, თხუთმეტ წუთში დავამთავრებ.

თანხმობის ნიშნად ვუქნევ თავს და ვბრუნდები საძინებელში. ვწვები საწოლზე. რა კარგი დღეა. უცებ გონებაში ნათურა ინთება. სამსახური! ვხტები საწოლიდან და სწრაფად ვიცვამ. სად არის ჩემი ფეხსაცმელი? ვპოულობ და ვიცვამ. სახლშიც უნდა გავიარო, ასე ვერ წავალ ვერსად. შემოდის სანდრო.

— სად მიდიხარ?

— სამსახურში, — ჩანთაში ვიქექები.

— არსადაც არ მიდიხარ, — მეუბნება მშვიდად.

— გამაგდებენ, ბიჭო!

— და... ხიდის ქვეშ მოგვიწევს ცხოვრება?

— სანდრო, ტვინს ნუ მიჭამ, ვერ დავრჩები.

— დარწმუნებული ხარ? — სანდროს ცინიკურად ეღიმება.

ჯიბიდან მობილურს იღებს და სადღაც რეკავს. ეჭვის თვალით ვუყურებ. იტალიურად საუბრობს. ველოდები.

— ერთი კვირა მივლინებით ხარ ჩემს საწოლში, — მობილურს მაგიდაზე დებს.

— უკაცრავად?

— „Grazioso“-ს მფლობელს ველაპარაკე. დოდოს მიუვა დღეს მოთხოვნა, რომ ერთი კვირა არც კი მოგიკითხოს.

პირდაფჩენილი ვუყურებ სანდროს.

— არა, მე არ მომიწყვიხარ სამსახურში. არა, დოდოს არ ვიცნობ. კი, შენი დიდი, დიდი ბოსი ჩემი მეგობარია.

წარბებს ვკრავ, თუმცა მინდა, გავიცინო.

— რას მიპირებ ერთი კვირა?

— იმას, რაც აქამდე უნდა გამეკეთებინა — ხელისგულზე გატარებ. ახლა შხაპს გადავივლებ, საშუალებას მოგცემ, რომ ჩემით ისარგებლო და გავიდეთ, ვისაუზმოთ.

— კიდე? შენ გუშინდელი ღამის მერე რამის თავი გაქვს? — ვეკითხები შეშინებული.

— შენთან მე მუდამ ყველაფრის თავი მაქვს, — სანდრო თვალს მიკრავს და სააბაზანოში შედის.

ვეშვები სკამზე. რატომ არ ვაფასებდი ამ ყველაფერს აქამდე? მაგრამ სანდროც არ იყო ასეთი გახსნილი. მთელი კვირა სანდროსთან ერთად! კმაყოფილს მეცინება. ვიღებ მობილურს და მესიჯს ვუგზავნი ნანუკას, იცოდეს, რომ სახლიც, ძაღლიც და ირაც მასზეა. ნეტა, რა უნდა გავაკეთოთ დღეს? ნუ, „იმის“ გარდა რა უნდა გავაკეთოთ ნეტა? ძალიან მინდა, დავათვალიერო სანდროს უჯრები. ვიცი, რომ არ შეიძლება და ამას არ გავაკეთებ, მაგრამ ნუ, ძალიან მინდა! მინდა, ვიცოდე, ამ პერიოდში ვისთან დაძვრებოდა. მინდა, ვიცოდე ყველაფერი! პირსახოცშემოხვეული სანდრო გამოდის სააბაზანოდან. რატომ არის ასეთი კარგი? რატომ?

— მზად ვარ წვრთნისა და ალჭურვისათვის.

— გადავლება მეც არ მაწყენდა, — ვეუბნები და სააბაზანოში შევდივარ.

— მიდი, — სანდრო საწოლზე ჯდება.

შევდივარ დაორთქლილ სააბაზანოში. ვიხდი და ვდგები წყლის ქვეშ. ნუთუ ეს ის მომენტია, რომელსაც მთელი ცხოვრება ვნატრობდი? ნუთუ აწი ყველაფერი კარგად იქნება? ძალიან მსიამოვნებს ცხელი წყალი. როგორ მშვიდად ვარ. არ მჯერა პირდაპირ. ვკეტავ წყალს და პირსახოცშემოხვეული გავდივარ საძინებელში. სანდრო ლოგინზეა წამოწოლილი. ახლა ფოტოაპარატი მომცა! მუცელზე წევს. ბალიშის ქვეშ უდევს ხელები. პირსახოცი სკამზე კიდია. ის სულ შიშველი და ასეთი ლამაზია. კაცს არ შეშვენის სიტყვა ლამაზი, მაგრამ სანდროს უხდება და მომკალით! სკამზე ვკიდებ პირსახოცს და ვაწვები სანდროს ისე, რომ ჩემი მკერდი მის ზურგს ებჯინება. ასე ვწევართ გაუნძრევლად.

— ლენ...

— რა იყო?

— რითი დავიმსახურე, რომ ჩემი ხარ?

ამას მეკითხება მე! სანდრო, მე რითი დავიმსახურე, რომ ჩემი ხარ?

— შენი კეთილი გულით, მოთმინებით და შეუდარებელი სხეულით, — ვეუბნები ხუმრობით.

ზურგზე ტრიალდება და მკოცნის. ეს არის ჩვენი ყველაზე ტკბილი კოცნა.

ვსხედვართ შავ პორშე „ბოქსტერში“ და მივქრივართ „თბილისი მოლისკენ“. უკრავს „Nicone & Sascha Braemer - Liar (Oliver Koletzki mix)“. ამინდიც ფანტასტიკურია. სანდრო საოცარ ფორმაშია. მე ვარ ცოტა აჩაჩული, მაგრამ არაფრით გამატარა სახლში.

ვაჩერებთ ავტომობილს და ავდივართ სავაჭრო ცენტრში. ყველა ჩვენ გვიყურებს. გარუჯული სანდრო, სათვალეში და ჩახსნილ „გუჩის“ პერანგში და მე, გოგონა გარეუბნიდან. ალბათ ფიქრობენ, რომ მისი დამლაგებელი ვარ ან გაჭირვებული ნათესავი. ამოვდივართ ჰოლში. ეტყობა, სეილებია, დღის პირველ ნახევარში რომ ამდენი ხალხია. სანდროს ჩემი ხელი უჭირავს და მივყავარ კაფესკენ. ვსხდებით და ვუკვეთავთ საუზმეს. მომშიებია. გვერდზე მაგიდასთან პატარა გოგჩოები სხედან და ვიცი, რომ მთელი არსებით ვერ მიტანენ. აი, სულ მკიდია! ჩვენი შეკვეთაც მოაქვთ. გამგელებულები ვჭამთ.

— სანიიი! — მესმის ქალის კივილი.

სანდროს ლუკმა სცდება და ხველებას იწყებს. სანი? ვინ ეძახის ალესანდროს ძაღლის „კლიჩკას“?! ან ვინ ბედავს, რომ ასე ტკბილად შეჰკივლოს?! კრიჭას ვკრავ და ვტრიალდები ხმის გამომცემი ობიექტისკენ. ჩვენკენ მოქრის რაღაც შხვართი არსება, ფეხებით კისრიდან და გაშტრინკული ძუძუებით. თმა აქვს მარტო ისეთი ლამაზი მელირებული, რომ გული წაგივა. ლენა, თავი აიყვანე ხელში! ასე იქნება მუდამ. შენ ეს იცოდი.

— სანი, პაწკუ, სად დამეკარგე? — გოგონა ზედ ახტება სანდროს და ცდილობს, ტუჩებში აკოცოს.

სანდრო იგერიებს და ცდილობს, მიახვედროს, რომ მარტო არ არის.

— მარიშა, გაიცანი, ლენა, — ამბობს სანდრო, სკამიდან დგება, რათა გათავისუფლდეს თავდასხმისგან.

მე ოფიციალური „როჟით“ ვზივარ. მარიშა მიყურებს და ცდილობს, გაერკვეს, ვინ შეიძლება ვიყო.

— ლენა, ჩემი... ჩემი... — ბორძიკობს სანდრო.

— შენი ვინ? — ღიზიანდება მარიშა.

— ჩემი გერლფრენდია.

— არააა! — წელავს მარიშა.

— კირააა! — ვაგრესიულდები მე.

ჩანგალს მაგიდაზე ვაგდებ და სკამიდან ვდგები. სანდრო ფითრდება. კესარიას შემთხვევა ახსენდება ალბათ.

— ლენა, დამშვიდდი. მე მოვაგვარებ ამას.

ოფიციალურად ხელში აჰყავს მარიშა და გარეთ მიაჩიქჩიქებს. ასე უნდა ვიყოთ მთელი ცხოვრება? სანდრო ნახევარ თბილისთან იწვა ალბათ და კიდევ ნახევარ იტალიასთან და ასე უნდა მაწიწკნონ ნერვები?! თუ მინდა სანდრო, უნდა დავიკიდო ყველაფერი. მთავარია, ჩემთანაა. შეწუხებული სანდრო ბრუნდება. იცის, რომ ცოტა მიკლია და ისტერიკას ავტეხ.

— აუ, ლენ, გეხვეწები, არ დაიწყო, — სანდრო მეხუტება და მკოცნის.

ყველა ჩვენ გვიყურებს და აღარავინ ჭამს. ოფიციანტებიც კი შოკში არიან.

— ხმას არ ვიღებ, — ვჯდები სკამზე და ვაგრძელებ ჭამას.

სანდროც ჯდება, მაგრამ აღარ ჭამს. ეჭვის თვალით მიყურებს. მეღიმება.

— ძლივს, რა! — სანდრომ შვებით ამოისუნთქა, — მარიშა არის...

— არ მინდა, ძალიან გთხოვ! — ვაწყვეტინებ.

— კარგი, კარგი, — ისუსება.

მშვიდად ვჭამ და ვაანალიზებ მომხდარს. მე ყოველთვის ზემოდან შემომხედავენ იმიტომ, რომ სანდრო მჯობია. მე ასე ცხოვრება უნდა ვისწავლო. სანდროს ბრალი არაა, რომ ასეთი კარგია. მესმის „Crosses - Bermuda Locket“, რომელიღაცა მაღაზიაში



Cyan Magenta Yellow Black

უკრავს. თითქოს სამყაროს ტვირთი მაწვება ისევ. მე ვიცი, რა შეცდომებიც დავუშვი, მაგრამ ვიცნობ კი სანდროს? თურმე საერთოდ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. და მის საწოლში იმდენმა ქალმა გაიარა, სადაც არ უნდა ვიყოთ, ერთი მაინც იქნება მასთან ნამყოფი. მზად ვარ მე, რომ ასეთ კაცთან მყავდეს შვილები? სანდრო მამჩნევს, რომ საკუთარ ეჭვებში ვიხარშები და ჩემს ხელს იღებს.

— ლენა, არა! არ გინდა!

ღრმად ვისუნთქავ ჰაერს და ვცდილობ, გავიღიმო. აი, ამ გრძნობებს გავექეცი თავის დროზე და იმდენი ვქენი, რომ უფრო მტკივნეულად დავუბრუნდი. ეს ეჭვები ცოცხლად შემჭამს, მით უმეტეს, როცა ასაკი მომემატება, ის კი უფრო მშვენიერი გახდება. როგორ მესმის ახლა კარენის „კალიფორნიქეიშენიდან“. ფრენკ მუდი უნდა ყველა ქალს და, იმისდა მიუხედავად, რომ მას კარენი უყვარს, ის მაინც ეკუთვნის ყველა ქალს. როგორ შეიძლება სანდრო მარტო ჩემი იყოს? ეს ხომ საცოდაობაა!

— ავდექით! — სანდრო დგება და მაყენებს.

ხმას არ ვიღებ. ტვინი მიდუღს. სანდრო ხელს მკიდებს და მაღაზიაში მიმათრევს. ულიმღამოდ ვყიდულობ ტანსაცმელს. ვიტან გამყიდველების მზერასაც. დაგრუზული ვარ და ამას არაფერი შველის.



ვსხედვართ მანქანაში და მივდივართ სანდროს სახლისკენ. ორივე ჩუმად ვართ. თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა, მე კი მტკივა.

— დიდი ხანი უნდა გაგრძელდეს ეს? — ვეღარ ითმენს სანდრო.

— არ ვიცი, სანდრო, ძნელია.

— ლენა, მე მინდიხარ მარტო შენ! მე, მაგალითად, მკიდია შენი წარსულიც და ყველა კაციც. დაიკიდე, რა, შენც.

— სანდრო, მე მინდა, ძალიან მინდა, მაგრამ ჩემ გვერდით რომ ხარ, შენ კი არ გათვალიერებენ ლუპით, რათა მეტი ხარვეზი გიპოვონ, მე მათვალიერებენ იმიტომ, რომ შენ იდეალური ხარ!

— ჩემზე ბევრად კარგი კაცები არსებობენ, ბევრად! და შენ ხარ ლამაზი! როდის შეიძლება, რომ გაიგო ეს?

— კაი, სანდრო, მივალთ სახლში და გადამივლის.

— მე მინდოდა, დღეს მეყიდა შენთვის ყველაფერი, რაც მოგეწონებდა და ორი ტილო ძლივს აარჩიე.

— სხვა დროს ვიყიდით, — ვცდილობ, გავიღიმო.

— ლენ, თუ აპირებ, რომ ჩვენ სერიოზული ურთიერთობა გვქონდეს, რომელიც გადაიზრდება რაღაც სხვაში, უნდა მენდო და საკუთარი ფასი გაარკვიო.

— გვეყოფა, მუსიკას აუწიე.

სანდრო რადიოს რთავს. ირთვება „N.E.R.D. - Hypnotize U“. მივქრივართ. თვალებს ვხუჭავ დაPharrell-ის ხმით ვტკბები.

შევდივართ სახლში. პარკებს მაგიდაზე ვდებ და ფეხზე ვიხდი. ჩემი ხასიათიც, განწყობაც და მთელი ცხოვრებაც ჩემს ხელშია. სანდრო პირდაპირ ტერასაზე გადის და მოაჯირს ეყრდნობა. გავდივარ მეც და უკნიდან ვეხუტები. ბეჭზე ვკოცნი. სანდრო ჩემს ხელს იღებს და გულში იკრავს.

— ლენ, ყველაფერი შეიძლება ძალიან კარგად იყოს. მოდი, რა, მოვრჩეთ ამ ეჭვებს და გათვლებს. რაც იქნება, იქნება.

— კარგი, — ვეუბნები და ცხვირს ვადებ ზურგზე.

— წამო, შევიდეთ, — სანდრო ბრუნდება და მიხუტებს.

შევდივართ ოთახში. თითქოს უკეთ ვარ. დროა, გავიზარდო და შევიგნო, რომ ეს კაცი ჩემია. სანდრო სააბაზანოში შედის და მე ლოგინზე ვწვები. აღარ მინდა ამაზე ფიქრი. მინდა, უბრალოდ დავისვენო და დავიძინო. ვერ ვისვენებ. ვიყურები მაგიდისკენ. დევს ბლოკნოტი. აი, აქ ნამდვილად იქნება ჩანაწერები სანდროს ქალებზე. სწრაფად ვდგები და ვშლი. ვკითხულობ: „პერსონალი — ადამიანების ჯგუფი, რომლების გარეშე არ იარსებებდა არც ერთი წარმატებული კომპანია. მენეჯერს უნდა შეეძლოს ხალხთან ურთიერთობა იმიტომ, რომ დაწინაურების შემდეგ მან ისევ ბრწყინვალედ უნდა აკეთოს თავისი საქმე, მაგრამ უკვე სხვა ადამიანების მართვის მეშვეობით. ნებისმიერ პირს, ვისაც ერთი ადამიანი მაინც ჰყავს დაქვემდებარებაში, ევალება, იცოდეს პერსონალის მართვის პრინციპები. სამუშაო სამყარო და ზოგადად მსოფლიო გახდა უფრო სწრაფი, რთული და ძალიან კონკურენტული. შესაბამისად, გაცილებით გართულდა ადამიანის სახით კაპიტალის მოძიება, მოზიდვა და განსაკუთრებით მისი შენარჩუნება. ბოლო წლებში ნათელი გახდა, რომ ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული რესურსია ყველა ორგანიზაციისათვის. ცოდნა იმისა, თუ როგორ მოიძიო, როგორ მართო და მოიპოვო მათი ნდობა თუნდაც მძიმე ეკონომიკურ გარემოში საბოლოოდ გახდა საკვანძო მიზანი ბევრ ორგანიზაციაში. შეგახსენებთ, რომ...“

— რას აკეთებ? — მესმის სანდროს ხმა.

ვაბრუნებ ბლოკნოტს მაგიდაზე. მე ვცდები და ყოველთვის ვცდებოდი მასში. სულ ჩემი ხუშტურებია ეს ყველაფერი. სანდრო ბლოკნოტს იღებს და უჯრაში დებს.

— მკითხე, რაც გაინტერესებს და ყველაფერს მოგიყვები. ჩემს ნივთებში ქექვა არ არის ლამაზი.

— მე არ ვიქექები, მე ვათვალიერებ, — თავს ვიმართლებ.

— ხოდა, შემდეგში ჩემთან ერთად დაათვალიერე, — ამბობს სანდრო და ხელში მიტაცებს.

ლოგინზე ვეცემით და ვკისკისებ. სანდრო მკოცნის და ყველაფერი მავიწყდება. ნუ, ყველაფერი არა. ერთხელაც მოვქექავ მის ნივთებს და, თუ ისევ არაფერია, ვნებდები ბედს. ვინც გაფრთხილებულია, ის დაცულია!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ეს იცოდით?

❖ ყველაზე დიდხანს კუ ცოცხლობს. წმინდა ელენეს კუნძულზე დღესაც ჰყავთ კუ, რომელიც 1761 წელს იქ ცნობილ მოგზაურ ჯეიმს კუკს ჩაუყვანია.

❖ ყველაზე დიდი ნიჟარა იაპონიაში კუნძულ იუფუს მებადურებმა იპოვეს. მისი სიგრძე 1 მეტრს შეადგენდა და 290 კგ-ს იწონიდა.

❖ აფთრის გული ლომის გულზე ორჯერ დიდია.

❖ აქლემებს ქარიშხლისგან თვალების დასაცავად წამწამების სამი რიგი აქვთ.

❖ დიდი ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი ჰიპნოზით იყო დაინტერესებული და თავისუფალ დროს მორგს სტუმრობდა. მწერალს არ შეეძლო მუშაობა, თუ ოთახში ავეჯი მისი გემოვნებით არ იყო განლაგებული, ამიტომ მუშაობას ავეჯის გადაადგილებით იწყებდა. დიკენსს არ სურდა, გარდაცვალების შემდეგ მისთვის ძეგლი დაედგათ. მწერლის ერთადერთი მონუმენტი ფილადელფიაში დგას.

❖ პოეტ ედგარ ალან პოს სიბნელის ეშინოდა. ბავშვობაში მას მათემატიკის გაკვეთილები სასაფლაოზე უტარდებოდა. სიღარიბის გამო, მოსწავლეებს წიგნების შეძენის საშუალება არ ჰქონდათ, სასაფლაოზე კი მიცვალებულის დაბადებისა და გარდაცვალების წლებს ანგარიშობდნენ.

❖ ცნობილ იმპრესიონისტებს — ვან გოგს, დე ლა კრუას, მანესა და გოგენს, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, უმაღლესი სამხატვრო განათლება არ მიუღიათ.

❖ ფილოსოფოს ფრიდრიხ ენგელსის ნეშტი დაწვეს და ფერფლი ზარბაზნიდან გაისროლეს (მისი ანდერძის თანახმად).

❖ დიდ რუს მწერლებს, პუშკინსა და დოსტოევსკის, საკუთარი ბინა არ ჰქონდათ და პეტერბურგში ქირით ცხოვრობდნენ.

❖ ცნობილი რუსი კომპოზიტორი პიოტრ ჩაიკოვსკი მშობლების სურვილით უმაღლესი განათლების მისაღებად იურიდიულ სასწავლებელში სწავლობდა. რომ არა სასწავლებელში მოყვარულთათვის განკუთვნილი მუსიკის გაკვეთილები, ის, სავარაუდოდ, ცნობილი იურისტი გახდებოდა.



Cyan Magenta Yellow Black

ლელა ცუცქირიძე

# დონა კორლეონე

წავიდა, წავიდა ჩემი მშვიდი ცხოვრება. კი არ წავიდა, თავპირისმტვრევით გაიქცა. თავიდან კი გავეკიდე, მაგრამ რას დავეწეოდი... არადა თურმე რა კარგი ცხოვრება მქონია და არ ვიცოდი! როგორი კუწკუწა, საყვარელი, მშვიდი ზაფხულის ზღვასავით. ხანდახან თუ აღელდებოდა, აიქოჩრებოდა... შემერგო მეც, სერფინგი მაინც მესწავლა, ავყვებოდი და ჩავყვებოდი ტალღებს, ავყვებოდი და ჩავყვებოდი. აბა, ახლა გავბედო და ავყვე და ჩავყვე, ჩემს მშვიდ ზღვაზე უკვე დამანგრეველი ცუნამი მძვინვარებს!

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ჩემმა მულმა თავისი პრესტიჟული ბინა, რომელიც პრესტიჟული უბნის პრესტიჟულ ქუჩაზეა, უცხოელებს მიაქირავა და ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად.

— მოვედი, — შემოვიდა სახლში და ზემოდან დამხედა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემზე მაღალი იყო და მეორეც, ძალიან უყვარდა ზემოდან ყურება.

„აჰა, მოვიდა დონა კორლეონე!“ — გავიფიქრე გულშეწუხებულმა, ასე მე შევარქვი, ყველაფერს ეგ წყვეტს ოჯახში და იმიტომ. ისე, ხათუნა ჰქვია.

მე მასპინძლის ეტიკეტი ზედმიწევნით დავიცავი — ნაძალადევად გავუღიმე. ჩემმა მულმა ორი კორექტირებული წარბიდან ერთი ასწია, მერე, რადგანაც სიმაღლესთან ერთად სავსე ფორმებითაც გამოირჩეოდა, კედელს მიმალესა და ოთახში შევიდა. მე კედლიდან ჩამოვეფხიკე და უკან გავყევი.

— მოხვედი, შვილო? — მაშინვე ორ ფეხზე შემდგარი, მოთვინიერებული პუდელივით გამოცუნცულდა სამზარეულოდან დედამთილი. ისედაც პუდელს ჰგავდა, განსაკუთრებით — ვარცხნილობით, — წამოდი, ხაჭაპურები დაგიცხვე, ჭამე და მერე დაისვენე, ოთახი უკვე მოგიწყვე.

— არა, მირჩევნია, ჯერ დავისვენო, თორემ ფეხზე ვეღარ ვდგავარ, — თავი შეაცოდა მულმა და ჩემი ოთახის კარი ცხვირწინ მომიხურა.

ეჰ, ეს ერთი ადგილი მქონდა, სადაც ოჯახური ღელვის მერე ვირიყებოდი, როგორც მეჩეჩზე გემი, ცხვირს ბალიშში ვარჭობდი და გულს ვიოხებდი ხოლმე... მქონდა და წამართვეს, კონფისკაცია გაუკეთეს, მულს მოუწყვეს, გაულამაზეს, მე კი გადატიხრულ, ერთი ბეწო ლოჯში გადამასახლეს ჩემი ბარგით.

ქმარი... ქმარი, რა, სამიოდე წლის წინ საზღვარგარეთ გადასახლდა, ოღონდ თავისი სურვილით: ჩემი მულის ბიზნესს ასე დასჭირდა და ისიც სიამოვნებით გაცუნცულდა. ახლა იქიდან მმართავს სათამაშო მანქანასავით დისტანციური პულტით. ისე, მართლა სათამაშო მანქანას ვგავარ: რაც გავთხოვდი, იმის მერე საითაც მეტყვიან, იქით მივდივარ, თითქოს მათ გარეშე გზას ვერ გავიგნებ და პირდაპირ კედელს შევასკდები. თავიდან კი ვცადე — ხან ვასიგნალე, ხან სირენა ჩავრთე, მაგრამ მერე თანდათან დავმორჩილდი.

— რატომ? — ვეკითხები საკუთარ თავს გაბრაზებული. — იმიტომ, რომ წასასვლელი არ გაქვს!

პირველი: მშობლების სახლში რომ დაბრუნდე, იქ იმდენი ხალხია, ან მაგიდის ქვეშ უნდა დაწვე, ან კარადაში; მეორე: ბინა რომ



დაიქირავო, შენი ხელფასით ქირას კი გადაიხდი, მაგრამ მერე შიმშილით შეიძლება მოკვდე; მესამე: ბავშვებს შეიძლება ბინა დაეკარგოთ; მეოთხე: რას იტყვის ხალხი?

მაშინვე ჩამოვარაკრაკებ ხოლმე მსგავს სულელურ პასუხებს და ისე მეცოდება ამ დროს ჩემი თავი, ისე მეცოდება, უცხო რომ იყოს, თავზე ხელს გადავუსვამდი და მოვეფერებოდი. სხვა გზა არ მაქვს, როგორმე უნდა გავამართლო:

— არა უშავს, დიდი ამბავი, თუ ხან ქმრის ჭკუაზე გიწევს გავლა, ხან — დედამთილის და ხან — მულის. ბავშვების ჭკუაზე კი უნდა იარო, აბა, რა?! ჭერი ხომ გაქვს, ამას ეხუმრები? ნახევარი საქართველო უჭეროდაა დარჩენილი და ბინიდან გამოსახლებული. შენ კი რა, დიდი ამბავი, საძინებლიდან ლოჯში თუ გასახლებენ...

ვიცი, ასე დათრგუნული და მშიშარა ქალები ფიქრობენ, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად არ შეუძლიათ და საერთოდ ცხოვრების პირისპირ მარტო დარჩენის პანიკურად ეშინიათ, მაგრამ ვერაფერს გავაწყობ: ასეთი ვარ, ასეთი გავიზარდე, ასეთი გავთხოვდი და მულის გადმობარგების შემდეგაც ასეთი შევსახლდი ლოჯში.

არ დადგა ჩემგან ფემინისტი, არა! სამაგიეროდ სერტიფიცირებული მოსამსახურე — კი, ბატონო!

აქეთ სარეცხი, იქით უთო; აქეთ დალაგება, იქით ხეხვა; აქეთ აბაზანა, იქით სამზარეულო... თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, სამზარეულოში მხოლოდ შავ სამუშაოს ვასრულებდი: ჭურჭელს ვრეცხავდი, საჭმელს ლამარა აკეთებდა, ჩემი დედამთილი.

— რაღაც გუფთა მომენატრა, — ჩაივლიდა ხათუნა, ჩემი მული.

— აუუუ, მეც! — აჰყვებოდა ნიკუშა, ჩემი 20 წლის ბავშვი.

— მე პიცა მინდა, ვერ ვიტან გუფთას! — აპროტესტებდა ნუციკო, ჩემი 16 წლის ბავშვი.

— მარიკოოო, სანამ სამსახურში წახვალ, ბაზარში უნდა წახვიდეე! — გამომძახებდა ლამარა სამზარეულოდან.

— ჩემს მეტი არავინაა სახლში? — ვამბობდი, ოღონდ ხმადაბლა.

— ვართ, მაგრამ ჩვენ არ გვცალია, — წარბაწეული მპასუხობდა დონა კორლეონე, ოღონდ ხმამაღლა, თითქოს მე ვიყავი ყველაზე მოცლილი არამარტო ოჯახში, არამედ სამყაროში.

კიდევ კარგი, კიდევ კარგი, რომ ვმუშაობდი!

— ვაიმე, შემჭამეს, გეუბნები, შემჭამეს, — მივედი ერთხელაც სამსახურში გასავათებული და სკამზე კი არ დავჯექი, მივსვენდი.

— რა გჭირს, დაიღალე? — შევეცოდე ზეიკოს, თანამშრომელს.

— დაღლას ვჩივი? ჭკუაზე აღარ ვარ, — უფრო მეტად მივსვენდი.

— მოდი, ყავა დალიე, გიშველის, — მაშინვე ყავით გაქაფქაფებული ფინჯანი დამიდგა მაგიდაზე.

— გაიხარე, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, — ცოტა გადმოვსვენდი.

— შენ რომ ნერვებს მოგიშლიან, არ ვიცი, რა... — გაოცებით აიჩეჩა მხრები, — რაო, დონა კორლეონემ და დედამისმა, რა გვინდაო?

— მარტო ეგენი რომ იყვნენ, კიდევ მოვერეოდი, მაგრამ... — ამოვიოხრე.

— რა, მაგრამ? რა, თაზო ხომ არ ჩამოვიდა? — სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ჩემი საზღვარგარეთ გადასახლებული მეუღლე გაახსენდა.

— „არა, არა, არ ჩამობრძანებულა ჯერ“, — გამახსენდა ფრაზა „საბუდარელი ჭაბუკიდან“.

კიდევ კარგი, იუმორის გრძნობა მაინც რომ არ გადასახლდა ჩემგან.

— აბა, სიცილიიდან ხომ არ დაემატა ვინმე შენს დიდ ოჯახს? — ახლა „კოზა ნოსტრას“ გადასწვდა ზეიკო.

— არა, ამჯერად ჩემ წინააღმდეგ ჩემივე ბავშვები გადმოსხა დესანტივით, აბა, თავისი არ ჰყავს და...

— აა, — შვებით ამოისუნთქა ზეიკომ, — კარგი ერთი, მე მეგონა, რამე სერიოზული იყო.

— ღმერთო ჩემო, ზეიკო, მეტი რაღა სერიოზული გინდა?! — აღვშფოთდი.

— ხო, არა? — შეშფოთდა.

— ამათ ხომ, ჩემს შვილებს, ჩემი არაფერი აქვთ, გენის არც ერთი ნამცეცი. დნმ რომ ავუღო, იქაც არ გამოვჩნდები, ერთს მარტო მამამისის ექნება, მეორეს — მარტო მამიდამისის.

ზეიკომ მოწყალე თვალით შემომხედა, იდაყვებით მაგიდას ჩამოეყრდნო, ჩემკენ გადმოიწია და მკითხა:

— კი მაგრამ, რას აკეთებენ ისეთს?

— საქმეც მაგაშია, რომ არაფერს, აბსოლუტურად არაფერს!

— თუ არაფერს აკეთებენ, რა გაფორი-



Cyan Magenta Yellow Black

აქებს? — გაუკვირდა.

შევხედე და მზერით განვგმირე. ჰმ, რა ადვილი სათქმელია „რა გაფორიაქებს!“, თუმცა არ მიკვირს. ზეიკოს ისეთი დალაგებული ცხოვრება აქვს, ჩემს არეულს რას გაიგებს თუ როგორცაა...

დედამთილი არ ჰყავს, მამამთილი არ ჰყავს, მული არ ჰყავს, მაზლი არ ჰყავს... ქმარი ჰყავს და ზღაპარივით სულ კეთილად ბოლოვდება — არც ფქვილს აკლებს და არც ლხინს და ცხოვრობენ დიდხანს და ბედნიერად.

შვილი ჰყავს და ისიც ზღაპარი: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა — თბილი, ჭკვიანი, ზრდილობიანი, განათლებული, კულტურული, წესიერი.

აბა, როგორ გაიგებს ჩემს გულისტკივილს? მაგრამ იგებს თუ ვერ იგებს, ვაგებინებ და ისიც ცდილობს, დამამშვიდოს, მომეფეროს, თავზე ხელი გადამისვას.

— ზედაც აღარ მიყურებენ, — დავიჩივლე გულდაწყვეტილმა, — ნიკა მთელი დღეები გასულია და რაც უნდა ვთხოვო, არასდროს სცალია ჩემთვის. ნუციკო კი ისე უტიფრად მეპასუხება...

— კარგი ახლა, ყველაფერი დალაგდება, — დამამშვიდა ზეიკომ.

— შენ ხომ იცი, მე როგორი დედა ვარ? — დავიწყე. მერე რა, რომ ასჯერ ჰქონდა მოსმენილი, — გადამკვდარი, გადაფოფრილი, გაგიჟებული... ჩემი თავი არც მახსოვს. ჰოდა, რა გამოვიდა? ახლა მაგათ არ ვახსოვარ, არც ვაინტერესებ არც ერთს.

— მარიკო, — სახე მოეღვენთა ზეიკოს, შევეცოდე.

— ჰო, ასეა, — ცხვირსახოცი მოვისვი თვალებზე, რა კარგია, როცა ვილაცას ეცოდები, — არ იცი, რა დიქტატურა დამყარდა ჩემთან. აქამდე მარტო დედამთილის ატანა მიწევდა, ნუ, თაზო არ ითვლება, ქმარია ბოლოს და ბოლოს, თანაც შორს წასულ ადამიანზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს...

— რას ამბობ! — შეიცხადა ზეიკომ, — ეგ მიცვალებულზეა.

— მერე, მიცვალებულივით არაა ჩემთვის?! — არ დავიხიე უკან, თუმცა გულში მაშინვე გავივლე: „მართლა რას არ წამოვისვრი ხოლმე გაბრაზებულ გულზე, ჯვარი სწერია!“ და გავაგრძელე, — ახლა მოვიდა ეს ქალბატონი, დასახლდა ჩვენთან. რას აქირავებდა იმ ბინას, არ მესმის, ფული ისედაც ჰქონდა, ზეწარმატებული ბიზნესვუმენია, სხვათა შორის. აბა, მე კი არ მგავს, აქ ვზივარ და უსუსურ ხელფასს ველოდები. თავისთვის რომ ცხოვრობდა, ვუძლებდი, მაგრამ ახლა სადღა მაქვს მაგის ნერვები. ჯანდაბას, ყველაფერს ისევ ისე ავიტანდი, როგორც აქამდე ვიტანდი, მაგრამ აი, ბავშვებიც რომ ამიმხედრა? ეს სულელები კი, აქაოდა, ფული აქვსო, სულ კუდში დასდევენ, ჩემ მაგივრად მას ევლებიან თავზე... უნდა ნახო მერე, რა სახით მიყურებს ეგ მართლა დონა კორლეონე, აშკარად ხელზე კოცნას ითხოვს ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის სანაცვლოდ.

— შენც ნუ შეხედავ და ის იქნება, — გამოსავალს მიაგნო ზეიკომ, — გაიარე, გამარჯობა უთხარი, გამოიარე — ნახვამდის და მორჩა.

— რა ადვილად ამბობ, — გამეცინა, — ასეც ვაკეთებ, მაგრამ ვინ მეშვება? არ არსებობს, არ ჩამინისკარტოს, ვალაგებ და შენიშვნებს მაძლევს, არ ვალაგებ და ახლა ამაზე მაძლევს შენიშვნებს. საერთოდ, თვლიან, რომ თაზომ არასწორი არჩევანი გააკეთა, არ მთვლიან მათი ოჯახის ღირსად. თან იცი რა, მგონი, დღემდე ვერ მოინელეს, რომ მე გათხოვილი მქვია, ჩემს მულს კი — გაუთხოვარი.

— მოიცა, — წამოიძახა ზეიკომ, — ხომ არ გაგვეთხოვებინა?

— რას ამბობ, ვინმეს ცოდვას როგორ დავიდებ კისერზე! — ვიუარე სასწრაფოდ.

— აი, აქ კი ცდები, — მითხრა ზეიკომ, — არავის ცოდვას არ დაიდებ, პირიქით, გაახარებ, ახლანდელი კაცების ამბავი არ იცი? ქალს ფული აქვს, კარგი ბიზნესი... არაფერი აკლია, არც გარეგნობა მათ შორის: იმხელაა სიმაღლით და სისქით, რომ ას ქალში აუცილებლად მაგას შეამჩნევ პირველად.

— შენ ისე ლაპარაკობ, კანდიდატურაც გეყოლება, — მივუხვდი ჩანაფიქრს.

— გოგო, მისმინე ახლა, — მოაჩოჩა სკამი ჩემკენ, — პაატასთან დაიწყო მუშაობა ერთმა არაჩვეულებრივმა ადამიანმა...

ოღონდ დონა კორლეონე მომეშორებინა და ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებდი?! სასწრაფოდ გავიცანი ეს „არაჩვეულებრივი ადამიანი“, რომელიც, მართალია, სრულიად ჩვეულებრივი აღმოჩნდა, თანაც აშკარად ალფონსობისკენ მიდრეკილი, მაგრამ მერე რა, რას დავეძებდი.

ამის შემდეგ დავიწყე პერმანენტული საუბრები დედამთილთან, თუ რა საცოდაობა იყო, ხათუნას უოჯახოდ ყოფნა.

— აბა, აბა, — ისიც გულაჩვილებული მიქნევდა თავს, — დედა ენაცვალოს, ბედს რა ვუთხარი, თორემ ზოგიერთებს უნდა ჰქონდეთ ოჯახი და ჩემს ანგელოზივით შვილს არა?

აქ აშკარად მე მგულისხმობდა, მაგრამ არც ამას დავეძებდი. ამ პერმანენტულმა საუბრებმა და „პერსპექტივაში სიძის“ წამდაუწუმ ხსენებამ ის შედეგი მოიტანა, რომ ჩემს დაბადების დღეზე, რომელიც სხვა დროს არავის ახსოვდა, მომაპატიჟებინეს ზეიკო, მისი მეუღლე და ისიც, დიმა — პერსპექტივაში სიძე. სიმართლე რომ ვთქვა, ასეთ შედეგს, თანაც ასე სწრაფად, არ ველოდი.

დიმა რამაც მოხიბლა, გასაგებია: ბიზნესი, ფული, პრესტიჟული ბინა პრესტიჟული უბნის პრესტიჟულ ქუჩაზე. აი, ხათუნასგან კი გამიკვირდა: სადღა იყო დონა კორლეონე? უცებ საყვარელ არსებად გადაიქცა, ჩემ მიმართ სტრატეგია შეცვალა და გლობალურად დათბა.

ამ დათბობის ფონზე დადნენ დიდი აისბერგები — დედამთილი და ქმარი, თანაც ისე, რომ სკაიპშიც კი ვგრძნობდი თაზოსგან წამოსულ თბილ იმპულსებს. ცხოვრებაში ერთხელ ჭკუა ვიხმარე და ეს ყველაფერი ისე შევიფერე, თითქოს ჩემ გარეშე, აპაპაპა, არაფერი გამოვიდოდა!

— აი, თურმე რა საჭირო ადამიანი ვყოფილვარ, რა მნიშვნელოვანი მისია მქონია ცხოვრებაში: მულის გათხოვება! — ვუთხარი ზეიკოს.

სამსახურში ვიყავით, ყავას ვსვამდით და ჩვენს შემდგარ მაჭანკლობაზე ვხალისობდით.

— არ თქვა, — გაეცინა ზეიკოს, მერე დაფიქრებით მითხრა, — ერთი გაცნობის ოფისი ხომ არ გაგვეხსნა? მადლიანი საქმეა, თან კარგად გამოგვდის.

— არ არის ცუდი აზრი, — ავყევი მეც, — ოღონდ ჯერ ეს საქმე მივიყვანოთ ბოლომდე.

თუმცა რაღა დარჩა, ხვალ ნიშნობა გვაქვს, მთელი სანათესაო მოდის სტუმრად, მერე საზღვარგარეთ მიდიან, თაფლობისთვის გასატარებლად. თან თაზო და დიმაც გაიცნობენ ერთმანეთსო, ასე გადაწყვიტეს.

— ისე, ჩვენში დარჩეს და, დიმა კი ჩავარდა ქერის ორმოში, — თქვა ზეიკომ, — ასე თუ იქნებოდა, პირდაპირ ჩემს ქმარს გავაცნობდი შენს მულს, მეც მეშველებოდა.

— ახლა ჩემი ქერის ორმოც თქვი, — წავიტრაბახე, — თავზე მევლებიან, თანაც ცალკე აპირებენ გადასვლას, მერე შეიძლება დედამთილიც გაჰყვეს და...

ამ ტკბობაში ვიყავი, რომ მობილურმა დარეკა. დავხედე, მერე ზეიკოს ვანიშნე — „აჰა, ვახსენე და რეკავს“ და დაღლილი ხმით ვუპასუხე:

— გისმენთ.

— ახლავე, ახლავე მობრძანდი სახლში! — ცოტა დააკლდა და ლამის მობილურიდან ამოვიდა ჩემი დედამთილი ჯინივით.

— რა მოხდა? ბავშვები როგორ არიან? — მაშინვე ბავშვებზე დავფეთდი მე.

— ბავშვები გადასარევად, მაგრამ აი, შენ როგორ იქნები, მაგ შენს ძვირფას მეგობართან ერთად, არ ვიცი! ეს რა დღეში ჩაგვყარეთ, ეს... ეს... ეს როგორ შეგვარცხვინეთ, თავი მოგვჭერით...

— კი მაგრამ, რა გავაკეთეთ? — ენა ჩამივარდა გაოცებისგან და ზეიკოს გადავხედე, ისიც ასე, ენაჩავარდნილი იდგა.

— ეს ვინ შემომიყვანეთ სახლში, ეს... ეს გაიძვერა, — მობილურს აზანზარებდა ჩემი დედამთილი, — აგერ მიზის ახლა მაგისი ცოლი და ორი ბავშვი! ვაი, დედა, გული...

— არ არსებობს! — წამოვიძახე.

— რა არ არსებობს, თვითონაც აქ ბრძანდებოდა, ესენი რომ მოვიდნენ, ხვალინდელ დღეზე საუბრობდა ბიჭი! ჰმ, თურმე ჯვარიც აქვს დაწერილი, ხელიც აქვს მოწერილი... და არც გაშორებული არაა! რაიონში ჰყოლია დატოვებული ცოლ-შვილი და აკითხავს თურმე ამათაც კვირაში ერთხელ ჩემი ხათუნას ფულით... ვაი, რატომ არ მოვკვდები, ამას რას მოვესწარი, ხვალ რა ვუთხრა სტუმრებს, რა?!

— მერე? — ძლივს ამოვილუღლუღე.

— რა მერე? რა მერე? გაუგია ამას, რა ვიცი, ან საიდან გაიგო და მოგვაგნო და მოვიდა, ვაი, გული... დაინგრა კორპუსი ჩვენი წივილ-კივილით... ვაი, გული... გამიგიჟდა შვილი, მაგას მოუკვდეს დედა... შენთან გამოვარდა სამსახურში, რაც მოგივა ახლა, საკუთარ თავს დააბრალე, მაგრამ ჩვენ როგორ დავიბრმავეთ თვალები, როგორ არ გავიკითხეთ წესიერად, შენი ნდობა როგორ შეიძლებოდა!.. ვაი, გული...

— ზეიკო, ცუდადაა ჩემი საქმე, შენ რა გიჭირს, — ამის თქმა კი მოვასწარი, მაგრამ მერე...

არც მკითხოთ, მერე რა მოხდა, რა შტორმი და რა ცუნამი შემოვარდა სამსახურში ხათუნას სახით...

ეჰ, რა ცოტა ხანს გაგრძელდა გლობალური დათბობის პერიოდი. არადა, რა კარგი იყო, მაგრამ ვინ შემარგო...



Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან.
sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 11 მაისი 17 საათი.

## გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ქალს, თბილისელს ან თბილისთან ახლო მდებარე რაიონებიდან, ვისაც არც სიყვარულში და არც ოჯახში არ უმართლებს. 593487811

2. გავიცნობ ქუთაისელ, ლამაზ ქალს 38-48 წლამდე. ვარ 50 წლის. 557993104

3. გავიცნობ თბილისელ, გამხდარ, თავისუფალ ქალს, თბილი და სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555161421

4. შეხვედრებისთვის გავიცნობ 37 წლამდე არამ-სუქან, თბილისელ ქალს. ვარ სპორტული აღნაგობის ბიჭი. 593318644. გიო

5. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 35 წლამდე სიმპათიურ ქალს. 557229949. ზურა

6. შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ და მიმზიდ-ველ გოგოს, ვცხოვრობ მარტო. 557647577. ქაბა

7. შეხვედრებისთვის გავიცნობ განსხვავებული სურვილის საინტერესო გოგოს. 557541580

8. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო ქალს. ვარ 26 წლის, შემეხმიანოს მხოლოდ რეალურები. 558945109. გიგა

9. გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვისაც სითბო ენატრება. 599785425

10. გავიცნობ 36 წლამდე ქალს სამეგობროდ. ვარ 31/187/77. თბილისში მცხოვრები. 555455053. ნიკა

11. ვარ 30 წლის, მშვიდი, წესიერი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 557546513

12. გავიცნობ 30-დან 45 წლამდე თბილისელ ქალს. 555150975

## გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 41 წლის, უცოლო მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლამდე ქუთაისელ ქალიშვილ გოგოს. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი. 557527483

2. გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით, გასათხოვარს ან განათხოვარს. 557659153. გიორგი

3. ვარ 53 წლის, განათლებული, დასაქ-მებული, ცოლს გაცილებული, ვცხოვრობ თბილის-ში. გავიცნობ 38-45 წლამდე თბილისში მცხოვრებ განათლებულ, დასაქმებულ, ქორწინებაში არმყოფ, ოჯახის მოყვარულ ქალს. 593521117

4. ვარ თბილისელი, სანდო, თბილი ბუნების, გულახდილი პიროვნება, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლის ქალიშვილ, სერიოზულ, მშვიდი ბუნების პიროვნებას. ვარ 45 წლის, არ ვარ პრეტენზი-ული. 558215498

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-დან 50 წლამდე ქალს. ვარ 54 წლის. 555710643

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვარ 50 წლის, ვცხოვრობ თიანეთის რაიონში. 555364815

7. ვარ 27 წლის, ვცხოვრობ თბილისში, ახლა ჩამოვედი გერმანიიდან, მაქვს კარგი სამსახური. გავიც-ნობ 20-28 წლის გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით, თუნდაც განათხოვარს. 593160340

8. გავიცნობ 20-30 წლამდე სიმპათიურ გოგოს ოჯახის შესაქმნელად, თუნდაც განათხოვარს, ბავშვის გარეშე. ვარ 30 წლის, მაქვს საკუთარი ბიზნესი, ვცხოვრობ კახეთში. 599547944

## გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, შეძლებულ მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 56 წლის, კარგად გამოვიყურები, ვცხოვრობ გორში. 551133650

## სხვადასხვა

1. გამარჯობა, მე 22 წლის ვხვდები, მქვია გიო, აქ სმს-ებს არ ვაგზავნი, მაგრამ ახლა ექსპერიმენტს ჩავატარებ. ვნახოთ, მეგობარს თუ შევიძენ. მომწერეთ. 555199539

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რამე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 11 მაისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისაგან მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

## ეს იცოდით?

❖ ამერიკელი მწერლის, მარკ ტვენის, ნამდვილი სახელი და გვარი სემუელ ლენგჰორნ კლე-მენსია. ის ნაწარმოებებს ხში-რად სხვადასხვა ფსევდონიმით აწერდა ხელს. მარკ ტვენმა მო-წევა 8 წლის ასაკიდან დაიწყო და უკვე მოზრდილი დღეში 20-40 ღერ ყველაზე იაფფასიან სიგარას ეწეოდა.

❖ ბერძენი მეიგავე ეზოპე მონა იყო.

❖ ბიბლიური მოსე ენაბლუ იყო.

❖ ფილოსოფოსი სოკრატე ფეხსაცმელს მხო-ლოდ დღესასწაულებზე იცვამდა.

❖ კონფუცის მიმდევრებს ძვ.წ.აღ-ით მე-3 საუკუნეში ცოცხლად მარხავდნენ.

❖ რუს პოეტ ლერმონტოვის ძარღვებში შოტ-ლანდიური სისხლიც ჩქეფდა.

❖ ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატ-რამ, რომელიც წარმოშობით მაკედონი-იდან იყო, რვა ენა იცოდა.

❖ გოიმი ებრაული სიტყვაა და არა-ებრაელს ნიშნავს.

❖ რაგაბი ეგვიპტის ბიბლიური სა-ხელია.

❖ ინდოეთში თაფლს თხევად ოქროს უწოდებდნენ.



Cyan Magenta Yellow Black

# ტაძარი, სადაც ქრისტიანებთან ერთად მუსლიმებიც ანთებენ სანთელს

## ქურმუხის წმინდა გიორგის სალოცავის ლეგენდები


ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი

საქართველოს ისტორიულ მიწაზე, ჰერეთში, რომელსაც დღეს საინგილოს უწოდებენ, ქურმუხისწყლის ხეობაში, ქურმუხის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ტაძარი მდებარეობს, რომლის ძალა და მადლი წელიწადში ორჯერ, 6 მაისსა და 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, ამ ადგილზე ქრისტიანებთან ერთად მუსლიმებსაც იზიდავს. ეს უკანასკნელნი ტაძარში სანთელს ანთებენ და წმინდა გიორგის შემწეობას სთხოვენ. ამბობენ, რომ წმინდანი მათ ვედრებას ყოველთვის შეისმენს. მომლოცველები ტაძრამდე მისასვლელ გზას ფეხშიშველები მიუყვებიან და შესაწირად მამლები მიჰყავთ. ამ რიტუალს ლამაზი ლეგენდები უდევს საფუძვლად.

ტაძრის ისტორიასა და მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე „სარკეს“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი დვალაშვილი ესაუბრა.

**— ბატონო გიორგი, როგორია ამ უძველესი ტაძრის ისტორია, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე არ არის?**

— აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები ამ ისტორიულ ნაგებობას დღემდე ალბანურ ძეგლად მიიჩნევენ, რაც არც ერთ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ წყაროში დასტურდება. ისტორიული ცნობების მიხედვით, ეს ტაძარი მე-13 საუკუნიდან არსებობდა. ქურმუხის წმინდა გიორგი პირველად 1310 წელს ე.წ. მაღალაშვილისეულ სახარებაშია მოხსენიებული. ეს ტაძარი გიშ-ქურმუხის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა, რომელიც თავისი სიწმინდეებით ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეპარქიას წარმოადგენდა. ტაძარმა მტრის ხშირ შემოსევებს ვერ გაუძლო და თანდათან დაინგრა. მე-20 საუკუნის შუა წლებში კი დაიწვა და ის ტერიტორია მიუვალ ადგილად იქცა. დიდი ხნის განმავლობაში არათუ შიგნით შესვლა, ტაძართან მიახლოებაც შეუძლებელი იყო. 1968 წელს კი ადგილობრივმა მოსახლეობამ სრული რესტავრაცია ჩაუტარა.

**— ხანძარს რომელიმე ფრესკა ან ხატი გადაურჩა?**

— სამწუხაროდ, არა.

**— ისტორიულ ჰერეთში ბევრი მართლმადიდებელი ცხოვრობს?**

— დღეს ამ მიწა-წყალზე დაახლოებით 8 ათასამდე მართლმადიდებელი ქართველი ცხოვრობს. ბევრი ამ ტერიტორიას საინგილოს უწოდებს. როგორც ვიცით, სიტყვა „ინგილო“ ძალით გამაჰმადიანებულს ნიშნავს და მოსახლეობა, რომელმაც თავისი სარწმუნოება ამდენი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. ამ ტერიტორიას ჰერეთი ჰქვია და მათი თხოვნაა, ასე მოვიხსენიოთ.

**— ქურმუხის ეკლესიას როგორი არქიტექტურა აქვს?**

— ჰერეთში ძირითადად ბაზილიკური ტაძრებია, ქურმუხის წმინდა გიორგი კი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ეს ეკლესია თავისი მდებარეობითაც გამოირჩევა. შემაღლებულ ადგილზე დგას, საიდანაც ისტორიული საქართველო იწყებოდა. ამ ადგილიდან ის სტეპური და ხრიოკი ტერიტორიები იწყება, რომელიც შემდეგ უკვე აზერბაიჯანის მიმართულებით ვრცელდება.

**— როდის შეიძლება ამ ტაძრის მოლოცვა?**

— ტაძარში შესვლა და მოლოცვა წელიწადში ორჯერ, გიორგობადღესაა შესაძლებელი. დანარჩენ დღეებში, სამწუხაროდ, ამ ტაძარში წირვის ჩატარება საერთოდ აკრძალულია. ლოცვას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელი, მეუფე მელქისედეკი აღავლენს.

**— რა ხდება გიორგობადღეს ქურმუხის ეკლესიაში?**

— ამ დღესასწაულზე ჰერეთში ჩასვლა ხშირად მიწევს და იქ ქართველ მრევლთან ერთად აზერბაიჯანელი, რუსი და სხვადასხვა ეროვნების ხალხიც მხვდება. მომლოცველთა რაოდენობა იმდენად დიდია, ტაძარში შესასვლელად რიგები დგას. გიორგობა ჰერეთში სახალხო ზეიმადაა ქცეული და ქართული ჭიდაობაც იმართება.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დღესასწაულის აღნიშვნა კომუნისტურ ეპოქაში შეზღუდული იყო, ამ ტაძარს მომლოცველი მაინც არ აკლდა. ჩვენი პატრიარქისა და საეკლესიო პირთა ძალისხმევით, ჰერეთში მართლმადიდებლური სარწმუნოება აღორძინდა.

დღესასწაულზე აზერბაიჯანელი მუსლიმი მოსახლეობა შედის ტაძარში, ანთებს სანთელს და თავის სავედრებელს ევედრება. მრევლის უმრავლესობა ტაძრამდე მისასვლელ კილომეტრიან გზაზე ფეხშიშველი გადის. წმინდა სალოცავს მამალს სწირავენ.

**— მამლის შეწირვის ტრადიციას საფუძვლად რამ დაუდო?**

— ამ რიტუალს რამდენიმე ლეგენდა უკავშირდება. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, წელიწადში ერთხელ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, მარიამ ღვთისმშობელი ტაძრის ქვეშ არსებული გამოქვაბულის კარს აღებს, გარეთ გამოდის და ოქროს სავარცხლით თმას ივარცხნის. ამ დროს შიგნიდან ოქროს მამალი გამოფრინდება და ყივილს იწყებს, მას ბანს აძლევენ მახლობელი სოფლის მამლები. ერთხელ, როდესაც ღვთისმშობელი ჩვეულებისამებრ გამოვიდა და თმის ვარცხნა დაიწყო, ერთი მუსლიმი მიეპარა და მისი დაჭერა მოინდომა, მაგრამ მაშინვე ხელი გაუშეშდა. ღვთისმშობელი კი სასწრაფოდ გამოქვაბულში შებრუნდა. მუსლიმმა ღვთისმშობელსა და წმინდა გიორგის შეავედრა თავი. ის მართლაც განიკურნა და ქრისტიანობა მიიღო.

ერთ-ერთ ლეგენდას კი „მზეთუნახავი და ოქროს მამალი“ ჰქვია. თურმე ძველად ჰერეთში ერთი სახელოვანი ვაჟკაცი ცხოვრობდა. ვერც ნადირობაში და ვერც ჭიდაობაში ვერავინ სჯობდა. ამის გამო ხალხმა ასლან-ლომი შეარქვა. ქურმუხის ვიწრო ხეობას მტრის ჯარი მოადგებოდა თუ არა, თავისი რაზმით იქ გაჩნდებოდა და მომხდურს აწიოკებდა. ამიტომ მტერს მისი ჯავრი სჭირდა და ეძებდა. ასლან-ლომიც მუდამ შეიარაღებული დადიოდა. მას ერთი კოშკის გარდა არაფერი გააჩნდა. ომის დროს ნადავლით ირჩენდა თავს, მშვიდობის დროს კი — ნადირობით.

**„სიტყვა ინგილო ძალით გამაჰმადიანებულს ნიშნავს და მოსახლეობა, რომელმაც თავისი სარწმუნოება შეინარჩუნა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. ამ ტერიტორიას ჰერეთი ჰქვია და მათი თხოვნაა, ასე მოვიხსენიოთ".**

ასლან-ლომს თავი უმდიდრეს კაცად მიაჩნდა, რადგან მზეთუნახავი ასული ჰყავდა და მტერს მისი სილამაზის ამბავი რომ არ შეეტყო და არ მოეტაცა, მთელი დღე კოშკში იყო გამოკეტილი. როცა დაღამდებოდა, კოშკის კარი იღებოდა, მზეთუნახავი გარეთ გამოდიოდა, დალალებს მთვარის შუქზე გაშლიდა და თმის ვარცხნას იწყებდა. მზეთუნახავს მამალი ჰყავდა, რომელსაც ბიბილო, ნისკარტი, კუდი და დეზები ოქროსი ჰქონდა. ის მთელი დღე-ღამის განმავლობაში თვლემდა, მაგრამ მტერი საზღვარს რომ მიუახლოვდებოდა, იღვიძებდა და აყივლდებოდა. მის ყივილს სხვა მამლების ყივილიც მოჰყვებოდა. მამლების ხმაზე კი ხალხი გროვდებოდა და მტრის დასახვედრად მიდიოდა.

ერთხელ სოფელს ღრეობა ჰქონდა. ქეიფის შემდეგ ღრმად ჩაეძინათ. მამლის ყივილი ვერ გაიგეს და მტერმა მთელი ქვეყანა ააოხრა. ასლან-ლომსაც მკვდარივით ეძინა კოშკის ზღურბლზე და მტერმა თავი მოჰკვეთა. კოშკში რომ შევიდნენ, მზეთუნახავის სახე სიბნელეში სხივებს აფრქვევდა, ანათებდა. მისი სილამაზით განცვიფრებულ მეომრებს თავი სიზმარში ეგონათ. იფიქრეს, მზეთუნახავს ტყვედ წავიყვანთ და ჩვენს მეფეს საჩუქრად მივგვრითო.

ქალმა მეომრებს თხოვნით მიმართა, ქურმუხის წმინდა გიორგის დიდი ხნის წინ აღთქმა მივეცი, რომ მამალს ზვარაკად შევწირავდი, მინდა, ეს აღთქმა შევასრულო და ჩემი მიწა-წყალი დამშვიდებულმა დავტოვოო. მეომრებმაც თხოვნა შეუსრულეს. მზეთუნახავს ტაძარში არავინ დახვდა, მღვიმეს თვალი შეავლო და ინატრა, ნეტა, ახლა მღვიმე გაიხსნას და ჩამიტანოსო. ის იყო, მამალი უნდა გაეფრინა და თვითონ კლდიდან გადაშვებულიყო, რომ საყდრის ქვეშ მღვიმე გაიხსნა. მზეთუნახავი და მამალი შიგ შეიმალნენ და მღვიმის კარიც მაშინვე დაიხურა.

მეომრებმა ქალი რომ ვეღარ იპოვეს, ტაძარი მიანგრ-მოანგრიეს. ამ ლეგენდის შემდეგ ჰერეთში ამბობენ, თუ ჩვენ გადავურჩით მტრის ურდოებს და ჩვენი ერის სიწმინდე დღემდე მოვიტანეთ, ეს მზეთუნახავი ქალის წყალობით არისო. დღესაც ამბობენ, შუაღამისას მღვიმის კარი იღება, მზეთუნახავი დიდ ლოდზე ჯდება და მთვარის შუქზე დალალებს ივარცხნისო.

**— აზერბაიჯანის ხელისუფლება როგორ ხვდება ამ დღესასწაულის ასე აღნიშვნას?**

— რამდენჯერმე სცადეს, ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი მუზეუმად გადაეკეთებინათ, მაგრამ მომლოცველებმა ეს არ დაუშვეს.

**— ჰერეთში ჩასულ ქართველს კიდევ რომელი ტაძრების მოლოცვა შეუძლია?**

— ბოლო დრომდე ერთადერთი მოქმედი ტაძარი კახის წმინდა გიორგის ეკლესია იყო, რომელიც ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძრიდან 3 კილომეტრითაა მოშორებული და ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე 20 წელზე მეტია მოქმედია. ორი წლის წინ კი ერთ-ერთ ქართულ სოფელ ალიბეგლოში (ქათმის ხევი) წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში წირვა ჩატარდა, სადაც ნინოობის დღესასწაული ივნისშიც აღინიშნება და იანვარშიც. ბოლო პერიოდში ჰერეთის დღესასწაულად ნინოობაც იქცა.

ამ ტერიტორიაზე 20 ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია. ზოგი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, მაგრამ მოლოცვა ყველგან შესაძლებელია. ზაქათალასა და ბელაქნის რაიონებში უფრო არამართლმადიდებელი ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ ქართულ ენას საკმაოდ კარგად ფლობენ. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლები არ არიან, ქურმუხობას ისინიც განსაკუთრებულად აღნიშნავენ.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**



Cyan Magenta Yellow Black

წმინდანები

# თუ ადამიანის სურვილი ღვთივსათნოა, მაშინ ყველაფერი არის შესაძლებელი

## ხსენება ღირსისა ათანასე მეტეორელისა



ღირსი და ღმერთშემოსილი მამა ათანასე მეტეორელის სახელით არის ცნობილი. ის, ვინც ნახავს მეტეორას, მაშინვე მიხვდება, თუ ვინ იყო მამა ათანასე. უმალ გაარკვევ, თუ რა შესძლებია რწმენას, რა ძალა აქვს. როცა ხარ რელიგიურად ურყევი, ვერანაირი მიწიერი ძალა ვერ გაგიწევს წინააღმდეგობას. ამ სიტყვების თქმა შეიძლება მხოლოდ მამა ათანასეს მსგავს ადამიანებზე, რომელსაც სამართლიანად უწოდეს მიწის კაცი და ზეცის ანგელოზი.

ღირსი და ღმერთშემოსილი ათანასე დაიბადა 1305 წელს საბერძნეთის ულამაზეს ქალაქ პატრაში. წმინდანის მშობლები საკმაოდ სახელოვანი და შეძლებული ადამიანები ყოფილან მთელ საბერძნეთში. რომ არა ერთი სავალალო შემთხვევა, არავინ უწყის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და ექნებოდა თუ არა ჩვენს თემას ისეთი დასასრული, როგორიც აქვს.

წმინდანის დედა მასზე მშობიარობას გადაჰყოლია, არც მამას უცოცხლია დიდხანს ცოლის გარდაცვალების შემდეგ. ჩვილი მოუნათლავთ და მისთვის ნათლობის სახელი ანდრონიკე დაურქმევიათ. მამის გარდაცვალების შემდგომ ბავშვზე მზრუნველობა ბიძას, მამის ძმას აუღია საკუთარ თავზე. პატარა ანდრონიკე ისე იზრდებოდა, როგორც საკუთარ მშობლებთან, მისთვის მზრუნველობა არავის მოუკლია. როცა გაიზარდა, მისთვის საუკეთესო განათლება მიუციათ, ამასთან ერთად, სასულიეროც.

როცა საპორტო და თანაც ულამაზესი ქალაქი პატრა ევროპელ დამპყრობლებს აუღიათ, როგორც ქალაქის მცხოვრებლების უმატესობა, პატარა ანდრონიკეც ტყვედ აუყვანიათ. დამპყრობლების მეთაურს მოწონებია ლამაზი, პირმშვენიერი და თანაც გონიერი ანდრონიკე და უამრავ ნადავლთან ერთად თავისთან წაუყვანია. ანდრონიკეს იმდენი მოუხერხებია, რომ გაქცევია დამპყრობელს და სხვა ქალაქში წასულა. მტერს გარიდებული ბიძა მოუძებნია და მასთან ერთად ისევ გაუგრძელებია ცხოვრება ქალაქ თესალონიკში, სადაც კიდევ უფრო გაიღრმავა ცოდნა.

მალე ანდრონიკეს ბიძაც გარდაეცვალა და დარჩა სრულიად უნუგეშოდ. მაინც აგრძელებდა უსახსროდ დარჩენილი ანდრონიკე ლექციებზე სიარულს. მასწავლებლები, როცა ხედავდნენ ანდრონიკეს მონდომებას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უკითხავდნენ ლექციებს. ბოლოს და ბოლოს, მან დატოვა თესალონიკი და მიაშურა ათონის წმინდა მთას, სადაც შემოიარა ყველა იმდროინდელი ღვთივგაბრძნობილი მამა, ვინც კი ათონის წმინდა მთაზე მოღვაწეობდა და ყველასგან ერთი და იმავე პასუხს ისმენდა, ჯერ ასაკი არ გაქვს, რომ მონაზვნურ მოღვაწეობას შეუდგე, უმჯობესია, ასაკი მოგემატოს და ამის შემდეგ წინ ველარავინ აღუდგება შენს სურვილსო.

ასე რომ, დიდხანს აღარ გაჩერებულა ათონის წმინდა მთაზე. იქიდან წამოსული დაადგა კონსტანტინეპოლის გზას, სადაც მოინახულა უამრავი ეკლესია-მონასტერი, ეამბორა უამრავი წმინდანის წმინდა ნაწილებს, შეხვდა ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს, რომელთაც მომავალში თავიანთი კვალი დატოვეს ეკლესიის ისტორიაში. როგორც ფუტკარი, ღირსი ათანასეც სიყრმიდანვე აგროვებდა სულიერ ნექტარს, რომელიც მოგვიანებით უტკბილეს და სასარგებლო თაფლად გარდააქცია, რადგან მისი სწავლებით არაერთი მოღვაწე მონაზონი იკვებებოდა და პოულობდა სულიერ შვებას.

ათანასემ ცოტა ხანს იცხოვრა კონსტანტინეპოლში, საიდანაც გემით გაემგზავრა ისევ ელადისკენ. გზად გემმა კრიტზე გაიარა და გაჩერდა, ამ ულამაზესი კუნძულის ნახვით განცვიფრებულმა ანდრონიკემ გადაწყვიტა, ცოტა ხანს დარჩენილიყო ამ მართლაც ფანტასტიკურ კუნძულზე, სადაც ერთმა ღვთისნიერმა ქრისტიანმა უმასპინძლა. როცა ნახა ყმაწვილმა ანდრონიკემ, მასპინძლის ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, რა დიდი იყო სტუმრის დაპურება და გამასპინძლება, შესთავაზა, რომ მიეხმარებოდა, რათა ერთობლივი ძალებით მოეპოვებინათ სარჩო-საბადებელი. მასპინძელიც დათანხმდა იმ იმედით, რომ თუ რამეს იშოვიდნენ, ანდრონიკესთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა ან დაოჯახებაში, ან კიდევ, თუ მონაზონი გახდებოდა, სამოღვაწეოს მოწყობაში.

ანდრონიკე მასპინძელთან ერთად შრომობდა, მაგრამ ამჩნევდა, რომ ეს შრომა მისთვის არ იყო შვების მომგვრელი. ამ მოქმედებას მასში მხოლოდ შფოთი შემოჰქონდა, ამიტომაც დაემშვიდობა თავის მასპინძელს დიდი სიყვარულით და ახლა უკვე მეორედ მიადგა ათონის წმინდა მთას, საიდანაც, გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ არსად წასულიყო. მართლაც, მიადგა ერთ პატარა სვიტს, რომელსაც ბერძნები უწოდებდნენ მაღულას, ადგილი, სადაც დღეს გაშენებულია ქართველთა სავანე და სიამაყე ივერონის მონასტერი.

იმ დროს იმ სკიტში მოღვაწეობდა ორი საკმაოდ გამოცდილი მონაზონი, რომლებიც, არ არის გამორიცხული, ქართველები ყოფილიყვნენ, რადგან ეს არის მეთოთხმეტე საუკუნე და ამ დროს ქართველები უკვე მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი ათონის წმინდა მთაზე, განსაკუთრებით ივერონის მონასტრის სიახლოვეს. ორი ბერიდან, რომლებიც დახვდნენ ახალგაზრდა ანდრონიკეს, ერთი, სახელად გრიგოლი, მღვდელმონაზონი ყოფილა, ხოლო მეორე — მამა მოსე მონაზონი. სწორედ მათ სთხოვა ანდრონიკემ, საძმოში მიეღოთ. თავიდან მამა გრიგოლიც და მამა მოსეც საშინელი წინააღმდეგნი ყოფილან ანდრონიკეს საძმოში დატოვების, მაგრამ ანდრონიკეს დამსახურებით აზრი მალე შეიცვალეს და მიიღეს თავიანთ გვერდით სამოღვაწეოდ. მალე სამონაზვნე მორჩილებაში დაადგინეს და უწოდეს სახელად ანტონი.

იმდენად შეიყვარეს მამა გრიგოლიმ და მამა მოსემ ახალგაზრდა ანტონი, რომ, ასაკის მიუხედავად, არაფრით განსხვავდებოდა საძმოს წევრებისგან. ოცდაათი წლისა უკვე მონაზვნის სქემით შემოსეს და უწოდეს სახელად ათანასე. ვერც მონაზვნობამდე და ვერც მონაზვნობის შემდეგ ნახავდით ათანასეს ან მოწყენილს, ან უკმაყოფილოს. მკაცრი მორჩილების გამო მადლი ღვთისა სუფევდა მასში.

ბარბაროსები ხშირად შეესეოდნენ ხოლმე ათონის წმინდა მთას და აწიოკებდნენ ბერებს, ძარცვავდნენ მონასტრებს ოქრო-ვერცხლისგან. ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს მომხდურები მიადგნენ სამოღვაწეოსაც და შეუძლებელი აღმოჩნდა მათი გამკლავება, ამიტომაც მიატოვეს სამოღვაწეო. მამა მოსე ივერონის მონასტერს შეუერთდა, ხოლო მამა გრიგოლი და მამა ათანასე დროებით თესალონიკში გაემგზავრნენ იმ იმედით, რომ ყველაფერი დამშვიდდებოდა და ისევ უკან დაბრუნდებოდნენ.

როცა სერბმა ეპისკოპოსმა იაკობმა შეიტყო, რომ მამა გრიგოლი და მისი აგრეთვე მადლმოსილი მოწაფე მამა ათანასე ათონის წმინდა მთიდან გამოსულიყვნენ, მაშინვე შეუთვალა და შესთავაზა თავისთან წასვლა სამოღვაწეოდ. მამა გრიგოლმა გაანდო მეუფე იაკობის სურვილი მამა ათანასეს და დადებითი პასუხიც მიიღო. ამის შემდეგ გადაწყვიტეს უმკაცრეს პირობებში მოღვაწეობა.

თავიდან მართლაც გაუსაძლისი იყო პირობები იმდენად, რომ მამა გრიგოლმა შესთავაზა მამა ათანასეს, სხვა ადგილი ხომ არ მოგვეძებნა, სადაც არც წყალი იქნება რთულად მოსაპოვებელი და არც საკვებიო. მამა ათანასემ კი მიუგო, მოძღვარო, მივენდოთ უფალს და თვითონ იზრუნებს წყალზეც, პურზეც და ყველაფერ იმაზე, რაც ჩვენი არსებობისთვის არის საჭირო და აუცილებელიო.

განაგრძეს მოსაგრეობა და მართლაც არ გასულა დიდი დრო, როცა უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა მათი მოღვაწეობის ამბავი. მოდიოდნენ მათთან ქრისტიანები და უსმენდნენ წმინდა მამების ღვთივსულიერ საუბრებს. ბოლოს ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც სამოღვაწეოდ დარჩენის სურვილიც ჰქონდათ. თავდაპირველად მამა გრიგოლი და მამა ათანასე ამის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მალე ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან იმდენი იყვნენ ასკეტური მოღვაწეობის მსურველები, რომ გადაწყვიტეს, მამათა სამოღვა-





Cyan Magenta Yellow Black

წეო დაეარსებინათ.

მოხდა ისე, რომ მამა ათანასემ სთხოვა მოძღვარს, იქნებ უფრო მკაცრ სამოღვაწეო ადგილზე წასვლის ნება მიეცა, რადგან ეს ოდესღაც გაუდაბნოებული მთა ნამდვილი ქალაქი გეგონებოდათ, იმდენი მონაზონი მოღვაწეობდა. მამა გრიგოლი სასტიკი წინააღმდეგი იყო ათანასესთან განშორების, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი, მამა ათანასე დიდი მოღვაწე გამხდარიყო, რომ უარი ვეღარ უთხრა. აკურთხა ათანასე, წასულიყო და მოეძებნა მისთვის შესაფერისი სამოღვაწეო კლდეზე, სადაც აიშენებდა სენაკს და კვირაში ექვსი დღე იქნებოდა იმ სენაკში, ხოლო კვირის მსახურებისთვის დაბრუნდებოდა თავის საძმოსთან.

მართლაც მოიძებნა ისეთი ადგილი, რომელსაც დღეს მეტეორას ვეძახით და ერთ-ერთი კლდის ქიმზე გაიკეთა მამა ათანასემ სამოღვაწეო. ექვსი დღე იქ ცხოვრობდა, მეშვიდე დღეს კი, კვირას, ძმებთან ერთად ესწრებოდა საღმრთო ლიტურგიას, ეზიარებოდა მაცხოვრის უხრწნელ ხორცსა და სისხლს და მიემართებოდა თავის გამოქვაბულში.

ბოროტი როდი დასჯერდა არსებულ მდგომარეობას და განიზრახა, თავისი უბოროტესი ზრახვებით იძულებული გაეხადა ათანასე, ან წასულიყო იქიდან, ან კიდევ დაბრუნებოდა თავის ძველ ადგილს, რადგან აუტანელი და საძულველი ხდებოდა მამა ათანასეს მადლმოსილების ცქერა. ერთხელაც მძარცველები, რომელთაც ეგონათ, რომ ბერის სენაკი სიმდიდრით იქნებოდა სავსე, შუაღამისას დაადგნენ თავზე, რაც წმინდანმა წინასწარვე განჭვრიტა. ამ შემთხვევას უვნებელი გადაურჩა, რადგან თავდამსხმელებს უნდოდათ, თუ ვინმე დახვდებოდათ სენაკში, კლდიდან გადაეგდოთ.

ღირსმა ათანასემ ყველაფერი უამბო მამა გრიგოლს და ითხოვა, ნება დაერთო, ისეთ ადგილას მოეწყო მისთვის სენაკი, სადაც შეუძლებელი იქნებოდა ბოროტმოქმედების მიახლოებაც კი და ასე შეარჩია იმ კლდის წვერი, რომელზეც დღეს მეტეორას ცნობილი მამათა მონასტერია განთავსებული.

მამა გრიგოლს, როგორც პირველ შემთხვევაში, ამჯერადაც არ უნდოდა, ათანასე სამუდამოდ წასულიყო მისგან, რადგან ახლა უკვე გრძნობდა, რომ მალე მიიძინებდა და მისი საქმის გაგრძელება მხოლოდ ათანასეს უნდა აეღო საკუთარ თავზე, მაგრამ აქაც დაყაბულდა ათანასეს თხოვნას, მიეცა მისთვის ლოცვა-კურთხევა სვეტზე განდეგილური მოღვაწეობის. გაუშვა ეპისკოპოსთან ერთი, სახელად იაკობი და მოსთხოვა, იქნებ მღვდლად დაასხა ხელი, რათა ზიარების შესაძლებლობა გვქონდეს ჩვენ, ცოდვილ მონებს ღვთისასო. ღვთისმშობლის სახელზე ტაძარიც გამოჭედეს კლდის თავზე, სადაც სულის სანუგეშოდ ღვთისმსახურებასაც ასრულებდნენ.

ბოროტი ხომ ბოროტებისთვის ცოცხლობს და ადგილობრივმა ხელისუფლებამ იძულებული გახადა წმინდანი, კლდე დაეტოვებინა, რადგან სახელმწიფოს საკუთრებაზე ამხელა მშენებლობის გამართვის უფლება არ ჰქონდა. დატოვა მამა ათანასემ სვეტი და მიაშურა თესალონიკს, სადაც მორწმუნეები თან მიჰყვნენ და ეხვეწებოდნენ, უკან დაბრუნებულიყო მათი სულების სანუგეშოდ, მაგრამ წმინდანს აღარ სურდა ხმაურში ყოფნა.

ქრისტიანების სიყვარულით ის დაუბრუნდა თავის საცხოვრისს, მაგრამ არა ძველ სამოღვაწეოს. იქვე, მეორე კლდის წვერზე დადგა ახლა უკვე მარტოდმარტო, სადაც მიაღწია უმაღლეს საფეხურს. უფალმა მიჰმადლა წინასწარ ჭვრეტის უნარი, სასწაულმოქმედების უდიდესი ნიჭი. უკან დაბრუნებულმა სანამ იცოცხლა, მხოლოდ განდეგილის ცხოვრებით. სამოცდაათი წლის რომ გახდა, უკურნებელი სენით დაავადდა და მიაბარა სული თვისი უფალს, რომლისკენაც ილტვოდა თავისი სიცოცხლის მანძილზე.

დღეს მეტეორაზე არა ერთი და ორი მონასტერია, არამედ რამდენიმე დედათა თუ მამათა მონასტერი მოქმედებს. მთელი მსოფლიოდან ჩადიან ამ საოცრების სანახავად. არაერთი წმინდანი მისცა ამ ადგილმა ეკლესიას, რომლებიც ყველანი მეტეორელის სახელით არიან ცნობილნი. ასეთი მოღვაწე იყო წმინდა ათანასე მეტეორელი. მან გააცოცხლა და სიცოცხლის სული შთაბერა ამ საოცრებას, რომელიც დღემდე ამაყად დგას მართლმადიდებლობის სადარაჯოზე. არა ერთი სასწაული აღსრულდა და აღესრულება წმინდანის ღვთივსულიერი მიძინების შემდგომაც.

სამწუხაროა, რომ არაფერია წმინდა ათანასეზე ნათქვამი საქართველოს ეკლესიის კალენდარში. არადა, შეიძლება ქართველების დამსახურებაც კი იყო, რომ ასეთი მოღვაწეობით დაგვამახსოვრა თავი. მისი ფესვები ხომ ივერონის ქართველთა სავანიდან მოდის. მეოხ და მფარველ გვეყავ ჩვენ, წმინდაო ღირსო მამაო ათანასე!

**სიყვარულით ქრისტესმიერი პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

# „ეკლესია წმინდა რჩება მაშინაც კი, როცა მისი მსახურები უღირსად იქცევიან“

ნაცნობი თუ უცნობი ადამიანებისგან, ვინც ეკლესიურად არ ცხოვრობს, ხშირად გვესმის, რომ სწამთ ღმერთი, მაგრამ ტაძარში სიარულს, მოძღვართან აღსარების თქმას, ზიარებას და ა.შ. საჭიროდ არ მიიჩნევენ, ამას კი ათასგვარი მიზეზით ხსნიან: ხალხმრავლობისგან თავის არიდება, დროის უქონლობა, სასულიერო პირების მიმართ უნდობლობა და სხვა. თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მიზეზებს, რომლებიც დედაეკლესიისგან გვაშორებს, რატომ არის აუცილებელი მის წიაღში დაბრუნება, ღვთისმსახურის უღირსმა საქციელმა უნდა იმოქმედოს თუ არა ჩვენს რწმენაზე, ამ საინტერესო თემებზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

**— მამაო, დღევანდელობაში ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის რა ფორმები არსებობს და რა მიზეზით ჩნდება ადამიანში სურვილი, ეკლესიას განუდგეს?**

— მიზეზები შეიძლება ორ პირობით ჯგუფად დაიყოს. ერთი მხრივ, ეკლესიის უარყოფა, ანუ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ დონეზე, მეორე მხრივ — ეკლესიისაგან განდგომა სუბიექტური ანუ ინდივიდუალური მიზეზების გამო, რაც ზოგჯერ პირველი მიზეზიდან გამომდინარეობს, ზოგჯერ კი საკმაოდ ინდივიდუალურია.

ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დონეზე ჩვენთვის საკმაოდ ცნობილია. ეს ნიშნავს სახელმწიფო კანონებით ეკლესიის უფლებებისა და მისი მოღვაწეობის ფარგლების მაქსიმალურ შეზღუდვას — იდეოლოგიურ ომს ეკლესიის წინააღმდეგ. ამაში კი ხელოვნებას და კულტურას იყენებენ. მხატვრულ ფილმებში, სპექტაკლებში, ტელე-რადიო გადაცემებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში და ა. შ. ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაცია ხდება. ამ გზით ადამიანის გონებაში, მის ცნობიერებაში ითესება ბოროტი თესლი ურწმუნოებისა, ეჭვი და უნდობლობა იბადება ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ, რაც თანდათანობით აცილებს ქრისტიანს (და აძულებს კიდეც) ეკლესიის გარემოს.

ათწლეულების განმავლობაში ადამიანის ცნობიერებაში სპეციალურად ქმნიდნენ კარიკატურულ წარმოდგენებს ეკლესიაზე. და თუ დღეს ბევრ თანამემამულეში ვხვდებით ეკლესიისადმი უნდობლობას და შეიძლება სიძულვილსაც კი, იმ კარიკატურული წარმოდგენების ბრალია. ადამიანურ ძალებს გარკვეულწილად აღემატება მთელი სისრულით იმის აღქმა, თუ რას წარმოადგენს ეკლესია, მისი ცხოვრების მისტიკური მხარე, მისი სულიერი სიღრმე.

**„მხატვრულ ფილმებში, სპექტაკლებში, ტელე-რადიო გადაცემებში, ლიტერატურულ ნაწარმოებებში და ა. შ. ეკლესიისა და სამღვდელოების დისკრედიტაცია ხდება. ამ გზით ადამიანის გონებაში, მის ცნობიერებაში ითესება ბოროტი თესლი ურწმუნოებისა, ეჭვი და უნდობლობა იბადება ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ".**

**— მართლაც, ღვთისმსახურება ჩვეულებრივი მოკვდავისთვის არცთუ იოლად გასაგები პროცესია.**

— ეკლესიურ ცხოვრებას ადამიანი უერთდება არასრულად, ნაწილობრივ, მაგრამ არსებობს ეკლესიის ცხოვრებაში, საიდუმლო ღვთისმსახურებაში შეღწევის სხვადასხვა ხარისხი. შეუძლებელია გონებით წვდომა იმისა, რაც ეკლესიაში ხდება, რამეთუ „დიდ არს ღვთის მსახურებისა იგი საიდუმლო“ (1 ტიმ. 3-16). საჭიროა ცოცხალი მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში და მხოლოდ ამ შემთხვევაში იხსნება ეკლესია ადამიანის წინაშე, როგორც უმაღლესი რეალობა.

ხშირად ისე ხდება, რომ თუ ეკლესიის გარეგნულ გაფორმებაში ადამიანს რაღაც არ მოეწონა ან მიუღებელი გახდა მისთვის, შინაგანად, შინაარსობრივადაც სცილდე- →74



Cyan Magenta Yellow Black



■ მამა გიორგი

ბა მას. ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, რაც ხშირ შემთხვევაში აბრკოლებს ადამიანს, არის არცოდნა ანუ გაუგებრობა იმისა, თუ რა ხდება ეკლესიაში და რატომ ხდება, ე.ი. არ იციან ღვთისმსახურების თანმიმდევრობა და მისი შინაგანი არსი. მთელი უბედურება ისაა, რომ ეკლესია, ღვთისმსახურება თანდათან ზედმეტი ხდება სულისათვის, შინაგანი გაუცხოება იწყება, რაც დაკავშირებულია სულიერ სიზარმაცესთან და უფრო მეტად კი იმასთან, რომ ადამიანი სულით ხორცამდე ამსოფლიურ საქმეებშია ჩაფლული.

და მაინც, ვისაც გულწრფელად და სერიოზულად სურს საზოგადო ღვთისმსახურებაში მონაწილეობა და იმის გაგება, თუ რა ხდება ეკლესიაში ან რა იკითხება, ის ყოველთვის მოახერხებს ამას.

— **ზოგჯერ ადამიანები ამბობენ, რომ რომელიმე მოძღვრის შეუფერებელი საქციელი ნდობას უკარგავთ ეკლესიისადმი.**

— მოდით, ვიკითხოთ, რატომ აბრკოლებს მღვდლის უღირსი საქციელი ადამიანს მთელი ეკლესიის მიმართ? განა მღვდელი და ეკლესია ერთი და იგივეა? განა ძნელია იმის გაგება, რომ ეკლესია წმინდა რჩება და არ იბილწება მაშინაც კი, როცა მისი მსახურები უღირსად იქცევიან? ნუთუ მთელი არსი ეკლესიისა სამღვდელოებაში მდგომარეობს? ეკლესია ხომ იესო ქრისტეს მისტიკური სხეულია, რომელსაც გააჩნია ზეციური სხეული — არსებათა (ანგელოზთა) და წმინდანთა (ადამიანნი, რომლებიც გამართლდნენ ღვთის წინაშე) ერთობა. ამ ერთობას ზეციურ ანუ მოზეიმე ეკლესიას უწოდებენ.

**„ძალიან იოლია სამღვდელოების კრიტიკა. ვისგან გვესმის უმთავრესად ამგვარი კრიტიკა? მათგან, ვინც არად დაგიდევთ ღვთის მცნებებს სათავისოდ, სამაგიეროდ დიდი მონდომებით, ერთგვარი ბოროტი სიხარულითაც კი ყვება სხვადასხვა ცილისმწამებლურ ამბებს, თუნდაც სინამდვილეს".**

ეკლესიის თვალხილულ მხარეს შეადგენს მორწმუნე საზოგადოება და სასულიერო იერარქია სპეციალურად განკუთვნილი საღვთისმსახურო ადგილით, მოციქულთაგან მემკვიდრეობით მიღებული წესებით და ტრადიციებით. მას მიწიერი, ანუ მებრძოლი ეკლესია ჰქვია. ზეციურის და მიწიერის ერთობის თავი არის თვით ქრისტე მაცხოვარი. მაგრამ ვაი, რომ ჩვენ, ადამიანებს, ხშირად განზოგადებული მსჯელობა გვახასიათებს და იგივე გვჭირს ეკლესიასთან მიმართებაშიც: ეკლესიას ედება ხოლმე ბრალი იმაში, რაშიც სცოდავენ მისი მსახურნი. ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, არასწორია, რადგან ეკლესია არ არის რომელიმე მღვდელი. ის, ვინც უღირსად იქცევა ეკლესიის წიაღში, ნებსით თუ უნებლიეთ ეკლესიის მტრად გვევლინება.

ადამიანის ცნობიერებაში ღმერთის სახელი სიწმინდესთან, სიმართლესთან, პატიოსნებასთან არის დაკავშირებული და მისი მსახურისგანაც იმავეს ითხოვს. სწორედ ამიტომ ჰმართებს ღვთისმსახურს უდიდესი პასუხისმგებლობა და არამხოლოდ მას, არამედ ეკლესიის ყოველ წევრს, საერო იქნება ის თუ სასულიერო. მათი საქციელის მიხედვით შეიძლება კიდეც იდიდოს უფლის სახელი და მისი ეკლესია მართლაც მყუდრო თავშესაფრად იქნეს აღქმული და პირიქით, შეიძლება შეგინებული და უარყოფილიც იქნეს.

ეკლესია ცხოვრობს თავისი ცხოვრების მთელი სისრულით, აღვსილია საიდუმლო მადლიანი ძალებით და მაშინაც კი, როცა სამღვდელოება მოწოდების სიმაღლეზე არ დგას, ეკლესია წმიდა და უბიწო რჩება.

ძალიან იოლია სამღვდელოების კრიტიკა. ვისგან გვესმის უმთავრესად ამგვარი კრიტიკა? მათგან, ვინც არად დაგიდევთ ღვთის მცნებებს სათავისოდ, სამაგიეროდ დიდი მონდომებით, ერთგვარი ბოროტი სიხარულითაც კი ყვება სხვადასხვა ცილისმწამებლურ ამბებს, თუნდაც სინამდვილეს. ალბათ არავის აკრიტიკებენ ისე ადვილად, თავაშვებულად, როგორც ეკლესიის წარმომადგენელთ. ბრალს სდებენ ფარისევლობაში, თვალთმაქცობაში, ვერცხლისმოყვარეობაში, უწესო ცხოვრების წესში.

ეს კრიტიკა უმეტესად იმათგან მოდის, ვისთანაც არც სარწმუნოების განცდაა და არც ეკლესიის შვილობის. შედეგი კი საკმაოდ მტკივნეულია — ადამიანები, რომლებიც ვერ არჩევენ ეკლესიის არსს მისი გარეგნულ-ფორმობრივი გამოხატულებისა და ნიშნებისაგან, მიდიან სექტანტებთან, მათთან, ვინც არაფერს იშურებს იმისათვის, რომ ეკლესია გააშავოს. იმასაც კი ამბობენ, რა საჭიროა სამღვდელოება, რაში გვჭირდება შუამავალი ქრისტესთანო და, თუ დაუკვირდებით, რა მოთხოვნებს უყენებენ სამღვდელოებას, დარწმუნდებით, რომ პრაქტიკულად შეუძლებელიც კია მათი დაკმაყოფილება.

— **კონკრეტულად რას მოითხოვენ სასულიერო პირებისგან?**

— სექტანტები სამღვდელოებისაგან მოითხოვენ იმას, რისგანაც ასე ადვილად ათავისუფლებენ საკუთარ თავს. თუ მღვდელი შეცდა ან გაბრაზდა, ან ყურადღებიდან გამორჩა რამე ან ვინმე, მას არასგზით პატიობენ. მღვდელში დანახული ადამიანური სისუსტეც კი აბრკოლებთ. ამ დროს მღვდელი ისეთივე ადამიანია, როგორიც სხვა ნებისმიერი; მასშიც, როგორც ნებისმიერ პიროვნებაში, არსებობს პოტენციური (მემკვიდრეობითი) მიდრეკილება ცოდვისაკენ. მასაც ებრძვის ბოროტი, მასაც შეიძლება შეეშალოს. მეტსაც ვიტყვით: არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სამღვდელოებაში შესაძლოა არიან ისეთებიც, ვინც ნამდვილად არ იმყოფება მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამგვარ მორწმუნეთა დიდ უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნია ეკლესიური ცნობიერება. მათთვის არ არის ეკლესია დედა, უცხოა საეკლესიო იერარქია, არავითარი სიყვარული არ გააჩნიათ სამღვდელოებისა, როგორც ადამიანებისა. აქედან მოდის ის დაუნდობლობა, ხშირად სიძულვილიც, რასაც ეკლესიისა და მისი იერარქიისადმი იჩენენ.

— **ასევე ხშირად ამბობენ, რომ ეკლესიაში ვერ იტანენ ხალხმრავლობას, ვერ ლოცულობენ, როცა ტაძარში ხალხია და ა.შ.**

— შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ეს უფრო საბაბია ეკლესიიდან წასვლისა, ვიდრე მიზეზი. ნუთუ ასე ძნელია ისეთი ტაძრის მონახვა ან ტაძარში ისეთი ადგილის პოვნა, სადაც არ არის მოუსვენრობა და არავინ შეგაწუხებს?!

— **ბავშვობიდანვე ტაძარში სიარული მომავალში განსაზღვრავს თუ არა ადამიანის მორწმუნეობას?**

— ხანდახან ადამიანის რელიგიურ ცხოვრებასა და ეკლესიას შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია არასწორი, არაეკლესიური აღზრდის გამო. პიროვნების რელიგიური სახე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი აღზრდა მიიღო.

**„ხანდახან მშობლები ასწავლიან, რას ნიშნავს ქრისტიანობა, მაგრამ მათი ცხოვრების წესი ამ მაგალითს არ აძლევს შვილებს. ამ შემთხვევაში ბავშვის ცნობიერებაში მკვიდრდება ტყუილი, გაორებული ცხოვრების წესი".**

შევხვედრივარ ადამიანებს, რომელთაც ნამდვილად გააჩნიათ მოკრძალება ეკლესიის მიმართ და ერთგვარი ღვთისმოსაობითაც გამოირჩევიან, მაგრამ უჭირთ ეკლესიაში შესვლა, პირჯვრის გადასახვა და მუხლის მოდრეკა, ეძნელებათ ხატებისა და სიწმიდეთა ამბორი იმ უბრალო მიზეზით, რომ მათში არ არის გამომუშავებული ამგვარი ქცევა, მოზრდილ ასაკში კი ამას უკვე ველარ ახერხებენ, მათთვის უჩვეულოა.

ხანდახან მშობლები ასწავლიან, რას ნიშნავს ქრისტიანობა, მაგრამ მათი ცხოვრების წესი ამ მაგალითს არ აძლევს შვილებს. ამ შემთხვევაში ბავშვის ცნობიერებაში მკვიდრდება ტყუილი, გაორებული ცხოვრების წესი. მინდა, ამით ხაზი გავუსვა იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც აღმზრდელს ეკისრება.

არიან ადამიანები, რომელთაც იმდენად „უყვართ“ ცხოველები და ფრინველები, რომ მიდიან ტყეში, ხოცავენ მათ, შიგნეულობას გამოუღებენ, ბამბით გატენიან და სახლში დაიდგამენ. მათ ცხოველი კი არა, მისი ფიტული უყვართ. ასეთებს ვემსგავსებით ხოლმე, როცა განსაკუთრებულ მზრუნველობას ვიჩენთ მოზარდის (და ზოგადად ადამიანის) სოციალური პრობლემის გადაჭრისა თუ ამსოფლიური ცხოვრების საკითხების გასაუმჯობესებლად და ჭეშმარიტად ფასეულ სულიერი ცხოვრების საკითხებს არაფრად ვაგდებთ, ან ბევრად უფრო სასტიკ დანაშაულს ჩავდივართ, რადგან ცხოველთან და ფრინველთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ცოცხალ ადამიანთან, ღვთის ხატთან.

✓ **მანანა ნოდია**

# მოძღვარი პოეტი სკანდალურ რომანს წერს

## „ადამიანის სული იქამდე უნდა ვძერწო, სანამ მისგან უფლის ჭურჭელი არ გამოიძერწება"

„შენ თვალებიდან აპრილი გცვივა,
ილვიძებს დილა რძისფერი კაბით,
წელმოწყვეტილი იები მტკივა,
შენ მაპატიე, თუ შემიყვარდი.
წუხელის წვიმამ დატბორა გზები
და აჩრდილივით გეძებდი ქარში,
შენ თვალებიდან გცვივა იები
და გაზაფხული გიფექთავს ტანში.
იასამნებად გეტყობა წლები,
დამაქვს ზღვისფერი შენი სურვილი.
მინდა, გიყურო შორიდან გზნებით,
მინდა, მოგიკლა ასე წყურვილი.
მინდა გაფრენა ოცნების ფრთებით,
მარტმა ფიქრები ისევ არია,
მიყვარხარ — ამას ნუ მეკითხები,
თუ გინდა გეტყვი, გეტყვი — ძალიან..."

ეს ლექსი სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელდა და ბევრისთვის იქცა საყვარელ ფრაზებად. ამ ლამაზი სიტყვების ავტორი სასულიერო პირი გახლავთ — მამა პეტრე (კვარაცხელია). ის სამების საკათედრო ტაძარში მსახურობს. საეკლესიო ცხოვრება პატარაობიდან დაიწყო, სტიქარის ტარების მადლიც საკმაოდ პატარა ასაკში ერგო. დაინტერესებული იყო მიტოვებული, ჩამონგრეული ეკლესია-მონასტრებით. წერდა ლექსებს, რომლებსაც საგულდაგულოდ მალავდა. მერე იყო სტუდენტური საღამოები, სადაც ლექსებს კითხულობდა, შემდეგ ბროშურების გამოცემაც დაიწყო. ახლა კი უკვე ლექსების 13 კრებული აქვს და უახლოეს მომავალში კიდევ ერთის გამოშვებას აპირებს. წერს რომანსაც, რომელიც, როგორც თავად აღნიშნავს, სკანდალური იქნება. შემოქმედების პარალელურად სწავლობდა სასულიერო აკადემიაში. დაახლოებით 7 წლის წინ კი ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — სასულიერო პირი გახდა. თუ როგორია ერთდროულად მღვდლისა და პოეტის ცხოვრება, ამის შესახებ მამა პეტრემ „სარკესთან" ისაუბრა.

— **მამა პეტრე, თავდაპირველად იმ გზაზე გვიამბეთ, რომელიც საერო ცხოვრებაში გაიარეთ.**

— ყოველთვის მქონდა საიდუმლო ინტერესები, რასაც ყველაზე მეტად მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ჩამონგრეული გუმბათები და ნახევრად წაშლილი ფრესკები მიცხოველებდა. ვცდილობდი, ყველაფერში ღმერთი მეპოვა. ალბათ ჩემებურად, ბავშვურად ვპოულობდი კიდეც. მე წალენჯიხიდან ვარ. მას ჩემთვის კიდევ ორი დატვირთვა აქვს: მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი და ტერენტი გრანელი (რომელიც ასევე წალენჯიხელი იყო). ტაძრიდან ის საკვები მივიღე, რასაც ვეძებდი, ტერენტი გრანელის პოეზიიდან კი ჩემი შემოქმედებაა ამოზრდილი. ყოველივე ამან მაპოვნინა ბილიკი, რომელმაც სასულიერო პირობამდე მომიყვანა.


ცოლთან ერთად

— **ამ ბილიკზე შეხვედრილ სირთულეებს როგორ უმკლავდებოდით?**

— მე ყოველთვის მქონდა მზაობა, ქრისტესი მერწმუნა. 26 წლის ვიყავი, მღვდელი რომ გავხდი. ამაში კი რწმენა და ცოდნა დამეხმარა, რომელიც ღვთისგან მაქვს ბოძებული. სიყვარული არის გრძნობა, რომლის გარშემოც მთელი დედამიწა ტრიალებს. ამ გრძნობამ შემაძლებინა, ტაძარში მივსულიყავი, ტერენტი გრანელი მყვარებოდა, ლექსები მეწერა, ადამიანებთან ურთიერთობა მესწავლა და ა.შ.

— **მოძღვრობა და სიყვარულზე ლექსების წერა ერთმანეთთან თავსებადია?**

— ბუნებით თავისუფალი ვარ. ადამიანების ე.წ. კლიშეებში ჩასმა და მათთან რაღაც დოგმებზე საუბარი არ მიყვარს. მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში ისეთი არაფერი მომდომებია, რაც ჩვენი სარწმუნოებისთვის მიუღებელია. ალბათ ამიტომაც არ ყოფილა ჩემთვის მღვდლობა მძიმე უღელი. არც ბევრი რამის დათმობა მომიწია. ლექსის წერას თავს ვერასდროს დავანებებ. მე თუ დავწერე „შენ თვალებიდან აპრილი გცვივა" და ეს ვინმესთვის ნაკლია, ამის გამო ბოდიშს არასოდეს მოვიხდი, რადგან მე ჯერ პოეტი ვიყავი და მოძღვარი მერე გავხდი. ერთი მეორეს ავსებს და აბალანსებს.



— **ეკლესიაში სიარული როდის დაიწყეთ?**

— 12 წლიდან სტიქაროსანი ვიყავი. ოჯახი ხელს მიშლიდა, რომ ტაძარში მევლო. განსაკუთრებით დედაჩემს არ მოსწონდა. როდესაც მღვდლად ვეკურთხე, დედა ამას 40 დღე გლოვობდა... მღვდლად 2006 წლის 19 აგვისტოს მაკურთხეს რუის-ურბნისის ეპარქიაში, მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში, რაც ძალიან სიმბოლურია. ღმერთმა ინებოს, რომ ფერი მართლაც ვიცვალო. მე ამას ველოდები... ჩემთვის მოძღვრობა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ საეკლესიო წესებისა და საიდუმლოებების აღსრულება. სასულიერო პირობა ნიშნავს, რომ ადამიანის სული უნდა ვძერწო იქამდე, სანამ მისგან უფლის ჭურჭელი არ გამოიძერწება.

— **მღვდლად კურთხევის შემდეგ სად მსახურობდით?**

— რუის-ურბნისის ეპარქიიდან ბოლნისის ეპარქიაში გადავედი, ჩემს სულიერ მოძღვარს, ბოლნისელ მთავარეპისკოპოს ეფრემს გავყევი. 3 წელი ბოლნისში ვიმსახურე. იქ სასულიერო გიმნაზია დავაარსეთ, რომლის დირექტორიც ვარ. ასევე გავაკეთეთ გაზეთი „სიონი" და მთავარი რედაქტორი ვარ. მეუფე ეფრემთან ერთად მსახურება ჩემთვის ყველაზე ტკბილი პერიოდი იყო. შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დამაჯილდოვა და სამების საკათედრო ტაძარში გადმომიყვანა. კათოლიკოსთან ხშირი ურთიერთობა არ მაქვს, რადგან მისი შეწუხება არ მინდა. მისი უწმინდესობა ჩემთვის ავტორიტეტია არამხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელია, ის გემოვნებიანი მკითხველიც არის.

— **როგორ შეფასებას აძლევს თქვენს პოეზიას?**

— ჩემი პოეზია ძალიან უყვარს. ოქროს ჯვრით რომ მაჯილდოვებდა, ხმამაღლა თქვა: „მამა პეტრე მხოლოდ მოძღვარი კი არაა, ის შესანიშნავი პოეტია!". მეორე დღეს წამიყვანა თავის მშობლიურ სოფელ სნოში, სადაც ყველა დღე პოეზიაზე საუბარში გადიოდა. იქ მიწიერი სამოთხეა.

— **თქვენი პოეზიიდან რომელ ლექსს გამოარჩევთ?**

— ჩემთვის გამორჩეული ის არის, რომელსაც ვწერ ჩემთვის და არ ვაქვეყნებ. ახლა რომანს ვწერ, რომელიც სკანდალური იქნება. სავარაუდოდ, მისი სათაური იქნება „აღსარება ფეისბუქით". ეს არის გოგონას აღსარება, რომელსაც მოსწონს მოძღვარი და მას ყველაფერზე უყვება, გარდა აღსარებისა, მაგრამ საბოლოოდ ხვდება, რომ სინანული სწორედ ეს არის. ალბათ მიხვდით, რომ ეს რეალური ისტორიაა. იმედი მაქვს, წერას მალე დავამთავრებ და ამ რომანს მკითხველიც მალე იხილავს.

— **ძალიან უშუალო ბრძანდებით, მრევლთანაც ასეთი დამოკიდებულება გაქვთ?**

— მათთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ყველა ძვირფასია ჩემთვის, ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ხშირად ხუმრობენ, მამა პეტრემ მრევლი გარეგნობითაც დაიმსგავსა და ნიჭიერებითაცო. ჩემს მრევლში ბევრი პოეტი, მწერალი, მომღერალი და მოცეკვავეა. ერთი სულ მეკითხება: „მამაო, გიყვარვარ?". მე კი ჩემი ლექსით ვპასუხობ: „პეტრე, გიყვარვარ? არ ვიცი, უფალო, შენში რომ სიმართლეა, ამას ვგრძნობ უბრალოდ...".

— **თქვენს მეორე ნახევარზე, ექვსი შვილის დედაზე გვიამბეთ.**

— ჩემი მეორე ნახევარი არის ნინო ვეკუა, ნიჭიერი ფილოლოგი, ძალიან სათნო ადამიანი და, რაც მთავარია, ექვსი შვილის — მარიამის, დაჩის, ვაჩეს, ცოტნე-რატის, ანდრიას და სოფიას დედა. ფოფოდიობაც მძიმე ჯვარია. სასულიერო პირი რომ ხდები, ეს შენი არჩევანია, შენი მეუღლე კი შენგან გამომდინარე აკეთებს არჩევანს. მღვდლობა რომ გადავწყვიტე, ვკითხე, პრეტენზია ხომ არ ექნებოდა. მიპასუხა, როგორც შენი სულისთვის იქნება სასურველი, ისე მოიქეციო.

— **როგორ იპოვეთ ერთმანეთი?**

— უნივერსიტეტის კიბეზე ავდიოდი, მისი ულამაზესი თვალები დავინახე და მომეწონა. ვუთხარი, უკაცრავად, მაგრამ თქვენი სახელი დამავიწყდა-მეთქი. მან კი მიპასუხა, რა ძნელია იმის გახსენება, რაც არასოდეს იცოდიო. ასე შედგა ჩვენი პირველი შეხვედრა. გვქონდა მიმოწერა უნივერსიტეტის გაზეთის მეშვეობით. ჩემი ფსევდონიმი იყო ტანო და ჩვენს წერილებს დღემდე ბევრი შეყვარებული კითხულობს. ჩემი მეუღლის შთაგონება ნინო ჭავჭავაძე იყო. ყოველი თვის 13 რიცხვი ჩვენი სიყვარულის დღე იყო, რადგანაც ნინო 13 სექტემბერს არის დაბადებული. ამ რიცხვში ერთმანეთს მთაწმინდაზე, ნინო ჭავჭავაძის საფლავთან ვხვდებოდით. ზოგჯერ ნაჩხუბრებიც ვყოფილვართ, მაგრამ იქ მაინც ავსულვართ. პირველი ლექსი, რომელიც ნინოს მივუძღვენი, არის „აფროდიტე". შეყვარებულობის დროს კიდევ ერთი ლექსი დავუწერე ნინოს — „ვედრება".

„წვიმს და ალბათ მობრუნდები ისევ,
მაგრამ უკვე გვიანია, ერთო.
ფანჯარასთან ნამთვრალევი გიმზერ,
მომიტევე შეცოდება, ღმერთო.
ბაღებს სიმარტოვე აწვიმს,
გაზაფხული ალამაზებს ფერდობს,
შენთან ყოფნა მომინდება დაღლილს,
დამიბრუნე გულისსწორი, ღმერთო!".

— **დაბოლოს, რას უსურვებთ ჩვენი ჟურნალის მკითხველს?**

— თავისუფლებას! სოლომონ ბრძენი ამბობდა: „თავისუფალია ის ადამიანი, ვინც კანონების ქვეშ არის მოქცეული". სწორედ ეს არის სულის თავისუფლება, როდესაც ათი მცნებით ცხოვრობ და არ არსებობს წინალობა, რომელიც შენს სურვილს წაგართმევს.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# ლაბირინთი




# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black



## ღვიძლი სტაფილოთი და პრასით

**მასალა:**

საქონლის ან ფრინველის ღვიძლი — 500 გ
სტაფილო — 300 გ
პრასი — 2 ძირი
ხახვი — 1 თავი
სალათის ფოთლები — სურვილისამებრ
თეთრი მშრალი ღვინო — 70 მლ
კარაქი — 50 გრ
მარილი, პილპილი, ქონდარი, ძმარი, დაფნის ფოთოლი — გემოვნებით

**მომზადება:** ღვიძლი მოხარშეთ (თუ ფრინველისაა, დაჭრა არ დასჭირდება, სხვა შემთხვევაში სასურველი ზომის ნაჭრებად დაჭერით). ხარშვისას წყალს ჩაუმატეთ პილპილი, მარილი, დაფნის ფოთოლი, ხახვი, ბოლოს ჩაასხით მშრალი ღვინო. როცა მოიხარშება, წყალი გადაწურეთ, გადაავლეთ ცივი წყალი, გადაიტანეთ ფართო ლანგარზე და მარილი მოაყარეთ.

სტაფილო გაასუფთავეთ, წვრილად დაჭერით და კარაქში მოშუშეთ, მოაყარეთ ქონდარი. პრასი ალყა-ალყად დაჭერით, ხახვი — წვრილად. აურიეთ ერთმანეთში, ძმარი მოასხით, შეურიეთ სტაფილო და შეაზავეთ მარილითა და პილპილით. ლანგარზე სალათის ფოთლები დააფინეთ, დაალაგეთ ღვიძლი, მოასხით ძმრიანი მასა და სუფრასთან მიიტანეთ.

## კონ კარნე



**მასალა:**

საქონლის ფარში — 500 გ
დაკონსერვებული ან გახეხილი პომიდორი — 400 გ
ტომატი-პასტა — 1 ს.კ.
ხახვი — 1 თავი
ნიორი — 4 კბილი
დაკონსერვებული სიმინდი — 200 გ
დაკონსერვებული ბარდა — 200 გ
წითელი ბულგარული წიწაკა — 1 ცალი
მწვანე ბულგარული წიწაკა — 1 ცალი
დაკონსერვებული ლობიოს მარცვლები — 300 გ
ჩილი (დაფქული) — 1 ს.კ.
ორეგანო — 1 ჩ.კ.
ძირა — 1 ჩ.კ.
წითელი ღვინო — 100 გ
ზეთი, მარილი, პილპილი, არაჟანი — გემოვნებით
მაკარონი ან ბრინჯი — გარნირისათვის

**მომზადება:** სქელძირიან ქვაბში ან ღრმა ტაფაში ზეთი ჩაასხით და შიგ ხახვი და ნიორი მოშუშეთ. ფარში ხის კოვზით დაანაწევრეთ და მანამ ურიეთ, სანამ ფერს არ შეიცვლის (უნდა გაყავისფრდეს). როცა ხორცი ფერს შეიცვლის, ჩაუმატეთ ღვინო, მოურიეთ და აცადეთ 3-5 წუთი, სანამ ღვინო კარგად ამოშრება. შემდეგ ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, შეაზავეთ სუნელებით (წიწაკა, ორეგანო, ძირა, ცოტა მარილი, პილპილი), მოურიეთ, დაუმატეთ პომიდორი და ტომატ-პასტა. ამოურიეთ, თუ წვენი აკლია, დაუმატეთ ანადუღარი წყალი, დაახურეთ სახურავი, ალს დაუწიეთ და დატოვეთ 1 საათი.

როცა შეატყობთ, რომ ხორცი მზად არის, ჩაუმატეთ დარჩენილი ინგრედიენტები (ლობიო, სიმინდი, ბარდა), მოურიეთ და ცეცხლზე კიდევ 15 წუთი გააჩერეთ.

## ჩინ-დუ

**მასალა:**

ქათმის ფილე — 200 გ
მაკარონი — 200 გ
ბარდა — 110 გ
სტაფილო — 150 გ
კიტრი — 1 ცალი
პომიდორი — 1 ცალი
სალათის ფოთლები, მარილი, ზეთი — გემოვნებით



**მომზადება:** მაკარონი მოხარშეთ. ცალკე მოშუშეთ სტაფილო და ბარდა. ქათმის ფილე ულუფებად დაჭერით და ზეთმოსხმულ ტაფაში შეწვით.

კიტრი და პომიდორი მოგრძო ნაჭრებად დაჭერით. ქათმის ფილეს დაუმატეთ მაკარონი და მოშუშული სტაფილო და ბარდა. მოურიეთ და დაბალ ალზე 1-2 წუთი გააჩერეთ. ეს მასა ღრმა ჯამში გადაიტანეთ, დაუმატეთ დაჭრილი კიტრი და პომიდორი, შეაზავეთ მარილით, მოურიეთ და სუფრასთან მიიტანეთ.

## ბადრიჯანი მოცარელათი

**მასალა:**

ბადრიჯანი — 1 ცალი
ბულგარული წიწაკა — 1 ცალი
პომიდორი (პატარა) — 7 ცალი
ნიახური — 1 კონა
მოცარელას ბურთები — 7 ცალი (ან ახალი სულგუნი 100 გ)
მარილი — 1 ჩ.კ.
ზეთი — შესაწვავად
ხმელი ქინძი — 1 ჩ.კ.
თეთრი ღვინო — გემოვნებით



**მომზადება:** ბადრიჯანი და ბულგარული წიწაკა გრძელ, ვიწრო ნაჭრებად დაჭერით. ტაფაში 2 ს.კ. ზეთი ჩაასხით, დააწყვეთ ბადრიჯანი და ბულგარული წიწაკა და შეწვით. შემწვარ ბოსტნეულს დაუმატეთ პატარა პომიდვრები, 2-3 წუთში დაუმატეთ დაჭრილი ნიახური და ყველი. კიდევ 2 წუთის შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით. შეაზავეთ მარილით და ხმელი ქინძით.



## ბულგარული წიწაკა ბრინჯით

**მასალა:**

ბულგარული წიწაკა — 2 კგ
ბრინჯი — 3 ჩ.ჭ.
ხახვი — 3-4 თავი
უცხო სუნელი, ხმელი ქინძი — თითო ჩაის კოვზი
პომიდორი — 1 კგ (ან ტომატი-პასტა 2 ს.კ.)
ზეთი — 1 ჩაის ჭიქა
მარილი, წიწაკა, პილპილი — გემოვნებით

**მომზადება:** ბულგარულ წიწაკას ყუნწები მოაჭერით და გულები ამოაცალეთ. წვრილად დაჭრილი ხახვი ზეთში მოშუშეთ, შეურიეთ ნახევრად მოხარშული ბრინჯი და მსხვილ სახეხზე გახეხილი პომიდორი (ან წყალში გახსნილი ტომატი). შეაზავეთ უცხო სუნელით, ხმელი ქინძით, მარილით, წიწაკით და პილპილით.

ამ გულსართის ბულგარული წიწაკები ამოავსეთ და ფენებად მოათავსეთ ქვაბში (თავებით ზემოთ). მოასხით ცოტაოდენი ზეთი და დაჭყლეტილი პომიდორი, დაუმატეთ მარილით განზავებული ცხელი წყალი იმდენი, რომ დაიფაროს და ადუღეთ ნელ ცეცხლზე ბრინჯის მოხარშვამდე.



Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# ტყავის საყურე

ტყავის ნაკუწებისგან საყურეც შეიძლება გავაკეთოთ. სულ რაღაც ოციოდე წუთი და უცხო, ორიგინალური საყურე მზად იქნება. მის დასამზადებლად დაგვჭირდება: სასურველი ფერის ტყავის ნაკუწები, ლითონის ორი წკირი, საყურის საკიდი, პატარა ბრტყელტუჩა და მკვნეტარა, სადგისი, ფარგალი, მაკრატელი...

ფურცელზე ფარგლით შემოვხაზოთ სასურველი ზომის ორი წრე — დიდი და პატარა. ამ ტრაფარეტით გამოვჭრათ ტყავის წრეები — ორი დიდი, ორი პატარა. იმისთვის, რომ კიდე მოუმრგვალდეს, წრეები მოვატაროთ ან გაზქურაზე, ან სანთელზე. დავადოთ დიდი და პატარა წრე ერთმანეთს და გავხვრიტოთ სადგისით. ნახვრეტში გავუყაროთ ლითონის წკირი და მოვრკალოთ მკვნეტარას დახმარებით. უკვე მორკალულ წკირში კი საყურის საკიდი გავუყაროთ.

სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას!**

✓ ლელა ცუცქირიძე







## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 9 | 7 | 3 | 4 | 1 | 6 | 8 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 6 | 2 | 9 | 3 | 5 |
| 6 | 1 | 3 | 8 | 5 | 9 | 7 | 2 | 4 |
| 2 | 3 | 1 | 4 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 2 | 5 | 3 | 1 | 7 |
| 9 | 5 | 7 | 6 | 1 | 3 | 8 | 4 | 2 |
| 3 | 7 | 2 | 5 | 4 | 1 | 6 | 8 | 9 |
| 1 | 6 | 5 | 2 | 9 | 8 | 4 | 7 | 3 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 1 |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 | 1 | 6 | 4 |
| 4 | 7 | 6 | 8 | 1 | 5 | 9 | 2 | 3 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 8 | 3 | 9 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 | 1 |
| 2 | 1 | 7 | 3 | 5 | 4 | 6 | 9 | 8 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 4 | 5 | 6 | 2 | 1 | 3 | 8 | 9 |
| 1 | 6 | 3 | 4 | 9 | 8 | 2 | 5 | 7 |
| 9 | 8 | 2 | 5 | 3 | 7 | 4 | 1 | 6 |

## ქინძი კუჭის კიბოს წინააღმდეგ



უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქინძის ფესვები აძლიერებს იმუნიტეტს, იცავს ორგანიზმს გაციებისგან და აფერხებს დაბერების პროცესს.

ქინძს აქვს აქტიური ბაქტერიოციდული მოქმედება. ეს არომატული და ნაზი მწვანილი დიდი რაოდენობით შეიცავს ცე ვიტამინს, რომლის ნაკლებობასაც განსაკუთრებით ხშირად განიცდის ორგანიზმი ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში. ქინძის ფესვები მდიდარია ბე ჯგუფის ვიტამინებით. ფესვები და ღეროები ასევე შეიცავს ეთერზეთს. გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო წვრილად დავჭრით ქინძს, მისგან შეზავებული კერძი ბევრად უფრო არომატული იქნება.

არაერთი კვლევით მტკიცდება, რომ ქინძს კიბოს საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს. დღეში დაახლოებით 2 სუფრის კოვზი ქინძის ჭამა საკმარისია იმისთვის, რომ თავი დავიცვათ კუჭის კიბოს განვითარებისგან!



## სუფთა ჰაერი და ცე ვიტამინი შაკიკს განდევნის

თავში მწვავე ტკივილი რომ დაძლიოთ, ვიტამინი ცე გამოიყენეთ. ყოველდღიურ რაციონში ჩართეთ ამ ვიტამინით მდიდარი ასკილის ჩაი ან ჩაი ლიმონით. ყოველდღიურად ჭამეთ ვაშლი. თქვენთვის წამალია სუფთა ჰაერი და ოთახის ხშირად განიავება, ვინაიდან შაკიკი მეტწილად ჟანგბადის უკმარისობის დროს აღმოცენდება. თუ ჭამის შესაძლებლობა არ არის, ხოლო თავი ტკივილს იწყებს, გვირილის, პიტნის ან კრაზანის ჩაი დალიეთ.



Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავთსიახლენი

## ბიონსეს ვარსკვლავური ახირებები

მომღერალი ბიონსე თავის კარიერაში ყველაზე დიდ საკონცერტო ტურნეს ატარებს მსოფლიოს მასშტაბით და ამ ტურნეს ვარსკვლავის მიერ დაწესებული „კანონები“ აქვს. კონცერტის დროს ფოტოების გადაღების აკრძალვა მომღერლის ერთადერთი ჭირვეულობა არ არის. დღეს ყველაზე მაღალანაზღაურებადი მომღერალის რაიდერი, ანუ საკონცერტო მოთხოვნები და აკრძალვები, ერთობ შთამბეჭდავია. მაგალითად:



ბიონსეს კონცერტის მომსახურე პერსონალს აუცილებლად 100%-იანი ბამბის ქსოვილით შეკერილი სამოსი უნდა ეცვას; თავად მომღერალს მუდამ თან უნდა ჰქონდეს ტუტოვანი წყალი, რომლის ტემპერატურა 21 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს და 900 დოლარად ღირებულ ლითონის თერმოსში უნდა ესხას. კონცერტის შემდეგ კი მომღერალმა ყელი ხელით გაკეთებული ყინულის ბურთებით უნდა გაიგრილოს; ტუალეტის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს მხოლოდ წითელი ქაღალდით.

ამა თუ იმ ქვეყანაში ჩასვლისას ბიონსე, რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო ნომრებში ჩერდება. საგრიმიოროში კი მიაქვს თავისი ფარდები, დივანი და ხალიჩა, რათა მშობლიური სახლის ატმოსფერო შეიქმნას. მისი გადაადგილების საშუალება ძირითადად პირადი ვერტმფრენია.

## კემპბელი და დორონინი დაშორდნენ

ტოპმოდელი ნაომი კემპბელი და რუსი მილიარდერი ვლადისლავ დორონინი 5 წლიანი ხმაურიანი რომანის შემდეგ დაშორდნენ.

„ბოლო დროს ამ წყვილის ურთიერთობა საქმიან გარიგებას უფრო ჰგავდა“, — წერს „ნიუ იორკ პოსტი“.

50 წლის დორონინი და 42 წლის კემპბელი მარტის შემდეგ ელიტურ წვეულებებზე ერთად აღარ გამოჩენილან. „შავმა ავაზამ“ რუსი ბიზნესმენი გლამურულ სამყაროში შეიყვანა, მაგრამ მას სხვა ბიზნესაქტივები უფრო ადარდებდა და ნაომისთვის ხშირად ვერ იცლიდა. ჟურნალისტები ამ რომანის დასასრულს უფრო ადრე ვარაუდობდნენ.



დორონინი ბოლო დროს მეტ დროს ატარებს ნიუ იორკის ღამის კლუბებში. ერთხელ ქერათმიან ქალთან ერთადაც მივიდა. არც ნაომი კარგავს დროს ფუჭად და ჰოლივუდელ მამაკაცებზე აიღო ორიენტირი. რამდენიმე თვის წინ ის ლეონარდო დიკაპრიოს დაუახლოვდა. ამბობენ, რომ ნაომი მისი სახლის ხშირი სტუმარია.


Rennie®

150 Years
Science For A Better Life

სწრაფად მოგიხსნით გულძმარვას!



- უზრუნველყოფს კუჭში ჭარბი მარილმჟავას ნეიტრალიზაციას;
- მოქმედებს სწრაფად – ეფექტი მიიღწევა მიღებიდან 1-6 წუთში;
- გააჩნია დამცავი მოქმედება კუჭის ლორწოვან გარსზე;
- ნებადართულია ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში.

**შემადგენლობა:** კალციუმის კარბონატი – 680 მგ ($CaCO_3$), მაგნიუმის კარბონატი – 80 მგ ($MgCO_3$);
**მიღების წესი და დოზირება:** მოზრდილები და 12 წელზე უფროსი ასაკის ბავშვები 1–2 ტაბლეტი დაიღეჭოს (ან გაჩერდეს პირის ღრუში ტაბლეტის სრულ გაწოვამდე)
**გამოშვების ფორმა: რენი №12, № 24** მენთოლის არომატით, **რენი № 24** ფორთოხლის გემოთი




გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

სილქნეტი
SILKNET

# მხოლოდ სილქნეტის ინტერნეტ აბონენტებისთვის

# ნოუთბუქები

## უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!



~~699 ლარი~~

**579 ლარი**

დანაზოგი: 120 ლარი

acer



~~640 ლარი~~

**550 ლარი**

დანაზოგი: 90 ლარი

ASUS

- ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია
- ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია “კამარა სისტემს”
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

სისტემს კამარა

ULTRA
Smart Solution

Silk Optic

Find us on facebook

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები